

გ რ ე ბ უ ლ ში

დ ა ვ ა ბ ი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო
პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის
მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა
შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-
გვერდზე: http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე
2010, №8

Decisions Of The Supreme Court Of Georgia
In Civil Cases
(in Georgian)
2010, №8

Entscheidungen Des Obersten Gerichts Von Georgien
In Zivilsachen
(in der georgischen Sprache)
2010, №8

|
|

რედაქტორი სანდრო პორპენაძე
სპეციალისტ-რედაქტორი მაია ლუმჩაძე
დამკაბადონებელი მარია მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 98-51-72; www.supremecourt.ge

უურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

1. საშვებულებო ანაზღაურება

განხილვა

№ას-836-1122-09

26 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოლდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი,
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: შვებულების თანხისა და პრემიის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიას 2007 წლის 19 ნოემბერს სასარჩელო განცხადებით მიმართა თ. ც-ძემ მოპასუხე საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიმართ გამოყენებელი შვებულების თანხისა და წლიური შედეგების მიხედვით, პრემიის ანაზღაურების, ასევე, ყოველი დაყოვნებული დღისათვის 0,007%-ს გადახდის თაობაზე.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ იგი მუშაობდა საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მეთოდოლოგიური და ინფორმაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობაზე და მისი ყოველთვიური ხელფასი შეადგენდა 2300 ლარს. 2007 წლის 1 ოქტომბრიდან მისივე განცხადების საფუძველზე საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის №85 ბრძანებით გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, მაგრამ საპოლოო ანგარიშწორება დღემდე არ განხორციელებულა.

მოსარჩელის განმარტებით, მან თანამდებობიდან გათავისუფლებისას მიიღო კუთვნილი ხელფასი და პრემია, თუმცა არ მიუღია შვებულების თანხა და წლიური შედეგებისათვის საშუალო წლიური ხელფასა. მისივე მითითებით, მას საშვებულებო ანაზღაურება ეკუთვნის 9 თვეზე გაანგარიშებით, რაც შეადგენს 1728 ლარს. 1998 წლის 1 ივლისის №40 გადაწყვეტილებით დამტკიცებული დებულების მიხედვით, პრემია დაწესებულია წლიური შედეგების მიხედვით, საშუალო წლიური ხელფასის ოდენობით, თ. ც-ძეს კი აღნიშნული თანხა – 1725 ლარი არ მიუღია. ზემოაღნიშ-

ნულიდან გამომდინარე, თ. ც-ძემ მოითხოვა საბოლოო ანგარიშ-სწორებისა და ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის 0.07% ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2008 წლის 1 მაისის გადაწყვეტილებით თ. ც-ძის სარჩევლი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა თ. ც-ძემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 26 ნოემბრის განჩინებით თ. ც-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2007 წლის 1 მაისის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები იმის თაობაზე, რომ თ. ც-ძე მუშაობდა ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის აპარატის მეთოდოლოგიური და ინფორმაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტში დირექტორის თანამდებობაზე. მისი ყოველთვიური შრომითი ანაზღაურება შეადგენდა 2300 ლარს. 2007 წლის 1 ოქტომბერს თ. ც-ძე პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლებულ იქნა აღნიშნული თანამდებობიდან საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის №85-ე ბრძანების საფუძველზე. თანამდებობიდან გათავისუფლებისას მან მიიღო კუთვნილი ხელფასი და კვარტალური შედეგების მიხედვით დაწესებული პრემია (ჯილდო). თ. ც-ძეს არ მიუღია შვებულების თანხა და წლიური შედეგების მიხედვით დაწესებული პრემია (ჯილდო).

პალატამ მიიჩნია, რომ სასამართლომ სწორად განმარტა საქართველოს შრომის კოდექსის ნორმები, კერძოდ, შრომის კოდექსის 21-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად დასაქმებულს უფლება აქვს, ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით – არანაკლებ წელიწადში 24 სამუშაო დღით. იმავე კოდექსის 22-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, დასაქმებულს შვებულების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა მუშაობის თერთმეტი თვის შემდეგ. დასაქმებულს მხარეთა შეთანხმებით, შვებულება შეიძლება მიეცეს აღნიშნული ვადის გასვლამდეც. მუშაობის მეორე წლიდან დასაქმებულს მხარეთა შეთანხმებით შვებულება შეიძლება მიეცეს სამუშაო წლის წებისმიერ დროს.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულია დასაქმებულის უფლება, ისარ-

გებლოს შვებულებით, ამასთან აღნიშნული უფლება დამოკიდებულია დასაქმებულის ნებაზე. მას შეუძლია, ისარგებლოს კანონით მინიჭებული აღნიშნული უფლებით ან უარი განაცხადოს მასზე. სააპელაციო პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ, ვინაიდან, თ. ც-ძე მოპასუხე თრგანიზაციაში მუშაობდა არაერთი წელი, შეი-ის 22-ე მუხლით, მას უფლება ჰქონდა, სამუშაო წლის ნებისმიერ დროს მოეთხოვა ანაზღაურებადი შვებულება, ხოლო ამ უფლების გამოუყენებლიბის შემთხვევაში კანონი მას არ ანიჭებს გამოუყენებელი შვებულების თანხის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, ვინაიდან შვებულების ფულადი კომპენსაციით შეცვლას მოქმედი შრომის კოდექსი არ ითვალისწინებს.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სასამართლოს უნდა გამოეყენებინა შე-ის 26-ე მუხლი, რომლის თანახმად, დასაქმებულის საშვებულებო ანაზღაურება განისაზღვრება შვებულების წინა 3 თვის საშუალო ანაზღაურებიდან, თუ მუშაობის დაწყებიდან ან უკანასკნელი შვებულების შემდეგ ნამუშევარი დრო 3 თვეზე ნაკლებია – ნამუშევარი თვეების საშუალო ანაზღაურებიდან, ხოლო ყოველთვიური ფიქსირებული ანაზღაურების შემთხვევაში – ბოლო თვის ანაზღაურების მიხედვით. აღნიშნული ნორმა განსაზღვრავს საშვებულებო ანაზღაურების ოდენობის გამოთვლის წესს დასაქმებულის შვებულებით სარგებლობის შემთხვევაში და არ ადგენს საშვებულებო ანაზღაურების გადახდის ვალდებულებას იმ დასაქმებულისათვის, რომელსაც შვებულებით არ უსარგებლია.

სააპელაციო სასამართლომ ასევე გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მითითება იმის შესახებ, რომ შვებულება არის შესვენება სამუშაოზე, თავისუფალი დრო, რომელიც ეძლევა მუშაქს ყოველზღლიურად სამუშაო ადგილისა და ხელფასის შენარჩუნებით, შესაბამისად, პირი, რომელიც არ სარგებლობს შვებულებით და ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოს, მისი შრომის ანაზღაურება ხდება საერთო საფუძველზე და კანონი სხვა თანხების გადახდის ვალდებულებას არ აკისრებს დამსაქმებელს.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ასევე სწორად ეთქვა უარი მოსარჩელეს წლიური შედეგების მიხედვით დაწესებული პრემიის (ჯილდოს) ანაზღაურების მოთხოვნის დაკავშირებაზე.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 1998 წლის 1 ივ-

ლისის №40 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ იქნა „სემეკის წევრებისა და აპარატის თანამშრომელთა მატერიალური სტიმული-რების და დახმარების ერთიანი ფონდის შექმნისა და გამოყენების დებულება“, რომლითაც შეიქმნა სემეკის წევრებისა და აპარატის თანამშრომელთა მატერიალური სტიმულირებისა და დახმარების ერთიანი ფონდი, განისაზღვრა, ამ ფონდის გამოყენების სფერო და დაწესდა პრემიები კვარტალური შედეგების მიხედვით ერთი თვის ხელფასის და წლიური შედეგების მიხედვით სამუალო წლიური ხელფასის ოდენობით. საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2003 წლის 30 დეკემბრის №50/5 გადაწყვეტილებით, აღნიშნულ დებულებაში შეტანილ იქნა ცვლილებები.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ პრემიის გაცემა დამოკიდებული იყო კომისიის გადაწყვეტილებაზე. იგი გაიცემოდა გარკვეული დამსახურების მიხედვით და ზემოაღნიშნული დებულება არ ავალდებულებდა დამსაქმებელს, ყველა თანამშრომელისათვის მიეცა პრემია (ჯილდო), რამდენადაც მოსარჩელესა და მოპასუხე ორგანიზაციას შორის შრომითი ხელშეკრულება შეწყდა სამუშაო წლის დასრულებამდე, ხოლო კვარტალური პრემია თ.ც-ძეს მიღებული ჰქონდა, მას არ გააჩნია წლიური შედეგების მიხედვით დაწესებული პრემიის (ჯილდოს) მოთხოვნის საფუძვლი.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ, ვინაიდან სასამართლომ უსაფუძვლოდ ჩათვალა თ. ც-ძის სასარჩელო მოთხოვნა გამოყენებელი შვებულების ფულადი კომპენსაციისა და წლიური შედეგების მიხედვით პრემიის ანაზღაურების თაობაზე. ამასთან, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოსარჩელეს მიღებული ჰქონდა კუთვნილი ხელფასი, ასევე, კვარტალური შედეგების მიხედვით დაწესებული პრემია, ხოლო სხვა ანაზღაურების ვალდებულება მოპასუხე ორგანიზაციას მოსარჩელის მიმართ არ გააჩნდა, სწორად არ დაკმაყოფილდა თ. ც-ძის სარჩელი ანგარიშსორების დაყვინების ყოველი დღისათვის 0,007%-ის ანაზღაურების თაობაზე. სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია საქართველოს შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილზე.

აღნიშნულ განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა თ. ც-ძემ. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა შრომის კოდექსის 26-ე მუხლი საშვებულებო ანაზღაურების შესახებ, არასწორად განმარტა შრომის კოდექსის 21-ე მუხლის პირველი ნაწილი და 22-ე მუხლის 1-2 ნაწილები და მიიჩნია, რომ შვებულების უფლების გამოუყენებლობა წლის ბოლომდე,

სამუშაოდან განთავისუფლებისას, ნიშნავს საშვებულებო თანხებზე უარის თქმას, რაც არასწორია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, საკასაციო საჩივარი, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ თ. ც-ძე მუშაობდა ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის აპარატის მეთოდოლოგიური და ინფორმაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტში დირექტორის თანამდებობაზე. მისი ყოველთვიური შრომითი ანაზღაურება შეადგენდა 2300 ლარს. 2007 წლის 1 ოქტომბერს თ. ც-ძე პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლებულ იქნა აღნიშნული თანამდებობიდან საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის №95-ე ბრძანების საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ასევე დადგენილია, რომ თანამდებობიდან განთავისუფლებისას მან მიიღო კუთვნილი ხელფასი და კვარტალური შედეგების მიხედვით დაწესებული პრემია (ჯილდო). თ. ც-ძეს არ მიუღია შვებულების თანხა და წლიური შედეგების მიხედვით დაწესებული პრემია (ჯილდო).

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თ. ც-ძე მოპასუხეორგანიზაციაში მუშაობდა არაერთი წელი, ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ, რადგან მოსარჩელემ არ ისარგებლა შე-ის 22-ე მუხლით მინიჭებული უფლებით, მან დაკარგა გამოუყენებელი შვებულების თანხის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, ამასთან, ერთად სასამართლომ აღნიშნა, რომ შვებულების ფულადი კომპენსაციით შეცვლას მოქმედი შრომის კოდექსი არ ითვალისწინებს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კასატორი საკასაციო სასამართლოში სადავოდ არ ხდის ყოველი დაყოვნებული თანხის 0,007%-ის გადახდის თაობაზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებას.

ამ შემთხვევაში ნიშანდობლივია უდავო ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, თ. ც-ძე მოპასუხეორგანიზაციაში მუშაობდა არაერთი წელი, ხოლო 2007 წლის 1 ოქტომბერს პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლებულ იქნა აღნიშნული თანამდებობიდან საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის №85-ე ბრძანების საფუძველზე. ამდენად, კასა-

ტორს არ უსარგებლია 2007 წლის შვებულებით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა საქართველოს შრომის კოდექსის 21-ე და 22-ე მუხლები, კერძოდ, განსახილველი კანონის 21-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს არა მარტო შვებულების ხანგრძლივობის ფარგლებს, არამედ განსახილველი ნორმა ანიჭებს დასაქმებულს უფლებას, ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით. აღნიშნული უფლების რეალიზაციისათვის აუცილებელია დასაქმებულის ხება, რომელიც უნდა მიუვიდეს დამსაქმებელს.

ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულება წარმოადგენს დასაქმებულის დასვენების დროს, ანუ იმ უფლებას, რომელიც არ შეიძლება შეიცვალოს ფულადი კომპენსაციით. ამ დანაწესის აუცილებლობა იმაშია, რომ მაქსიმალურად უზრუნველყოფილ იქნეს დასაქმებულის დასვენების უფლება და ფულადი კომპენსაციით ჩანაცვლებით არ მოხდეს საქართველოს შრომის კოდექსის 21-ე მუხლით გათვალისწინებული მიზნის უგულებელყოფა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ შვებულების უფლება წარმოიშობა მხოლოდ შრომითი სამართლებრივი ურთიერთობების არსებობის პირობებში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, როდესაც დასაქმებული ტოვებს სამსახურს თავისი ნებით, იგი აღნიშნული ნების გამოხატვით წყვეტს დამსაქმებელთან შრომითი სამართლებრივი ურთიერთობას და ამავე დროს არ იყენებს (უარს აცხადებს) ანაზღაურებად შვებულებას. ამდენად, შრომის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ ვერ იქნება გამოყენებული საშვებულებო კომპენსაციის მიღების უფლება, რადგან ამ შემთხვევაში აღარ არსებობს შვებულების რეალიზაციის ერთ-ერთი აუცილებელი ნანაპირობა (შრომის სამართლებრივი ურთიერთობა). გამონაკლის წარმოადგენს ზოგიერთი ისეთი საფუძველი, რომლის არსებობისას დამსაქმებლი თავისი ინიციატივით დასაქმებულთან წყვეტს შრომის სამართლებრივ ურთიერთობას.

„ყოველწლიური ფასიანი შვებულების შესახებ“ 1936 წლის 4 ივნისის კონვენციის (საქართველოში ძალაშია საქართველოს პარლამენტის 1993 წლის 22 თებერვლის დადგენილებით) მე-6 მუხლის თანახმად, პირი, რომელიც გათავისუფლებულია მენარმის მიზეზით, მაგრამ ვიდრე იგი გამოიყენებდა კუთვნილ შვებულებას, შვებულების ყოველი დღისათვის ამ კონვენციის შესაბამისად იღებს მე-3 მუხლით გათვალისწინებულ ჯილდოს.

განსახილველი ნორმით გათვალისწინებული პირობების არსებობისას დასაქმებულს შეუძლია, მოითხოვოს იმ წელს გამოუყენებელი საშვებულებო კომპენსაცია, რადგან დამსაქმებლის

ინიციატივით შრომის ურთიერთობის შეწყვეტით არ შეიძლება დასაქმებულს წაერთვას შვებულების უფლება, რომელსაც იგი სავარაუდოდ გამოიყენებდა. ამ შემთხვევაში არ არსებობს დასვენების ხანგრძლივი პერიოდით (შვებულების) გამოყენების შესაძლებლობა (რადგან დამსაქმებლის ინიციატივით შეწყდა შრომის ურთიერთობა), მაგრამ მას რჩება უფლება, მოითხოვოს ფულადი კომპენსაცია. ამდენად, კონკრეტულ სადაცო შემთხვევაზე ვერ გავრცელდება კონვენციის ზემოაღნიშნული ნორმა, რადგან შრომითი ურთიერთობა არ შეწყვეტილა დამსაქმებლის ინიციატივით.

რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას წლიური შედეგების მიხედვით პრემიის ანაზღაურების შესახებ საკასაციო პალატა თვლის, რომ ამ ნაწილშიც საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 1998 წლის 1 ივნისის №40 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ იქნა „სემეკის წევრებისა და აპარატის თანამშრომელთა მატერიალური სტიმულირების და დახმარების ერთიანი ფონდის შექმნისა და გამოყენების დებულება“, რომლითაც შეიქმნა სემეკის წევრებისა და აპარატის თანამშრომელთა მატერიალური სტიმულირებისა და დახმარების ერთიანი ფონდი, განისაზღვრა, ამ ფონდის გამოყენების სფერო და დაწესებულ იქნა პრემიები კვარტალური შედეგების მიხედვით საშუალო წლიური ხელფასის ოდენბით. საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2003 წლის 30 დეკემბრის №50/5 გადაწყვეტილებით, აღნიშნულ დებულებაში შეტანილ იქნა ცვლილებები.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული დებულებით გათვალისწინებული სემეკის წევრებისა და აპარატის თანამშრომელთა მატერიალური სტიმულირებისა და დახმარების ერთიანი ფონდი გამოიყენება, ასევე კვარტალური და წლიური შედეგების მიხედვით თარიღული საშუალო შედეგებისა და სადლესასწაულო თარიღული დაკავშირებით პრემირებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პრემიების გაცემა წარმოადგენს სემეკის უფლებას და არა ვალდებულებას, შესაბამისად, აღნიშნული უფლების რეალიზაცია უკავშირდება თანამშრომელთა მხოლოდ მატერიალური სტიმულირებასა და დახმარების საკითხებს და მისი გაცემა არა არის დამოკიდებული დასაქმებულის – (თ. ც-ძის) ნებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქა-

ლაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

თ. ც-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს საა-
მისამართლოს მოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 26 ნოემბრის განჩინება;
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდე-
ბა.

2. მიუღებელი ხელფასის ანაზღაურება

განვითარება

№ას-1018-1212-08

28 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაში სასამართლოს სამოქალაქო,
სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია

დავის საგანი: იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 23 იავნისს ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართეს ვ. ფ-იამ, მ. ჯ-იამ და მ. გ-უამ მოპასუხე სსიპ „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტის“ მიმართ და მოითხოვეს მოპასუხეზე ხელშეკრულებების ვადაზე ადრე შეწყვეტით გამოწვეული მიუღებელი ხელფასის დაკისრება შემდეგი საფუძვლებით:

მოსარჩელეთა განმარტებით, ვ. ფ-ია და მ. ჯ-ია 2006 წლის 16 ოქტომბრიდან სამწლიანი ვადით დადგებული ხელშეკრულებების საფუძველზე, მუშაობდნენ ასოცირებული პროფესორის, ხოლო მ. გ-უა ორნლიანი ვადით ასისტენტ-პროფესორის თანამდებობებზე, ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალში, რომლის უფლებამონაცვლეც გახდა სსიპ „შოთა მესხიას სახელმწიფის ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტი“. 2007 წლის 20 ოქტომბრის სსიპ „ზუგდიდის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების“ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით, მოსარჩელეებთან ცალმხრივად, ვადაზე ადრე შეწყდა შრომითი ხელშეკრულებები და ისინი გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან შრომის კანონთა კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. ვინაიდან მოსარჩელეებთან დადგებული ვადიანი შრომითი ხელშეკრულებები არ ითვალისწინებდა ვადაზე ადრე ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის ისეთ საფუძველს, როგორც ბრძანებაშია მითითებული – „სპეციალობებისა და მიმართულებების გაუქმება“, მოსარჩელეების აზრით, ისინი დაკავებული თანამდებობებიდან უკანონოდ გათავისუფლდნენ, რის გამოც დაირღვა მათი შრომითი უფლება, მიადგათ მატერიალური ზიანი, რაც გამო-

იხატა შრომის ანაზღაურების იძულებით განაცდურში.

ზემოაღნიშნულისა და მათ თანამდებობათა შესაბამისად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების განსაზღვრული ოდენობის გათვალისწინებით, ვ. ფ-იამ, მ. ჯ-იამ და მ. გ-უამ მოითხოვეს სსიპ „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტისათვის“ მ. ჯ-იას სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 9461,76 ლარის ოდენობით და იურიდიული მომსახურებისათვის განეული ხარჯის დაკისრება – 150 ლარი, ვ. ფ-იას სასარგებლოდ – იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 10635,1 ლარის და იურიდიული მომსახურებისათვის განეული ხარჯის დაკისრება 150 ლარის ოდენობით, ხოლო მ. გ-უას სასარგებლოდ, შესაბამისად, 3548,16 ლარისა და ასევე 150 ლარის დაკისრება.

მოსარჩელე ვ. ფ-იამ ასევე მოითხოვა მის მიერ დეკანის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით შრომითი ურთიერთობის უკანონო შეწყვეტიდან სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

მოპასუხევ - სსიპ „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტის“ რექტორის შემსრულებელმა შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მოითხოვა სარჩელის და კმაყოფილებაზე უარის თქმა.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებით ვ. ფ-იას, მ. ჯ-იასა და მ. გ-უას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხე სსიპ „შოთა მესხიას სახელმწიდის ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტს“ ვ. ფ-იას სასარგებლოდ დაკისრა 8008,5 ლარის გადახდა, ასევე 150 ლარი – ადვოკატის მომსახურებისათვის განეული ხარჯისათვის, მ. ჯ-იას სასარგებლოდ – 8008,5 ლარი და ასევე 150 ლარი, ხოლო მ. გ-უას სასარგებლოდ – 1982 ლარისა და ასევე 100 ლარის გადახდა, ვ. ფ-იას უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე მოპასუხე სსიპ „შოთა მესხიას სახელმწიდის ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტის“ ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანის მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლების გამო მიუღებელი ხელფასის მოპასუხეზე დაკისრების თაობაზე, უსაფუძვლობის გამო.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება საპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

ვ. ფ-იას, მ. ჯ-იას და მ. გ-უას ნარმომადგენელმა გ. ფ-იამ სააპელაციო საჩივრით მოითხოვა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ვ. ფ-იას სასარგებლოდ მოპასუხისათვის დამატებით 2626,6 ლარის დაკისრება, მ. ჯ-იას სასარგებლოდ – 1453,3 ლარის, ხოლო მ.

გ-უას სასარგებლოდ – 1566,2 ლარის დაკისრება.

მოპასუხე სსიპ „შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელ-მწიფო ინსტიტუტმა“, თავის მხრივ, სააპელაციო საჩივრით მო-ითხოვა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და აღნიშულ ნა-ნილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფი-ლებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, სსიპ „შო-თა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – ვ. ფ-იას, მ. ჯ-იასა და მ. გ-უას სააპელაციო საჩივარი, გაუქმდა ზუგ-დიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 26 ივლისს გადაწ-ყვეტიელბა მოსარჩელების სასარგებლოდ თანხების დაკისრე-ბის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტი-ლება, ვ. ფ-იას, მ. ჯ-იასა და მ. გ-უას სარჩელი ნაწილობრივ დაკ-მაყოფილდა, სსიპ „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო ინსტი-ტუტს“ ვ. ფ-იას სასარგებლოდ დაკისრა 7664 ლარისა და 5 თეთ-რის გადახდა, ადვოკატის მომსახურების – 150 ლარი, მ. ჯ-იას სა-სარგებლოდ – 7664 ლარისა და 5 თეთრის, ადვოკატის მომსახუ-რებისათვის – 150 ლარის, ხოლო მ. გ-უას სასარგებლოდ 1730 ლა-რისა და ადვოკატის მომსახურებისათვის 100 ლარის გადახდა, და-ნარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2006 წლის 3 ნოემბრის, ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილი-სის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის №01/02/579 ბრძა-ნებით, 2006 წლის 16 ოქტომბრის №01/02/541 ბრძანებაში შევი-და ცვლილება და ვ. ფ-ია დაინიშნა სასწავლო დაწესებულების ზუგდიდის სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა მიმართულე-ბის ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე, 2006 წლის 16 ოქტომბრიდან 2009 წლის 16 ოქტომბრამდე, მ. ჯ-ია დაინიშნა გე-ოგრაფიის მიმართულების ასოცირებული პროფესორის თანამ-დებობაზე იმავე ვადით, ხოლო მ. გ-უა – სოციალურ-პოლიტიკურ მაცნიერებათა მიმართულების ასისტენტ-პროფესორად 2006 წლის 20 ოქტომბრიდან 2008 წლის 16 ოქტომბრამდე. აღნიშნუ-ლი ბრძანებების საფუძველზე, მხარეებს შორის შრომითი ხელ-შეკრულებები ინდივიდუალურად გაფორმდა და შრომის ანაზღა-ურების ოდენობა ვ. ფ-იასათვის განისაზღვრა 336 ლარით, მ. ჯ-

იასათვის – 336 ლარით, ხოლო მ. გ-უასთვის – 353 ლარით;

ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის დირექტორის 2005 წლის 13 სექტემბრის №3/87 ბრძანებით მოსარჩელე ვ. ფ-ია დაინიშნა ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლად და ხელფასის ოდენობა განესაზღვრა თვეში 80 ლარი;

საქართველოს მთავრობის 2007 წლის 13 ივლისის №45 დადგენილებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის ბაზაზე დაფუძნდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი „ზუგდიდის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება“;

საქართველოს მთავრობის 2008 წლის 17 აპრილის №106 დადგენილებით, მოხდა ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაცია, გამოყეყო ზუგდიდის ფილიალი და მის ბაზაზე დაფუძნდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტი“;

ინსტიტუტის ხელმძღვანელის 2007 წლის 19 ოქტომბრის ბრძანებით გაუქმდა ფიზიკის, სოციალურ-პოლიტიკური, ფილოსოფიის, ფსიქოლოგისა და გეოგრაფიის მიმართულებები, ხოლო 2007 წლის 17 ოქტომბრის ბრძანებით, საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გაერთიანდა იურიდიული და საბუნებისმეტყველო მეცნიერების, ჰუმანიტარული და ეკონომიკის ფაკულტეტები; რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2007 წლის 29 სექტემბრის ბრძანებით ვ. ფ-ია გათავისუფლდა ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანის მოადგილის თანამდებობიდან. 2007 წლის 20 ოქტომბრის ბრძანებით კი სპეციალობებისა და მიმართულებების გაუქმებასთნ დაკავშირდებით, მოსარჩევები გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან;

მხარეთა განმარტებების საფუძველზე, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩევებს შრომითი ხელშეკრულებების პირობებით არ დაურღვევიათ და მათი სამუშაოდან გათავისუფლება გამოწვეული იყო სასწავლო დაწესებულებაში განხორციელებული ცვლილებებით;

სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ მოსარჩევებს მიეცათ კომპენსაცია ერთი თვის ხელფასის ოდენობით;

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასებები სამოქალაქო კოდექსის 51-ე, 411-ე და 412-ე მუხლებსა და შრომის კანონთა კოდექსის 37-ე და 38-ე მუხლებზე მითითებით გათავისუფლების ბრძანებების უსა-

ფუძვლოდ მიჩნევისა და მიუღებელი ხელფასის ანაზღაურების თაობაზე და განმარტა, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობის დროს მხარეები შებოჭილნი არიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადისა და პირობების ფარგლებში;

ამასთან, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის გაფორმებულ ვადიან ხელშეკრულებაში მითითებულ ვა-დაზე ადრე შეწყვეტის საფუძველი განსახილველ შემთხვევაში არ არსებობდა, ვინაიდან მოსარჩელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები არ დაურღვევიათ;

იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელებს გთავისუფლების შემდეგ ერთი თვის ხელფასის ოდენობით კომპენსაცია მიღებული ჰქონდათ, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება თანხების დაკისრების ნაწილში უნდა შეცვლილიყო, კერძოდ, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მოსარჩელების სასარგებლოდ სასწავლო დაწესებულებისათვის დაკასრებულ თანხას უნდა გამოჰკებოდა შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების ერთი თვის სარგო, რომელიც მოსარჩელებს უკვე აღებული ჰქონდათ.

ქუთაისს სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარეგ.

ვ. ფ-იას, მ. ჯ-იასა და მ. გ-უას წარმომადგენელმა გ. ფ-იამ საკასაციო საჩივრით მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სსიპ „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტისათვის“ ვ. ფ-იას სასარგებლოდ დამატებით 2970,6 ლარის, მ. ჯ-იას სასარგებლოდ დამატებით 1797,3 ლარისა და მ. გ-უას სასარგებლოდ 1705,3 ლარის დაკისრება შემდეგი საფუძვლებით :

კასატორის განმარტებით, როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლოებმა გადაწყვეტილების გამოტანისას გამოიყენეს კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინათ, კერძოდ, საგადასახადო კოდექსის 167-ე მუხლი, რომლითაც საშემოსავლო გადასახადი 25%-ით განისაზღვრა და 168-ე მუხლი, რომლის მიხედვით, საშემოსავლო გადასახადიდან არ თავისუფლდება სასამართლოს მიერ დასაქმებულისათვის მიკუთვნებული მიუღებელი შემოსავალი. სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს, რომ 2008 წლის პირველი იანვრიდან საგადასახადო კოდექსის 167-ე მუხლის ცვლილებასთან დაკავშირებით, მოსარჩევთა შრომის ანაზღაურება უნდა განსაზღვრულიყო ისე, რომ საშემოსავლო გა-

დასახადის 25%-ის დაკავების შემდეგ მოსარჩელეებს იგივე თანხა მიეღლოთ.

კასატორის აზრით, გადაწყვეტილების მიღებისას სააპელაციო სასამართლომ არასაწორად შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები, არ დაასაბუთა თავისი გადაწყვეტილება ვ. ფ-იას მოთხოვნის არდაკმაყოფილების ნაწილში და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა;

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ კასატორებისათვის მიუკუთვნებული თანხების შემცირება იმით დაასაბუთა, რომ მოსარჩელეებს მიეცათ კომპანენსაცია ერთი თვის ხელფასის ოდენობით, რითაც დაარღვია საპროცესო კანონი, კერძოდ, სსკ-ის 384-ე მუხლი, გასცდა მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს, გინაიდან მოწინააღმდეგე მხარეს თანხების შემცირება არ მოუთხოვია, თავისი ინიციატივით შეამცირა თანხები, რითაც დაარღვია საპროცესო ნორმები და საქმეზე არასაწორი გადაწყვეტილება მიიღო.

ამასთან, კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მ. გ-უამ იშუამდგომლა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაშებული გამოთვლითი ხასიათის შეცდომის გასწორებაზე, რაზეც გადაწყვეტილებაში სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია;

თავის მხრივ სასიპ „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტმა“ საკასაციო საჩივრით მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება მოსარჩელეების სასარგებლოდ თანხების დაკისრების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევების შედეგად მიიღო, რომლებმაც განვლენა იქონიეს საქმის განხილვის შედეგზე. სასამართლომ არ გმოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა, კერძოდ, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის პირველი მუხლი, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი, მე-14 მუხლის პირველი პუნქტი, 27-ე მუხლის პირველი პუნქტი, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოვალეობის შემსრულებლისა და ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების განსაზღვრისა და საქართველოს პრეზიდენტის ზოგიერთი ბრძანებულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხა-

დების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნის №473 ბრძანებულების მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი. გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოიყენებინა, კრძოდ სამოქალაქო კოდექსის 411-ე და 412-ე მუხლები და არასწორად განმარტა კანონი (საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 37-ე და 38-ე მუხლები).

კასატორის აზრით, აღნიშნულმა დარღვევებმა განაპირობა საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა, ამასთან გადაწყვეტილება არ არის იურიდიულად საკმარისად დასაბუთებული, რაც მისი გაუქმების საფუძველია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები და თვლის, რომ ვ. ფ-იას, მ. ჯ-იას, მ. გ-უას, ასევე სსიპ „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტის“ საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდევ გარემოებათა გამო:

საქართველოს შრომის კოდექსის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ეს კოდექსი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, თუ ისინი გნესვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საკითხი მოწესრიგებულია შრომის კოდექსის 37-ე და 38-ე მუხლებით. 37-ე მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველია ერთ-ერთი მხარის მიერ შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევა, ხოლო ამავე მუხლის „დ“, პუნქტის თანახმად, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველია შრომითი ხელშეკრულების მოშლა.

საპელაციო პალატამ დადგენილად ცნო, რომ მოსარჩელეებს შრომითი ხელშეკრულების პირობები არ დაურღვევიათ, შესაბამისად, მოსარჩელეთა გათავისუფლების შესახებ ბრძანებები უსაფუძვლოდ მიიჩნია.

სააპელაციო პალატის აღნიშნული დასკვნა დაუსაბუთებელია და არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან. საქმის მასალებით ირკვევა, რომ მოსარჩელეები სამსახურიდან შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „გ“ პუნქტით კი არ გაუთავისუფლებიათ, არამედ მოსარჩელეები სამსახურიდან გათავისუფლებული არიან შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ პუნქტის, მთავრობის 2007 წლის 13 ივლისის №145 დადგენილების, პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნის №473 ბრძანებულების და ზუგდიდის უმაღლესი საგანმანათ-

ლებლო დაწესებულების „სპეციალობებისა და მიმართულებების გაუქმების შესახებ“ ბრძანების საფუძველზე. მოსარჩელეთა სამსახურიდან გათავისუფლების აღნიშნული საფუძვლების კანონი-ერებაზე კი სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ უმსჯელია, შესაბამისად, შეუძლებელია გასაჩივრებული გადაწყვეტილების საფუძვლიანობის შემოწმება.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს კასატორების ვ. ფ-იას, მ. ჯ-იასა და მ. გ-უას მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა უხეში საპრო-ცესო დარღვევებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 384-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია, შეცვა-ლოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მხო-ლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ.

მითითებული ნორმა ემყარება დისპოზიციურობის პრინციპს, რომლის თანახმად, სასამართლომ თავისი მსჯელობა უნდა იქო-ნიოს მხარის მოთხოვნის ფარგლებში, ნორმის დანახესიდან გა-მომდინარე დაუშვებელია საუარესოდ შებრუნება. საუარესოდ შებრუნების აკრძალვის პრინციპი წარმოადგენს საჩივრის შეტა-ნის უფლების უზრუნველყოფის გარანტიას, რომ გადაწყვეტილე-ბა, რომელიც მის სასარგებლოდაა გამოტანილი არ შეიცვლება მის საზიანოდ.

მოცემულ საქმეზე მოსაჩივრები სააპელაციო საჩივრში მი-უთითებდნენ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწო-რად გამოიანგარიშა დაკისრებული თანხის ოდენობა. სააპელა-ციო სასამართლოს აპელანტების მიერ მითითებულ არგუმენტებ-ზე საერთოდ არ უმსჯელია. ამასთან, ნანილობრივ დააკრძალოვი-ლა მათი სააპელაციო საჩივარი, გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება თანხების დაკისრების ნაწილში, რომელიც მოსაჩივრებით მიერ არ ყოფილა გასაჩივრებული და და-აკისრა მოპასუხეს იმაზე ნაკლები თანხა, ვიდრე პირველი ინსტან-ციის სასამართლოს გადაწყვეტილებით იყო დაკისრებული.

მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტი-ლება გასაჩივრებულია ორივე მხარის მიერ. ინსტიტუტის წარმო-მადგენელი მოითხოვს გადაწყვეტილების გაუქმებას მთლიანად, ხოლო მოსარჩელები სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში. ორივე მხარე მოითხოვს ახალი გადაწყვეტილების მი-ლებას. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საკასაციო საჩივ-რები ნანილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, საქმე ხელახლა გან-სახილველად უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ სრულად და ობიექტურად უნდა დაადგნოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, ასევე უნდა იმსჯელოს მხარეთა მიერ მითითებულ არგუმენტებზე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

სსიპ „შოთა მესხის ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტის“, ვ. ფ-იას, მ. ჯ-იასა და მ. გ-უას საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

გაუქმდეს ამ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მიუღებელი ხელშესის ანაზღაურება

განჩინება

№ას-1117-1381-09

23 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: ხელფასის სახით მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება

აღნერილობითი ნაწილი:

2009 წლის 2 ივნისს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ნ. გ-ძემ მოპასუხე სსიპ „შოთა რუს-

თაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ მიმართ. მოსარჩელებ მოითხოვა მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის – 2006 წლის 25 აგვისტოდან 2009 წლის 13 მაისამდე პერიოდში მისაღები ხელფასის – თვეში 704.32 ლარის, მთლიანობაში 22 528 ლარის დაკისრება.

სასარჩელო განცხადებიდან და მასზე თანადართული მასალებიდან ირკვევა, რომ მოპასუხე დაწესებულების რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 28 ივნისის ბრძანებით საბუნების მეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტის პროფესორ-მასნავლებელთა აკადემიურ თანამდებობაზე დასანიშნად გამოცხადდა კონკურსი, რომელშიც ნ. გ-ძემ მიიღო მონაწილეობა ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ქიმიის მიმართულებით. საკონკურსო კომისიის 2006 წლის 15 აგვისტოს სხდომის ოქმის (№1) თანახმად, კონკურსში მონაწილეობდა საკონკურსო კომისიის 5 წევრი, ნ. გ-ძემ კონკურსის შედეგად 0 ხმა მიიღო და ვერ გავიდა. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით, ნ. გ-ძის სარჩელის განხილვის შედეგად, ბათილად იქნა ცნობილი 2006 წლის 15 აგვისტოს სხდომის ოქმი ნ. გ-ძის მიმართ შეფასებისა და კენჭისყრით მიღებული ხმების ოდენობის ნაწილში. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილების საფუძველზე 2007 წლის 25 ოქტომბერს უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა გამოსცა №1-100 ბრძანება ნ. გ-ძის კონკურსში მონაწილეობისა და კენჭისყრის შედეგების დადგენის მიზნით მარტივი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების შესახებ. 2008 წლის 14 იანვარს საკონკურსო კომისიის დასკვნისა და №1-115 ბრძანების შესაბამისად მოსარჩელებ კვლავ ვერ დაიკავა ასოცირებული პროფესორის თანამდებობა. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 25 ივნისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2008 წლის 14 იანვრის №1-115 ბრძანება და მოპასუხეს დაევალა საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად შესნავლის საფუძველზე გამოეცა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოსარჩელის კონკურსში მონაწილეობის შეფასებისა და კენჭისყრის შედეგად ხმების დადგენის შესახებ. შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2009 წლის 13 მაისის №1-21 ბრძანებით ბათილად იქნა ცნობილი ამავე უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2008 წლის 14 იანვრის ბრძანება და ნ. გ-ძე 2009

წლის 1 სექტემბრამდე დაინიშნა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ქიმიის მიმართულებით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილებით 6. გ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, სსიპ „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ასოცირებული პროფესორის განაცდური ხელფასის სახით 2006 წლის 25 აგვისტოდან 2009 წლის 13 მაისამდე ყოველთვიურად 704 ლარის, სულ – 22 528 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქმეზე დადგენილ შემდეგ უდავო ფაქტობრივ გარემოებებზე:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი მოპასუხე დაწესებულების საბუნებისმეტყველო და მედიცინის ფაკულტეტის საკონკურსო კომისიის 2006 წლის 15 აგვისტოს სხდომის ოქმი მოსარჩელის კონკურსში მონაწილეობის შეფასებისა და კენჭისყრის შედეგების დადგენის შესახებ, მოპასუხეს დაევალა ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად და კანონიერად შესწავლის საფუძველზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მოსარჩელის კონკურსში მონაწილეობის შეფასებისა და კენჭისყრის შედეგად ხმების დადგენის თაობაზე;

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2008 წლის 14 იანვრის ბრძანება, მოპასუხეს დაევალა, საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად და კანონიერად შეწავლის საფუძველზე გამოეცა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოსარჩელის კონკურსში მონაწილეობის შეფასებისა და კენჭისყრის შედეგად ხმების დადგენის შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 22 ოქტომბრისა და 2009 წლის 5 მარტის განჩინებებით;

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2009 წლის 13 მაისის №1-21 ბრძანებით ბათილად იქნა ცნობილი ამავე უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2008 წლის 14 იანვრის ბრძანება და 6. გ-ძე 2009 წლის 1 სექტემბრამდე დაინიშნა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ქიმიის მიმართულებით.

საქალაქო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ კონკურსში მოპასუხის შეფასებისა და კენჭისყრის შედეგების შესახებ მოპასუხის 2006 წლის 25 აგვისტოსა და 2008 წლის 14 იანვრის ბრძანებების უკანონობის გამო იგი 2009 წლის 13 მაისამდე არ დაინიშნა ასოცირებული პროექტორის თანამდებობაზე ქიმიის მიმართულებით, რის გამოც ვერ მიიღო ამ თანამდებობისთვის განკუთვნილი ხელფასი და განიცადა მატერიალური ზიანი შემოსავლის მიუღებლობის გამო, რაც 2006 წლის 25 აგვისტოდან 2009 წლის 13 მაისამდე (32 თვის განმავლობაში) შეადგენდა 22 528 ლარს.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის განმარტება, რომ, რამდენადაც მოსარჩელეს მოპასუხის წინააღმდეგ სასამართლო დავების წარმოებისას იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნა არ დაუყენებია, ამიტომ სარჩელი უსაფუძვლოა. ამასთან დაკავშირებით, საქალაქო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლზე და განმარტა, რომ დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, მხარეები თვითონ განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. აღნიშნული პრინციპის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მხარეს შეუძლია, თვითონვე განსაზღვროს დავის საგნის ფარგლები და მოთხოვნის აღძვრის მომენტი.

საქალაქო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოპასუხის წარმომადგენლის მიერ სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოხატული მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ასოცირებული პროფესორის აკადემიური პერსონალის სახელფასო განაკვეთი მოსარჩელის მიერ ყოველთვიურად მოთხოვნილ 704 ლარზე ნაკლებია, რამდენადაც აღნიშნულის შესახებ მოპასუხეს შესაგებელში არ მიუთითებია. საქმეზე ნარდგენილი, მოპასუხის მიერ გაცემული 2009 წლის 28 მაისის ცნობით დასტურდება, რომ შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასოცირებული პროფესორის აკადემიური პერსონალის სახელფასო განაკვეთი შეადგენს 704 ლარს.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ასევე, სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის, 411-ე და 412-ე მუხლების შესაბამისად, საქალაქო სასამართლომ სარჩელის მოთხოვნა საფუძვლიანად მიიჩნია და დააკმაყოფილა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ „შოთა რუსთაველის სახელმწი-

ფო უნივერსიტეტმა“, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებით სსიპ „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება, ნ. გ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ნ. გ-ძის მოთხოვნას წარმოადგენდა იმ თანხის ანაზღაურება, რომელსაც იგი მიიღებდა იმ შემთხვევაში, 2006 წლის 25 აგვისტოდან რომ დანიშნულიყო სსიპ „შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე. სასამართლოს მოსაზრებით, მოთხოვნა დასაბუთებული იქნებოდა, თუკი დადგინდებოდა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას დაეკისრა. გ-ძესთან შრომითი ხელშეკრულების დადების ვალდებულება 2006 წლის 25 აგვისტოდან და რომ არა საკონკურსო კომისიის უკანონო გადაწყვეტილება და რექტორის ბათილი ბრძანება, ნ. გ-ძე დაიკავებდა ასოცირებული პროფესორის თანამდებობას.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული დასკვნა არ გამომდინარებდა მოქმედი კანონმდებლობიდან. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ლია კონკურსის წესით, თუმცა ამავე კანონის 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, აკადემიურ პერსონალსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის იდგა შრომითი ხელშეკრულება, რომელსაც კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, პერსონალთან დებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორი. აქედან გამომდინარე, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც კონკურსანტი აკმაყოფილებს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად წაყენებულ მოთხოვნებს, თავისთავად არ იწვევს შრომითი ურთიერთობების წარმოშობას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და კონკურსანტს შორის. ასეთი ურთიერთობა წარმოიშობა მხოლოდ მას შემდეგ, რაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორი და კონკურსანტი ერთმანეთთან დადებენ შრომით ხელშეკრულებას.

კანონის აღნიშნული ნორმების ერთობლიობაში შეფასების შედეგად სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ კანონის 34-ე მუხლი კრძალავს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური თანამდებობის დაკავებას დია კონკურსის გარეშე, თუმცა იგი არ ავალდებულებს რექტორს, აუცილებლად დადოს შრომითი ხელშეკრულება საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეულ პირთან. ამდენად, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება სარეკომენდაციო და არა სავალდებულო ხასიათისაა, რასაც საქმეში არსებული მასალებიც ცხადყოფდა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში უნივერსიტეტის რექტორის 2009 წლის 13 მაისის №1-21 ბრძანებას, რომლითაც მოსარჩელე დანიშნა თანამდებობაზე, საფუძვლად დაედო ნ. გ-ძის საქმის შემსწავლელი კომისიის 2007 წლის 20 დეკემბრის ოქმი №4. ამ ოქმის თანახმად დადგინდა, რომ ნ. გ-ძე აკმაყოფილებდა ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად წაყენებულ მოთხოვნებს, თუ გამოსწორდებოდა საკანდიდატო დიპლომთან დაკავშირებული უზუსტობები. აქედან გამომდინარე, კომისიას არ მიუღია გადაწყვეტილება ნ. გ-ძესთან შრომითი ხელშეკრულების დადების ან დადებაზე უარის თაობაზე. ეს გადაწყვეტილება მიიღო უნივერსიტეტის რექტორმა მას შემდეგ, რაც ჩათვალა, რომ საკანდიდატო დიპლომთან დაკავშირებული უზუსტობები აღმოფხვრილი იყო.

შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეული მხარეთა შეთანხმებით. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ეს ნორმა ადგენს, რომ შრომითი ურთიერთობებში სავალდებულო შესვლა დაუშვებელია, ე.ი. ამა თუ იმ პირთან შრომით ურთიერთობებში შესასვლელად საჭიროა ამ ურთიერთობების წარმოშობის შესახებ როგორც დაქირავებულის, ისე – დამტკირავებლის ნების გამოხატვა.

მოცემულ შემთხვევაში ნ. გ-ძესთან შრომითი ურთიერთობების წარმოშობა დაკავშირებული იყო აპელანტის მიერ ნების გამოვლენასთან, აპელანტს კი 2009 წლის 13 მაისამდე არ გამოუხატავს მოსარჩელესთან შრომითი ხელშეკრულების დადების ნება. ამასთან, შეუძლებელი იყო სასამართლოს დაედგინა, რომ მოპასუხე ვალდებული იყო, ეს ნება გამოეხატა 2006 წლის 25 აგვისტოს.

ამდენად, საქმეზე დგინდებოდა, რომ სადაცო პერიოდში მხარები ერთმანეთთან შრომით ურთიერთობებში ფაქტობრივადაც

არ იმყოფებოდნენ. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მო-
საზრებით, აპელანტი არარსებულ ვალდებულებას არაჯეროვნად
ვერ შეასრულებდა. შესაბამისად, ნ. გ-ძის სარჩელი უსაფუძვლო
იყო და საქალაქო სასამართლომ შეცდომით დააკმაყოფილა იგი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო ნე-
სით გაასაჩივრა ნ. გ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული
გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარ-
ჩელის დაკმაყოფილება. გარდა ამისა, კასატიორმა მოითხოვა საქ-
მეზე მტკიცებულების დართვის შესახებ ქუთაისის სააპელაციო
სასამართლოს მიერ ადგილზე თათბირით მიღებული განჩინების
გაუქმება.

კასატიორის მითითებით, ის გარემოება, რომ ბათუმის სახელ-
მწიფო უნივერსიტეტის რექტორი გალდებული იყო, 2006 წლის 1
სექტემბრიდან ნ. გ-ძესთან გაეფორმებინა შრომის ხელშეკრულე-
ბა, დგინდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კა-
ნონის 89-ე მუხლის მე-11 ნაწილით. აღნიშნული ნორმის შინაარ-
სიდან გამომდინარე, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულე-
ბებს 2006-2007 სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა უზრუნველე-
ყოთ დაწესებულებაში დასაქმებული პროცესორ-მასწავლებლე-
ბისა და მეცნიერ-თანამშრომლების გადავიცანა ამ კანონით გათ-
ვალისწინებულ შესაბამის აკადემიურ თანამდებობებზე. აღნიშ-
ნული ნიშანვდა, რომ კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვე-
ვაში დასახელებულ პერიოდში უნდა მომხდარიყო შესაბამისი პი-
რების განწესება ვაკინტურ თანამდებობაზე. აღნიშნული დამო-
კიდებული არ იყო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ნება-სურ-
ვილზე გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიხედვით.

კასატიორი ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ სააპე-
ლაციო სასამართლოში საქმის განხილვისას დაირღვა საპროცე-
სო კანონმდებლობის მოთხოვნები. მისი მითითებით, მოწინააღ-
მდეგე მხარის წარმომადგენელმა საქმის არსებითი განხილვის
პროცესში საქმეზე წარადგინა ისეთი მტკიცებულებები და ასენა-
განმარტებაში მიუთითა ისეთ საკითხებზე, რომელთა შესახებ
მისათვის ცნობილი იყო შესაგებლის წარდგენის დროს. აქედან გა-
მომდინარე, სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი,
დაეკმაყოფილებინა მხარის ზემოაღნიშნული შუამდგომლობა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მხარეთა ახსნა-
განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შე-
მონმების შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს სააპელაციო

სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ სსიპ შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა კონკურსი საპუნქტოსმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტზე, რომელშიც მონანილობდა მოსარჩელე ნ. გ-ძე ქიმიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად. უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 25 აგვისტოს №1-155 ბრძანებით დამტკიცდა კონკურსის შედეგები. კონკურსში გამარჯვებულ პირთა შორის არ იყო ნ. გ-ძე.

კანონიერ ძალაში შესული, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ საკონკურსო კომისიის 2006 წლის 15 აგვისტოს სხდომის ოქმით ნ. გ-ძეს უარი ეთვება კონკურსის შედეგად თანამდებობის დაკავებაზე იმ მოტივით, რომ მის სილაბუსში მომველებული ლიტერატურაა მითითებული, ქიმიის დარგში აქვს შრომების ნაკლებობა, დისერტაცია დაცული აქვს გრიფით 020017 – გარემოს დაცვის სპეციალობით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით ნ. გ-ძის სარჩელი დაქმაყოფილდა ნაწილობრივ – მოპასუხე შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებრივმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტის საკონკურსო კომისიის 2006 წლის 15 აგვისტოს სხდომის ოქმი ნ. გ-ძის მიმართ შეფასებისა და კენჭისყრით მიღებული ხმების ოდენობის ნაწილში ბათილად იქნა ცნობილი; მოპასუხეს დაევალა საქმის გარემოებების სრულყოფილად შესწავლის გზით ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ნ. გ-ძის კონკურსში მონანილობის შეფასებისა და კენჭისყრის შედეგად ხმების დადგენის შესახებ. კანონიერ ძალაში შესული ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით დაგინდება, რომ 2007 წლის 13 ივნისის სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ სსიპ შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა გამოსცა №1-100 ბრძანება ნ. გ-ძის კონკურსში მონაწილეობის განმეორებითი შეფასებისა და კენჭისყრის შედეგების დადგენის მიზნით მარტივი ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების შესახებ, სადაც ნ. გ-ძე მიზვეულ იქნა დაინტერესებულ პირად. აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე ნ. გ-ძემ

მიმართა აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრს მეცნიერებათა კანდიდატის დიპლომის ავთენტიფიურობასთან დაკავშირებით, რაზეც გაიცა ცნობა, რომ დიპლომი ავთენტიფიურია, მაგრამ არ არის ეკვივალენტური მასზე აღნიშნული სპეციალობის შიფრის შეუსაბამობის გამო. ამავდროულად, 2007 წლის დეკემბერში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ შედგენილ იქნა დასკვნა, სადაც მითითებულია, რომ ნ. გ-ძე 1997 წელს თსუ-ს ქიმიის დარგის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ჰიდროგენის სპეციალობით, შიფრი 11.00.07 და მიენიჭა ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო ნ. გ-ძის დიპლომში, შიფრში „02.00.07“ მექანიკური შეცდომაა, სინამდვილეში მის დოკუმენტებში მინიჭებულია შიფრი „11.00.07“. ასევე, 2006 წლის 7 ოქტომბერს თსუ ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს მიერ ნ. გ-ძის სახელზე გაიცა დახასიათება, სადაც მიეთითა, რომ ნ. გ-ძე არის ანალიზური ქიმიის და არა გარემოს დაცვის სპეციალისტი. დასახელებული მასალები წარედგინა ნ. გ-ძის საქმის შემსწავლელ კომისიას.

6. გ-ძის საქმის შემსწავლელმა კომისიამ 2007 წლის 20 დეკემბრის №4 სხდომის ოქმით მიიღო გადაწყვეტილება, რომ ნ. გ-ძე აქმაყოფილებს ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად წაყენებულ მოთხოვნებს, თუკი გამოსწორებული იქნება საკანდიდატო დიპლომთან დაკავშირებული უზუსტობები. აღნიშნულის შემდგომ გამოიცა რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2008 წლის 14 იანვრის №1-115 ბრძანება. ნ. გ-ძე კვლავ არ დაინიშნა ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით ნ. გ-ძის სარჩელი დაკავილებული და ნაწილობრივ – ბათილად იქნა ცნობილი შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2008 წლის 14 იანვრის №1-115 ბრძანება; მოპასუხებათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაევალა საქმის გარემოებების სრულყოფილად და კანონიერად შესწავლის საფუძველზე ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ნ. გ-ძის კონკურსში შეფასებისა და კენჭისყრის შედეგად ხმების დადგენის შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 22 ოქტომბრისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 5 მარტის განჩინებებით.

სსიპ შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტე-

ტის რექტორის 2009 წლის 13 მაისის №1-21 ბრძანებით, რომელიც გამოიცა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, ბათილად იქნა ცნობილი მოთარუსაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2008 წლის 14 იანვრის №1-115 ბრძანება „ნ. გ-ძის კონკურსში მონაცილეობის შეფასებისა და კენჭისყრის შედეგების დადგენის შესახებ“, კონკურსანტი ნ. გ-ძე დაინიშნა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ქიმიის მიმართულებით 2009 წლის 1 სექტემბრამდე ვადით. ბრძანებაში მიეთითა, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით დადგინდა ნ. გ-ძის დიპლომში შიფრის უზუსტობა, რის გამოც კონკურსანტი ნ. გ-ძის დანიშვნა ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე ქიმიის მიმართულებით მიზანშენონილი იყო.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ კონკურსის შედეგების დამტკიცების დროისათვის – 2006 წლის აგვისტოში ნ. გ-ძის მიერ წარდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია არ იყო სრულყოფილი და შეიცავდა ხარვეზს, კერძოდ, დიპლომში მითითებული იყო სხვა სპეციალობის შიფრი. მტკიცებულება იმის შესახებ, რომ ამ დროისათვის საკონკურსო კომისიას გააჩნდა დიპლომში შიფრის შეცდომით მითითების დამადასტურებელი დოკუმენტი, საქმის მასალებში წარმოდგენილი არ არის. საქმის მასალებში არც იმის დამადასტურებელი მტკიცებულებაა, რომ 2006 წლის აგვისტოში საკონკურსო კომისიისათვის წარდგენილი მასალები იძლეოდა ნ. გ-ძის დიპლომში არსებული შიფრის მექანიკური ხასიათის შეცდომად მიჩნევის უდავო შესაძლებლობას. ის გარემოება, რომ მოსარჩელემ საკონკურსო კომისიას არ წარუდგინა ასეთი მტკიცებულებები, მეტყველებს მოსარჩელის და არა უნივერსიტეტის ბრალზე.

რაც შეეხება ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილების შემდგომ დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებას, ამ დროს ნ. გ-ძემ საკონკურსო კომისიაში წარადგინა სარწმუნო დოკუმენტაცია, რომ მის დიპლომში სხვა შიფრის მითითება მექანიკური შეცდომაა. ასევე ნიშანდობლივია, რომ ამ ადმინისტრაციული წარმოებისას საკონკურსო კომისიამ უკვე გამორიცხა სხვა საფუძვლების არსებობა: სილაბუსში მოძველებული ლიტერატურამ მითითებული და ნაკლებია გამოქვეყნებული შრომების რაოდენობა. კომისიამ საკონკურსო პირობების დაკმა-

ყოფილების საკითხზე მსჯელობა დაუკავშირა მხოლოდ შიფრის ნამდვილობის საკითხს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე უკვე სავსეპით ნათელი იყო შიფრში მხოლოდ მექანიკური შეცდომის არსებობა, კომისიამ არ მიიღო გადაწყვეტილება და რექტორმა არ გამოსცა ბრძანება 6. გ-ძის დანიშვნის შესახებ, თუმცა ასეთი ბრძანება გამოიკა 2009 წლის 13 მაისს, როდესაც კანონიერ ძალაში შესულმა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებამ იგივე დოკუმენტების საფუძველზე, რაც ადმინისტრაციული წარმოებისას საკონკურსო კომისიას უკვე გააჩნდა, დაადასტურა, რომ შიფრში შეცდომა იყო მექანიკური ხასიათის. საქმის მასალებში არ მოიპოვება რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2008 წლის 14 იანვრის №1-115 ბრძანება, მაგრამ კანონიერ ძალაში შესული 2008 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებიდან გამომდინარე ჩანს, რომ სწორედ ამ ბრძანებით დასრულდა ადმინისტრაციული წარმოება, რომელიც დაიწყო 6. გ-ძის საკონკურსო პირობებთან შესაბამისობის განმეორებითი შემოწმების მიზნით. სწორედ რექტორის ბრძანება წარმოადგენს საკონკურსო პროცედურის დამამთავრებელ აქტს, რომლითაც ხდება საკონკურსო კომისიის დასკვნის საფუძველზე კანდიდატის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ მოცემულ შემთხვევაში საერთოდ არ არსებობს 6. გ-ძის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ასეთი საფუძვლები არ არსებობს 2005 წლის აგვისტოდან ადმინისტრაციული წარმოების დასრულებამდე პერიოდში, რამდენადაც საქმის მასალებით არ იკვეთება ზიანის ანაზღაურების აუცილებელი პირობა – უნივერსიტეტის ბრალი. უნივერსიტეტის ბრალეული ქმედება უკვე სახეზეა იმ მომენტიდან, როდესაც ადმინისტრაციული წარმოების შედეგად იმთავითვე არ გამოვიდა გადაწყვეტილება – რექტორის ბრძანება 6. გ-ძის დანიშვნის შესახებ, მაშინ, როდესაც ამ ადმინისტრაციულ წარმოებაში უკვე ცნობილი გახდა, რომ 6. გ-ძე ნამდვილად ქიმიის სპეციალისტია და მის დიპლომში სხვა შიფრში მექანიკური შეცდომაა დააშვებული. კანონიერ ძალაში შესული ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება ასევე ადასტურებს, რომ 6. გ-ძეს არამართლზომიერად ეთქვა უარი საკონკურსო პირობების დაკამაყოფილებაზე. საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა

მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ – მიუღებელი შემოსავლისთვისაც, მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე ითხოვს მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებას, რასაც მიიღებდა კონკურსის შედეგად თანამდებობის დაკავების შემთხვევაში ხელფასის სახით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნ. გ-ძის კონკურსში მონაწილეობის განმეორებითი შეფასების მიზნით უნივერსიტეტის მიერ დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულების მომენტიდან არსებობს ზიანის ანაზღაურებისათვის აუცილებელი შემადგენლობა, ამ შემთხვევაში უნივერსიტეტის მიერ საკონკურსო პირობების დაკავილობებაზე არამართლზომიერად უარის თქმით ნ. გ-ძეს მიადგა ზიანი – არ დაინიშნა კონკურსით გათვალისწინებულ თანამდებობაზე და არ მიეცა შესაბამისი ხელფას. ამასთან, საქმის მასალებით დგინდება, რომ მისი მიღების შესაძლებლობა სავსებით რეალური იყო, რამდენადაც რექტორის 2009 წლის 13 მაისის ბრძანებით, რომლითაც ნ. გ-ძე დაინიშნა თანამდებობაზე, დადასტურდა, რომ ნ. გ-ძის დანიშვნის ერთადერთ დამაბრკოლებელ გარემოებას დიპლომის შიფრის უზუსტობა წარმოადგენდა.

საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ სარწმუნოდ უნდა გამოარკვიოს, დასრულდა თუ არა ნ. გ-ძის კონკურსში მონაწილეობის განმეორებითი შეფასების მიზნით უნივერსიტეტის მიერ დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება სწორედ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2008 წლის 14 იანვრის №1-115 ბრძანებით, ამ პერიოდიდან რამდენს შეადგენდა ნ. გ-ძის დანიშვნის შემთხვევაში 2009 წლის 13 მაისამდე მისალები ასოცირებული პროფესორის ხელფასი და ამის გათვალისწინებით გამოიტანოს გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორ ნ. გ-ძის მსჯელობას, რომ სააპელაციო სასამართლოს მტკიცებულებად არ უნდა მიეღო უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი სახელფასი ცნობა. საქმის მასალებით დგინდება, რომ აღნიშნული მტკიცებულება მოპასუხებმ წარადგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში მოსამზადებელ ეტაპზე, რისი უფლებაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად ჰქონდა, თუმცა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ აღნიშნული მტკიცებულება არ იქნა მიღებული. სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ კი სწორად მოახდიონა მხარის დარღვეული საპროცესო უფლების აღდგენა.

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალა-
ქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილე-
ბა და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასა-
მართლოს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივ-
რდება.

3. ბრომითი ხელშეკრულების პირობების შეცვლა

განრიცხვა

№ას-937-1142-08

28 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო,
სამერარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგე-
ნა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღნიშვნის ნაწილი:

შ. გ-იამ სარჩელი აღდრა სასამართლოში სსიპ „საქართველოს
ტელევიზიისა და რადიომაუნიკატებლობის“ მიმართ 2004 წლის 11 აგ-
ვისტოს №636-კ ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგე-
ნისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ შემდე-
გი საფუძვლებით: მოსარჩელე მუშაობდა საქართველოს სახელ-
მწიფო ტელევიზიაში საინფორმაციო პროგრამების გაერთიანე-
ბა, მოამბის „მთავარი რეჟისორის თანამდებობაზე. სსიპ „საქარ-
თველოს ტელევიზიისა და რადიომაუნიკატებლობის“ თავმჯდომარის
2004 წლის 23 მარტის №89-კ ბრძანებით საქართველოს სახელ-
მწიფო ტელევიზიის თანამშრომლები გაფრთხილებულ იქნენ, რომ
მათთვის შეთავაზებული ერთგვანი ხელშეკრულების დადება-
ზე უარის შემთხვევაში, შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის
პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გათავისუფლდე-
ბოდნენ სამსახურიდან. მოსარჩელე აღნიშნულ შეთავაზებას არ
დასთანხმდა იმ მოტივით, რომ უვადო შრომითი პირობებიდან ვა-
დიან კონტრაქტზე გადასვლა მუშავის თანხმობის გარეშე დაუშ-
ვებელი იყო. აღნიშნულის გამო თავმჯდომარის 2004 წლის 11 აგ-
ვისტოს №636-კ ბრძანებით, საქართველოს შრომის კანონთა კო-
დექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძ-
ველზე შ. გ-ია გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.
ბრძანების საფუძვლად არასწორად მიეთითა „საქართველოში მა-
უნიკატებლობის რეგულირების მიზნით გასატარებელ ღონისძიება-
თა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 22 მარტის
№236 განკარგულებაზე, ვინაიდან ხსენებული განკარგულება ით-

ვალისწინებდა მხოლოდ შესაბამისი კომისიის შექმნას, რომელიც მოამზადებდა სსიპ „საქტელერადიომაუნიყებლობაში“ განსახორციელებელ რეფორმას და მასში არ იყო მითითებული მუშაკთა გათავისუფლებაზე. მოსარჩელე სამსახურიდან გაათავისუფლეს 2004 წლის 7 აგვისტომდე, როდესაც საავადმყოფო ფურცელზე იმყოფებოდა. ამასთან, მან 2004 წლის 6 აგვისტოს განცხადებით მიმართა კადრების სამმართველოს კუთვნილი შვებულების მოთხოვნით, რაზეც კადრების სამმართველოს უფროსის 2004 წლის 12 აგვისტოს წერილით უკანონოდ უარი ეთქვა შრომის კანონთა კოდექსის 66-ე მუხლზე მითითებით. 2004 წლის 7 ივლისიდან 6 აგვისტოს ჩათვლით შ. გ-ია იმყოფებოდა საავადმყოფო ფურცელზე და რამდენჯერმე მიმართა ადმინისტრაციას კუთვნილი შვებულების მოთხოვნით. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა ხსენებული მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სანარმოო აუცილებლობა. ადმინისტრაციამ არასწორად განმარტა შრომის კანონთა კოდექსის 26-ე მუხლის მეოთხე ნაწილი, ვინაიდან ხსენებულ მუხლში საუბარი იყო ხსევა სამუშაოზე გადაყვანასა და შრომითი პირობების შეცვლაზე, მოცემულ შემთხვევები კი დასახელებული გარემოებანი არ არსებობდა. შ. გ-იამ სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების თაობაზე მიმართა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა დამოუკიდებელ პროფესიულ კავშირს. ხსენებული პროფესიული კავშირის თავმჯდომარემ, თავის მხრივ, წერილით მიმართა სსიპ „საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუნიყებლობის“ ადმინისტრაციას და კანონდარღვევით მიღებული სადაც ბრძანების პათილად ცნობა და მოსარჩელის სამუშაოზე აღდგენა მოითხოვა, თუმცა უშედეგოდ.

მოპასუხებ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაპუთებით: სსიპ „საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუნიყებლობის“ თავმჯდომარის 2004 წლის 23 მარტის ბრძანებით სსიპ „საქტელერადიომაუნიყებლობაში“ დაიწყო რეორგანიზაცია. შ. გ-ია ალნიშნულ ბრძანებას გაეცნო 2004 წლის 23 მარტს და ინფორმირებული იყო შრომის არსებითი პირობების მოსალოდნებულ ცვლილებებთან დაკავშირებით. შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მხარეთა შრომითი ურთიერთობა შეწყდა, რადგან მოსარჩელე არ დაეთანხმა მოპასუხების მიერ შეთავაზებულ ვადიან შრომით ხელშეკრულებას, შრომის არსებით პირობას. ამასთან, თანამდებობა, რომელზე აღდგენსაც მოსარჩელე ითხოვს, სსიპ „საზოგადოებრივ მაუნიყებელში“ ამჟამად არსებული სტრუქტურისა და საშტატო განრიგის მიხედვით,

აღარ არსებობს, რაც, შრომის კანონთა კოდექსის 206-ე მუხლის თანახმად, სამუშაოზე აღდგენის შესახებ სარჩელის დაქმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებით შ. გ-იას სარჩელი დაქმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი სსიპ „საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუნიკატის“ თავმჯდომარის 2004 წლის 11 აგვისტოს №636-კ ბრძანება, შ. გ-იას აუნაზღაურდა სამსახურში იძულებითი არყოფნის პერიოდში მიუღებელი საშუალო ხელფასი – 1359,53 ლარი სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენის დღემდე და იგი აღდგენილ იქნა სსიპ „საზოგადოებრივი მაუნიკატის“ საინფორმაციო პროგრამა „მოამბის“ მთავარი რეჟისორის თანამდებობაზე, რაც სსიპ „საზოგადოებრივმა მაუნიკატის“ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 3 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად, რაზეც აპელანტმა შეიტანა საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2007 წლის 10 ივლისის განჩინებით სსიპ „საზოგადოებრივი მაუნიკატის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული განჩინება გაუქმდა და საქმე განსახილველად გადაეცა განსჯად სასამართლოს – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 23 მაისის გადაწყვეტილებით სსიპ „საზოგადოებრივი მაუნიკატის“ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და სარჩელი სსიპ „საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუნიკატის“ თავმჯდომარის 2004 წლის 11 აგვისტოს №363 ბრძანების ბათილად ცნობისა და იძულებითი განაცდურის – 6640 ლარის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდა, ხოლო სამუშაოზე აღდგენის ნაწილში შ. გ-იას უარი ეთქვა შემდეგ გარემოებათა გამო: შ. გ-ია მუშაობდა სსიპ „საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუნიკატის“, საინფორმაციო პროგრამების გაერთიანება „მოამბის“ მთავარი რეჟისორის თანამდებობაზე, სადაც 1996 წლის 15 ოქტომბერიდან დაინიშნა განუსაზღვრელი ვადით. საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 22 მარტის №236 განკარგულებით „მა-

უწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამდე შეიქმნა სსიპ საქტელერადიომაუწყებლობის საზოგადოებრივი მონიტორინგის დროებითი კომისია, რომელსაც უნდა შეემუშავებინა შესაბამისი რეკომენდაციები და წინადადებები საქტელერადიომაუწყებლობის მართვის სრულყოფის, საკადრო ოპტიმიზაციის და ინსტიტუციურ-ფუნქციონალური რეფორმების თაობაზე. „სსიპ საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობაში რეორგანიზაციის განხორციელების შესახებ“ სსიპ „საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის“ თავმჯდომარის 2004 წლის 23 მარტის №89-კ ბრძანებით დადგინდა სსიპ „საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობაში“ რეორგანიზაციის (სტრუქტურული ცვლილებები და სხვა) განხორციელება. კადრების სამმართველოსა და სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს დაევალათ, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის შესაბამისად, მუშაკთა ინფორმირება შრომის არსებითი პირობების შეცვლის შესახებ. 2004 წლის 28 ივნისს შ. გ-ია გაეცნო სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობის“ კადრების სამმართველოს უფროსის წერილს, სადაც განმარტებული იყო, რომ №89-კ ბრძანებაში აღნიშნული შრომის არსებითი პირობები განისაზღვრებოდა თანდართული შრომის ხელშეკრულებით. იმ შემთხვევაში, თუ იგი არ იქნებოდა თანახმა შრომის ახალ პირობებში მუშაობის გაგრძელებაზე, ადმინისტრაცია შეწყვეტდა მასთან შრომის ხელშეკრულებას შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად. წერილზე დართული შრომის კონტრაქტით გათვალისწინებულ იქნა ხელშეკრულების მოქმედების ვადა ერთი თვით, იმავე ხელშეკრულებით განისაზღვრა დასაქმებულის ხელფასი 45 ლარის ოდენობით. 2004 წლის 7 ივლისიდან 6 აგვისტომდე შ. გ-ია იმყოფებოდა დროებით შრომისუნარობის ფურცელზე. 2004 წლის 6 აგვისტოს მან მოითხოვა ყოველწლიური კუთვნილი შვებულება. 2004 წლის 10 აგვისტოს შ. გ-იას კვლავ წარედგინა წერილი თანდართული ხელშეკრულების პირობებით მუშაობის გაგრძელების შესახებ, რომლის გაცნობასა და ხელმოწერაზეც მან უარი განაცხადა. აღნიშნულის თაობაზე კადრების სამმართველოს თანამშრომლების მიერ შედგა ოქმი. სსიპ „საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის“ თავმჯდომარის 2004 წლის 11 აგვისტოს №636-კ ბრძანებით შ. გ-ია გათავისუფლდა სამსახურიდან საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ხოლო 2004 წლის 12 აგვისტოს ბრძანებითა და კადრების სამმართველოს უფროსის წერილით მას უა-

რი ეთქვა ყოველწლიურ შეცვლებაზე. გათავისუფლებამდე შ. გ-იას ხელფასი შეადგენდა 40 ლარს, შემოსავლის საერთო თანხა საშუალოდ განისაზღვრებოდა 13359 ლარით, რომელიც მოიცავდა ხელფასსა და პონორარს. პალატამ ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში შრომის პირობები არ შეცვლილა, რის გამოც შ. გ-იას სამუშაოდან გათავისუფლების სამართლებრივი საფუძველი არ შეიძლებოდა ყოფილიყო შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი. სასამართლომ მხარეთა შორის არსებული შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის პერიოდში მოქმედი შრომის კანონთა კოდექსის 26-ე მუხლის მეოთხე ნაწილის საფუძველზე მიუთითა, რომ საქმეში წარმოდგენილი შრომის კონტრაქტით, რომელსაც არ დაეთანხმა შ. გ-ია, გათვალისწინებულია შრომის ხელშეკრულების პირობები, მათ შორის, დასაქმებულის ხელფასი – 45 ლარი და მისი მოქმედების ვადა – ერთი თვე. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მითითება, რომ შრომის ანაზღაურების ხუთი ლარით შეცვლა წარმოადგენს შრომის არსებითი პირობების შეცვლას და მიჩნია, რომ მოსარჩევესთან მიმართებით, შრომის ხელშეკრულების პირობის შეცვლა მხოლოდ ვადის ცვლილებაში, კერძოდ, განუსაზღვრელი ვადით დადგებული შრომის ხელშეკრულებიდან ერთოვან შრომის ხელშეკრულებაზე გადაყვანის შეთავაზებაში გამოიხატა. სააპელაციო პალატამ მიჩნია, რომ შრომის პირობები და შრომის ხელშეკრულების პირობები ერთმანეთისაგან განსხვავებული ცნებება. შრომის პირობა, ხელშეკრულების ვადა კი არ წარმოადგენს შრომის პირობას. იგი, ისევე, როგორც შრომის პირობა, შრომის ხელშეკრულების არსებითი პირობაა. აღნიშნულის საფუძველზე, ხელშეკრულების ვადის შეცვლა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს შრომის პირობების შეცვლად. ამდენად, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ უვადო ხელშეკრულებიდან ვადიან ხელშეკრულებაზე გადასვლაზე მუშავის უარი არ უნდა იქნეს მიჩნეული ახალი პირობებით მუშაობის გაგრძელებაზე დასაქმებული პირის უარად, შესაბამისად, შ. გ-იას უარიც ერთოვან შრომის ხელშეკრულების დადებაზე, შრომის კოდექსის 26-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, არ შეიძლებოდა გამხდარიყო მისი სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი. სასამართლომ უსაფუძვლოდ მიჩნია აპელანტის მითითება, რომ სადაც ბრძანება შეიცავდა ინფორმაციას შრომის არსებითი პირობების შეცვლის შესახებ, რის გამოც ბრძანების მოსარჩევისათვის გაცნობა შრომის არსებითი პირობების შეცვლის შესახებ მის ინფორმირებად უნდა ჩათვლილი-

ყო. ამავე ბრძანებით შესაბამის თანამდებობის პირებს დაევალათ მუქათა ინფორმირება თითოეულ მათგანთან შრომის კონკრეტული პირობების შეცვლის თაობაზე, რაც შ. გ-იასთან მიმართებით შესრულდა 2004 წლის 28 ივნისსა და 10 აგვისტოს, როდესაც მას წარედგინა კადრების სამმართველოს უფროსის წერილი თანდართულ ხელშეკრულებასთან ერთად, ხოლო თანამდებობიდან იგი გათავისუფლდა 2004 წლის 11 აგვისტოს. ამდენად, ადმინისტრაციამ დაარღვია შრომის კოდექსის 26-ე მუხლის მესამე ნაწილის მოთხოვნა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შ. გ-იას სამუშაოდან გათავისუფლება უკანონოა, რის გამოც სადაცო ბრძანება უნდა გაუქმდეს. სასამართლომ იხელმძღვანელა შრომის კანონთა კოდექსის 206-ე მუხლის პირველი ნაწილით და ჩათვალა, რომ სამუშაოზე აღდგენის შესახებ სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს. საქმეში წარმოდგენილია საინფორმაციო პროგრამა „მოამბის“ საშტატო განრიგი, რომლის მიხედვითაც მთავარი რეჟისორის საშტატო ერთეული აღარ არსებობს. ამასთან, დღეს მოქმედი საშტატო განრიგის შესაბამისად, მოქმედი პროდიუსერების ჯგუფის თანამშრომელთა ფუნქციები მნიშვნელოვნად განსხვავდება საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სამსახურის ხელმძღვანელის 1993 წლის 19 ივლისის №181 ბრძანებით დამტკიცებული მთავარი რეჟისორის საკვალიფიკაციო მასასიათებლებისაგან, რაც წარმოდგენილ იქნა მონინააღმდეგი მხარის მიერ. ამდენად, პალატამ ჩათვალა, რომ ის სამუშაო ადგილი, რომელიც მოსარჩელეს დაკავებული ჰქონდა გათავისუფლებამდე, აღარ არსებობს და სამუშაოზე აღდგენა შეუძლებელია. პალატამ დაადგინა, რომ საინფორმაციო პროგრამა „მოამბის“ მთავარი რეჟისორის თანამდებობა 2006 წლის 1 აპრილიდან გაუქმდა. შესაბამისად, მოსარჩელეს იძულებითი განაცდური უნდა აუნაზღაურდეს გათავისუფლებიდან საშტატო ერთეულის გაუქმებამდე – 2004 წლის 11 აგვისტოდან 2006 წლის 1 აპრილამდე. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ სამუშაოდან გათავისუფლების დროისათვის შ. გ-იას ხელფასი შეადგენდა თვეში 40 ლარს. იძულებითი განაცდურის სახით მოსარჩელეს უნდა აუნაზღაურდეს მხოლოდ ხელფასი და არა პონორარი, რადგან პონორარი გაიცემდა შესრულებული სამუშაოს მიხედვით. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2008 წლის 22 მაისის წერილით ირკვევა, რომ 2006 წლის 3 იანვრიდან საშტატო ერთეულის გაუქმებამდე „მოამბის“ მთავარი რეჟისორის თანამდებობრივი სარგო შეადგენდა 2000 ლარს. ამდენად, მოსარჩელეს უნდა აუნაზღაურდეს 6640 ლა-

რი, მათ შორის, 2004 წლის აგვისტოდან 2006 წლის დეკემბრის ჩათვლით – 16 თვის განმავლობაში – 40 ლარი, რაც 640 ლარს შეადგენს, ხოლო 2006 წლის იანვრიდან 2006 წლის აპრილამდე თვეში 2000 ლარი, ანუ 3 თვის თანამდებობრივი სარგო – 6000 ლარი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ბრძანების ბათილად ცნობისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სსიპ „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ გაასაჩივრა საკარაციო წესით, მოითხოვა ამ ნაწილში მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით: სასამართლომ არასწორად განმარტა შრომის კანონთა კოდექსის 26-ე მუხლის მესამე ნაწილი და არ გაითვალისწინა, რომ დასახელებულ ნორმაში მოცემული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და შრომით არსებით პირობად მოიაზრება შრომის ხელშეკრულების ვადაც. პალატამ გადაწყვეტილებით თავად მიუთითა, რომ შრომის ხელშეკრულება დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის მიღწეული შეთანხმებაა, რომელიც მოიცავს ხელშეკრულების არსებით პირობებს, მათ შორის, შრომის პირობებს, როგორიცაა სამუშაო დროის ხანგრძლივობა, შესვენების დრო და სხვა, ასევე, შრომის კანონთა კოდექსის მე-18 მუხლით განსაზღვრული შრომის ხელშეკრულების ვადა. ამდენად, სასამართლოს მსჯელობა მითითებულ ნაწილში წინააღმდეგობრივია. სასამართლო ერთმანეთისგან განასხვავებს შრომის ხელშეკრულების პირობებს და შრომის პირობებს, თუმცა მისი მოსაზრება ამ შემთხვევაშიც წინააღმდეგობრივია, ვინაიდან შრომის კანონთა კოდექსის 26-ე მუხლის მესამე ნაწილი მოიცავს შრომის არსებითი პირობების და არა შრომის პირობების ჩამონათვალს. სასამართლომ სათანადო ვერ განმარტა, თუ რა განსხვავება შრომის პირობებსა და შრომის ხელშეკრულების პირობებს შორის და, შესაბამისად, რატომ არ წარმოადგენს შრომის ხელშეკრულების ვადა შრომის არსებით პირობას. ამდენად, მითითებულ ნაწილში გადაწყვეტილება ოურიდიულად საკმარისად დასაბუთებული არ არის. სასამართლომ დაადგინა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 22 მარტის №236 განკარგულებისა და ეკროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1996 წლის 11 სექტემბრის რეკომენდაციების შესასრულებლად, სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობის“, მართვის სრულყოფისა და საკადრო ოპტიმიზაციის, ინსტიტუციური და ფუნქციონალური რეფორმების განხორციელების მიზნით, 2004 წლის 23 მარტს სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობის“, თავმჯდომარე გამოსცა №89-კ ბრძანება, რომლითაც დაიწყო რეორგანიზაციის

პროცესი. საქმის მასალებით დასტურდება, რომ „საქტელერადი-ომაუწყებლობის“ თავმჯდომარის 2004 წლის მარტის ბრძანებას მოსარჩელე გაეცნო 16 აპრილს. ამდენად, საფუძველს მოკლებულია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ შ.გ-იას შრომის კანონთა კოდექსის 26-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული შრომის არსებითი პირობების შეცვლის შე-სახებ ცწნობა ამ მუხლით დადგენილი ორთვიანი ვადის დარღვე-ვით. ამასთან, იმ შემთხვევაშიც, თუ 2004 წლის 23 მარტის ბრძა-ნების გაცნობისას მოსარჩელე არ იყო ინფორმირებული, კონკრე-ტულად რა პირობებში მოუწვევდა მუშაობის გაგრძელება, ალნიშ-ნული ვერ გამოიწვევდა განსხვავებული სამართლებრივი შედე-გის დადგომას, ვინაიდან შ. გ-ია მაინც არ დასთანხმდებოდა ად-მინისტრაციის მიერ შეთავაზებულ პირობებს, რაც დასტურდება როგორც შ. გ-იას ახსნა-განმარტებებით, ასევე, საქმის მასალე-ბითაც, კერძოდ, მოსარჩელეს 2004 წლის ივნისსა და 10 აგვისტოს, ორჯერ წარუდგინეს წერილი შრომის ახალ პირობებში მუშაობის გაგრძელების თაობაზე და შრომის ხელშეკრულება (კონტრაქტი) ხელმოსაწერად. 2004 წლის 10 აგვისტოს კონტრაქტის ხელმოწე-რაზე მან უარი განაცხადა. ამასთან, ამ პერიოდის განმავლობაში მას ადმინისტრაციისათვის არ მიუმართავს და ითხოვდა განმარ-ტებას მხოლოდ შევებულების თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში მუშაკი სამუშაოდან გათავისუფლებულია არა შრომის კანონთა კოდექსის 26-ე მუხლის მესამე ნაწილის, არამედ ამავე მუხლის მეოთხე ნაწილის საფუძველზე. შ. გ-იამ არ მოაწერა ხელი წარ-მოდგენილ კონტრაქტს და უარი განაცხადა შრომის ახალ პირო-ბებში მუშაობის გაგრძელებაზე, რაც, შრომის კანონთა კოდექ-სის 26-ე მუხლის მეოთხე ნაწილისა და 30-ე მუხლის პირველი ნა-წილის „ვ“ პუნქტის შესაბამისად მისი გათავისუფლების საფუძ-ველს წარმოადგენდა. სასამართლომ არ გამოიყენა შრომის კანონ-თა კოდექსის 207-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც ცალსა-ხად და ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს იმაზე, რომ იძულებით განაცდურის ანაზღაურება შესაძლებელია მხოლოდ წინანდელ სამუშაოზე მუშაკის აღდგენის შემთხვევაში. გადაწყვეტილებაში კი აღნიშნულია, რომ მოსარჩელეს განაცდური უნდა აუნაზღაურ-დეს 2004 წლის 11 აგვისტოდან 2006 წლის 1 აპრილამდე. ასეთი ფორმულირება არამარტო ეწინააღმდეგება კანონის ზემოხსენე-ბულ დანაწესს, არამედ საერთოდ გაუგებარია, თუ რა სამარ-თლებრივი საფუძვლით იხელმძღვანელა ამ შემთხვევაში სასამარ-თლომ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ანალოგიური კატეგორიის დავაზე საქართველოს უზენაესი სა-

სამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა, კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 7 ნოემბრის განჩინებაში აღნიშნულია, რომ შრომის კანონთა კოდექსი „იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას პირდაპირ უკავშირებს მუშავის სამუშაოზე აღდგენას, როგორც სამართლიან კომპენსაციას – შრომითი საქმიანობიდან იძულებითი მოწყვეტის იურიდიულ შედეგს. ამდენად, მოსარჩელის მოთხოვნის – სამუშაოზე აღდგენის დაუკმაყოფილებლობა გამოირიცხავს თანამდევი იურიდიული შედეგის – იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკმაყოფილებას“.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაასაჩივრა შ. გ-იამ, მოითხოვა ამ ნაწილში მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, შ. გ-იას სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის სახით ყოველთვიური საშუალო ხელფასის – 1359,53 ლარის ანაზღაურება სამსახურში აღდგენამდე შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ შ. გ-იას მოთხოვნა სამუშაოზე აღდგენის ნაწილში არ დაკმაყოფილა იმ საფუძვლით, რომ „მოამბის“ რეჟისორის თანამდებობა აღარ არსებობს და ამჟამად მოქმედი პროდიუსერთა ჯგუფის თანამშრომელთა ფუნქციები მნიშვნელოვნად განსხვავდება ადრე მოქმედი რეჟისორის საკვალიფიკაციო მახასიათებლებისაგან. სასამართლოს არ გამოურკვევია, შეძლებდა თუ არა შ. გ-ია ზემოხსენებული საკვალიფიკაციო მახასიათებლებს ათვისებას, მით უფრო, რომ რეჟისორის საქმიანობა ყოველთვის საჭიროა, მიუხედავად აღნიშნული თანამდებობის სახელწოდების შეცვლისა და ტექნიკური საშუალებების განახლებისა. სასამართლომ არ შეაფასა მოწინააღმდეგებ მხარის განმარტება, რომ ამჟამად მოქმედებს პროდიუსერი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ რეჟისორის ფუნქციას ასრულებს პროდიუსერი. ამასთან, შ. გ-იას სამსახურებრივ მოწმობაში მისი თანამდებობა ინგლისურ ენაზე მითითებული იყო „შეფ-პროდიუსერის“ სახით. პალატამ არასწორად არ გაიზიარა ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 3 ნოემბრის განჩინების დასაბუთება, რომ საინფორმაციო პროგრამა „მოამბე“ ამჟამადაც ფუნქციონირებს და არსებობს მოსარჩელის მიერ გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობის ადეკვატური თანამდებობაც. გადაწყვეტილება მიღებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მეოთხე ნაწილის მოთხოვნათა დაუცველად და 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კანონდარღვევით. სასამართლომ საერთოდ არ გა-

ნიხილა შ. გ-იას შუამდგომლობა საქმიდან მტკიცებულების – მო-სარჩელის თანამდებობის საშტატო ერთეულის გაუქმების შესახებ 2006 წლის 30 მარტის №143-კ ბრძანების ამორიცხვის თაობაზე, რომელიც წარდგენილ იქნა სასამართლოსათვის 2008 წლის 23 მაისის დაწყებისთანავე და რაც მნიშვნელოვან საპროცესო დარღვევას წარმოადგენს. დასახელებული ბრძანების გამოკვლევის აუცილებლობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი საქმეში წარმოდგენილი არ ყოფილა. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ 2006 წლის 3 ნოემბრის განჩინებით მოპასუხის მიერ ზემოხსენებული ბრძანების დროულად წარმოუდგენლობა არასაპატიოდ მიიჩნია. აღნიშნული ბადებს ეჭვს, რომ სადაცვო ბრძანებას 52-ე პუნქტი რეჟისორის თანამდებობის გაუქმების შესახებ ბრძანების ბოლო გვერდზე დაემატა 2006 წლის 22 ივნისის სასამართლო სხდომის შემდეგ. აღნიშნულ ეჭვს განამტკიცებს საქმეში წარმოდგენილი 2006 წლის 31 მარტის საშტატო განრიგი, სადაც რეჟისორის შტატი დამტკიცებულია. სასამართლომ არ გამოიკვლია, თუ რატომ გაუქმდა რეჟისორის შტატი მის დამტკიცებამდე ერთი დღით ადრე. დაუსაბუთებელია გადაწყვეტილება იძულებითი განცდურის ოდენობის განსაზღვრის ნაწილში და გაუგებარია, რა გაანგარიშებას დაეყრდნო სასამართლო. პალატამ არასწორად მიიჩნია, რომ იძულებითი განაცდურის გამოანგარიშებისას მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული ჰონორარი, ვინაიდან იგი მხოლოდ შესრულების სამუშაოს მიხედვით გაიცემა. შ. გ-იას მოპასუხესთან კერძო ურთიერთობა არ ჰქონია და არც კონტრაქტით რაიმე ერთჯერად საქმიანობას ასრულებდა. შემოქმედებით მუშაკთა ყოველთვიური ანაზღაურება ხდებოდა საშუალო ხელფასით, რომელშიც შედიოდა ხელფასიც და ჰონორარიც, რაც გაიცემოდა სახელფასო ფონდიდან, ერთნაირად იქევრებოდა სოციალური და საშემოსავლო გადასახადებით. ამასთან, ერთი თვის გასასვლელი და შევბულების თანხებიც გაიცემოდა საშუალო ხელფასიდან. სასამართლომ არ გაიზიარა მაუწყებლობის ხელმძღვანელობის მიერ გაცემული ოფიციალური ცნობა საშუალო ხელფასის შესახებ, ისევე, როგორც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს განმარტება. სამინისტრო უშუალოდ მონაწილეობდა „საქტელერადიომაუწყებლობაში“ საპონორარო სისტემის შემუშავებაში. შემოქმედ მუშაკთა ჰონორარი არ არის ერთჯერადი გასაცემელი და იგი შედის შემოქმედებით მუშაკთა შევბულებისა და საავადმყოფო ფურცლის ანაზღაურებისათვის საშუალო ხელფასის გაანგარიშებაში. საგადასახადო კო-

დექსის 38-ე, 186-ე მუხლების შესაბამისად, საშემოსავლო დაბეგვრის ობიექტია მხოლოდ ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი, რაც ასევე ადასტურებს კასატორის პოზიციას, რომ იძულებითი განაცდური უნდა ანაზღაურდეს საშუალო ხელფასიდან. ამასთან, თუ პონორარი გაიცემა შესრულებული სამუშაოსათვის და აღნიშნულის გამო არ უნდა ანაზღაურდეს, ამავე ლოგიკით მოცემულ შემთხვევაში არც თანამდებობრივი სარგო არ უნდა ანაზღაურდეს იმ მიზეზით, რომ სამუშაო არ სრულდება. უდავოა ის გარემოება, რომ შ.გ.-იამ ერთი თვის გასასვლელი თანხა მიიღო საშუალო ხელფასის ოდენობის გათვალისწინებით, შრომის კანონთა კოდექსის 42³ მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად. ამავე მუხლის „ბ“ პუნქტში, 208-ე მუხლის პირველ ნაწილსა და 207-ე მუხლის მეორე ნაწილშიც საშუალო ხელფასია მინიშნებული და 207-ე მუხლის მეორე ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, ამავე მუხლის პირველ ნაწილშიც საშუალო ხელფასი იგულისხმება. ამდენად, საშუალო ხელფასის ცნება კანონით დადგენილია და სასამართლომ არასწორად გაიზიარა მხოლოდ მონინააღმდეგე მხარის მოსაზრება აღნიშნულთან დაკავშირებით. დაუსაბუთებელია ასევე იძულებითი განაცდურის თანხის მათემატიკური დათვლაც. იძულებითი განაცდურის თანხა მოწინააღმდეგე მხარეს უნდა დაკისრებოდა კასატორის სამუშაოდან გათავისუფლების მომენტიდან მის სამსახურში აღდგენამდე, რა დროსაც მხედველობაშია მისაღები 2005 წლის იანვრიდან საპონორარო სისტემის შეცვლა და ხელფასის ზრდა. რაც შეეხება ანაზღაურებას 2004 წლის 11 აგვისტოდან 2006 წლის 1 აპრილამდე, კერძოდ, „მოამბის“ რეჟისორის შტატის გაუქმებამდე. როგორც ზემოთ აღინიშნა, 2006 წლის 30 მარტის №343-კ ბრძანება არ შეიძლება ჩაითვალოს ამავე წლის 31 მარტიდან დამტკიცებული „მოამბის“ მთავარი რეჟისორის შტატის გამაუქმებელ დოკუმენტად.

სააპელაციო პალატამ მოცემულ საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: შ.გ.-ია მუშაობდა საინფორმაციო პროგრამების გაერთიანება „მოამბის“ მთავარი რეჟისორის თანამდებობაზე, სადაც 1996 წლის 15 თებერვლიდან დაინიშნა განუსაზღვრელი ვადით. საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 22 მარტის №236 განკარგულებით, „მაუწყებლობის შესახებ“, კანონის მიღებამდე შეიქმნა საქტელერადიომაუწყებლობის საზოგადოებრივი მონიტორინგის დროებითი კომისია, რომელსაც უნდა შეემუშავებინა შესაბამისი რეკომენდაციები და წინადადებები საქტელერადიომაუწყებლობის მართვის სრულყოფის, საკადრო იპტიმიზაციის და ინსტიტუციურ-ფუნქციონალური რე-

ფორმების თაობაზე. „სსიპ საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობაში რეორგანიზაციის განხორციელების შესახებ“ სსიპ „საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის“ თავმჯდომარის 2004 წლის 23 მარტის №89-კ ბრძანებით დადგინდა რეორგანიზაციის (სტრუქტურული ცვლილებები და სხვა) განხორციელება. კადრების სამმართველოსა და სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს დაევალათ, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის შესაბამისად, მუშავთა ინფორმირება შრომის არსებითი პირობების შეცვლის შესახებ. 2004 წლის 28 ივნისს შ. გ-ია გაეცნო სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობის“ კადრების სამმართველოს უფროსის წერილს, სადაც განმარტებული იყო, რომ №89-კ ბრძანებაში აღნიშნული შრომის არსებითი პირობები განისაზღვრებოდა თანდართული შრომის ხელშეკრულებით. იმ შემთხვევაში, თუ იგი არ იქნებოდა თანახმა შრომის ახალ პირობებში მუშაობის გაგრძელებაზე, ადმინისტრაცია შეწყვეტდა მასთან შრომის ხელშეკრულებას შრომის კანონთა კოდესის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად. წერილზე დართული შრომის კონტრაქტით გათვალისწინებულ იქნა ხელშეკრულების მოქმედების ვადა ერთი თვით. იმავე ხელშეკრულებით განისაზღვრა დასაქმებულის ხელფასი 45 ლარის ოდენობით. 2004 წლის 7 ივლისიდან 6 აგვისტომდე შ. გ-ია იმყოფებოდა დროებით შრომისუუნარობის ფურცელზე. 2004 წლის 6 აგვისტოს მან მოითხოვა ყოველწლიური კუთვნილი შვებულება. 2004 წლის 10 აგვისტოს შ. გ-იას კვლავ წარედგინა წერილი თანდართული ხელშეკრულების პირობებით მუშაობის გაგრძელების შესახებ, რომლის გაცნობასა და ხელმოწერაზეც მან უარი განაცხადა, აღნიშნულის თაობაზე კადრების სამმართველოს თანამშრომლების მიერ შედგა ოქმი. სსიპ „საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის“ თავმჯდომარის 2004 წლის 11 აგვისტოს №636-კ ბრძანებით შ. გ-ია გათავისუფლდა სამსახურიდან საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ხოლო 2004 წლის 12 აგვისტოს ბრძანებითა და კადრების სამმართველოს უფროსის წერილით მას უარი ეთქვა ყოველწლიურ შვებულებაზე. გათავისუფლებამდე შ. გ-იას ხელფასი შეადგენდა 40 ლარს, შემოსავლის საერთო თანხა საშუალოდ განისაზღვრებოდა 13359 ლარით, რომელიც მოიცავდა ხელფასსა და ჰონორარს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრების საფუძვლე-

ბის შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შ. გ-იას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება შ. გ-იას სამუშაოზე აღდგენის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში უნდა გაუქმდეს და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, ხოლო დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საკასაციო საჩივრის საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ სააპელაციო პალატამ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა შ. გ-იას სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ სადავო ბრძანებას და დასკვნა, რომ შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი არასწორად იქნა გამოყენებული. აღნიშნული ნორმით შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია საწარმოო აუცილებლობის ან სამუშაო რეჟიმის შეცვლის გამო, სხვა სამუშაოზე გადაყვანისას მუშაკის უარი. ამავე კოდექსის 26-ე მუხლის მექამე ნაწილის თანახმად, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციაში ცვლილებებთან დაკავშირებით დასაშვებია შრომის არსებითი პირობების შეცვლა იმავე სპეციალობით, კვალიფიკაციით ან იმავე თანამდებობაზე მუშაობის გაგრძელებისას შრომის არსებითი პირობების – შრომის ანაზღაურების სისტემებისა და ოდენობის, შეღავათების, მუშაობის რეჟიმის შეცვლის, არასრული სამუშაო დროის დაწესების ან გაუქმების, პროფესიების შეთავსების, თანრიგისა და თანამდებობათა შეცვლისა და სხვ. შესახებ მუშაკებს უნდა აცნობონ არა უგვიანეს ორი თვისა. ამავე მუხლის მეოთხე ნაწილის მიხედვით, თუ ადრინდელი შრომის არსებითი პირობები არ შეიძლება შენარჩუნებულ იქნეს, ხოლო მუშაკი თანახმა არ არის, გააგრძელოს მუშაობა ახალ პირობებში, შრომის ხელშეკრულება (კონტრაქტი) შეწყდება ამ კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად.

მოცემულ შემთხვევაში კასატორი მიიჩნევს, რომ სადავო ბრძანება დაეყრდნო არსებითი პირობების შეცვლით შეთავაზებულ შრომის ხელშეკრულებაზე შ. გ-იას მიერ უარის თქმას. ამ შემთხვევაში არსებით პირობად მიჩნეულია დასაქმებულისათვის ნაცვლად 40 ლარისა, 45 ლარის ხელფასისა და ერთთვიანი სამუშაო კონტრაქტის (განუსაზღვრელი ვადით დადებული კონტრაქ-

ტის სანაცვლოდ) შეთავაზება. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო სრულიად ეთანხმება სააპელაციო პალატის დასკვნას და უთითებს:

შრომის უფლება საქართველოს კონსტიტუციით დეკლარირებული და გარანტირებული ადამიანის ძირითადი სოციალური უფლება. ამ უფლების დაცვისას ეროვნული კანონმდებლობა ეფუძნება ევროპის სოციალური ქარტიას (საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 1 ივნისის №1876-რს დადგენილებით რატიფიცირებული) და სხვა საერთაშორისო ნორმატიულ აქტებს.

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლით შრომის უფლებისა და მისი დაცვის ზოგადი ფორმულირება მოცემული, ხოლო შრომითი ურთიერთობების მნიშვნელოვანი სფეროები მოწესრიგებულია სპეციალური კანონით (დავის ნარმოშობისათვის მოქმედი შრომის კანონთა კოდექსით). ეს უკანასკნელი ადგენს შრომის უფლებასთან დაკავშირებულ ძირითად დებულებებს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მეოთხე ნაწილით, შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები, არასრულწლოვანისა და ქალის შრომის პირობები განისაზღვრება კანონით.

მითითებული ნორმა ადგენს შრომის უფლების დაცვის ზოგად წესს, რაც სხვა საკითხებთან ერთად შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფას ითვალისწინებს, ასევე, შრომის ანაზღაურებას, კომპენსაციისა და შეღავათების, სამუშაო დროისა და დასვენების საკითხებს და სხვა მსგავს უფლებებს, რომლებიც ზოგადი უფლებებია, საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობითა დადგენილი, დაცული და არა მხარეთა შეთანხმებით. შრომის ამგვარი პირობებით პირის საქმიანობას სახელმწიფო უზრუნველყოფს საკანონმდებლო რეგლამენტით. შესაბამისად, იგი კანონით შრომის არსებით პირობებს წარმოადგენს და შრომის ხელშეკრულების კონტრაპენტთა შეთანხმებას არ საჭიროებს. სწორედ ასეთ შრომის პირობებზეა საუბარი შრომის კანონთა კოდექსის 26-ე მუხლის მესამე ნაწილში. რაც შეეხება შრომითი ხელშეკრულების ვადას, იგი, როგორც ხელშეკრულების სხვა არსებითი პირობები, მთლიანად მხარეთა შეთანხმებაზეა დამოკიდებული. შრომის კანონთა კოდექსით მხარეები შეიძლება შეთანხმებულიყვნენ როგორც უვადო, ასევე განსაზღვრული არა უმეტეს სამი წლისა ან გარკვეული სამუშაოს შესრულების ვადით (შრომის კანონთა კოდექსი მე-18 მუხლი).

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო სრული-

ად იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ ხელშეკრულების ვადის შეცვლა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს შრომის პირობების შეცვლად, ხოლო უვადო ხელშეკრულებიდან ვადიან ხელშეკრულებაზე გადასვლაზე მუშაკის უარი არ უნდა იქნეს მიჩნეული ახალი პირობებით მუშაობის გაგრძელებაზე დასაქმებული პირის უარად.

ასევე უსაფუძვლოა სსიპ „საზოგადოებრივი მაუნიებლის“ არგუმენტი, რომ სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არასწორად მიუთითა შრომის კანონთა კოდექსის 26-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული ვადის დარღვევაზე. აღნიშნული ნორმით შრომის არსებითი პირობების შეცვლის შესახებ მუშაკებს უნდა აცნობენ არა უგვიანეს ორი თვისა. მოცემული დავის ამ ნორმით კვალიფიკაციის შემთხვევაში კასატორის მოქმედება არაკანონიერია, ვინაიდან კასატორის მიერ მითითებული სსიპ „საზოგადოებრივი მაუნიებლის“ თავმჯდომარის 2004 წლის 23 მარტის №89 კ ბრძანება თავისი შინაარსით წარმოადგენს დანესებულებაში მოსალოდნელი სტრუქტურული ცვლილებების გამო მუშაკათა ინფორმირებას შრომის არსებითი პირობების შეცვლის თაობაზე. რაც შეეხება ახალ სახელშეკრულებო პირობებს, აღნიშნული შ. გ-იას შესთავაზეს 2004 წლის 28 ივნისსა და 10 აგვისტოს, ხოლო თანამდებობიდან გათავისუფლების ბრძანება მიიღეს 2008 წლის 11 აგვისტოს, კანონით გათვალისწინებული ორთვიანი ვადის დარღვევით.

უსაფუძვლოა კასატორის მოსაზრება, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა შრომის კანონთა კოდექსის 207-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლითაც დადგენილია იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება მხოლოდ წინანდელ სამუშაოზე მუშაოზე მუშაკის აღდგენის შემთხვევაში.

საკასაციო სასამართლო ნაწილობრივ იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ ადრე მოქმედი შრომის კანონთა კოდექსის 207-ე მუხლის პირველი ნაწილი მართლაც ადგენდა სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნილი და წინანდელ სამუშაოზე აღდგენილი მუშაკისათვის სასამართლოს გადაწყვეტილებით იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურებას. ამასთან, საკასაციო სასამართლო მხარეთა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მითითებული შრომის კანონთა კოდექსი მიღებულია საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მიერ 1973 წლის 28 ივნისს და მეტ-ნაკლებად ასახავს იმ პერიოდის სოციალურ მდგომარეობას და სახელმწიფო ბრივ სისტემსა. ასევე, აღნიშნული ნორმის დანაწესის მოქმედება უზრუნველყოფილი იყო იმ პერიოდისათვის მოქმედი და შემდგომში გაუქმებული

ნორმატიული აქტებით. ამასთან, იგი სრულ თანხმობაში იყო იმ დღოს მოქმედ სამოქალაქო სამართლის კოდექსთან. შრომითი ხელშეკრულება კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი სახეა და, მისი სპეციფიკურობიდან გამომდინარე, კანონმდებელმა საჭიროდ მიიჩნია, სპეციალური ნორმატიული აქტის შემუშავება, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს სამოქალაქო სამართლის ძირითად დებულებებთან. შრომითი ხელშეკრულების შედეგად მხარეთა შორის წარმოიშობა ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა და მხარეებს ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან დარღვევის შემთხვევაში კანონით ეკისრებათ მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. იძულებითი განაცდური თავისი არსით შრომითი საქმიანობისაგან იძულებით ჩამომორჩებული პირისათვის ის ზიანია, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის უკანონო მოქმედებით და რომ არა ეს მოქმედება, პირი თავისი სამუშაოს განხორციელების შედეგად სათანადო კომპენსაციას მიიღებდა.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ შ. გ-იას სამუშაოზე აღდგენის შესახებ სარჩელის დაკამაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა და 394-ე მუხლის ე¹ ქვეპუნქტისა. აღნიშნულ ნაწილში გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, კერძოდ:

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საინფორმაციო პროგრამა „მოამბის“ საშტატო განრიგით მთავარი რეჟისორის საშტატო ერთეული აღარ არსებობს. ამასთან, ამჟამად მოქმედი საშტატო განრიგის შესაბამისად, მოქმედი პროდიუსერების ჯგუფის თანამშრომელთა ფუნქციები მნიშვნელოვნად განსხვავდება საქართველოს ტელევიზიონისა და რადიომაუნიკატობის სამსახურის ხელმძღვანელის 1993 წლის 19 ივლისის №181 ბრძანებით დამტკიცებული მთავარი რეჟისორის საკვალიფიკაციო მახასიათებლებისაგან. ამდენად, ის სამუშაო ადგილი, რომელიც შ.გ-იას დაკავებული ჰქონდა გათავისუფლებამდე, აღარ არსებობს, შესაბამისად, სამუშაოზე აღდგენა შეუძლებელია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულია საკაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშ-

ვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში შ. გ-იას საკასაციო საჩივრის არგუმენტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, ვინაიდან მთავარი რეუზისორის ფუნქციები იგივეა, რაც ტექნიკური პროდოუსერის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

საპელაციო პალატამ ისე მიღობ დასკვნა შ. გ-იას დაკავებული თანამდებობის არარსებობის თაობაზე, რომ არ დაუდგენია ამ გარემოებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტები: რა სხვაობაა პროდიუსერსა და მთავარი რედაქტორის ფუნქციებს შორის; რა განსხვავებულ სამუშაოს ასრულებს რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი პროდოუსერის თანამდებობაზე მყოფი პირი; რა კვალიფიკაცია სჭირდება ამ თანამდებობაზე მომუშავე პირს და აქვს თუ არა სათანადო კვალიფიკაცია შ. გ-იას.

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ მხოლოდ ამ გარემოებათა გამოკვლევის შედეგად უნდა მისცეს სამართლებრივი შეფასება არსებულ დავას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე და 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

შ. გ-იას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება შ. გ-იას სამუშაოზე აღდგენის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუპრუნდეს იმავე სასამართლოს.

დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4. შრომითი ურთიერთობის შეჩერება

განხილვა

№ას-953-1232-09

16 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: სამუშაოზე აღდგენა

აღწერილობითი ნაწილი:

კ. ნ-ძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „საქართველოს რეინიგზის“ სავაგონო დეპარტამენტის ხაშურის სარემონტო საექსპლუატაციო სამართველოს მიმართ სამუშაოზე აღდგენის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელე მუშაობდა შპს „საქართველოს რეინიგზის“ ხაშურის სავაგონო სარემონტო-საექსპლუატაციო სამართველოში მოძრავი შემადგენლობის რემონტის მეოთხე თანრიგის ზეინკლად. 2008 წლის 7 აპრილიდან 16 აპრილამდე იმყოფებოდა საავადმყოფო ფურცელზე. სანარმოს ადმინისტრაციის 2008 წლის 10 აპრილის №79 ბრძანებით იგი გათავისუფლდა სამუშაოდან შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის. აღნიშნული ბრძანების ასლი მოსარჩელეს არ ჩაპარებია. სამუშაოზე გამოცხადებისას მან შეიტყო, რომ მის თანამდებობაზე მიღებულ იქნა სხვა პირი. მოპასუხე შეპპირდა სხვა სამუშაოზე მიღებას, თუმცა დანაპირები დღემდე არ შეუსრულება.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით საქმეში ხაშურის სავაგონო სარემონტო-საექსპლუატაციო სამართველოსთან ერთად ჩაბმულ იქნა შპს „საქართველოს რეინიგზა“.

მოპასუხებმა სარჩელი არ ცნეს შემდეგი დასაბუთებით: 2003 წლის 13 ივნისიდან კ. ნ-ძე მუშაობდა ხაშურის სავაგონო-საექსპლუატაციო სამართველოში სხვადასხვა თანამდებობებზე, ხოლო შემდგომ – ვაგონების ტექნიკური მომსახურების პუნქტის მოძრავი შემადგენლობის რემონტის ზეინკალ-გადამდგმელად. 2008 წლის 10 აპრილის ბრძანებით იგი ამ თანამდებობიდან გათავისუფლდა სამუშაოდან, შრომითი კოდექსის 37-ე მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, არასაპატიო მიზეზით სისტემატურად სამ-

სახურის გაცდენისათვის, რასაც ცხადყოფს საქმეში წარმოდგენილი სამუშაო დროის გამოყენების აღრიცხვის ტაბელები. 2008 წლის 10 აპრილის №79 ბრძანება შრომითი ურთიერთობის შენ-ყვეტის შესახებ მოსარჩელეს საკუთარი ბრალით არჩაბარდა, ვინაიდან დასახელებული ბრძანება მას 2008 წლის 11 აპრილს ფოსტით გაეგზავნა მოპასუხისათვის ცნობილ მისამართზე – ქ. ხაშურში, ... ქ.№48-ში, თუმცა ფოსტამ წერილი უკან დააბრუნა იმ მიზეზით, რომ აღნიშნულ მისამართზე ადრესატი არ ცხოვრობდა. მოსარჩელის სხვა მისამართი კი ორგანიზაციამ არ იცოდა.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც კ. ნ-ძემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 17 მარტის განჩინებით კ. ნ-ძის სააპელაციო საჩივრი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: კ. ნ-ძე მუშაობდა შპს „საქართველოს რეინიზის“ ხაშურის საგაგონო სარემონტო-საექსპლოატაციო სამმართველოში მოძრავი შემადგენლობის მეოთხე თანრიგის ზენკლად. 2008 წლის 7 აპრილიდან 16 აპრილამდე იგი იმყოფებოდა შრომისუუნარობის ფურცელზე. სანარმოს ადმინისტრაციის 2008 წლის 10 აპრილის №79 ბრძანებით შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „გ“ პუნქტის საფუძველზე კ. ნ-ძე სამუშაოდან გათავისუფლდა, რასაც წინ უძლოდა ხაშურის ვაგონების ტექნიკური მომსახურების პუნქტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2008 წლის 7 აპრილის მოხსენებითი ბარათი, 2008 წლის 31 მარტიდან მოსარჩელის სამუშაოზე გამოუცხადებლობის გამო, მის მიმართ შესაბამისი ზომების გატარების თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „გ“ პუნქტით და მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი სამუშაო დროის გამოყენების აღრიცხვის თაობაზე ტაბელებითა და ხაშურის ვაგონების ტექნიკური მომსახურების პუნქტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2008 წლის 7 აპრილის მოხსენებითი ბარათით დადასტურებულია, რომ აპელანტი ხშირად არღვევდა შრომის ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და სამსახურში არასაპატიო მიზეზით ხშირად არ ცხადდებოდა. შრომის კოდექსის 36-ე მუხლის პირველი ნაწილის, მეორე ნაწილის „ზ“ პუნქტის, მესამე და მეოთხე ნაწილების შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ შრომისუუნარობის ფურცელზე ყოფნა დამსაქმებლის მხრიდან შრომითი ურთიერ-

თობის შეჩერებას თავისთავად არ იწვევს. აღნიშნულთან დაკავშირებით აუცილებელია დამსაქმებლის ნება შრომითი ურთიერთობის გონივრული ვადით შეჩერების შესახებ. ამდენად, დასაქმებულმა უნდა მიმართოს საწარმოს ადმინისტრაციას. პალატის მოსაზრებით, აპელაციმა სათანადოდ ვერ დაადასტურა ის ფაქტი, რომ 2008 წლის 7 აპრილიდან, შრომისუნარობის გამო, საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის შესახებ საწარმოს ადმინისტრაციას აცნობა და მოითხოვა შრომითი ურთიერთობის შეჩერება. შრომის კოდექსის 36-ე მუხლის მეორე ნაწილის „ზ“ პუნქტისა და მესამე ნაწილის მიხედვით, კ. ნ-ძესა და მოპასუხე საწარმოს ადმინისტრაციას შორის შრომითი ურთიერთობა არ შეჩერებულა, შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო, საწარმოს ადმინისტრაციამ მოსარჩევე სამუშაოდან კანონიერად გაათავისუფლა. პალატის მოსაზრებით, შრომის კოდექსის 36-ე მუხლის მეექვსე ნაწილით გათვალისწინებული შრომითი ურთიერთობის შეჩერებისას შრომითი ხელშეკრულების მოშლის დაუშვებლობის შესახებ აკრძალვა მოცემულ შემთხვევაზე არ ვრცელდება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კ. ნ-ძემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით: საპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. პალატამ არ გაითვალისწინა, რომ კ. ნ-ძე სამუშაოდან გათავისუფლდა ბიულეტენზე ყოფნის პერიოდში მაშინ, როცა შრომის კოდექსის 36-ე მუხლის „ზ“ პუნქტი მუშაკის დროებით შრომისუნარობას შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძვლად მიიჩნევს. აღსანიშნავია, რომ მოპასუხე ორგანიზაციის მავლენი კოდექსის 35-ე მუხლის მეექვსე პუნქტის მოთხოვნა შეასრულა და დასაქმებულს მეურნალობის ხარჯები სრულად აუნაზღაურა. გასაჩივრებული განჩინებით პალატამ კასატორის სამუშაოდან გათავისუფლების საფუძვლად მიუთითა კ. ნ-ძის უფროსის მიერ შედგენილ მოხსენებით ბარათზე, რომლის თანახმად, კასატორი სამუშაოს აცდენდა. სასამართლომ არ გამოიყენა შრომის კოდექსის 48-ე მუხლი, რომელიც შრომითი დავის გადაწყვეტის წესსა და პროცედურას განსაზღვრავს. პალატას არ უმსჯელია მიმაზე, რომ დამსაქმებელმა მითითებული ნორმის დანაწესები დაარღვია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების

შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ კ. ნ-ძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დაკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ არ მომხდარა კანონის მითითებული დარღვევა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, კერძოდ:

მოცემულ საქმეზე სადაცოს ნარმოადგენს კ.ნ-ძის საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის პერიოდში სამუშაოდან გათავისუფლების კანონიერება.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე, მხარეთა შორის ნარმოშობილია შრომითი სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ძალითაც დასაქმებული ვალდებულია, შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი სამუშაო შეთანხმებული სამუშაო დროის ხანგრძლივობით. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ კ. ნ-ძე მუშაობდა რა შპს „საქართველოს რკინიგზის“ ხაშურის სავაგონო სარემონტო-საექსპლუატაციო სამართველოში მოძრავი შემადგენლობის მეოთხე თანრიგის ზეინკლად, 2008 წლის 7 აპრილიდან 16 აპრილამდე იმყოფებოდა შრომისუნარობის ფურცელზე. სანარმოს ადმინისტრაციის 2008 წლის 10 აპრილის №79 ბრძანებით კ. ნ-ძე სამუშაოდან გათავისუფლდა შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „გ“ პუნქტის საფუძველზე. აღნიშნულს წინ უძლოდა ხაშურის ვაგონების ტექნიკური მომსახურების პუნქტის უფროსის მოხსენებითი ბარათი, 2008 წლის 31 მარტიდან მოსარჩელის სამუშაოზე გამოუცხადებლობის გამო, მის მიმართ შესაბამისი ზომების გატარების თაობაზე. სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო და კასატორს არ გაუქარწყოლებია კ. ნ-ძის მიერ სამუშაოს არასაპატიოდ გაცდენის სხვა ფაქტების არსებობაც. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, კანონიერია დამსაქმებლის გადაწყვეტილება შრომითი ურთიერთობის შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „გ“ პუნქტის საფუძველზე შეწყვეტის თაობაზე.

შრომის კოდექსის 36-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნ-

ქტის თანახმად, პირის დროებითი შრომისუუნარობა შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძველია, ხოლო, ამავე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, შრომითი ურთიერთობის შეჩერება არის შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დროებით შეუსრულებლობა, რომელიც არ იწვევს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას.

შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძვლებით კანონმდებელი ითვალისწინებს ისეთ ობიექტურ გარემოებებს, რომელიც პირის ნებისაგან დამოუკიდებლად შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების – სამუშაოს შესრულების შეუძლებლობას იწვევს. ამავდროულად, შრომის კოდექსის 36-ე მუხლის მესამე ნაწილი ადგენს, რომ დასაქმებულის მიერ შრომითი ურთიერთობის შეჩერების კანონით გათვალისწინებული საფუძვლით შრომითი ურთიერთობის შეჩერების მოთხოვნის შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია, შრომითი ურთიერთობა გონივრული ვადით შეაჩეროს. აღნიშნული ნორმა ცალსახად ადგენს, რომ დასაქმებული ვალდებულია, მიაწოდოს ინფორმაცია დამსაქმებელს შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძვლების არსებობის თაობაზე. დასაქმებულის ეს ვალდებულება მომდინარეობს შრომითი ხელშეკრულების არსიდანაც, კერძოდ:

შრომითი ხელშეკრულება კერძო სამართლის სუბიექტებს შორის დადებული შეთანხმება დასაქმებულის მიერ დამსაქმებლი-სათვის განსაზღვრული სამუშაოს შესრულების სანაცვლოდ საზღლაურის გადახდის თაობაზე. ამასთან, მნარეები თანხმდებიან შრომითი ხელშეკრულების სხვა პირობებზე, მათ შორის, სამუშაო დროის ხანგრძლივობაზე სამუშაო დღეებისა და საათების განსაზღვრით. აღნიშნული შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობაა და მისი დაუცველობა ვალდებულების დარღვევის ტოლფასია. სამოქალაქო სამართალი (394-ე მუხლის პირველი ნაწილი) და, მათ შორის, შრომის სამართალიც (36-ე მუხლი) ითვალისწინებს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობას. კანონი ასეთ შემთხვევაში პირს ვალდებულების დამრღვევად არ რაცხავს და ათავისუფლებს მას სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. თუმცა შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაშიც მხარე ვალდებულია, აცნობოს მეორე მხარეს შექმნილ გარემოებათა თაობაზე. ასეთი ვალდებულება მომდინარეობს როგორც სამოქალაქო სამართლის ძირითადი – კეთილსინდისიერების პრინციპიდან, ასევე – კანონიდანაც (შრომის კოდექსის 36-ე მუხლის მესამე ნაწილი).

შრომის კოდექსის დათქმა, რომ დასაქმებული ვალდებულია,

აცნობოს დამსაქმებელს შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძვლების არსებობის თაობაზე, გამოწვეულია თვით ამ სახელ-შეკრულებო ურთიერთობის სპეციფიკიდანაც, ვინაიდან შრომითი ხელშეკრულების მოულოდნელად შეჩერებამ შეიძლება გარკვეული უარყოფითი გავლენა მოახდინოს სანარმოს საქმიანობაზე და ზიანი მიაყენოს მას. დამსაქმებლისათვის ინფორმირება ხელშეკრულების შეჩერების საფუძვლების წარმოშობის თაობაზე შესაძლებელს ხდის, დამსაქმებელმა დროულად იზრუნოს შეჩერებით გამოწვეული უარყოფითი შედეგების აღმოფხვრაზე, თავიდან აირიცოს მოსალოდნელი ზიანი და აუცილებლობის შემთხვევაში, დასაქმებულისათვის დაკისრებული სამუშაოს შესრულება სხვა პირს დაავალოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საგსებით მართებულია სააპელაციო პალატის დასკვნა, რომ დასაქმებული კ.ნ-ძე ვალდებული იყო, ეცნობებინა დამსაქმებლისათვის სავადმყოფ ფურცელზე ყოფნის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ მან ავადმყოფობის შესახებ აცნობა მოპასუხეს. ასეთ გარემოებას მოპასუხე არ ადასტურებს და არც საქმის მასალებით არ დგინდება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი კ. ნ-ძე ვალდებულია, სარწმუნოდ დაადასტუროს სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორის მოსაზრებას, რომ შრომის კოდექსის 36-ე მუხლის მექექსე ნაწილის თანახმად, შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძვლების არსებობა გამორიცხავს შრომითი ხელშეკრულების მოშლისა და შეწყვეტის კანონიერებას, ანუ შრომითი ხელშეკრულების მოშლა და შეწყვეტა ასეთ შემთხვევაში დაუშვებელია. თუმცა აღნიშნული მოცემულ დავაზე ვერ გავრცელდება, ვინაიდან დამსაქმებლისათვის უცნობი იყო ასეთი საფუძვლის არსებობა, ხოლო დასაქმებულის მიერ სამუშაოს შეუსრულებლობა ვალდებულების დარღვევაა, რაც უფლებამოსილს ხდის დასაქმებულს, შეწყვიტოს სახელშეკრულებო ურთიერთობა.

საკასაციო სასამართლო კ. ნ-ძის სასარჩელო მოთხოვნას სამუშაოზე აღდგენის თაობაზე უსაფუძვლოდ მიიჩნევს იმის გამოც, რომ, როგორც საქმის მასალებით იკვეთება, მოდავე მხარეთა შორის გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება განსაზღვრული ვადით 2008 წლის 30 იანვრიდან 2008 წლის 30 ივნისამდე, ხოლო სამუშაოზე აღდგენის მოთხოვნით სასამართლოს მიმართა 2008 წლის

24 სექტემბერს – სახელშეკრულებო ვადის გასვლის შემდეგ. შრო-
მითი უფლებების დარღვევებთან დაკავშირებით სხვა სასარჩე-
ლო მოთხოვნა კი მოსარჩელეს არ წარმოუდგენია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცე-
სო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

კ. ნ-დის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატის 2009 წლის 17 მარტის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდე-
ბა.

5. შრომითი ურთიერთობის გაცევება

განხილვა

№ას-911-1218-07

10 ივნისი 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო,
სამენარმეო და გაკოტების საქმეთა პალატა
შემადგენლობა:მ.სულხანშვილი(თავმჯდომარე,მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდენა
და განაცდურის ანაზღაურებ

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-
თა კოლეგიას სარჩელით მიმართეს მ. ნ-შვილმა და ვ. კ-მა მოპა-
სუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ და მო-
ითხოვეს ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და გა-
ნაცდურის ანაზღაურება. მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნუ-
ლი სააგენტოს წარმომადგენელმა გ. ხ-ელმა სარჩელი არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-
თა კოლეგიას 2007 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილებით მ. ნ-შვი-
ლისა და ვ. კ-ის სასარჩელო განცხადება საჯარო რეესტრის ეროვ-
ნული სააგენტოს მიმართ ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშა-
ოზე აღდგენის და განაცდურის ანაზღაურების თაობაზე არ დაკ-
მაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასა-
ჩივრეს მ. ნ-შვილმა და ვ. კ-მა.

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციოულ საქმეთა პა-
ლატის 2007 წლის 13 აპრილის განჩინებით საქმე განსვეადობით
განსახილველად გადაეცა იმავე სასამართლოს სამოქალაქო საქ-
მეთა პალატას.

2007 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო სა-
სამართლომ მ. ნ-შვილისა და ვ. კ-ის სააპელაციო საჩივარი დააკ-
მაყოფილა ნაწილობრივ. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს
მ. ნ-შვილის და ვ. კ-ის სასარგებლოდ (თითოეულისათვის) დაე-
კისრა 700 ლარის გადახდა.

პალატამ მიიჩნია, რომ მ. ნ-შვილი და ვ. კ-ი გათავისუფლდნენ
დაკავებული თანამდებობიდან 2006 წლის 27 ოქტომბრიდან სა-

ჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს № 1037 და № 1065 პრძანებებით, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე ხელშეკრულების მოშლის საფუძველზე.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის მოსაზრება, რომ პრძანების მიღებისას დაცული იყო ყველა კანონით განსაზღვრული მოთხოვნა და არ იყო აუცილებელი, აპელანტები ყოფილიყვნენ გაფრთხილებული გათავისუფლების თაობაზე.

პალატამ მიიჩნია, რომ მოწინააღმდეგებ მხარეს რომ დაცვა ეპროცეს სოციალური ქარტიის შესაბამისი ნორმა, აპელანტები, მიიღებდნენ ერთი თვის (მიუღებელ) ხელფასს.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება იყო გამოტანილი კანონდარღვევით, ვინაიდან განიხილა არაკანონიერმა შემადგენლობამ, რაც წარმოადგენდა გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს.

პალატამ ასევე მიიჩნია, რომ აპელანტების მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილებულიყო, რადგან მართალია შრომის კოდექსი ითვალისწინებდა გაფრთხილების გარეშე შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას, მაგრამ აღნიშნულს განსხვავებულად აწესრიგებდა ევროპის სოციალური ქარტია, რომელსაც როგორც კონსტიტუციასთან შესაბამის საერთაშორისო ხელშეკრულებას ჰქონდა უპირატესი იურიდიული ძალა შიდა სახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ.

კასატორის განმარტებით 2006 წლის 19 ოქტომბერს მუშაქთა ჯგუფმა თვითნებურად უარი განაცხადა თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაზე, რაც წარმოადგენდა საყოველთაოდ ცნობად ფაქტს და გახდა მ. ნ-შვილისა და ვ. კ-ის გათავისუფლების საფუძველი, რადგან მათი მოქმედება წარმოადგენდა სერიოზულ დარღვევას.

კასატორის აზრით სააპელაციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით განმარტა ევროპის სოციალური ქარტია (მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი), მაგრამ არაფერი უთქვამს საქმეში წარმოდგენილი შრომის ხელშეკრულების შესახებ, რომლის შესაბამისად საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ჰქონდა უფლება, წინასწარი გაფრთხილების გარეშე განთავისუფლებინა მუშაქი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქ-

მეთა პალატის 2007 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელებისათვის სა-სარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო სა-კასაციო საჩივრის საფუძვლებს და ოვლის, რომ საკასაციო სა-ჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტთა მოსაზრება და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძვლად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისათვისაც, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა ვალდებულების ჯეროვნად შესრულებისათვის. დამაქმებლის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობად სასამართლომ მიიჩნია ის ფაქტი, რომ მან ერთი თვით ადრე არ გააფრთხილა და-საქმებული მოსალოდნელი გათავისუფლების თაობაზე

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლიდან და საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე სარჩელის დაკმაყოფილების სა-მართლებრივ საფუძვლად დაგრეთვე მიუთითა კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის პრინციპზე, შრომითი ურთიერთობის მხარეთა თანასწორუფლებიანობაზე.

პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ აღნიშული ნორმათა განმარტება-გამოყენება არამართებულია. კანონის წინაშე თანასწორობა არ ნიშნავს იმას, რომ უფლება, რომელიც გააჩნია ერთ ადამიანს, აუცილებლად უნდა ჰქონდეს მეორესაც. კანონი სამართლებრივ ურთიერთობათა რეგულირების მექანიზმია და ამ ურთიერთობიდან გამომდინარე ურთიერთობის მონაბილებს სხვადასხვა უფლებები აქვთ. მაგალითად, შეუძლებელია, რომ მესაკუთრეს და ნივთის მფლობელს (თუ იგი მესაკუთრეს არ წარმოადგენს) ჰქონდეთ ერთი და იგივე უფლებები, მაგრამ უფლებები, რომლებიც აქვს მესაკუთრეს მინიჭებული კანონით, ერთნაირია ყველა ადამიანისათვის, მიუხედავად რასისა, კანის ფერის, ენის, სქესისა და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას დასაქმებულსა და დამსაქმებელზეც. დამსაქმებელს უფლება აქვს დაითხოვოს მუშაკი სამსახურიდან, ანალოგიური უფლება არ შეიძლება გააჩნდეს დასაქმებულს და ა.შ. ამდენად მოცემული ნორმები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ასეთ შემთხვევაში.

რაც შეეხება „ევროპის სოციალური ქარტიის“ მე-4 მუხლის მე-4 პუნქტს, იგი მართლაც აღიარებს მხარის ვალდებულებას. წინასწარ შეატყობინოს მუშაკს დასაქმების შეწყვეტის შესახებ, მაგრამ ქარტიის დანართის მე-2 ნაწილი აღნიშნულ ნორმასთან მიმართებაში მიუთითებს, რომ ეს დებულება არ იქნება განმარტებული როგორც სამსახურიდან დაუყოვნებლივ დათხოვნის ამკრძალავი ნორმა რამე სერიოზული დარღვევის შემთხვევაში. ამდენად, ქარტიის მითითებული ნორმა გამოყენებულ უნდა იქნეს დანართში მითითებულ დებულებასთან ერთობლიობაში და დადგინდეს, თუ რამ განაპირობა მუშაკის დაუყოვნებლივ დათხოვნა სამსახურიდან, უნდა აღინიშნოს, რომ ამის თაობაზე სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია და არ დაუდგენია ფაქტობრივი გარემოებანი, რის გარეშეც შეუძლებელია, შემოწმდეს გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლიანობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდეს იმავე პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

განჩინება საბოლოო და არ გასაჩივრდება.

შრომითი ხელშეკრულების შეცვალა

განვითარება

№ას-1212-1473-09

17 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: შესასრულებელი სამუშაოს ღირებულების
ხელფასის სახით გაცემის დაყოვნებისათვის თანხის ანაზღაურე-
ბა

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 6 მარტს ი. გ-შვილმა სარჩელით მიმართა თბილი-
სის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე სსიპ ლევან სამხარაულის
სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მი-
მართ და მოითხოვა მოპასუხისათვის არასწორად დაკავებული სა-
შემოსავლო გადასახადის თანხისა და შესრულებული სამუშაოს
ღირებულების ხელფასის სახით გაცემის დაყოვნებისათვის, სულ
3 663,60 ლარის გადახდის დაკისრება.

მოსარჩელემ სასამართლო სხდომაზე დააზუსტა მოთხოვნა და
განმარტა, რომ იგი ითხოვს შესაბამისი თანხის, ანუ შესრულე-
ბული სამუშაოს ღირებულების, ხელფასის სახით გაცემის დაყოვ-
ნებისათვის 0,07%-ის გადახდას შრომის კოდექსის ამოქმედები-
დან 2009 წლის 11 თებერვლამდე.

მოსარჩელემ განმარტა, რომ იგი ექსპერტიზის ბიუროში მუ-
შაობდა 1993 წლიდან 2007 წლის 1 ნოემბრამდე შტატგარეშე ექ-
სპერტად, შემდეგ ეკავა საშტატო ექსპერტის თანამდებობა, ბო-
ლოს კი მოპასუხესთან მუშაობდა ხელშეკრულებით. შტატგარე-
შე ხელშეკრულებით მომუშავე ექსპერტებს ხელფასები ეძლეო-
დათ შესრულებული სამუშაოს მიხედვით თანხების დამკვეთი ორ-
განიზაციებიდან ჩარიცხვის შემდეგ. 2000, 2002, 2003 წლების მი-
ერ შესრულებული სამუშაოებიდან, საქართველოს გენერალური
პროკურატურიდან, შინაგან საქმეთა სამინისტროდან და საოლ-
ქო სასამართლოდან ჩარიცხვი თანხა შეადგენდა სულ 12 702,12
ლარს, საიდანაც გადაუხდელი სახელფასო დავალიანება 4055,54
ლარია. აღნიშნული თანხის გადახდა მოპასუხეს დაკისრა პირ-

ველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც ძალაში დარჩა საპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, უზენაესი სასამართლოს მიერ კი მოპასუხის საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩა დაუშვებლობის გამო. შესაბამისი თანხა მას ჩაერიცხა 2009 წლის 16 თებერვალს.

მოსარჩელის განმარტებით, შესაბამისი თანხა ჩაირიცხა 2005 წლის ნოემბერ-დეკემბერში, ამიტომ შემსრულებლისათვის ხელფასი – 4055,54 ლარი უნდა გაცემულიყო 2005 წლის დეკემბერში, რაც მოპასუხეს არ განუხორციელებია. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ხელფასი დაირიცხა და გაიცა 2009 წლის 16 თებერვალს.

მოსარჩელე თავის მოთხოვნას ამყარებს შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია, ნებისმიერი ანაზღაურებისა თუ ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის გადაუხადოს დასაქმებულს დაყოვნებული თანხის 0,07%.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2009 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებით ი. გ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა – მოპასუხეს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ 2 705,45 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა სიიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილებით სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2009 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ი. გ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი ფაქტობრივი გარემოებები: ი. გ-შვილი მოპასუხეს-თან შრომით ურთიერთობებში იმყოფებოდა 1993 წლიდან 2007 წლის 1 ნოემბრამდე, თუმცა ეს ურთიერთობები არ ყოფილა უვა-დო (უწყვეტი) ხასიათის და მხარეები უმრავლეს შემთხვევაში აფორმებდნენ ვადიან შრომით ხელშეკრულებებს. 2000, 2002 და 2003 წლებში მხარეებს შორის გაფორმებული იყო რამდენიმე ვა-დიანი შრომითი ხელშეკრულება. მითითებული ვადიანი შრომი-თი ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, მიუღებელი შრომის ანაზღაურება (ხელფასი) 4055,54 ლარის ოდენობით სიიპ ლევან

სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს ი. გ-შვილის სასარგებლოდ გადასახდელად დაკავისრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილებით, რომელიც უცვლელად იქნა დატოვებული სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებშიც.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილების საფუძველზე ი. გ-შვილის სახელზე 2009 წლის 16 თებერვალს გაიცა მიუღებელი ხელფასი – 4055,54 ლარი.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ განსახილველ საქმეზე აღძრული სარჩელით ი. გ-შვილი, საქართველოს შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ითხოვდა ამ სახელფასო დავალიანების ანაზღაურების დაყოვნების ყოველი დღისათვის დაყოვნებული თანხის 0,07%-ის დაკისრებას მოპასუხისათვის.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ, მართალია, ის შრომითი ურთიერთობა, რომლის სახელფასო დავალიანების გადახდის დაყოვნებისათვის მოსაზრელე ითხოვდა დაყოვნების ყოველი დღისათვის 0,07%-ის გადახდევინებას, წარმოიშვა ძველი შრომის კანონთა კოდექსის მოქმედების პერიოდში, მხარეთა შორის დავა განხილული და გადაწყვეტილი უნდა ყოფილიყო ახალი, 2006 წლის 25 მაისს შრომის კოდექსის შესაბამის ნორმების გათვალისწინებით, რამდენადაც მხარეთა შორის შრომითი ურთიერთობა შეწყდა სწორედ ახალი შრომის კოდექსის მოქმედების პერიოდში. პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს ეს დასკვნა არ გამომდინარებოს საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან, კერძოდ, სადაც პერიოდში (2000, 2002 და 2003 წლებში) მხარეებს გაფორმებული ჰქონდათ რამდენიმე ვადიანი შრომის ხელშეკრულება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია მოცემული დავისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ სადაც პერიოდში (2000, 2002 და 2003 წლებში) მხარეებს შორის გაფორმებული ვადიანი შრომის ხელშეკრულებები ყველა შემთხვევაში წყდებოდა მათი ვადის გასვლის გამო და მხარეთა შორის შრომითი ურთიერთობა არ გაგრძელებულა შრომის კანონთა კოდექსის 31-ე მუხლით განსაზღვრული წესით, შესაბამისად, გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სადაც სამართალურთიერთობების მოსაწესრიგებლად

სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა 2006 წლის 4 ივლისიდან ამოქმედებული შრომის კოდექსი, რადგან ამ დროისათვის იმ შრომითი ხელშეკრულებების მოქმედების ვადები, რომლებიდანც გამომდინარეობს სადაცო სასამართალურთიერთობები, უკვე ამონურული იყო და მხარეები იმყოფებოდნენ სხვა სახის შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში, რომელიც წარმოშობილი იყო სულ სხვა ხელშეკრულების საფუძველზე. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სადაცო პერიოდში მოქმედი შრომის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ძირითადი ვალდებულებები და მათ საფუძველზე წარმოშობილი აქცესორული ვალდებულებები (მათ შორის პირგასამტებლოს დაკისრების საკითხი) ვერ დარეგულირდება საქართველოს შრომის კოდექსით, რომელსაც არ გააჩნია უკუქცევითი ძალა.

სააპელაციო პალატამ განმარტა „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის პირველი ნაწილი და მიუთითა, რომ საქართველოს შრომის კოდექსი არ შეიცავს ნორმას, რომელიც დაადგენდა ამ კანონის უკუქალას. ამდენად, მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით 2006 წლის 4 ივლისიდან ამოქმედებული შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილს სასამართლომ კანონის დარღვევით მიანიჭა უკუქალა, გაავრცელა რა იგი იმ ურთიერთობებზე, რომლებიც აღარ არსებობდა ამ კოდექსის ამოქმედების მომენტისათვის.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ამ გარემოების გათვალისწინებით, სასამართლომ მოცემულ დავასთან მიმართებაში არასწორად გამოიყენა შრომის კოდექსის 53-ე მუხლი. იმის გათვალისწინებით, რომ არც სადაცო პერიოდში მოქმედი შრომის კანონთა კოდექსი და არც ამ პერიოდში მხარეთა შორის გაფორმებული ვადიანი შრომის ხელშეკრულებები არ ითვალისწინებდა დამსაქმებლის (სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიურო) ვალდებულებას, გადაეხადა დასაქმებულისათვის (ი. გ-შვილი) შრომის ანაზღაურების დაყოვნებისათვის რაიმე პირგასამტებლო, სასამართლოს არ გააჩნდა ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი სარჩელის დასაქმაყოფილებლად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სადაცო საკითხი უნდა იქნეს განხილული ახალი შრომის კოდექსის ნორმების გათვალისწინებით, რამდენადაც მხარეთა შორის შრომითი ურთიერთობა გრძელდებოდა და იგი შეწყდა ახალი შრომის კოდექსის მოქმედების პერიოდში. ეს კი ის პერიოდია, რომლის განმავლობაშიც მოსარჩელეს წარმოეშვა და გააჩნდა მოპასუხის მიმართ შესაბა-

მისი მოთხოვნის უფლება. 2004 წლის 4 ივლისადან მოპასუხეს წარმოქმნა გალდებულება, მოსარჩელისათვის გადაეხადა სახელ-ფასო დავალიანება.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ი. გ-შვილმა. მან მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ არას-წორად დაადგინა, რომ მხარეებს შორის გაფორმებული ვადიანი ხელშეკრულებები ყველა შემთხვევაში წყდებოდა ვადის გასვლის გამო და მხარეთა შორის შრომითი ურთიერთობა არ გაგრძელებულა შრომის კანონთა კოდექსის 31-ე მუხლით განსაზღვრული წესით. ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში მუშაობის პერიოდში არც ერთი დღით ხელშეკრელების წყვეტა არ დასტურდება, რად-გან მასთან ხელშეკრულებები იდებოდა წინასწარ 2 დღით ადრე. სასამართლომ მტკიცებულად მიიჩნია როგორც ერთჯერადი დაკ-ვეთით შესრულებული სამუშაოები, ანუ კერძო აღტერნატიული ექსპერტიზის დასკვნები, ასევე მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულებები, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია იმ გარემო-ებისათვის, რომ სახელმწიფო ექსპერტის მიერ უწყვეტად იყო შეს-რულებული სამუშაოები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, საკასაციო საჩივარი, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამარ-თლებრივი დასაბუთებულობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩი-ვარი არ უნდა დაემაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ი. გ-შვი-ლი მოპასუხესთან შრომით ურთიერთობებში იმყოფებოდა 1993 წლიდან 2007 წლის 1 ნოემბრამდე. ამასთან ერთად სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს ურთიერთობა არ ყოფილა უვა-დო (უწყვეტი) და მხარეები უმრავლეს შემთხვევაში აფორმებდნენ ვადიან შრომით ხელშეკრულებებს.

ასევე სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარეები სა-დავოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ მოცემულ საქმეზე მოსარ-ჩელის მიერ დაყენებული მოთხოვნა გამომდინარეობს 2000, 2002 და 2003 წლებში წარმოშობილი შრომითი ურთიერთობებიდან და მითითებულ პერიოდში მხარეებს შორის გაფორმებული იყო რამ-დენიმე ვადიანი შრომითი ხელშეკრულება.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ასევე დადგენილია, რომ, მი-თითებული ვადიანი შრომითი ხელშეკრულებებიდან გამომდინა-რე, მიუღებელი შრომის ანაზღაურება (ზელფასი) 4055,54 ლარის ოდენობით სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო

ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ი. გ-შვილის სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2008 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილებით, რომელიც უცვლელად დარჩა სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2008 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილების საფუძველზე ი. გ-შვილზე 2009 წლის 16 თებერვალს გაიცა მიუღებელი ხელფასი – 4055,54 ლარი.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სადავო ურთიერთობაზე არ უნდა გავრცელდეს 2006 წლის 4 ივლისიდან ამოქმედებული შრომის კოდექსი, რადგან იმ დროისათვის, 2000, 2002 და 2003 წლებში დადგებული ხელშეკრულებების მოქმედების ვადები, რომლიდანაც გამომდინარეობს სადავო ურთიერთობები, უკვე ამონურული იყო.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ი. გ-შვილის მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს შრომის კოდექსის (2006 წლის 4 ივლისის რედაქციის) 31-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია, ნებისმიერი ანაზღაურების თუ ანგარიშსწორების დაყოვნების კოველი დღისათვის გადაუხადოს დასაქმებულს დაყოვნებული თანხის 0,07%. ამდენად, ყურადსალებია ის, რომ განხილვის საგანს არ წარმოადგენს ანაზღაურებისა თუ ანგარიშსწორების დაყოვნებით მიყენებული ზიანის ფაქტი, რადგან განსახილველი ნორმით განსაზღვრული პასუხისმგებლობისათვის არ არის აუცილებელი ზიანის ფაქტის არსებობა, საკმარისია მხოლოდ ანაზღაურების თუ ანგარიშსწორების დაყოვნების ფაქტის არსებობა.

როგორც აღინიშნა, განსახილველი ურთიერთობა ეხება 2000, 2002 და 2003 წლებში მხარეთა შორის დადგებული შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე შესრულებული სამუშაობისათვის გადასახდელი თანხის დაყოვნების ფაქტი. ისმის კითხვა, უნდა გავრცელდეს თუ არა განსახილველი ნორმა სადავო ურთიერთობაზე.

ამასთან დაკავშირებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოქმედი შრომის კოდექსი, ამ კოდექსის ამოქმედებამდე წარმოშობილ ურთიერთობებზე შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ ამავე კოდექსის 53-ე მუხლით დადგენილი პირობების არსებობისას, კერძოდ, განსახილველი ნორმის თანახმად, ეს კოდექსი ვრცელდება არსებულ შრომით ურთიერთობებზე, მიუხედავად მათი წარმოშობის დროისა. კონკრეტულ შემთხვევაში შრომითი ურთიერ-

თობის წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს შრომის ხელშეკრულება. მიუხედავად იმისა, რომ 1993 წლიდან 2007 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდი მოიცავდა როგორც ვადიან შრომითი ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ურთიერთობას, ასევე, კასატორის შტატში მუშაობის პერიოდს, იმისათვის, რომ შრომის კოდექსის 53-ე მუხლის საფუძველზე გავაკრცელოთ ამ ურთიერთობაზე ამავე კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილი, აუცილებელია არსებობდნენ მხარეთა შორის წარმოშობილი ის უფლება-ვალდებულები, რომლებიც წარმოიშვა ამ კოდექსის ამოქმედებამდე, მაგრამ გრძელდებიან ან შეწყდნენ ამ კოდექსის მოქმედების პერიოდში. ზუსტად რომ, ამ უფლება-ვალდებულებების წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს შრომის ხელშეკრულება. ვადიანი ხელშეკრულებით გათვალისწინებული შრომითი ურთიერთობა წყდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის ამონურვის მომენტიდან, თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული მხარეთა მიერ. თუნდაც ამ ვადის ამონურვის დღეს მხარეთა მიერ ხელახლა გამოთქმული ნება სხვა ვადიან ხელშეკრულების დადებაზე წარმოადგენს დამოუკიდებელ ხელშეკრულებას, ე.ი. წინა ხელშეკრულებისაგან დამოუკიდებელ მხარეთა მიერ გამოვლენილ ნებას, რომელიც უკავშირდება ახალ შრომითი ურთიერთობებს. კასატორი ვერ ადასტურებს და ვერ უთითებს ისეთ მტკიცებულებებზე, რომლითაც დადასტურდებოდა სააპელაციო სასამართლოში მხარეთა შორის ამ კოდექსის ამოქმედებამდე წარმოშობილი შრომითი ურთიერთობა, რომლის უფლება-ვალდებულებები გაგრძელდა ან შეწყდა მოქმედი შრომის კოდექსის მოქმედების პერიოდში. ამდენად, 2000, 2002 და 2003 წლებში მხარეთა შორის დადებული შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე შესრულებული სამუშაობისათვის გადასახდელი თანხის დაყოვნებისათვის არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოქმედი შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რადგან მითითებული ხელშეკრულებებით წარმოშობილი ურთიერთობები შეწყდა შრომის კოდექსის ამოქმედებამდე, ხოლო მოთხოვნის სხვა საფუძველი, როგორც აღინიშნა, კასატორს არ გააჩნია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორის მიერ წარმოდგენილი არ არის დასაბუთებული პრეტენზია. კონკრეტულ შემთხვე-

ვაში დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და სამართლებრივ-მატერიალური ნორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება. ამდენად, საქმეში არ მოაპოვება ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც, საქართველოს საქმოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, გამორიცხავდა სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი, რადგან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ მითითებული კანონი არ დარღვეულა. სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ი. გ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს; უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილება;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

6. შრომითი ხელშეკრულების მოშლა

განვითარება

№ას-680-1010-07

2 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო,
სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატაშ
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომსენებელი),
თ. თოდირია

დავის საგანი: სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაუ-
რება

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 2 აგვისტოს პ. დ-იძემ სარჩელით მიმართა თბილი-
სის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მო-
პასუხე შპს „თბილისის მეტროპოლიტენის“ მიმართ სამუშაოზე
აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობა-
ზე შემდეგი საფუძვლებით:

მოსარჩელის განმარტებით, მუშაობდა შპს „თბილისის მეტრო-
პოლიტენი“ სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის სამსახურ-
ში. 2004 წლის 20 დეკემბერს სამსახურის უფროსის ბრძანებით
გაფორმდა ელექტრო-მექანიკოსად. 2005 წლის 20 იანვარს ჩაა-
ბარა გამოცდა, რის საფუძველზეც მოიპოვა მუშაობის უფლება
გამოცდების პერიოდული ჩაბარების პირობით და ხელფასის ოდე-
ნობა განესაზღვრა 150 ლარით. 2006 წელს განვითარიანდა მეტრო-
პოლიტენის პროფესიონალური უფლებები. ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკუ-
რი პირობების გამო, ხელფასის მომატების მოთხოვნით, პროფ-
კავშირის სხვა წევრებთან ერთად დაიწყო ხელმოწერების შეგრო-
ვება და მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში გაფიც-
ვის ორგანიზება, რაც ადმინისტრაციის უკმაყოფილებას იწვევ-
და. მოსარჩელე მხარს უჭერდა მოსალოდნელ რეორგანიზაციას, რა-
საც თავისთავად მოპყვებოდა შტატების შემცირება, რის გა-
მოც პროფესიონალური თავმჯდომარის რწმუნებით მიენიჭა უფლე-
ბამოსილება, გაეკონტროლებინა რეორგანიზაციის ჩატარების
პროცესი და დაეცვა თანამშრომელთა ინტერესები.

შპს „თბილისის მეტროპოლიტენის“ გენერალური დირექტო-
რის 2006 წლის 27 ივლისის ბრძანების საფუძველზე პ. დ-იძე გაა-
თვისუფლეს სამსახურიდან.

აღნიშნული ბრძანება მოსარჩელემ მიიჩნია უკანონოდ, ვინაიდან თანამშრომელთა შორის სამსახურში დარჩენის უპირატესობა არ მინიჭებია საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგებით და, ამასთან, მისი განთავისუფლების საკითხი არც პროფესიონალური თან შეთანხმებულა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პ. დ-იძემ მოითხოვა მისი სამუშაოდან დათხოვნის შესახებ ბრძანების გაუქმება, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

მოპასუხე შპს „თბილისის მეტროპოლიტენის“ წარმომადგენლებმა სარჩელი არ ცნეს იმ მოტივით, რომ პ. დ-იძე სამსახურიდან გათავისუფლდა შრომის კანონთა კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს დისკრიმინაციად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2006 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებით პ. დ-იძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა პ. დ-იძემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 13 ივლისის განჩინებით პ. დ-იძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ საქმეზე არსებული მასალების მიხედვით მიიჩნია, რომ პელანტის განთავისუფლება სამუშაოდან მის დისკრიმინაციად ვერ ჩაითვლებოდა, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველია შრომითი ხელშეკრულების მოშლა, რასაც ითვალისწინებს შრომის კანონთა კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი. გარდა ამისა, სასამართლომ ჩათვალა, რომ, შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მოწინააღმდეგე მხარეს უფლება ჰქონდა, სამუშაოს არსიდან და მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, თავისი მიზნის მისაღწევად სასურველი კანდიდატურები შეერჩია.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის დროს პროფესიონალური თანხმობა აუცილებელი არ იყო, ვინაიდან აღნიშნულს შრომის კანონთა კოდექსი არ ითვალისწინებს.

პელანტის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული დავა უნდა გადაწყვეტილიყო სამოქალაქო კოდექსის შესა-

ბამისად, ვინაიდან ვალდებულებითი სამართლის ნორმებიდან გამომდინარე, მოწინააღმდეგე მხარემ არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა, ვინაიდან მიიჩნია, რომ მხარეთა შორის შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საკითხი მოწესრიგებულია შრომის კანონთა კოდექსის 37-38 მუხლებით და რომელიმე სპეციალური კანონი ან საერთაშორისო ხელშეკრულება აღნიშნულ საკითხს განსხვავებულად არ ადგენს.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლო 1997 წელს მიღებული „პროფესიული კავშირის შესახებ“ საქართველოს კანონთან შედარებით სწორად მიანიჭა უპირატესობა საქართველოს შრომის კანონთა კოდექსს და განსახილველი დავის გადაწყვეტისას სწორად გამოიყენა ამ კანონის ნორმები.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა პ. დ-იძემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ განჩინების მიღებისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა იგი და არ გაითვალისწინა საერთაშორისო კანონმდებლობათა მოთხოვნები, კერძოდ, შრომის კანონთა კოდექსის მე-2 მუხლის მოთხოვნათა უგულებელყოფით, სამუშაოდან განთავისუფლების კანონიერების საკითხი საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 37-ე-38-ე მუხლების მოქმედების სფეროში მოაქცია და ფაქტობრივად კანონიერად ცნო პირის სამსახურიდან დათხოვნის მართლსანინააღმდეგო ქმედება, რითაც დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულების ცნება იურიდიულ ნომენსად აქცია.

ამასთან, კასატორის აზრით, სასამართლოს შეცდომები ძირითადად ეფუძნება ახალმიღებული შრომის კანონთა კოდექსის ნორმებსა და აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე სტაბილური სასამართლო პრაქტიკის არსებობას. ამასთან, სასამართლომ ზერელებ გამოიკვლია საქმის სწორი გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი გარემობები, კერძოდ, უარყო მისი განთავისუფლების ბრძანების უკანონობა ანუ მეტროპოლიტენის მხრიდან დისკრიმინაციის დაუშვებლობის ვალდებულების დარღვევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პ. დ-იძემ სააპელაციო სა-

სამართლოს გასაჩივრებული განჩინება მიიჩნია უკანონოდ და მოითხოვა მისი გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ პ.დ.-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მის მიმართ განხორციელდა შრომის კანონმდებლობით აკრძალული დისკრიმინაცია, რადგან სათანადო მიზეზებისა და პირობების გარეშე მისი შემცირებით დაირღვა თანასწორუფლებიანობის პრინციპი, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს.

საქართველოს კონსტიტუცია და საქართველოს შრომის კოდექსი აღიარებს „შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ“ უწევის კონვენციის 1-ელი მუხლის 1-ელ პუნქტში მითითებულ განმარტებას დისკრიმინაციის შესახებ და საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი უზრუნველყოფს ყოველი ადამიანის თანასწორობას კანონის ნინაშე, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილით აკრძალულია ზემოთ მითითებული ნებისმიერი სახის დიკრიმინაცია.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 2003 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებაში ჯ. ჯ.-ისა, ნ. უ.-ისა და სხვათა კონსტიტუციურ სარჩელზე, განმარტავს, რომ კანონის ნინაშე თანასწორობის პრინციპი გულისხმობს ყველა იმ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების თანაბრად აღიარებას და დაცვას, რომელიც იმყოფება თანაბრა პირობებში და კანონით განსაზღვრული საკითხის მიმართ აქვს ადეკვატური დამოკიდებულება.

პალატას მიაჩნია, რომ საქართველოს შრომის კოდექსი, რომელიც აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და თანმდევ ურთიერთობებს, თავისი ნორმებით ერთნაირ პირობებში აყენებს მოწინააღმდეგე მხარის დაწესებულებაში ყველა დასაქმებულს და მათ შორის – კასატორსაც.

რაც შეეხება კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მის მიმართ მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლის მიერ განხორციელებული არამართლზომიერი ქმედებით, ზემოთ აღნიშნული

ნორმების შესაბამისად, მისი სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ ბრძანების გამოცემით, არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რაც ნიშნავს მის დიკრიმინაციას, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, ვინაიდან, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის მე-2 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დისკრიმინაციად არ ჩაითვლება პირთა განსხვავების აუცილებლობა, რომელიც გამომდინარეობს სამუშაოს არსდან, სკეციფიკიდან ან მისი შესრულების პირობებიდან, ემსახურება კანონიერი მიზნის მიღწევას და არის მისი მიღწევის თანაზომიერი და აუცილებელი საშუალება.

საქმის მასალებით დასტურდება და არც კასატორი უარყოფს იმ გარემოებას, რომ მოწინააღმდეგებ მხარის 2006 წლის 15 მაისის ბრძანებით, რომელიც ამოქმედდა 2006 წლის 16 მაისიდან, დაიწყო სანარმოს ყველა სტრუქტურულ ერთეულში რეორგანიზაციის, სტრუქტურული ცვლილებების, საშტატო რიცხოვნების ოპტიმიზაციისა და შრომის ანაზღაურების ცვლილების პროცესი და რეორგანიზაციის შედეგად მოსალოდნელი განთავისუფლების შესახებ ეცნობა შეს „თბილისის მეტროპოლიტენის“ მთელ შემადგენლობას.

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გათვალისწინებულია სახელმწიფოს მხრიდან თავისუფალი მენარმებობისა და კონკურენციის განვითარებისათვის ხელისშემწყობი მოთხოვნები, რომელიც გულისხმობს მენარმის უფლებას, თავისი სურვილის მიხედვით შეარჩიოს კონტრაპენტი, აირჩიოს სანარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, საქმიანობის საგანი, თავისი შეხედულებით დაიქირაოს და გაათვისუფლოს თანამშრომლები.

ამასთან, ალსანიშნავია, რომ შრომითი სამართალურთიერობები სამენარმეო უფლებამოსილების განხორციელებისას ხასიათდებონ გარკვეული თავისებურებებით. უპირველეს ყოვლისა აღინიშული თავისებურებები ვლინდებან სამენარმეო იურიდიული პირების საკუთრების უფლების რეალიზაციაში, რომლის ერთ-ერთ უმთავრესს მიზანს წარმოადგენს მოგების მიღება. ამ მიზნის მისაღწევად მას შეუძლია საკუთრებითი წესრიგის მართლზომიერი მართვა, რომლის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს იმ მუშა-მოსამსახურეთა არჩევის უფლება, რომლებიც უზრუნველყოფენ მესკუთრეისაგან დაქირავებული ქონებით მოგების მენარმისათვის მიღებას.

კონკრეტულ შემთხვევაში, საკასაციო საჩივრის ფარგლებში საქმის განხილვისას კასატორი ვერ უთითებს ისეთ ფაქტობრივ

გარემოებებზე, რომლებიც უთითებს მეწარმის მიერ თავისი უფლების არამართლზომიერად გამოყენებაზე და აქედან გამომდინარე მისი ქმედებების უსაფუძვლობაზე, რაც უნდა შეეფასებინა და არ შეფასა ან არასათანადოდ შეაფასა სააპელაციო სასამართლომ.

პალატა თვლის, რომ მოწინააღმდეგ მხარეს ჰქონდა უფლება სამუშაოს არსიდან, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, თავისი მიზნის მისაღწევად შეერჩია სასურველი კანდიდატურები და ეს ქმედება მას, ზემოთ მითითებული ნორმის თანახმად, არ ჩაეთვლება დისკრიმინაციად.

საკასაციო პალატა ასევე ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას მის განთავისუფლებასთან დაკავშირებით პროფკავშირთან შეთანხმების აუცილებლობის შესახებ და მიაჩნია, სასამართლომ სწორად დაადგინა, რომ შრომის კოდექსი არ ითვალისწინებს დასაქმებულთან შრომის ურთიერთობის შეწყვეტის დროს მესამე პირთა, მათ შორის, პროფკავშირის თანხმობას.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლომ, 1997 წელს მიღებული „პროფესიული კავშირის შესახებ“ საქართველოს კანონთან შედარებით სწორად მიანიჭა უპირატესობა საქართველოს შრომის კოდექსს და განსახილველი დავის გადაწყვეტისას სწორად გამოიყენა ამ კანონის ნორმები.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, პალატა მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ არსებობს მისი დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული ადანყვეტილების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

პ. დ-იძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 13 ივლისის განჩინება;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

შრომითი ხელშეკრულების მოშლა

განვითარება

№ას-695-1025-07

2 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო,
სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატაშ
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია

დავის საგანი: სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაუ-
რება

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 12 დეკემბერს გ. წ-ელმა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე შპს „თბილისის მეტროპოლიტენის“ წინააღმდეგ სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე შემდეგი საფუძვლებით:

მოსარჩელის განმარტებით, 1986 წლიდან 2006 წლის 11 ნოემბრამდე მუშაობდა შპს „თბილისის მეტროპოლიტენში“ მემანქანედ, 2004 წლიდან კი არის მეტროპოლიტენის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის გამგეობის თავმჯდომარე. შპს „თბილისის მეტროპოლიტენის“ გენერალური დირექტორის 2006 წლის 10 ნოემბრის ბრძანებით, მრომის კანონთა კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ პუნქტის საფუძველზე გაათავისუფლეს ელდეპოს „გლდანის“ №8 საექსპლუატაციო საამქროს ხაზის მემანქანის თანამდებობიდან.

აღნიშნული ბრძანება მოსარჩელემ მიიჩნია უკანონოდ იმ საფუძვლით, რომ მასზე, როგორც პროფესიული კავშირის გამგეობის თავმჯდომარეზე, უნდა გავრცელებულიყო სპეციალური კანონი და შპს „მეტროპოლიტენის“ გენერალური დირექტორი მისი სამუშაოდან განთავისუფლებისას ვალდებული იყო, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსთან ერთად ეხელმძღვნელა „პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონით, ვინაიდან ამ კანონის იმპერატიული მოთხოვნიდან გამომდინარე, „მეტროპოლიტენის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის“ წინასწარი თანხმობის გარეშე დაუშვებელი იყო მისი სამუშაოდან განთავისუფლება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გ. წ-ელმა მოითხოვა მისი სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ ბრძანების გაუქმება, წინანდელ თანამდებობაზე აღდგენა და მოპასუხისათვის მის სა-სარგებლოდ განაცდურის ანაზღაურების დაკისრება ყოველთვი-ურად 650 ლარის ოდენობით სასამართლო გადაწყვეტილების აღ-სრულებამდე.

მოპასუხე შპს „თბილისის მეტროპოლიტენის“ წარმომადგენ-ლებმა სარჩელი არ ცნეს იმ მოტივით, რომ გ. წ-ელი სამსახური-დან განთავისუფლდა შრომის კანონთა კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ახალ შრომის კოდექსში კი აღარ არის გათვალისწინებული პროფკავშირის თანხმობა, შესაბამი-სად, მოითხოვს მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილება-ზე უარის თქმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-ლეგიის 2007 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილებით გ. წ-ლის სარ-ჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წე-სით გაასაჩინორა გ. წ-ელმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 16 ივლისის განჩინებით გ. წ-ლის სააპელა-ციო საჩინოარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თბილისის საქალა-ქო სასამართლომ აღნიშნული დავის მოსაწესრიგებლად სწორად გამოიყენა საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი და არა „პრო-ფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონი, ვინაიდან „პროფესიული კავშირების შესახებ“ კანონი არ წარმოადგენს სპე-ციალურ კანონს შრომითი და მის თანმდევი ურთიერთობების შე-სახებ, შესაბამისად, არ უნდა გამოყენებულიყო აღნიშნული კა-ნონი, მით უმეტეს, რომ დღეს მოქმედი საქართველოს შრომის კა-ნონთა კოდექსის ძველი შრომის კანონთა კოდექსისაგან განსხვა-ვებით არ მოითხოვს პროფკავშირების თანხმობას ხელშეკრულე-ბის შეწყვეტისას.

სააპელაციო პალატამ საქმეში არსებული მასალების მიხედ-ვით მიიჩნია, რომ აპელანტის განთავისუფლება სამუშაოდან მის დისკრიმინაციად ვერ ჩაითვლებოდა, ვინაიდან, მოცემულ შემ-თხვევაში, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველია შრო-მითი ხელშეკრულების მოშლა, რასაც ითვალისწინებს შრომის კა-ნონთა კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი, რომელიც დამსაქ-მებლისათვის არ ითვალისწინებს შრომითი ხელშეკრულების მოშ-

ლის საფუძვლებზე მითითებას, შესაბამისად, პალატის აზრით, შპს „თბილისის მეტროპოლიტენი“ არ იყო ვალდებული, მიეთითებინა განთავისუფლების საფუძვლებზე. გარდა ამისა, პალატამ მიუთითა, რომ საქმეში არსებული გ. წ-ის პირადი საქმით დასტურდებოდა აპელანტის მხრიდან დისციპლინის დარღვევის არაერთი ფაქტი.

მოსარჩელის მოთხოვნა ბრძანების ბათილობის თაობაზე იმ საფუძვლით, რომ იგი ენინააღმდეგებოდა კანონს – საერთაშორისო ხელშეკრულებას, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა, ვინაიდან მიიჩნია, რომ საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი არ ენინააღმდეგებოდა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. წ-ელმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ განჩინების გამოტანისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა იგი და არ გაითვალისწინა საერთაშორისო კანონმდებლობათა მოთხოვნები.

სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა „პროფკავშირთა შესახებ საქართველოს კანონის“ მე-11.5 მუხლზე, რომლის თანახმად, დასაქმების პოლიტიკაში პროფკავშირების მონაწილეობის ერთერთი გარანტია გამომდინარეობს საქართველოს მიერ ნაკისრი დასაქმების პოლიტიკის გატარების საერთაშორისო ვალდებულებიდან, რომელიც გამომდინარეობს შრომის უფლებისა და საზოგადოდ ადამიანის უფლებების დაცვის საყოველთაო პრინციპებიდან და დებულებებიდან. შესაბამისად, მიიჩნია, რომ სადაცო აქტი ამ კანონთან ერთად ენინააღმდეგებდა საქართველოს კონსტიტუციის 30.4 მუხლს, ასევე შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1964 წლის 17 ივნისის კონვენციას „დასაქმების შესახებ“, ამ ორგანიზაციის დამფუძნებელ დოკუმენტს – ფილადელფიის დეკლარაციასა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას.

ყოველივე ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, გ. წ-ელმა მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელი დაკმაყოფილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ გ. წ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მის მიმართ განხორციელდა დისკრიმინაცია, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს.

საქართველოს კონსტიტუცია და საქართველოს შრომის კოდექსი აღიარებს „შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ“ უწევის კონვენციის პირველი მუხლის პირველი პუნქტში მითითებულ განმარტებას დისკრიმინაციის შესახებ და საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის უზრუნველყოფს ყოველი ადამიანის თანასწორობას კანონის წინაშე, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილით აკრძალულია ზემოთ მითითებული ნებისმიერი სახის დიკრიმინაცია.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 2003 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებაში ჯ. ჯ-ის, ნ. უ-ისა და სხვათა კონსტიტუციურ სარჩელზე, განმარტავს, რომ კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი გულისხმობს ყველა იმ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების თანაბრად აღიარებას და დაცვას, რომელიც იმყოფება თანაბრა პირობებში და კანონით განსაზღვრული საკითხის მიმართ აქვს ადეკვატური დამოკიდებულება.

პალატას მიაჩნია, რომ საქართველოს შრომის კოდექსი, რომელიც აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და თანმდევ ურთიერთობებს, თავისი ნორმებით ერთნაირ პირობებში აყენებს მოწინააღმდეგე მხარის დანესტულებაში ყველა დასაქმებულს და მათ შორის კასატორსაც.

კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მასთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას ადმინისტრაციის მხრიდან ადგილი ჰქონდა მის დიკრიმინაციას, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, ვინაიდან, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის მე-2 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დისკრიმინაციად არ ჩაითვლება პირთა განსხვავების აუცილებლობა, რომელიც გამომდინარეობს სამუშაოს არსიდან, სკეციფიკიდან ან მისი შესრულების პირობებიდან, ემსახურება კანონიერი მიზნის მიღწევას და არის მი-

სი მიღწევის თანაზომიერი და აუცილებელი საშუალება.

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გათვალისწინებულია სახელმწიფოს მხრიდან თავისუფალი მენარმეობისა და კონკურენციის განვითარებისათვის ხელისშემწყობი მოთხოვნები, რომელიც გულისხმობს მენარმის უფლებას, თავისი შესედულებით შეარჩიოს კონტრაპენტი, აირჩიოს საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, საქმიანობის საგანი, თავისი მიზნებიდან გამომდინარე დაქირაოს და შეწყვიტოს პირთან შრომითი ურთიერთობები. ამასთან, აღსანიშნავია, რომ შრომითი სამართლურთიერთობები სამენარმეო უფლებამოსილების განხორციელებისას ხასიათდებიან გარკვეული თავისებურებებით. უპირველეს ყოვლისა აღნიშნული თავისებურებები ვლინდება სამენარმეო იურიდიული პირების საკუთრების უფლების რეალიზაციაში, რომლის ერთ-ერთ უმთავრესს მიზანს წარმოადგენს მოგების მიღება. ამ მიზნის მისაღწევად მას შეუძლია საკუთრებითი წესრიგის მართლზომიერი მართვა, რომლის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს იმ მუშა-მოსამსახურეთა არჩევის უფლება, რომლებიც უზრუნველყოფენ მენარმისათვის მოგების მიღებას.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ გ. წ-ს ჩადენილი აქვს დისციპლინის დარღვევის არაერთი ფაქტი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო საჩივრის ფარგლებში საქმის განხილვისას კასატორი არ უთითებს ისეთ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე, რაც გამორიცხავდა დადგენილ გარემოებებს, შესაბამისად კასატორს წამოყენებული არა აქვს დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია. კასატორის მტკიცებას, რომ ადგინისტრაცია მას დევნიდა, გაზეთში გამოქვეყნებული სტატიების გამო, ვერ იქნება გაზიარებული, ვინაიდან აღნიშნული მოსარჩელის მიერ ვერ იქნა დადასტურებული.

ამდენად, პალატა თვლის, რომ მოწინააღმდეგე მხარეს ჰქონდა უფლება სამუშაოს არსიდან, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, თავისი მიზნის მისაღწევად შეეწყვიტა გ. წ-თან შრომითი ურთიერთობა და ეს ქმედება მას, ზემოთ მითითებული ნორმის თანახმად, არ ჩაეთვლება დისკრიმინაციად.

საკასაციო პალატა ასევე ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზ-

რეპას მის განთავისუფლებასთან დაკავშირებით პროფესიონალურ-თან შეთანხმების აუცილებლობის შესახებ და მიაჩნია, სასამართლომ სწორად დაადგინა, რომ შრომის კოდექსი არ ითვალისწინებს დასაქმებულთან შრომის ურთიერთობის შეწყვეტის დროს მესამე პირთა, მათ შორის, პროფესიონალურის თანხმობას.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლომ, 1997 წელს მიღებული „პროფესიული კავშირის შესახებ“ საქართველოს კანონთან შედარებით სწორად მიანიჭა უპირატესობა საქართველოს შრომის კოდექსს და განსახილველი დავის გადაწყვეტისას სწორად გამოიყენა ამ კანონის ნორმები.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, პალატა მიიჩნევს, რომ ნარმოდგენილი საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ არსებობს მისი დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

გ. წ-ელის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 16 ივლისის განჩინება;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

შრომითი ხელშეკრულების მოშლა

განხილვა

№ას-772-987-08

31 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო,
სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 8 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სა-
სარჩელო განცხადებით მიმართა ნ. თ-ძემ მოპასუხე სსიპ ლევან
სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული
ბიუროს მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მისი სამუშაოდან გათა-
ვისუფლების შესახებ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სა-
სამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსის 2007
წლის 31 მაისის №01-275/პ ბრძანების ბათილად ცნობა და თა-
ნამდებობაზე აღდგენა.

მოსარჩელის მოთხოვნის საფუძვლები მდგომარეობს შემდეგ-
ში:

მოსარჩელეს აქვს უმაღლესი სამედიცინო განათლება, საექ-
სპერტო დაწესებულებაში მუშაობის ოცი წლის სტაჟი, არის სერ-
თიფიცირებული ნარკოლოგი.

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერ-
ტიზის ეროვნული ბიუროს უფროსის მოვალეობის შემსრულებ-
ლის 2006 წლის 4 სექტემბრის №01-572/პ-202 ბრძანებით მოსარ-
ჩელე დაინიშნა ამავე ბიუროს აჭარის რეგიონალური სამსახურის
სამედიცინო და ნარკოლოგიური ექსპერტიზის განყოფილების
ნარკოლოგიური ექსპერტიზის ჯგუფის ექსპერტად.

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერ-
ტიზის ეროვნული ბიუროს უფროსის 2007 წლის 31 მაისის №01-
275/პ ბრძანებით ნ. თ-ძე 2007 წლის 1 ივნისიდან სამუშაოდან გა-
თავისუფლდა. აღნიშული ბრძანების საფუძვლად მიეთითა შრო-
მის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი, 38-ე მუხლის პირვე-
ლი ნაწილი, დამსაქმებლის ინიციატივა (დისციპლინური პასუხის-
მგბლობა), 38-ე მუხლის მეოთხე ნაწილი, აგრეთვე რ. ს-ძისა და

გ. წ-ძის მოხსენებითი ბარათები.

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსის 2007 წლის 1 ივნისის ბრძანებით ცვლილება შევიდა ნ. თ-ძის გათავისუფლების შესახებ ზემომითითებული ბრძანების პირველ პუნქტში და აღნიშნული პუნქტიდან ამოღებულ იქნა სიტყვები: „დისციპლინური პასუხისმგებლობა“.

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს იურიდიული განყოფილების უფროს მ. წ-ძისა და ამავე ბიუროს აქარის რეგიონალური ექსპერტიზის სამსახურის უფროს რ. ს-ძის მოხსენებით ბარათებთან დაკავშირებით ადმინისტრაციას მოსარჩელი-საგან არანაირი ახსნა-განმარტება არ მოუთხოვია. უფრო მეტიც, აღნიშნული ბარათების შესახებ მისთვის ცნობილი გახდა მხოლოდ სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ჩაბარებისას.

მოსარჩელის მოსაზრებით, სადაც ბრძანებაში გათავისუფლების საფუძვლად მითითებული სამართლებრივი ნორმები ვერ ასაბუთებდა თანამდებობიდან დათხოვნის მართლზომიერებას. აღნიშნულის კონკრეტულ გამოხატულებას წარმოადგენდა გასაჩივრებულ ბრძანებაში 2007 წლის 1 ივნისს განხორციელებული ცვლილება, რა დროსაც ბრძანების თავდაპირველი რედაქციიდან ამოღებულ იქნა სიტყვები: „დისციპლინური პასუხისმგებლობა“. მოპასუხემ ამგვარი ქმედებით, ფაქტობრივად, აღიარა ნ. თ-ძის მხრიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის არარსებობა. რაც შეეხებოდა შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ პუნქტსა და 38-ე მუხლის პირველ ნაწილს, მართალია, კანონის დასახელებული ნორმები ადმინისტრაციას მუშაკთან შრომითი ურთიერთობის შენყვეტის უფლებამოსილებას ანიჭებდა, მაგრამ ასეთ პირობებში დამსაქმებელს არანაკლებ ერთი თვის შრომის ანაზღაურება მიეცემოდა. მოცემული დანაწესიდან კანონი გამონაკლისს ადგენდა მუშაკის მიერ შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევებზე. სწორედ ამ გამონაკლისი შემთხვევის არსებობა დაადასტურა მოპასუხემ ნ. თ-ძესთან მიმართებაში, როდესაც გასაჩივრებული ბრძანებიდან სიტყვების – „დისციპლინური პასუხისმგებლობა“ – ამოღების მიუხედავად, შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-4 ნაწილზე მითითება უცვლელად დატოვა.

გასაჩივრებული ბრძანებაში მოსარჩელის სამუშაოდან გათავისუფლების საფუძვლად შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-4 ნაწილზე მითითება განაპირობებდა ადმინისტრაციის ვალდებულე-

ბას, დაედასტურებინა ნ. თ-ძის მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შეუსრულებლობა. ასეთი ფაქტობრივი საფუძველი მოპასუხეს არ გააჩნდა. შესაბამისად, მოსარჩელის სამუშაოდან გათავისუფლება არაკანონიერად უნდა მიჩნეულიყო.

მოპასუხე სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით:

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დებულების მეოცე მუხლის თანახმად, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ნარკოლოგიური ექსპერტიზის განყოფილების ძირითადი ამოცანაა ფსიქოაქტიური ნივთიერებების (ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, ალკოჰოლის) მიღების ფაქტის დადგენა კლინიკური გამოკვლევით და ექსპრეს-ტესტით, სასამართლო-ნარკოლოგიური ექსპერტიზის ორგანიზება და წარმოება, ნარკოლოგიური აღრიცხვის მონაცემთა საინფორმაციო ბაზის შექმნა და წარმოება. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შინაგანანების 1.3 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად, ბიუროში დასაქმებულმა პირებმა უნდა დაიცვან შრომის დისცილინა და გამოამჟღავნონ შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება.

2007 წლის 18 მაისის მდგომარეობით სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონალური ექსპერტიზის სამსახურში მუშაობდა ოთხი ექსპერტი: ნ. თ-ძე, ნ. მ-ილი, მ. კ-ძე, თ. მ-ძე. აჭარის რეგიონალური ექსპერტიზის სამსახურის იმუნდიდელ უფროს რ. ს-ძის სიტყვიერი დავალებით ჯგუფს ხელმძღვანელობას უწევდა ნ. თ-ძე, რომელიც მუშაობდა ყოველდღიურად, ხოლო დანარჩენი ექსპერტები მუშაობდნენ ყოველ მესამედღეს. ექსპერტთა ჯგუფში ინახებოდა ალკოჰოლური თრობის შემონმების ერთი შეკვრა ოქმები, რომელიც ნ. თ-ძეს გადაეცემოდა აჭარის რეგიონალური ექსპერტიზის სამსახურის უფროსის მიერ მას შემდეგ, რაც ერთი შეკვრა ოქმი იქნებოდა რეალიზებული (შეკვრაში ასი ცალი ფურცელი იყო აღრიცხული და დანომრილი).

2007 წლის 4 მაისს ექსპერტმა ნ. მ-ილმა მისი მორიგეობის პერიოდში აღმოაჩინა, რომ №0000447 ოქმის შეუცვებელი ბლანკი ამოხული და დაკარგული იყო, რის გამოც 7 მაისს მიმართა აჭარის რეგიონალური ექსპერტიზის სამსახურის უფროსს. სამსახურებრივმა მოკვლევამ შედეგი ვერ გამოილო. გამოირგვა, რომ 2006 წლის ბოლოს ამავე ექსპერტებს დაკარგული ჰქონდათ პიროვნებიდან შემონმების მიზნით აღებული შარდის ნიმუში, რომელიც

ინახებოდა ექსპერტთა ჯგუფისათვის გამოყოფილ მაციგარში.

კვლევის ობიექტებთან და შეუცხებელ ბლანკებთან დასახელებული ჯგუფის ექსპერტთა გარდა შეხება არავის ჰქონდა. აჭარის რეგიონალური ექსპერტიზის სამსახურის უფროსმა 2007 წლის 18 მაისს მიმართა ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს და ითხოვა შესაბამისი რეაგირება. თავის მხრივ, საქმის მასალები შესასწავლად გადაეცა ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს იურიდიულ განყოფილებას. დასახელებულმა განყოფილებამ ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს შუამდგომლობით მიმართა შესაბამისი მასალები შემდგომი შემოწმების მიზნით გადაგზავნილიყო საგამოძიებო ორგანოებში.

მოპასუხის მოსაზრებით, ზემომითითებული ფაქტობრივი გარემოებები იძლეოდა დასაკრის საფუძველს, რომ ნ. თ-ძეს, რომელიც აჭარის რეგიონალური ექსპერტიზის სამსახურის უფროსის სიტყვიერი დავალებით ხელმძღვანელობას უწევდა სამსახურის ნარკოლოგიურ ექსპერტთა ჯგუფს და დანარჩენი ექსპერტებისაგან განსხვავებით თავის სამსახურებრივ მოვალეობებს ყოველდღიურად ასრულებდა, უნდა უზრუნველეყეყო ჯგუფისათვის ჩაბარებული ფორმულარების (ოქმების, ბლანკების) ხელშეუხებლობა, გარეშე პირთაგან მათი დაცვა.

მოპასუხებ საგულისხმოდ მიიჩნია იმ გარემოებაზე მითითება, რომ დასახელებული ოქმის (№0000447) შეუცხებელი ბლანკის დაკარგვით ზიანი მიადგა ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფლებებსა და კანონიერი ინტერესებს, რაც, თავის მხრივ, სავარაუდოდ საფუძვლიან ეჭვს ქმნიდა დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით. ალნიშნული მიზეზი ასაბუთებდა ნ. თ-ძის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებას, შრომითი მოვალეობებისადმი გულგრილი დამოკიდებულებით დისციპლინური გადაცდომის ჩადენას, რაც გამოიხატა შრომითი მოვალეობის ერთჯერად უხევ დარღვევები. მოსარჩელის მიმნებებლობის შედეგად შესაძლებელი გახდა მკაცრი აღრიცხვის შეუცხებელი ბლანკის დაკარგვა. აქედან გამომდინარე, დამსაქმებელმა – სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ გამოიყენა შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება – შეწყვიტა ნ. თ-ძესთან შრომითი ურთიერთობა. რამდენადაც მოსარჩელე შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას არ ასრულებდა, მოპასუხებ იმავდროულად იხელმძღვანელა შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-4 ნაწილით, რაც მას არ ავალებდა დასაქმებულის მიმართ იმ სოციალური დაცვის მექანიზმის გამოყენების გამოყოფილ მაციგარში.

ბას, რასაც ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები ითვალისწინება.

მოპასუხებ არ გაიზიარა სარჩელში გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ნ. თ-ძისათვის მისი სამუშაოდან გათავისუფლების მიზეზი უცნობი იყო. შესაგებელზე თანდართული ნ. თ-ძის 14.05.2007ნ. ახსნა-განმარტება ადასტურებდა, რომ მან აღნიშნული დროისათვის მკაცრი აღრიცხვის შეუვსებელი ბლანკის დაკარგვის შესახებ იცოდა.

ნ. თ-ძემ მოპასუხის მიერ შესაგებელში მოყვანილი არგუმენტები არ გაიზიარა და განმარტა, რომ 2007 წლის დასაწყისში აჭარის რეგიონალური ექსპერტიზის სამსახურის უფროსმა რ. ს-ძემ ნარკოლოგიურ ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელობის დაკისრების თაობაზე მას სიტყვიერად აცნობა, თუმცა აღნიშნულს შედეგად არ მოჰყოლია დანიშვნის შესახებ ბრძანების მიღება ან ხელფასის ოდენობაში შესაბამისი ცვლილება. აქედან გამომდინარე, მოსარჩელემ ჩათვალა, რომ ადმინისტრაციამ მისი დაწინაურება საჭიროდ აღარ მიიჩნია. უფრო მეტიც, როდესაც ნ. თ-ძემ ითხოვა განმარტება – გააჩნდა თუ არა მას ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელის სახელით დოკუმენტებზე ხელმოწერის უფლებამოსილება, სამსახურის უფროსის მიერ უარყოფითი პასუხი მიიღო. შესაბამისად, მოსარჩელე თავს ჯგუფის ხელმძღვანელად არ მიიჩნევდა, ხოლო პირადად მასზე დაკისრებულ მოვალეობებს დროულად და ხარისხიანად ასრულებდა.

2007 წლის 4 მაისს აჭარის რეგიონალური ექსპერტიზის სამსახურში მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით ნ. თ-ძემ აღნიშნა, რომ №0000447 ოქმის დაკარგვის ფაქტთან მიმართებაში მას საფუძვლიანი ეჭვი გააჩნდა, კერძოდ, მოცემულ შემთხვევას იგი რიგით თანამდებობის პირების ბრალეულობას უკავშირებდა. ამასთან, ნ. თ-ძის ძალისხმევა, ჩადენილ დანაშაულს დროული რეაგირება მოჰყოლოდა, ამ დრომდე უშედეგო აღმოჩნდა. სანაცვლოდ მოსარჩელე სამუშაოდან გაათავსუფლეს, საფუძვლად კი რ. ს-ძისა და მ. ნ-ძის მოხსენებითი ბარათები დაასახელეს, რომელთა შინაარსიც მისთვის არავის გაუცვნია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2007 წლის 7 აგვისტოს გადაწყვეტილებით ნ. თ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – ბათილად იქნა ცნობილი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსის 2007 წლის 31 მაისის №01-275/3 ბრძანება ნ. თ-ძისათვის არანაკლებ ერთი თვის შრომის ანაზღაურების მიცემაზე უარის თქმის ნაწილში, დანარჩენ ნაწილში სარ-

ჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველია შრომითი ხელშეკრულების მოშლა ერთ-ერთი მხარის ინიციატივით. მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულების მოშლის ინიციატივი იყო დამსაქმებელი – სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დირექცია, რომელმაც გადაწყვეტილება 6. თ-ძეს-თან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ მიიღო აჭარის რეგიონალური ექსპერტიზის სამსახურის უფროს რ. ს-ძისა და სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს იურიდიული განყოფილების უფროს მ. წ-ძის მოხსენებითი ბარათების გათვალისწინებით.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ შრომის კანონმდებლობა დამსაქმებელს არ ავალდებულებდა, მიეთითებინა შრომითი ხელშეკრულების მოშლის მოტივებზე და მას უფლებას ანიჭებდა ნებისმიერ დროს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თავისი შეხედულებისამებრ მიეღო გადაწყვეტილება შრომითი ხელშეკრულების მოშლის თაობაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით საქალაქო სასამართლო მიიჩნია, რომ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ადმინისტრაციას 6. თ-ძის სამუშაოდან გათავისუფლებისას შრომის კოდექსის მოთხოვნები არ დაურღვევია.

საქალაქო სასამართლომ ასევე მიუთითა შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტზე, რომლის მიხედვით, შრომითი ხელშეკრულების დამსაქმებლის ინიციატივით მოშლის შემთხვევაში დასაქმებულს მიეცემა არაანკლებ ერთი თვის შრომის ანაზღაურება. კანონის აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ადმინისტრაციის ნება 6. თ-ძისათვის არაანკლებ ერთი თვის შრომის ანაზღაურებაზე უარის თქმის თაობაზე კანონსანინააღმდეგო იყო, რის გამოც გასაჩივრებული ბრძანება ამ ნაწილში ბათილად ცნობას ექვემდებარებოდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა 6. თ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

აპელანტი საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 7 აგვისტოს გადაწყვეტილებას დაუსაბუთებლად მიიჩნევდა იმ მიზეზით, რომ

საქმეში არსებული რიგი მტკიცებულებები არასაკმარისად იყო გამოკვლეული, ხოლო უმეტეს შემთხვევაში – უგულვებელყოფილი.

აპელანტის მოსაზრებით, გასაჩივრებული ბრძანების მართლზომიერების დადგენა საჭიროებდა საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად შეფასებას, რაც საქალაქო სასამართლოს არ განუხორციელებია. ასეთ ვითარებაში არ არსებობდა საფუძველი დასკვნისათვის, რომ ნ. თ-ძის შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს აუსრულებდა.

გასაჩივრებული ბრძანების საფუძვლად მითითებული მოხსენებითი ბარათები მიზნად ისახავდა ექსპერტთა ჯგუფში მომუშავე ნარკოლოგების უფლებების ხელყოფას, რამაც სამუშაოდან მათი გათავისუფლება განაპირობა. ამასთან, მოცემულ ბარათებში ასახულ შემთხვევაში ნ. თ-ძის ბრალეულობა სრულიად დაუსაბუთებელი იყო.

აპელანტი საგულისხმოდ მიიჩნევდა იმ გარემოებას, რომ მოხსენებითი ბარათების შინაარსი მისთვის ცნობილი გახდა მხოლოდ გათავისუფლების ბრძანების ჩაბარებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, როდესაც მას სასამართლოს მეშვეობით მოპასუხის შესაგბელზე თანდართული მასალების ასლები გადაეცა. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება ადმინისტრაციის მხრიდან მუშაკის შრომითი უფლების დარღვევაზე მიუთითებდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 22 მაისს განჩინებით ნ. თ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2007 წლის 7 აგვისტოს გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები არ ქმნიდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლების შემადგენლობას, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივი საფუძვლები არ არსებობდა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს არ წარმოადგენდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეუფასებლობა, როგორც ამაზე აპელანტი მიუთითებდა, რამდენადაც მოსარჩელე სამუშაოდან გათავისუფლდა შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რა დროსაც დამსაქმებელს შრომის ხელშეკრულების მოშლის

ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი არ ეკისრებოდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. თ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, კერძოდ: სამუშაოდან მისი გათავისუფლების შესახებ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექ-სპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსის 2007 წლის 31 მაისის №01-275/3 ბრძანების ბათილად ცნობა, თანამდებობაზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

კასატორის ზემოაღნიშნული მოთხოვნების საფუძვლები შემდეგში მდგომარეობს:

6. თ-ძის სამუშაოდან გათავისუფლება მოპასუხემ დაუკავშირა 2007 წლის 4 მაისს აჭარის რეგიონალური ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში მომხდარ შემთხვევას – ალკოპოლური თრობის ოქტომის ერთი ეგზემპლარის დაკარგვას, თუმცა საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები ცხადყოფს, რომ ნ. თ-ძეს არათუ ბრალი მიუძღვის მომხდარ შემთხვევაში, არამედ პირიქით – იგი ყოველმხრივ შეცადა აღნიშნულ ფაქტზე დროულ რეაგირებას. ის გარემოება, რომ ნ. თ-ძეს არანაირი დისციპლინური გადაცდომა არ ჩაუდენია, თავად დამსაქმებლის მიერ გამოცემული ბრძანებით დასტურდება. 2007 წლის 1 ივნისის ბრძანებით განხორციელებული ცვლილებით გასაჩივრებული ბრძანებიდან ამოღებულ იქნა სიტყვები: „დისციპლინური პასუხისმგებლობა“, ხოლო დანარჩენ ნაწილში ბრძანება უცვლელად დარჩა. მოცემული ქმედებით მოპასუხემ ფაქტობრივად აღიარა, რომ ნ. თ-ძეს დისციპლინური გადაცდომა არ ჩაუდენია.

სასამართლო გადაწყვეტილება დაეფუძნა შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის იმგვარ განმარტებას, რომ შრომის კანონმდებლობა დამსაქმებელს არ ავალდებულებს შრომითი ხელშეკრულების მოტივებზე მითითებას და უფლებას ანიჭებს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თავისი შეხედულებისამებრ მიიღოს გადაწყვეტილება შრომითი ხელშეკრულების მოშლის თაობაზე. ამდენად, სასამართლო შრომითი დავის გადაწყვეტისას დაეყრდნო მხოლოდ შრომის კოდექსის 37-ე მუხლის მუხლის „დ“ ქვეპუნქტს, მაშინ როდესაც ამავე კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილი ადგენს, რომ შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებსაც არ აწესრიგებს ეს კოდექსი ან სხვა სპეციალური კანონი, რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით.

სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად,

ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. სარჩელში ასახული ფაქტობრივი გარემოებები სრულად ასაბუთებს 6. თ-ძის მიერ ვალდებულების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულებას.

იმ პირობებში, როდესაც გასაჩივრებული ბრძანება 6. თ-ძის სამუშაოდან გათავისუფლების საფუძვლად შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მეოთხე ნაწილზე მიუთითებდა, აუცილებელი იყო მოსარჩელის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის კონკრეტული შემთხვევების გამორკვევა და შეფასება, რაც სასამართლოს მიერ არ მომხდარა. შესაბამისად, აღნიშნული საფუძვლით მოსარჩელის სამუშაოდან გათავისუფლება ენინააღმდეგება შრომის კანონმდებლობას და ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებებს.

გარდა ამისა, 6. თ-ძეს შრომის კოდექსის 32-ე მუხლის საფუძველზე უფლება აქვს, მოითხოვოს იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. კანონის აღნიშნული ნორმის მიხედვით, დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენისას დასაქმებულს შრომის ანაზღაურება მიეცემა სრული ოდენობით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 22 მაისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდევ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ სსიპ ლევან სამხარაულის სახელმძიმელო სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსის 2007 წლის 31 მაისის №01-275/3 ბრძანებით ამავე ბიუროს აჭარის რეგიონალური ექსპერტიზის სამსახურის ნარკოლოგიური ექსპერტიზის ჯგუფის ექსპერტი 6. თ-ძე 2007 წლის 1 ივნისიდან გათავისუფლდა დაკავებულ თანამდებობიდან. ბრძანების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი, 38-ე მუხლის პირველი ნაწილი, 38-ე მუხლის მე-4 ნაწილი. დამატებით, ბრძანებაში გათავისუფლების საფუძვლად მითითებულია: დამსაქმებლის ინიციატივა (დისციპლინური პასუხისმგებლობა), რ. ს-ძისა და მ. წ-ძის მოხსენებითი ბარათები.

სსიპ ლევან სამხარაულის სახელმძიმელო სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსის 2007 წლის 1 ივნისის ბრძა-

ნებით ცვლილება შევიდა ზემომითითებულ ბრძანებაში და საფუძვლებიდან ამოღებულ იქნა სიტყვები: „დისკიპლინური პასუნისმგებლობა“. რაც შეეხება შრომის კოდექსის 38-ე მუხლის პირველ და მე-4 ნაწილებს, ასევე, რ. ს-ძისა და მ. წ-ძის მოხსენებით ბარათებს, ამ საფუძვლებთან მიმართებით სადაც ბრძანებას ცვლილება არ შეხებია.

შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-4 ნაწილი გამოიყენება და-საქმებულის მიერ შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში. იგი ითვალისწინებს, რომ დასაქმებულისათვის არანაკლებ ერთი თვის შრომის ანაზღაურების მიცემისა და გათავისუფლებამდე მისი არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე გაფრთხილების ვალდებულება ადმინისტრაციას არ წარმოეშობა დასაქმებულის მიერ შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში. ამდენად, შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების აუცილებელი წინაპირობაა მხარის მიერ შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა. რაც შეეხება რ. ს-ძისა და მ. წ-ძის მოხსენებით ბარათებს, მათში საუბარია აჭარის რეგიონალური ექსპერტიზის სამსახურში მომხდარ ფაქტებზე, რომლებიც დაკავშირებულია ნარკოლოგიურ ექსპერტთა ჯვეფში ალკოჰოლური თრობის შემოწმების ოქმის (№0000447) შეუსებელი ბლანკისა და შარდის ნიმუშის დაკარგვასთან. მართალია, სადაც ბრძანების საფუძვლებიდან ამოღებულია სიტყვები: „დისკიპლინური პასუხისმგებლობა“, მაგრამ აღნიშნული არ წინავს, რომ ნ. თ-ძე ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის საფუძვლით არ არის გათავისუფლებული. სადაც ბრძანების საფუძვლად დარჩენილია შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომელიც ცალსახად მიუთითებს შრომითი ხელშეკრულების მოშლაზე შრომითი მოვალეობის დარღვევის გამო და რ. ს-ძისა და მ. წ-ძის მოხსენებითი ბარათები, რომლებიც ასევე, სამსახურებრივი ვალდებულებების დარღვევის ფაქტებზე მიუთითებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნ. თ-ძის სამუშაოდან გათავისუფლების მართლზომიერების გასარკვევად აუცილებელი იყო, სააპელაციო სასამართლოს გამოერკვეა შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის საკითხი, რამაც ადმინისტრაციის მხრიდან ამ ხელშეკრულების მოშლა განაპირობა. აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია საქმეზე შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, არ შეუფასე-

ბია აჭარის რეგიონალური ექსპერტიზის სამსახურში მომხდარ ფაქტებთან დაკავშირებით შედგენილი სამსახურებრივი მოკვლევის მასალები, რ. ს-ძისა და მ. წ-ძის მოხსენებითი ბარათები, არ გამოურკვევია, ჰქონდა თუ არა ადგილი მოსარჩელის მიერ შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას. რამდენადაც მოცემულ ნანილში სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის არსებითად განხილული, ხოლო სადაც ვო საკითხი საჭიროებს საქმეზე ფაქტობრივი გარემოებების დამატებით გამოკვლევას, საქმეზე ახალი გადაწყვეტილების გამოტანა საკასაციო სასამართლოს მიერ შეუძლებელია საამისოდ შესაბამისი პროცესუალური უფლებამოსილების არქონის გამო.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებს იძულებითი განცალურის ანაზღაურების მოთხოვნაზე, რომელიც მას სარჩელში არ დაუყენება. მას არც დავის საგნის გაზრდაზე უშუამდგომლია პირველი ინსტანციის სასამართლოში. შესაბამისად, აღნიშნული მოთხოვნა ვერ იქნება ვერც საკასაციო საჩივრის განხილვის საგანი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 406-ე მუხლის თანახმად, დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, შეგებებული სარჩელის შეტანა და ხარჯების განსაზღვრა საკასაციო სასამართლოზე დაუშვებელია. ამდენად, საკასაციო სასამართლო ვერ იმსჯელებს იმ მოთხოვნაზე, რაც ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებში დავის საგანს არ წარმოადგენდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 22 მაისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შრომითი ხელშეკრულების მოშლა

განხილვა

ას-1177-1322-08

3 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო,
სამეცნიერო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა:მ.სულხანშვილი(თავმჯდომარე,მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: სამუშაოდან გათავისუფლების უკანონოდ ცნობა, ბრძანების ბათილად ცნობა და სამუშაოზე აღდგენა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიას სარჩელით მიმართა თ. მ-ძემ, მოპასუხე – სისი ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიმართ, სამუშაოდან გათავისუფლების უკანონოდ ცნობის, ბრძანების ბათილად ცნობისა და სამუშაოზე აღდგენის შესახებ. აღნიშნულ საქმეზე სასამართლოებს შორის წარმოიშვა დავა განსჯადობის თაობაზე. საბოლოოდ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თ. მ-ძის სარჩელი განსახილველად გადასცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება თ. მ-ძემ გაასაჩივრა სააპალაციო საჩივრით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ივლისის განჩინებით უცვლელი დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

თ. მ-ძე 1975 წლიდან მუშაობდა მოპასუხე ორგანიზაციაში უფროს ექსპერტად, სასამართლო ბიოლოგიური ექსპერტიზის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე. ბიოლოგიური და ეკოლოგიური ექსპერტიზის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე, დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე, შემდეგ – ქიმიური ექსპერტიზის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად. 2006 წლის 7 აგვისტოს ბრძანებით, რეორგანიზაციასთან დაკავ-

შირებით, გადაყვანილ იქნა ბიუროს ქიმიური ექსპერტიზის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად. 2006 წლის 4 სექტემბერს დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის და პირადი განცხადების საფუძველზე. იმავე დღეს 2006 წლის 4 სექტემბერს დაინიშნა ქიმიური ექსპერტიზის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე, საქართველოს შრომის კოდექსის მე-6 მუხლისა და პირადი განცხადების საფუძველზე. 2006 წლის 8 სექტემბერს გამოცემული №01-582/კ ბრძანებით თ. მ-ძე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის საფუძველზე.

მოპასუხის მიერ 2007 წლის 29 ოქტომბერს გამოცემულ იქნა ბრძანება №01-584/პ, ბიუროს მიერ გამოცემული 2006 წლის 8 სექტემბრის №01-582/კ ბრძანებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე. აღნიშნული ბრძანება სადავოდ არ გაუხდია თ. მ-ძეს.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მის მიმართ განხორციელდა შრომის კანონმდებლობით აკრძალული დისკრიმინაცია, ვინაიდან ის არა-თანაბარ პირობებში იქნა ჩაყენებული სხვა თანამშრომლებთან მიმართებაში, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს შრომის კოდექსი თავისი ნორმებით, 37-ე და 38-ე მუხლებით, ერთნაირ პირობებში აყენებს მოწინააღმდეგებ მხარის დაწესებულებაში ყველა დასაქმებულს და მათ შორის აპელანტსაც.

პალატამ მიიჩნია, რომ მოწინააღმდეგებ მხარე, სამუშაოს არ-სიდან და მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, თავისუფალია კონტრაპენტის არჩევაში და, შესაბამისად, მოპასუხის მოქმედება, რაც გამოიხატა საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მოსარჩელის სამუშაოდან განთავისუფლებაში, მოსარჩელის დისკრიმინაციად ვერ ჩაითვლება.

პალატამ ასევე მიიჩნია, რომ საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მოსასუხე არ იყო ვალდებული, მიეთითებინა განთავისუფლების საფუძველზე. ამასთან, საქართველოს შრომის კოდექსი არ ადგენს შრომითი ხელშეკრულების მოშლის თაობაზე დასაქმებულისათვის შეტყობინების ვალდებულებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ივნისის განჩინება თ. მ-ძემ გაასაჩინება საკასაციო წესით.

კასატორის წარმომადგენლის განმარტებით, შრომითი ურ-

თიერთობის შეწყვეტა (ბრძანების გამოცემა) განხორციელდა შრომითი ხელშეკრულების მოშლის საფუძველზე, რაც წესრიგ-დება საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლით, რომელიც ადგენს, რომ შრომითი ხელშეკრულების მოშლა შეიძლება ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, იმავე მუხლით დადგენილი წესით. მისი აზრით, ასეთ ვითარებაში, შრომითი ხელშეკრულების მოშლის ინიციატორი მხარე, მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი, მომალოს ხელშეკრულება, როდესაც არსებობს საამისოდ აუცილებელი წინაპირობები, რასაც უკავშირდება ხელშეკრულების მოშლის უფლებამოსილების წარმოშობა. აამ დასკვნის გამოტანისას კასატორის წარმომადგენელი ემყარება რამდენიმე წანამდლაცარს:

საქართველოს შრომის კოდექსის პირველი მუხლის მე-2 წანილით დადგენილია, რომ ამავე კოდექსით პირდაპირ მოუწერიგებელი საკითხების დასარეგულირებლად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. ხელშეკრულების (მათ შორის – შრომითის) მოშლის საფუძვლების თაობაზე და პროცედურაზე კოდექსი არაფერს ადგენს. ეს წათლად გამომდინარეობს საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 წანილების შინაარსიდან, სადაც არ არის მითითებული იმის თაობაზე, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი ხელშეკრულების მოშლა.

კასატორის განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ხელშეკრულების მოშლის, მასზე უარის თქმის უფლებამოსილება წარმოიშობა კანონით გათვალისწინებულ კონკრეტულ შემთხვევებში, კანონით გათვალისწინებული კონკრეტული გარემოებების არსებობისას.

კასატორის წარმომადგენელი თვლის, რომ შრომითი ხელშეკრულების მოშლისათვის საჭიროა კონკრეტული საფუძვლების არსებობა, რასაც უკავშირდება ამ უფლების წარმოშობა. იმდენად, რამდენადაც ხელშეკრულების მოშლა არ განხორციელებულა რამე საფუძვლით, იგი თვლის, რომ თ. მ-ის გათავისუფლება მიჩნეული უნდა იქნას უკანონოდ, ხოლო გასაჩივრებული ბრძანება კანონშეუსაბამოდ.

წარმომადგენელი მიუთითებს აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ სადაც ბრძანების გამოცემისას დარღვეულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 355-ე მუხლის მოთხოვნები.

გამომდინარე ყოველივე ზემოაღნიშნულიდან, კასატორის წარმომადგენელი მოითხოვს გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

კასატორი უთითებს იმ გარემოებას, რომ სააპელაციო სასამართლოს დადგენილი აქვს შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი.

თ. მ-ძე 1975 წლიდან მუშაობდა მოპასუხე ორგანიზაციაში უფროს ექსპერტად. სასამართლო ბიოლოგიური და ეკოლოგიური ექსპერტიზის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე, დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე, შემდეგ ქიმიური ექსპერტიზის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად. 2006 წლის 7 აგვისტოს ბრძანებით რეორგანიზაციასთან დაკავშირებით იგი გადაიყვანეს ბიუროს ექსპერტიზის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად. 2006 წლის 4 სექტემბერს დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის საფუძველზე.

ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ მოპასუხის მიერ 2007 წლის 29 ოქტომბერს გამოცემული იქნა ბრძანება №01-584\პ, ბიუროს მიერ გამოცემული 2006 წლის 8 სექტემბრის №01-582\პ ბრძანებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, რომლის მე-3 პუნქტის თანახმად 2006 წლის 8 სექტემბრის №01-582\პ ბრძანების ტექსტის სარეზოლუციო ნაწილი ჩამოყალიბებული იქნა შემდეგი რედაქციით: „საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის, 38-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან 2006 წლის 8 სექტემბრიდან სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ქიმიური ექსპერტიზის სამსახურის უფროსი თ. მ-ძე. როგორც სააპელაციო სასამართლო უთითებს, აღნიშნული ბრძანება სადაც არ გაუხდია თ. მ-ძეს.

პალატამიიჩნევს, რომ მიუხედავად იმისა, მხარემ სადაც გახადა თუ არა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გამოცემული 2007 წლის 29 ოქტომბრის ბრძანება, სასამართლო ვალდებული იყო, ემსჯელა აღნიშნულის თაობაზე.

სასამართლოს მიერ უნდა გარკვეულიყო, თუ რომელი ბრძანების საფუძველზე დადგა სამართლებრივი შედეგი თ.მ-ძის გან-

თავისუფლება სამსახურიდან. აღნიშნულის გარეშე შეუძლებელია იმსჯელობრივის სამსახურიდან განთავისუფლების კანონიერებაზე. ამ თვალსაზრისით სასამართლოს განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

რაც შეეხება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის გამოყენების საკითხს, პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას და განმარტავს, რომ შრომითი ურთიერთობები რეგულირდება სპეციალური კანონის საფუძველზე – შრომის კოდექსის ან „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის საფუძველზე. საკასაციო პალატის ამავე საქმეზე (განსჯადობის თაობაზე) 2007 წლის 26 ივლისს გამოტანილ განჩინებაში უკვე ნამსჯელია აღნიშნულის თაობაზე, რის გამოც პალატა მიზანშეუწონლად მიიჩნევს ამ საკითხზე მსჯელობას.

რაც შეეხება დისკრიმინაციის საკითხს, აღნიშნულის მტკიცების ტვირთი ანევს მოსარჩევეს. იმ შემთხვევაში, თუ განთავისუფლება გამომდინარე არ არის სამუშაოს არსიდან, დადასტურებულ უნდა იქნეს თვით მოსარჩევის მიერ. წინააღმდეგ შემთხვევაში სამსახურიდან მოსარჩელის განთავისუფლება არ შეიძლება ჩაითვალოს დისკრიმინაციად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ უნდა შეაფასოს ბიუროს მიერ მიღებული ორივე ბრძანება და დაადგინოს ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, თუ რომელი ბრძანების საფუძველზე მოხდათ. მ-ძის განთავისუფლება სამსახურიდან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

თ. მ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განხილვისათვის დაუპრუნდეს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას;

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

შრომითი ხელშეკრულების მოშლა

განხილვა

№ას-284-606-09

1 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო,
სამერარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ.სულხანშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდუ-
რის ანაზღაურება

აღნერილობითი ნაწილი:

ნ. ს-ძემ მიმართა სასამართლოს და მოითხოვა საჯარო რეეს-
ტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2007 წლის 9 ივნი-
სის №657-კ ბრძანების გაუქმება, სამუშაოზე აღდგენა და იძუ-
ლებითი განაცდურის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-
ლეგის 2008 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი
არ დაქმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ.
ს-ძემ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და
ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატის 2009 წლის 29 იანვრის განჩინებით ნ. ს-ძის სააპელაციო
საჩივრარი არ დაქმაყოფილდა. უცვლელად დარჩა მოცემულ საქ-
მეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
კოლეგის 2008 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება.

პალატამ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოე-
ბები:

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის
2007 წლის 20 მარტის №348-კ ბრძანებით ნ. ს-ძე დაინიშნა საჯა-
რო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო
სამსახურში იურისტის თანამდებობაზე.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის
2007 წლის 9 ივნისის №657-კ ბრძანებით ნ. ს-ძე 2007 წლის 6 ივ-
ნისიდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობადან.

ნ. ს-ძე გათავისუფლდა შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-3

ნაწილის და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2004 წლის 19 ივნისის №835 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ და „მ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

2007 წლის 6 ივნისიდან 6. ს-ძეს თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილება არ განუხორციელებია.

6. ს-ძეს მიღებული აქვს ერთი თვის შრომის ანაზღაურება და საქმებლისაგან.

პალატამ არ გაიზიარა აპელანტის ის მოსაზრება, რომ მის მიმართ განხორციელდა დისკრიმინაცია, რადგან სშე-2 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, დისკრიმინაციად არ ჩაითვლება პირთა განსხვავების აუცილებლობა, რომელიც გამომდინარეობს სამუშაოს არსიდან, სპეციფიკისა და მისი შესრულების პირობებიდან, ემსახურება კანონიერი მიზნის მიღწევას და არის მიღწევის თანანომიერი და აუცილებელი საშუალება. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ აპელანტის გათავისუფლება სამუშაოდან მის დისკრიმინაციად არ ჩაითვლება, ვინაიდან განსახილველ შემთხვევში დამსაქმებლის მიერ განხორციელდა შრომითი ხელშეკრულების მოშლა, რაც განსაზღვრულია საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით, აღნიშნული კი დამსაქმებლისათვის არ ითვალისწინებს შრომითი ხელშეკრულების მოშლის საფუძვლებზე მითითებას. შესაბამისად, პალატის განმარტებით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო არ იყო ვალდებული, მიეთითებინა გათავისუფლების საფუძვლებზე.

აპელანტის ის მოსაზრება, რომ საქალაქო სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა შრომის კოდექსის 52.2 მუხლის ანალოგით, პალატამ არ გაიზიარა, რადგან აღნიშნული ნორმა შეეხება ლოკაუტის უკანონოდ ცნობის შემთხვევაში დასაქმებულის შრომით გარანტიებს, კერძოდ, მის სამუშაოზე აღდგენასა და განაცდურის ანაზღაურებას. განსახილველ შემთხვევაში კი დასაქმებულთან შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა განხორციელდა ადმინისტრაციის მხრიდან შრომის ხელშეკრულების მოშლით, რასაც პირდაპირ ითვალიმსწინებს შრომის კოდექსის 37-ე მუხლი, რის გამოც პალატის განმარტებით, არ არსებობს კანონის ანალოგის გამოყენების სამართლებრივი საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 იანვრის განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა 6. ს-ძემ.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, კერძოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილს „გ“ ქვეპუნქტი, რადგან მან დასაბუთებაში მიუთითა, რომ არ იყო ვალდებული, დამსაქმებელს მისთვის დაესაბუთებინა განთავისუფლების მიზეზები, როდესაც საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის მე-2 მუხლის მე-6 ნაწილით, – შრომითი ურთიერთობისას მხარეებმა უნდა დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.

კასატორი მიიჩნევს რომ, საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-3 ნაწილის პრაქტიკულად ასეთი დამკვიდრება დასაბუთების გარეშე სამსახურიდან განთავისუფლების თაობაზე არ არის კანონიერი და წარმოადგენს ამ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის საფუძველს.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ ფაქტობრივი თვალსაზრისით შემოწმებისას არ გაითვალისწინა ფაქტობრივი გარემოება, კერძოდ, სააგენტოს თავმჯდომარემ განთავისუფლების ბრძანებაში მითითება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №835 „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების მე-5 მუხლის „დ“ და „მ“ ქვეპუნქტები. „მ“ ქვეპუნქტისა და სამტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის შესაბამისად, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სააგენტოს თანამშრომლებს, უზრუნველყოფს მათთან შრომითი ხელშეკრულების დადებას და განსაზღვრავს მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობას.

კასატორის განმარტებით, მისი განთავისუფლების მომენტი-სათვის არსებობდა და დღესაც არსებობს ქუთასის სარეგისტრაციო სამსახურში იურისტის ერთი შტატი, რომელზეც სხვა პიროვნება აგრძელებს მუშაობას.

კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკამაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ნ. ს-დე 2007 წლის 20 მარტს დაინიშნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურში იურისტის თანამდებობაზე.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2007 წლის 9 ივლისის ბრძანებით იგი განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და ამ დღიდან მას სამსახურებრივი უფლება-მოსილება აღარ განუხორცელებია.

უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენ-ტოს თავმჯდომარის ბრძანებაში ნ. ს-ძის განთავისუფლების სა-ფუძვლად მითითებულია შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტზე. ამ ნორმის თანახმად, შრომითი ხელშეკრულების დამ-საქმებლის ინიციატივით მოშლის შემთხვევაში დასაქმებულს მი-ეცემა არანაკლებ ერთი თვის შრომის ანაზღაურება. პალატა გან-მარტავს, რომ მითითებული ნორმა არეგულირებს არა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლებს, არამედ მასში საუბარია მხოლოდ და მხოლოდ იმ პროცედურაზე, რაც უნდა შესრულდეს დამსაქმებლის ინიციატივით ხელშეკრულების მოშლის შემთხვე-ვაში. აღნიშნული ნორმის საფუძველზე შეუძლებელია დასაქმე-ბულთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა.

ყველა ის პირობა, რაც შეიძლება საფუძველი გახდეს დასაქმე-ბულის სამსახურიდან გათავისუფლებისა, მოცემულია შრომის კო-დექსის 37-ე მუხლში. მითითებულ ნორმა განსაზღვრავს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლებს და ნებისმიერ შემთხვევაში დასაქმებულის გათავისუფლება უნდა მოხდეს ამ ნორმაში მითი-თებული რომელიმე საფუძვლით. სადაც ბრძანებიდან კი არ ირ-კვევა, თუ კანონმდებელობით გათვალისწინებული, რომელი სა-ფუძვლით იქნა გათავისუფლებული ნ. ს-ძე სამსახურიდან. აღნიშ-ნული გარემოების თაობაზე არ უმსჯელია სასამართლოს. ასეთ შემთხვევაში შეუძლებელია შეფასდეს ნ. ს-ძის განთავისუფლების ფაქტის კანონთან შესაბამისობის საკითხი. პალატა მიიჩნევს, რომ ამ თვალსაზრისით სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების და-საბუთება არასრულია, რის გამოც იგი უნდა გაუქმდეს და ხელა-ხალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ უნდა დაადგი-ნოს ნ. ს-ძის სამსახურიდან განთავისუფლების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცე-სო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

ნ. ს-ძის საკასაციო საჩივარი დაქმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალა-
ქო პალატის 2009 წლის 29 იანვრის განჩინება და საქმე ხელახა-
ლი განხილვისათვის გაიგზავნოს იმავე სამართლოში.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდე-
ბა.

შრომითი ხელშეკრულების მოშლა

განხილვა

№ას-368-687-09

29 ოქტომბერი, 2009 წ. ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო,
სამერარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია

დავის საგანი: ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგე-
ნა, განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 21 დეკემბერს რ. ა-შვილმა სარჩელით მიმართა თბი-
ლისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-
ლეგიას მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯა-
რო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ და მოითხოვა სამ-
სახურიდან გათავისუფლების შესახებ 2007 წლის 27 ნოემბრის №2108-კ ბრძანების ბათილად ცნობა შემდეგი საფუძვლით:

მოსარჩელის განმარტებით, იგი 2004 წლს კონკურსის წესით
დაინიშნა თეთრინყაროს რაიონის სარეგისტრაციო სამსახურის
უფროსის მოადგილედ. 2006 წლის 9 ოქტომბერს მასსა და საქარ-
თველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ
სააგენტოს შორის გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება, რომე-
ლიც დაიდო განუსაზღვრელი ვადით. 2007 წლის 27 ნოემბერს სა-
ქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვ-
ნული სააგენტოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის №2108-
კ ბრძანებით იგი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

მოსარჩელის განმარტებით, აღნიშნული ბრძანების გამოცე-
მისას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეეს-

ტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის პირველმა მოადგი-ლემ დააღვია მოქმედი კანონმდებლობის ნორმები, ვინაიდან იგი არ იყო უფლებამოსილი, გამოეცა მსგავსი ხასიათის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რ. ა-შვილმა მოითხვა მი-თითებული ბრძანების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2007 წლის 18 დეკემბრის განჩინებით რ. ა-შვილის სარჩელი განსჯადოების წესების დაცვით გადაეცა თბილისის სა-ქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

2007 წლის 7 აპრილს რ. ა-შვილმა დაზუსტებული სარჩელით მოითხოვა 2007 წლის 27 ნოემბრის №2108-კ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება და ყო-ველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,07%-ის გადახდის მოპასუხე-ზე დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-ლეგიის 2008 წლის 19 მაისის გადაწყვეტილებით რ. ა-შვილის სარ-ჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – ბათილად იქნა ცნობილი სა-ქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვ-ნული სააგენტოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის 2007 წლის 27 ნოემბრის №2108-კ ბრძანება რ. ა-შვილის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ; აღდგენილ იქნა პირვანდელი მდგო-მარეობა და რ. ა-შვილს გაუგრძელდა შრომითი ურთიერთობა სა-ქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვ-ნულ სააგენტოში; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯა-რო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს რ. ა-შვილის სასარგებლოდ დაკისრა 2007 წლის 27 ნოემბრიდან მიუღებელი ხელფასის ანაზ-ლაურება, ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის და-ყოვნებული თანხის 0,07%-ის საქართველოს იუსტიციის სამინის-ტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოზე გადახდევინე-ბის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში; რ. ა-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობ-რივი გარემოებები:

რ. ა-შილი მუშაობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. 2006 წლის 9 ოქტომ-ბერს მხარეებს შორის განუსაზღვრელი ვადით დაიდო შრომითი ხელშეკრულება, რომლის თანახმად, იგი დაინიშნა თეთრიწყაროს რაიონის სარეგისტრაციო სამსახურის უფროსის მოადგილის თა-ნამდებობაზე;

2007 წლის 27 ნოემბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს პირველი მოადგილის №2108-კ ბრძანებით, საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, რ. ა-შვილი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2007 წლის 10 სექტემბრის №429 ბრძანებით თავმჯდომარის პირველ მოადგილეს მიენიჭა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობების სამსახურთან დაკავშირებულ კორესპონდენციაზე, საკადრო წერილებზე, სააგენტოს სახელით გაცემულ მინდობილობებზე, შვებულებებზე, სტაჟირების შესახებ ბრძანებებზე, სამუშაო ადგილიდან და ხელფასის ცნობებზე ხელმოწერის უფლებამოსილება;

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2004 წლის 19 ივლისის №835 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეყნების შესაბამისად, მხოლოდ სააგენტოს თავმჯდომარეს გააჩნია უფლებამოსილება, მიიღოს გადაწყვეტილება სააგენტოში დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე, ხოლო ამავე დებულების მე-4 და მე-5 პუნქტის შესაბამისად, თავმჯდომარის პირველი მოადგილე მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი, გამოსცეს ბრძანება თანამშრომლის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, თუ თავმჯდომარე ბრძანების გამოცემის მომენტში არის შევებულებაში, მივლინებაში ან მოვალეობათა შესრულების შეუძლებლობის გამო არ იმყოფება. განსახილეველ შემთხვევაში, სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხე სააგენტოს არ წარმოუდგენია რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ ბრძანების გამოცემის მომენტში თავმჯდომარე, სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი მითითებული საფუძვლების გამო, არ ასრულებდა თავის უფლება-მოვალეობებს, შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის 2007 წლის 27 ნოემბრის №2108-კ ბრძანება რ. ა-შვილის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ მიღებული იყო იუსტიციის მინისტრის 2004 წლის 19 ივლისის №835 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მოთხოვნათა დარღვევით, რაც ბრძანების ბათილობის საფუძველია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამოქალაქო კოდექსის

408-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ, ვინა-იდან მოპასუხებ კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვე-ვით მიიღო გადაწყვეტილება რ. ა-შვილთან შრომითი ურთიერ-თობის შეწყვეტის თაობაზე, რითაც მას მიადგა ზიანი, კერძოდ, 2007 წლის 27 ნოემბრიდან არ მიუღია ხელფასი, მოსარჩელეს უნ-და ანაზღაურებოდა არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქო-ნებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელ შემოსავალშიც, კერძოდ სასამართლოს აზრით, სააგენტო ვალდებული იყო, რ. ა-შვილისათვის აენაზღაურებინა მიუღებელი ხელფასი 2007 წლის 27 ნოემბრიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 19 მაისის გა-დაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენ-ტომ, მოთხოვა მისი გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილების ნა-ნილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმა-ყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 2 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილე-ბით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივრი არ დაკმაყოფილ-და. ამავე სასამართლოს 2009 წლის 3 თებერვლის განჩინებით დაკმაყოფილდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯა-რო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საჩივარი და საქმეზე გა-ნახლდა საქმის წარმოება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილებით საქართვე-ლოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სა-აგენტოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბი-ლისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგი-ის 2008 წლის 19 მაისის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფი-ლების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვე-ტილება, სარჩელი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სა-ჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის პირვე-ლი მოადგილის 2007 წლის 27 ნოემბრის №2108-კ ბრძანების ბა-თილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა, არ დაკმაყოფილდა რ. ა-შვილის მოთხოვნა სამუშაოზე აღდგენსთან დაკავშირებით, ასევე, არ დაკმაყოფილდა მისი მოთხოვნა განაცდურის ანაზღა-ურების თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თბილისის საქალა-ქო სასამართლოს არ უმსჯელია იმ საკითხზე, მოწონებულ იქნა

თუ არა უფლებამოსილი პირის მიერ თავმჯდომარის პირველი მო-
ადგილის მიერ გამოვლენილი ნება.

სასამართლომ აღნიშნა, რომ შრომის კოდექსის პირველი მუხ-
ლის მე-2 ნაწილით, შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული
საკითხები, რომლებასც არ ანესრიგებს ეს კოდექსი ან სხვა სპე-
ციალური კანონი, რეგულირდება საქრაოფელოს სამოქალაქო კო-
დექსის ნორმებით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 111-ე
მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ პირი წარმომადგენლო-
ბითი უფლებამოსილების გარეშე სხვისი სახელით დებს ხელშეკ-
რულებას. ამ ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია
წარმოდგენილი პირის თანხმობაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა და საქმეში არსებული
მასალებით სასამართლომ ჩათვალა, რომ უფლებამოსილი პირი
მოცემულ შემთხვევაში ცალსახად და არაორაზროვნად ადასტუ-
რებდა მოპასუხის პოზიციას, რომ ეთანხმებოდა და იწონებდა
2007 წლის 27 ნოემბრის №2108-კ ბრძანებაში გამოვლენილ ნე-
ბას მოსარჩევესთან შრომის ხელშეკრულების მოშლის თაობა-
ზე, შესამაბისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა სა-
დაცვო ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია რ. ა-შვი-
ლის პოზიცია, რომ მოპასუხეს მისი სამუშაოდან გათავისუფლე-
ბა შეეძლო მხოლოდ მაშინ, თუ მოხდებოდა საშტატო განრიგის
შემცირება, ვინაიდან აღნიშნა, რომ მხარეთა შორის 2006 წლის 9
ოქტომბერს დადებულ შრომითი ხელშეკრულებს მე-10 მუხლით
გათვალისწინებული იყო ხელშეკრულების შეწყვეტის ისეთი სა-
ფუძველი, როგორიცაა შრომითი ხელშეკრულების მოშლა, რაც
მოწესრიგებული შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწი-
ლის „დ“ ქვეპუნქტით;

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო
სასამართლომ მიიჩნია, რომ რ. ა-შვილი სამუშაოდან უკანონოდ
არ გათავისუფლებულა და, შესაბამისად, არ არსებობდა სარჩე-
ლის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატის 2009 წლის 24 ოქტემბერის გადაწყვეტილება საკასაციო
წესით გაასაჩივრა რ. ა-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება, სააპე-
ლაციო სასამართლოს მიერ საჯარო რეესტრის ეროვნული საა-
გენტოს სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების კანონიერე-
ბის დადგენა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის
დაცმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ წარმო-

ებაში მიიღო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დაუსაბუთებელი სააპელაციო საჩივარი, რომელიც არ აკმაყოფილებდა სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების ძირითად პირობას, კერძოდ, მასში არ იყო მითითებული, გადაწყვეტილების მიღებისას თბილისის საქალაქო სასამართლომ რა სამართლებრივი და ფაქტობრივი უსწორობანი დაუშვა;

კასატორის აზრით, სასამართლომ მნიშვნელოვნად დაარღვია სამართლის ნორმები, რამაც გავლენა მოახდინა გადაწყვეტილების მიღებაზე. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების დროს სასამართლოს არ განუმარტავს, თუ ვის მიიჩნევდა კონკრეტულ მხარედ და რატომ არ ჩათვალა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული სამსახურის იურისტი ზ. ლაზუშვილი მხარედ, რომელიც სხდომის თაობაზე გაფრთხილებულ იქნა კანონით დადგენილი წესით და აღნიშნულთან დაკავშირებით ჩამოერთვა ხელწერილი, შესაბამისად, კასატორის განმარტებით, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება სასამართლო სხდომაზე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით მხარის მოუწვევლობის გამო, უსაფუძლო იყო.

კასატორი აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენდინა, არ გაითვალისწინა კანონის ის მოთხოვნა, რომ იგი უფლებამოსილია, სააპელაციო საჩივარი განიხილოს მხოლოდ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფარგლებში და ახალი ფაქტები და გარემოებები განიხილოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარე დაასაბუთებს პირველი ინსტაციის სასამართლოში ამ ფაქტებისა და გარემოებების წარუდგენლობის საპატიო მიზეზს. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ უადგილოდ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 111-ე მუხლის პირველი ნაწილი. ამასთან, კასატორის განმარტებით, აპელანტი არ არის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე, არამედ თავად საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, რომელსაც მოცემულ შემთხვევაში მინდობილობით წარმოადგენდა ამავე სააგენტოს იურიდიული სამსახურის იურისტი ზ. ლ-შვილი და აღნიშნული მინდობილების გაცემის შემდეგ, მის გაუქმებამდე იურიდიულად მხოლოდ იგი ითვლებოდა აპელანტად, ანუ მხარედ და სააპელაციო სასამართლოს, ნაცვლად იმისა, რომ გამოერკვია, შინაარსობრივად და სამართლებრივად აღნიშნული ბრძანება შეესაბამებოდა თუ არა საქართველოს კანონმდებლობას, იგი დაეთანხმა

აპელანტის პოზიციას, რომ ბრძანებაში გამოვლენილი ნება აპელანტს სადაც არ მიაჩნია და მასზე დაყრდნობით ჩათვალა, რომ არ არსებობდა ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის მესამე პუნქტით საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელს ეკისრება სსიპ-ის ნარმომადგენლობა.

სადაც ბრძანების გამოცემის მომენტში მოქმედი რედაქციით საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2004 წლის 19 ივნისის №835 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ევეპუნქტის თანახმად, სააგენტოს თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავდა და ათავისუფლებდა სააგენტოს თავმჯდომარე, უზრუნველყოფდა მათთან შრომითი ხელშეკრულების დადებას და განსაზღვრავდა მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობას. აღნიშნული დებულების მე-4 მუხლის მე-5 პუნქტით, თავმჯდომარის პირველი მოადგილე მხოლოდ მაშინ იყო უფლებამოსილი, განეხორციელებინა თავმჯდომარის უფლებამოსილება, თუ თავმჯდომარე ბრძანების გამოცემის მომენტში იყო შეებულებაში, მივლინებაში ან მოვალეობათა შესრულების შეუძლებლობის გამო მისი არყოფნისას.

სსიპ-ის ხელმძღვანელის უფლებამოსილებები განსაზღვრულია კანონით, ხოლო მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-ის დებულებით მკაცრად გამიჯდულია თავმჯდომარისა და პირველი მოადგილის უფლებამოსილებები, კერძოდ, უშუალოდ თავმჯდომარე იყო უფლებამოსილი, სააგენტოს სახელით დაენიშნა ან გაეთავისუფლებინა თანამშრომელი, მის პირველ მოადგილეს კი ასეთი უფლებამოსილება ენიჭებოდა მხოლოდ დებულებაში მითითებულ შემთხვევებში. სხვა შემთხვევაში პირველი მოადგილის მიერ თავმჯდომარის უფლებამოსილებების განხორციელება უნდა შეფასდეს მისთვის დებულებით მინიჭებული მკაცრად რეგლამენტირებული უფლებამოსილების გადამეტებად.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა კანო-

ნის ანალოგით სამოქალაქო კოდექსის 111-ე მუხლი.

სამოქალაქო კოდექსის 111-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თუ პირი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე სხვისი სახელით დებს ხელშეკრულებას, ამ ხელშეკრულების წამდვილობა დამოკიდებულია წარმოდგენილი პირის თანხმობაზე.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კანონის ანალოგით აღნიშნული ნორმა გამოყენებულ უნდა იქნეს ცალმხრივი გარიგების დროს ნების გამოვლენის საკითხების რეგლამენტაციისას. საკასაციო პალატა სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ მოსაზრებას არ ეთანხმება და თვლის, რომ სამოქალაქო კოდექსის 111-ე მუხლი სპეციალური ნორმაა და არეგულირებს მოწოდების საკითხს ორმხრივი გარიგების – ხელშეკრულების დადებისას. საკასაციო პალატა თვლის, რომ შეუძლებელია ცალმხრივი გარიგებების, როგორიცაა ანდერძის შედგენა, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება, ჯილდოს დაპირება და ა.შ., მიმართ მოწოდების ინსტიტუტის გამოყენება. ასევე დაუსაბუთებელია სასამართლოს დასკვნა, რომ არ არსებობს მსგავსი ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმები. როგორც ზემოთ აღნიშნა, მოპასუხე საჯარო სამართლის იურიდიული პირია და შესაბამისი ნორმატიული აქტით სააგენტოს ხელმძღვანელი პირების უფლებამოსილებანი მკაცრად რეგლამენტირებულია. ასევე, საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად, შრომის ხელშეკრულების მოშლის უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ დამსაქმებელს.

სადაც ბრძანებაში რ. ა-შვილის განთავისუფლების საფუძვლად მითითებულია შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტი. ამ ნორმის თანახმად, შრომითი ხელშეკრულების დამსაქმებლის ინიციატივით მოშლის შემთხვევაში დასაქმებულს მიეცემა არანაკლებ ერთი თვის შრომის ანაზღაურება. პალატა განმარტავს, რომ მითითებული ნორმა არეგულირებს არა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლებს, არამედ მასში საუბარია მხოლოდ და მხოლოდ იმ პროცედურაზე, რაც უნდა შესრულდეს დამსაქმებლის ინიციატივით ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში. აღნიშნული ნორმის საფუძველზე შეუძლებელია დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა.

ყველა ის პირობა, რაც შეიძლება საფუძველი გახდეს დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლებისა, მოცემულია შრომის კოდექსის 37-ე მუხლში. მითითებულ ნორმა განსაზღვრავს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლებს და ნებისმიერ შემ-

თხვევაში დასაქმებულის გათავისუფლება უნდა მოხდეს ამ ნორ-მაში მითითებული რომელიმე საფუძვლით. სადაცო ბრძანებიდან კი არ ირკვევა, თუ კანონმდებელობით გათვალისწინებული, რო-მელი საფუძვლით იქნა გათავისუფლებული სამსახურიდან. ასეთ შემთხვევაში შეუძლებელია შეფასდეს რ. ა-შვილის განთავისუფ-ლების ფაქტის კანონთან შესაბამისობის საკითხი.

ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლოს მიერ მიღებუ-ლი გადაწყვეტილების დასაბუთება არასრულია, რის გამოც იგი უნდა გაუქმდეს და ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმა-ვე სასამართლოს. საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს, გათავისუფლების შესახებ ბრძანების გამო-ცემის მომენტში უფლებამოსილი იყო თუ არა თავმჯდომარის მო-ადგილე გაეთავისუფლებინა სამსახურიდან მოსარჩელე, ასევე, გაარკვიოს რ. ა-შვილის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძ-ველი და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცე-სო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

რ. ა-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობ-რივ.

გაუქმდეს ამ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 24 ოქტომბერის გადაწ-ყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმა-ვე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასა-ჩივრდება.

გამოსაცდელი ვალით დაღებული შრომითი ხელშეკრულების მომზადება

განხილვა

№ას-539-848-09

9 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო,
სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა

აღნერილობითი ნაწილი:

2007 წლის 28 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს ად-
მინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სასაჩირელო განცხადებით მი-
მართა თ. მ-შვილმა მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სა-
მინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიმართ. მო-
საჩირელებმ მოითხოვა: ა) სამუშაოდან მისი გათავისუფლების შე-
სახებ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2007 წლის 4 მაი-
სის №2000პ/შ ბრძანების ბათილად ცნობა; ბ) სამუშაოზე აღდგე-
ნა; გ) 2006 წლის კუთვნილი შეკულების გამოყენების უფლების
მინიჭება; დ) შრომის კოდექსის 38.3 მუხლით გათვალისწინებუ-
ლი კომპენსაციის ანაზღაურება.

მოსაჩირელე მიუთითებდა, რომ 2002 წლის მაისიდან მუშაობ-
და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საფინანსო სამსახურში.
2007 წლის 4 მაისის №2000პ/შ ბრძანებით გათავისუფლდა სამ-
სახურიდან შრომის კოდექსის 9.2 მუხლის საფუძველზე. დაცვის
პოლიციის დეპარტამენტის კადრების სამმართველოს უფროსის
2007 წლის 16 ივნისის წერილით მოსაჩირელეს განემარტა, რომ რე-
ორგანიზაციის პერიოდში დაინიშნული იყო შინაგან საქმეთა სა-
მინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საფინანსო-სამე-
ურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს საფინანსო განყოფი-
ლების მთავარ სპეციალისტად, გამოსაცდელი ვადით, ხოლო დაც-
ვის პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელობის მიერ აღნიშ-
ნულ თანამდებობაზე მისი კანდიდატურა არ წამოყენებულა, რის
გამოც იგი დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა.

სარჩელში აღნიშნულია, რომ 2007 წლის 20 იანვრიდან დაც-
ვის პოლიციის დეპარტამენტში განხორციელებული რეორგანი-

ზაციის გამო დეპარტამენტის საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფისა და საბუღალტრო აღრიცხვის სამმართველოს ნაცვლად ჩამოყალიბდა საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველო. საფინანსო განყოფილება, სადაც მოსარჩევე მუშაობდა, რეორგანიზაციის შედეგად არ გაუქმდებულა. მიუხედავად ამისა, თ. მ-შვილი გაფრთხილებულ იქნა რეორგანიზაციის გამო სამსახურიდან შესაძლო გათავისუფლების შესახებ და 2007 წლის 9 თებერვლის №4313/შ ბრძანებით შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, თუმცა 9 თებერვლის №4323/შ ბრძანებით საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს საფინანსო განყოფილებაში დაინიშნა სპეციალისტის თანამდებობაზე 3-თვითი გამოსაცდელი გადით, რაც მისთვის ცნობილი გახდა 2007 წლის 24 მაისს. მითითებული დროის განმავლობაში მოსარჩევე დატვირთული იყო სრულად. დეპარტამენტის საჭიროებიდან გამომდინარე, მან ვერ ისარგებლა 2006 წლის კუთვნილი შევებულებით, კერძოდ, 2006 წლის 25 ოქტომბრის ბრძანებით თ. მ-შვილს 2006 წლის 1 ნოემბრიდან 2007 წლის 5 იანვრამდე დაევალა დეპარტამენტის ცენტრალური საინვენტარიზაციო კომისიის მუშა ჯგუფის უფროსის მოვალეობის შესრულება დეპარტამენტის ცენტრალურ აპარატში 2006 წლის ინვენტარიზაციის ჩატარებასთან დაკავშირებით, შემდეგ მონაბილეობდა ინვენტარიზაციის შედეგების გამოყვანასა და ამ საკითხთან დაკავშირებით საოქმო გადაწყვეტილების მისაღებად პროექტის მომზადებაში. 2007 წლის 26 იანვრის №2783/შ ბრძანებით მოსარჩევე მარნეულის დაცვის პოლიციის განყოფილებაში ახდენდა 2006 წლის წლიური ბალანსის მონაცემების რეალობის შემოწმებას. შემოწმების პერიოდში იგი გაფრთხილებულ იქნა შესაძლო გათავისუფლების შესახებ, ხოლო შემდეგ მოხდა მისი სამსახურიდან დათხოვნა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 სექტემბრის განჩინებით თ. მ-შვილის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით თ. მ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ერთი თვის შრომის ანაზღაურების – 550 ლარის გადახდა; თ. მ-შვილის სარჩელი სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2007 წლის 4 მაისის №20003/შ ბრძანების ბათილად

ცნობის, სამსახურში აღდგენისა და 2006 წლის კუთვნილი შვე-ბულების გამოყენების უფლების მოთხოვნის ნაწილში არ დაკმა-ყოფილდა.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ თ. მ-შეილი შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2007 წლის 9 თებერვლის №431 პ/შ ბრძანებით გათავისუფლდა საფინანსო-სამეურნეო უზრუნველ-ყოფის სამმართველოს საფინანსო განყოფილების მთავარი სპე-ციალისტის თანამდებობიდან. გარდა ამისა, სასამართლომ დად-გენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2007 წლის 9 თებერვლის №432 პ/შ ბრძანებით დაინიშნა საფინანსო-სამეურნეო უზრუნ-ველყოფის სამმართველოს საფინანსო განყოფილებაში მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე სამთვიანი გამოსაცდელი ვადით, ხოლო 2007 წლის 4 მაისის №2000 პ/შ ბრძანებით იგი თანამდე-ბობიდან გათავისუფლდა.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელის საფინან-სო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს საფინანსო გან-ყოფილებაში მთავარი სპეციალისტის თანამდებობიდან გათავი-სუფლების შესახებ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2007 წლის 9 თებერვლის №431 პ/შ ბრძანების საფუძველს წარმოად-გენს შრომითი ხელშეკრულების მოშლა.

შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, შრო-მითი ხელშეკრულების დამსაქმებლის ინიციატივით მოშლის შემ-თხევები დასაქმებულს მიეცემა არანაკლებ 1 თვის შრომის ანაზ-ლაურება. რამდენადაც საქმეში არ მოიპოვებოდა მტკიცებულე-ბა, რომელიც თ. მ-შეილის მიერ ერთი თვის შრომის ანაზღაურე-ბის მიღებას დაადასტურებდა, ამასთან, დგინდებოდა, რომ მო-სარჩელის ერთი თვის შრომის ანაზღაურება სამუშაოდან გათა-ვისუფლების მომენტისათვის 500 ლარს შეადგენდა, საქალაქო სა-სამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელის მოთხოვნა ერთი თვის შრო-მის ანაზღაურების სახით 500 ლარის მოპასუხისათვის დაკისრე-ბის შესახებ საფუძვლიანი იყო და დაკმაყოფილებას ექვემდება-რებოდა.

რაც შეეხებოდა მოთხოვნებს ბრძანების ბათილად ცნობისა და სამუშაოზე აღდგენის შესახებ, საქალაქო სასამართლომ მათი და-უკმაყოფილებლობის საფუძლად მიუთითა შრომის კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილზე და განმარტა, რომ დამსაქმებელს უფ-ლება აქვს, ნერილობითი ფორმით გაფორმებული გამოსაცდელი ვადით დადებული ხელშეკრულების პირობებში, გამოსაცდელი

ვადის განმავლობაში ნებისმიერ დროს დადოს კანდიდატთან შრომითი ხელშეკრულება ან მოშალოს გამოსაცდელი ვადით და-დებული შრომითი ხელშეკრულება. ამდენად, შრომის კანონმდებ-ლობა დამსაქმებელს არ ავალდებულებს, მიუთითოს შრომითი ხელშეკრულების მოშლის მოტივებზე და ანიჭებს მას უფლებას ნებისმიერ დროს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თავისი შე-ხედულებისამებრ მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების მოშლის თაობაზე, მით უფრო, გამოსაცდელი ვადის პირობებში დამსაქმებელმა მხოლოდ თავისი შეხედულებით და არა სახელ-შეკრულებო შებოჭვის ფარგლებში უნდა განსაზღვროს დაქირა-ვებულ პირთან შემდგომი ურთიერთობის საკითხი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საქალაქო სასამარ-თლომ დაასკვნა, რომ მოპასუხე დაწესებულების ადმინისტრაცი-ას თ. მ-შვილის მიმართ 2007 წლის 4 მაისს ხელშეკრულების მოშ-ლის გადაწყვეტილების მიღებისას შრომის კოდექსის მოთხოვნები არ დაურღვევია.

საქალაქო სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარ-ჩელის მოთხოვნა 2006 წლის შვებულების გამოყენების უფლების მინიჭების ნაწილში, რაც შემდეგნაირად დაასაბუთა:

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-3 ნაწილის თა-ნახმად, საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს აწესრიგებს შრომის კოდექსი. აქედან გამომდი-ნარე, დასაქმებულის მიერ შვებულების გამოყენების უფლების რეალიზება დასაშვები იყო შრომის ურთიერთობის პირობებში და არა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპე-ლაციო წესით გაასაჩივრა თ. მ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გა-საჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გა-დაწყვეტილების მიღება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ივლისის განჩინებით თ. მ-შვილის სააპე-ლაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალა-ქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილე-ბაზე განსჯადობით განსახილველად გადაეცა ამავე სასამარ-თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2008 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით თ. მ-შვი-ლის სააპელაციო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსჯა-დობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართვე-ლოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატე-

გორიის საქმეთა პალატას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 16 დეკემბრის განჩინებით თ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებარა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 აპრილის განჩინებით თ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაემაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა სადაც სამართალურო თემატიკური მომსახურის შრომის კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილით მოწესრიგების მართებულობის თაობაზე. კანონის დასახელებული ნორმის თანახმად, დამსაქმებელს უფლება აქვს, ნერილობითი ფორმით გაფორმებული გამოსაცდელი ვადით დადებული ხელშეკრულების პირობებში, გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ნებისმიერ დროს დადოს კანდიდატთან შრომითი ხელშეკრულება ან მოშალოს გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულება.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელე სადაც ვადით და მიმდინარე შენიანგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2007 წლის 9 ოქტომბრის №431 და №432 პ/შ ბრძანებებს, მოთხოვნის საფუძვლად იმ ფაქტობრივი გარემოების მითითება, რომ მისთვის გამოსაცდელი ვადით დანიშვნის შესახებ ცნობილი გახდა მხოლოდ გათავისუფლების შესახებ დამსაქმებლის 2007 წლის 4 მაისის ბრძანების ჩაბარებისას, ვერ გახდებოდა გასაჩივრებული ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მითითება იმის შესახებ, რომ, ვინაიდან მასთან წერილობითი შრომითი ხელშეკრულება არ დადებულა, რაც შრომის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს, ამიტომ წერილობითი ფორმის დაცვის გარეშე დადებული ხელშეკრულება უნდა მიჩნეულიყო არა გამოსაცდელი ვადით დადებულ ხელშეკრულებად, არამედ – შრომით ხელშეკრულებად. ამასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ მიუთითა შრომის კოდექსის მე-6 მუხლის პირველ და მე-3 ქებულნებზე და აღნიშნა, რომ შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობით ან ზეპირი ფორმით, განსაზღვრული, განუსაზღვრელი ან სამუშაოს შესრუ-

ლების ვადით; დამსაქმებლის მიერ გამოცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება დამსაქმებლის ნება სამუშაოზე მიღების თაობაზე, უთანაბრდება შრომითი ხელშეკრულების დადებას. აღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადაცო შემთხვევაში დამსაქმებლის – შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცის პოლიციის დეპარტამენტის უფროსის ბრძანება თავისი შინაარსით წარმოადგენდა დამსაქმებლის მიერ დადებულ წერილობით ხელშეკრულებას.

საქმეზე დგინდებოდა, რომ თ. მ-შვილი 2007 წლის 9 თებერვლიდან – №432 ბრძანების გამოცემიდან – ფაქტობრივად ასრულებდა შრომით საქმიანობას 2007 წლის 4 მაისამდე, დამსაქმებლის მიერ №2000 ბრძანების გამოცემამდე. შრომის კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა დამსაქმებლის მიერ სამუშაოს შესრულების ფაქტობრივად დაწყების მომენტიდან, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. კანონის აღნიშნული ნორმის დეფინიციიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თ. მ-შვილი თავის სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა დამსაქმებლის მიერ 2007 წლის 9 თებერვლის №432 პ/შ ბრძანების გამოცემიდან სამთვიანი გამოსაცდელი ვადით.

სააპელაციო სასამართლომ ასევე სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა შვებულების გამოყენების უფლებასთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ დამსაქმებლის მიერ შვებულების უფლების რეალიზება დასაშვებია შრომითი ურთიერთობების არსებობის პირობებში და არა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას, შესაბამისად, არ არსებობდა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივი საფუძვლები.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. მ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება.

კასატორის მითითებით, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებს ყურადღება არ მიუქცევიათ იმ უზუსტობაზე, რაც სადაცო ბრძანებაშია ასახული, კერძოდ, მასში მითითებულია თ. სამსონის ქ მ-შვილზე, ნაცვლად თ. სიმონის ქ მ-შვილისა.

კასატორი აღნიშნავს, რომ, მართალია, მოპასუხე დაწესებულებაში არსებული რეორგანიზაციის დროს იგი გააფრთხილეს სამუშაოდან შესაძლო გათავისუფლების შესახებ, მაგრამ 2007 წლის 9 თებერვალს სამუშაოდან ჯერ გათავისუფლების, შემდეგ კი იმავე რიცხვში თანამდებობაზე საგამოცდო ვადით დანიშვნის შესახებ ინფორმირებული არ ყოფილა.

თ. მ-შვილი მიუთითებს შრომის კოდექსის მე-9 მუხლზე, რომლის თანახმად, შესასრულებელ სამუშაოსთან პირის შესაბამისობის დადგენის მიზნით მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია, კანდიდატთან მხოლოდ ერთხელ დაიდოს შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით და არა უმეტეს 6 თვისა, შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით შეიძლება დაიდოს მხოლოდ წერილობითი ფორმით, სხვა შემთხვევაში ასეთი ხელშეკრულება ჩაითვლება შრომით ხელშეკრულებად.

სადავო შემთხვევაში არ არსებობდა წერილობითი ფორმა, არც შეთანხმება მომხდარა, არც შესასრულებელი სამუშაოები და მისი შესრულების ვადები განსაზღვრულა, რომ არაფერი ითქვას შრომის პირობებსა და შრომის ანაზღაურებაზე. კასატორის აზრით, ყოველივე აღნიშნული ასაბუთებს იმას, რომ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2007 წლის 9 თებერვლის №432 ბრძანება ფაქტობრივად წარმოადგენს არა საგამოცდო ვადით დანიშვნის ბრძანებას, არამედ – შრომის კოდექსის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ შრომის ხელშეკრულებას.

იმ პირობებში, როდესაც 2007 წლის იანვრის თვიდან სამუშაოდან გათავისუფლების დრომდე (ამავე წლის მაისამდე), თ. მ-შვილს არაერთი საპასუხისმგებლო ფუნქციის შესრულება დაეკისრა, თანამდებობაზე მისი კანდიდატურის წამოუყენებლობის მოტივით სამუშაოდან გათავისუფლებას იგი არამართლზომიერად მიიჩნევს. გარდა ამისა, კასატორის აზრით, მითითებული გარემოება კიდევ უფრო მეტად ცხადყოფს, რომ მოსარჩევე სამუშაოზე დაშვებული იყო არა საგამოცდო ვადით, არამედ – შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 აპრილის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2007 წლის 4 მაისის №2000პ/შ სადაც ბრძანებით ამავე დეპარტამენტის საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს საფინანსო განყოფილების მთავარი სპეციალისტი თ. მ-შვილი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან შრომის კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე. კანონის აღნიშნული ნორმის თანახმად, დამსაქმებელს უფლება აქვს, გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ნებისმიერ დროს დადოს კანდიდატთან შრომითი ხელშეკრულება ან მოშალოს გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულება.

სააპელაციო სასამართლომ თ. მ-შვილი მიიჩნია საგამოცდო ვადით დანიშნულ პირად დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2007 წლის 9 თებერვლის №432 პ/შ ბრძანების საფუძველზე და იმის გამო, რომ თ. მ-შვილს აღნიშნული ბრძანება არ გაუსაჩივრებია, ასევე არ გაუსაჩივრებია საგამოცდო ვადით დანიშვნამდე გამოცემული მისი თავდაპირველი გათავისუფლების ბრძანება (2007 წლის 9 თებერვლის №431 პ/შ ბრძანება), სააპელაციო სასამართლომ მისი გათავისუფლება მართლზომიერად მიიჩნია.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარე-მოებაზე, რომ 2007 წლის 9 თებერვლის №432 პ/შ ბრძანება თ. მ-შვილის გამოსაცდელი ვადით დანიშვნის შესახებ საქმის მასალებში არ არის წარმოდგენილი. თავად თ. მ-შვილი ყოველთვის სადავოდ ხდიდა, რომ აღნიშნული ბრძანება მას არ ჩაპბარებია და ამ ბრძანების არსებობის შესახებ არ იცოდა. თავად მოპასუხე საქმის მასალებში აცხადებს, რომ მათ მიერ ვერ მოხერხდა ბრძანების წარმოდგენა, რადგან დედნის სახით არ არის მათ სამსახურში და თუ დრო მიეცემათ, წარმოადგენენ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოსატანად მნიშვნელოვანია, გაირკვეს, არსებობს თუ არა დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2007 წლის 9 თებერვლის №432 პ/შ ბრძანება თ. მ-შვილის საგამოცდო ვადით დანიშვნის შესახებ და წარმოდგენილ იქნეს საქმის მასალებში. აღნიშნული უკავშირდება საქმეზე სწორი გადაწყვეტილების გამოტანას, რამდენადაც, თუკი აღნიშნული ბრძანება არ არსებობს, ასეთ შემთხვევაში, შრომის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ითვლება, რომ მოსარჩელეთან 2009 წლის 9 თებერვლიდან დადებულია ახალი შრომითი ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით, რომელიც ვერ შეწყდებოდა საგამოცდო ვადის საფუძვლით.

საქმის ხელახლი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ შესაბამის მტკიცებულებაზე დაყრდნობით უნდა გამოარკვიოს ზემოაღნიშნული გარემოება, კერძოდ, სარწმუნოდ უნდა დაადგინოს, წარმოადგენდა თუ არა თ. მ-შვილი დაკავებულ თანამდებობაზე გამოსაცდელი ვადით დანიშნულ კანდიდატს.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ გასაჩივრებული ბრძანების გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს ბრძანებაში მისი მამის სახელის შეცდომით მოხსენიება. სადაც არაა, რომ აღნიშნული ბრძანებით სწორედ თ. მ-შვილი და არა სხვა პირი გათავისუფლდა თანამდებობიდან, ხოლო მამის სახელის შეცდომით მითითება წარმოადგენს მხოლოდ ტექნიკურ შეცდომას, რაც სამოქალაქო კოდექსის 78-ე მუხლის საფუძველზე იძლევა შესწორების და არა შეცილების უფლებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 აპრილის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შრომითი ხელშეკრულების მოშლა

განხილვა

№ას-400-716-09

29 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი

დავის საგანი: ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგე-
ნა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ზ-შვილმა, ნ. ბ-შვილმა, მ. მ-შვილმა, ვ. პ-შვილმა, თ. ა-შვილ-
მა, თ. ჯ-შვილმა, მ. ი-ძემ და მ. ნ-შვილმა სარჩელით მიმართეს სა-
სამართლოს დედოფლისნყაროს №1 საჯარო სკოლის დირექტორ
მ. ლ-შვილის მიმართ. მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ წლების გან-
მავლობაში მუშაობდნენ ქ.დედოფლისნყაროს №1 საჯარო სკო-
ლაში მასწავლებლად, მათ ადმინისტრაციის მხრიდან არასდროს
მიუღიათ შენიშვნა თუ საყვედური, ეს ადამიანები დიდი პასუხის-
მგებლობითა და სრული პროფესიონალიზმით ახორციელებდნენ
დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს. მას შემდეგ, რაც დედოფ-
ლისნყაროს №1 საჯარო სკოლაში დირექტორად აირჩიეს მ. ლ-
შვილი, სკოლაში შეიქმნა დაძაბული და კონფლიქტური სიტუა-
ცია, რაც დამთავრდა საბოლოოდ ექვსი ჰედაგოგის: მ. მ-შვილის,
ნ. ბ-შვილის (პ-შვილი), ვ. პ-შვილის, მ. ზ-შვილის, თ. (თ.) ჯ-შვი-
ლის, თ. ა-შვილის, ლაბორანტ მ. ნ-შვილისა და სასწავლო რეზი-
მის კოორდინატორის - მ. ი-ძის სამსახურიდან განთავისუფლე-
ბით. ეს ადამიანები სამსახურიდან გათავისუფლდნენ მხოლოდ იმ
მიზანით, რომ არ არიან დირექტორის გუნდში და ვერ მოიქცია
თავისი გავლენის ქვეშ. დირექტორის მიერ განთავისუფლების შე-
სახებ ბრძანებების გამოცემა არ ეფუძნება მოსარჩელების მხრი-
დან კანონის დარღვევის ან შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი
ვალდებულებების შეუსრულებლობას.

მოსარჩელეებმა მოითხოვეს, ბათილად იქნეს ცნობილი ქ.დე-
დოფლისნყაროს №1 საჯარო სკოლის დირექტორის 02.09.08 №36,
№37, №39, №40, №42, №43 03.09.08 №45, №46 ბრძანებები, მოსარ-
ჩელები აღდგენილ იქნენ სამსახურში და მიეცათ იძულებითი გა-

ნაცდური სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შეს-
ვლის მომენტისათვის არსებული დავალიანების ოდენობით.

დედოფლისნყაროს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 29
ოქტომბრის გადაწყვეტილებით, მ. ზ-შვილის, ნ. ბ-შვილის (პ-შვი-
ლის), მ. მ-შვილის, ვ. პ-შვილის, თ. ა-შვილის, თ. (თ.) ჯ-შვილის, მ.
ი-ძის, მ. ნ-შვილის სასამართლო მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ბათი-
ლად იქნა ცნობილი ქ. დედოფლისნყაროს №1 საჯარო სკოლის
დირექტორის 2008 წლის 2 სექტემბრის №36, №37, №39, №40,
№42, №43, ასევე 2008 წლის 3 სექტემბრის №45, №46 ბრძანებე-
ბი, მოსარჩევები აღდგენილ იქნენ სამსახურში და მიეცათ იძუ-
ლებითი განაცდური სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ
ძალაში შესვლის მომენტისათვის არსებული დავალიანების ოდე-
ნობით.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტა-
ნა დედოფლისნყაროს №1 საჯარო სკოლაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატის 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით დედოფ-
ლისნყაროს №1 საჯარო სკოლის დირექტორის სააპელაციო სა-
ჩივარი დაკმაყოფილდა – დედოფლისნყაროს რაიონული სასა-
მართლოს 2008 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილების შეცვლით
მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. მ. ზ-შვილის, ნ. ბ-შვილის,
მ. მ-შვილის, ვ. პ-შვილის, თ. ა-შვილის, თ. (თ.) ჯ-შვილის, მ. ი-ძის,
მ. ნ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელების მოსაზ-
რება იმის თაობაზე, რომ მოპასუხის მხრიდან დარღვეულია „ზო-
გადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნე-
ბი. პალატამ განმარტა საქართველოს კანონი „ზოგადი განათლე-
ბის შესახებ“ და მიუთითა, რომ აღნიშნული კანონი არ უნდა იქ-
ნეს მიჩნეული „სხვა სპეციალურ კანონად“ იმის გათვალისწინე-
ბით, რომ დასახელებული კანონი აწესრიგებს საქართველოში ზო-
გადსაგანმანათებლო საქმიანობის განხორციელების პირობებს,
ზოგადი მართვისა და დაფინანსების პრინციპებს და წესს, ადგენს
ყველა ზოგადსაგანმანათებლო დაწესებულების (ორგანიზაცი-
ულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად) სტატუსს, მათი და-
ფუძნების, საქმიანობის, რეორგანიზაციის, ლიკვიდაციისა და აკ-
რედიტაციის წესს, ზოგადსაგანმანათებლო დაწესებულების მას-
წავლებელთა საქმიანობის წარმართვის პირობებსა და წესს. აღ-
ნიშნული კანონის მიზნებიდან გამომდინარე, „ზოგადი განათლე-
ბის შესახებ“ კანონი არ წარმოადგენს სპეციალურ კანონს შრო-
მითი და მის თანამდევ ურთიერთობების შესახებ და, შესაბამი-

სად, პალატას მიაჩნია, რომ სადაც ურთიერთობის მიმართ და-სახელებული კანონის გამოყენება არასწორია.

სააპელაციო პალატამ ასევე განმარტა, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი და მიუთითა, რომ აღნიშნული მუხლი არ შეიძლება გაგებულ იქნეს იმგვარად, რომ სკოლის დირექტორი მასნავლებლის სამუშაოდან განთავისუფლებისას შეზღუდულია ამავე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტში ჩამოთვლილი საფუძვლებით და მას შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში უფლება არ აქვს, შეწყვიტოს შრომითი ხელშეკრულება მასნავლებლთან. ნორმის ამგვარი განმარტება არ გამომდინარეობს კანონის მიზნებიდან.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ დავის გადაწყვეტის დროს სასამართლოს არ უნდა ეხელმძღვანელა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 11 ოქტომბრის №959 ბრძანებითა და 2008 წლის 8 აპრილის №313 ბრძანებით, „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასნავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“, რადგან, მიზნია, რომ მიუხედავად იმისა, დასახელებული ბრძანებები არის თუ არა ხარვეზიანი და მისი ნორმები შეიცავს თუ არა რომელიმე მხარის უფლებების დამცავ დებულებებს, საქართველოს განათლების მინისტრის ბრძანება არის კანონქვემდებარე აქტი, რომელიც იერარქიის მიხედვით დაბლა საფეხურზე დგას შრომის კანონმდებლობასთან შედარებით, ხოლო „ნორმატიული აქტების შესახებ“ 25-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ნორმატიულ აქტებს შორის ნინააღმდეგობის ნარმოქმნისას უპირატესობა ეძლევა იერარქიის უფრო მაღალ საფეხურზე მდგომ ნორმატიულ აქტს, ანუ საქართველოს შრომის კოდექსს.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემული დავის გადაწყვეტისას, აღნიშნული ბრძანებების დებულებებზე მითითება, ასევე, არასწორია, რადგან იგი ვერ გახდება მოსარჩელების მოთხოვნის დაკამაყოფილების საფუძველი.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სასამართლო არასწორად გამოიყენა საერთაშორისო ხელშეკრულების – ევროპის სოციალური ქარტიის დებულებები, რადგან აღნიშნული კონვენციის მე-4 მუხლის მეორე აბზაცი ხელშემკვერელი მხარეები აკეთებენ დათქმას, რომ ზემოაღნიშნული უფლებები განხორციელდება კოლექტიური ხელშეკრულებების, ხელფასის დადგენის კანონით გათვალისწინებუ-

ლი მექანიზმის ან სხვა საშუალებებით, ხოლო მოცემულ შემთხვევაში შესაბამისი კოლექტიური ხელშეკრულება დასაქმებულთა გაერთიანებასა და დამსაქმებელს შორის არ დადებულა. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სასამართლო შექმნა ევროპის სოციალური ქარტიის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტს, რომლის მიხედვით, მხრეებმა უნდა აღიარონ თითოეული მუშავის მიერ დასაქმების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების წინასწარი მიღების უფლება, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მოწინააღმდეგები მხარის (მოსარჩევების) მოთხოვნა (მისი საფუძვლები) არ ემყარებოდა, დასახელებული ნორმის დებულების დარღვევის გამო, მათი სარჩელის დაკმაყოფილებას.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ რაიონულმა სასამართლომ არასწორად მიუთითა სშკ-ის 44-ე მუხლზე. პალატამ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში, სამოქალაქო კანონმდებლობის ნორმების შესაბამისად მოსარჩელეების მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების შესახებ სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის სახით ვერ დაკმაყოფილდება, რადგან სამოქალაქო კანონმდებლობის ნორმები ანუსრიგებს ხელშეკრულების ერთერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით დამდგარი ზიანის ანაზღაურების წესს, ანუ აღნიშნული ნორმები შეეხება ხელშეკრულების მხარის მიერ ვალდებულების დარღვევას. აღნიშნული საფუძვლით მრომის ხელშეკრულების შეწყვეტა საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „გ“ პუნქტით არის მოწესრიგებული.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანეს თ. ა-შვილმა და თ. ჯ-შვილმა. კასატორებმა მიუთითეს, რომ დედოფლის სწაროს №1 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება, რომლითაც მასწავლებლებთან შეწყდა შრომითი ურთიერთობა, არ შეიცავს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ საფუძვლებს. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის თანახმად, განსაზღვრულია ის საფუძვლები, რა შემთხვევაშიც არის სკოლის დირექტორი უფლებამოსილი, ვადამდე შეწყვიტოს მასწავლებლებთან შრომითი ხელშეკრულება. აღნიშნული მოთხოვნა იმპერატიულია და ანუსრიგებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის პირობებს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივარს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკ-

მაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იმდენად არასრული და დაუსაბუთებელია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლინობის შემოწმება შეუძლებელია, რაც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენს მისი გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს.

დადგენილია, რომ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის დირექტორის 02.09.08 წლის №37 და №46 ბრძანებების საფუძველზე კასატორები (თ. ა-შვილი და თ. ჯ-შვილი) გათავისუფლდნენ დაკავებული თანაბდებობიდან საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 მრანებით დამტკიცებული სკოლის წესდების მე-7 მუხლის 1 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ სადაც ურთიერთობის მიმართ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენება არასწორია. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლი არ შეიძლება გაგებული იქნეს იმგვარად, რომ სკოლის დირექტორი მასწავლებლის სამუშაოდან განთავისუფლებისას შეზღუდულია ამავე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოთვლილი საფუძვლებით და მას შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში უფლება არ აქვს, შეწყვიტოს შრომითი ხელშეკრულება მასწავლებელთან.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშულ მოსაზრებას და განმარტავს, რომ სადაც ურთიერთობებზე ვრცელდება არა მარტო შრომის კოდექსი, არამედ – „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ეს კანონი ასევე აწესრიგებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელთა საქმიანობის წარმართვის პირობებსა და წესს.

განსახილველი ნორმა ზოგადი ხსიათისაა და გულისხმობს მასწავლებელთა უფლება-ვალდებულებების, მათი განხორციელების, ასევე მათი შეწყვიტის წესს და ა.შ.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში განაცილების საგანს წარმოადგენს თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ ბრძანებების კანონიერება და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული საკითხის გარკვევისათვის მისმენებული ენიჭება გასაჩივრებული ბრძანებების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლების შინაარსის დადგენას, რომლის განსაზღვრის კრიტიკუმები მოცემულია კანონით, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, რაც უნდა გამოიყენებინა და, შესაბამისად, არ იმსჯელა ამ კანონით გათვალისწინებულ საფუძვლებზე, რომლის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია მასწავლებლის თანამდებობიდან განთავისუფლება.

კასატიონების თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ ბრძანებების საფუძვლად მითითებულია საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი, რომლითაც განსაზღვრულია შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველი – შრომითი ხელშეკრულების მოშლა. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ სადაც ბრძანებებით შეწყდა (მოიშალა) საჯარო სკოლასა და მასწავლებლის შორის დადებული ხელშეკრულებები, ე.ი. მოიშალა იმ პირთა შორის არსებული ურთიერთობა, რომელიც რეგულირდება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით. ამდენად, საჯარო სკოლის დირექტორის მიერ საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით მასწავლებელთან შრომითი ხელშეკრულების მოშლისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფუძვლები, მასწავლებელთა საქმიანობის წარმართვის პირობებები და წესი, მასწავლებლის უფლება-ვალდებულებები, კანონით დადგენილი მასწავლებლის გარანტიები და ა.შ., რომლის მომზესრიგებელი სამართლებრივი საფუძვლები რეგულირდება განსახილველი კანონით.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21 მუხლის მე-7 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, მასწავლებელი ვალდებულია შესასრულოს შრომითი ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებები. აღნიშნული დანაწესის თანახმად, გასათვალისწინებელია საჯარო სკოლას, თ. აშვილსა და თ. ჯ-შვილთან დადებული შრომით ხელშეკრულებით განსაზღვრული მხარეთა უფლება-ვალდებულებები და ამავე ხელშეკრულებით მე-10 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები.

არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მე-10 პუნქტი ვერ იქნება მიღებული მხედველობაში, რადგან იგი გამომდინარეობს „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომით ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“ 2008 წლის 8 აპრილის №313 ბრძანებიდან, ხოლო აღნიშნულ კანონქვემდებარე აქტთან მიმართებით უპირატესი იურიდიულ ძალა გააჩნია შრომის კოდექსს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ნორმატიულ აქტი იერარქიული უპირატესობით გამოიყენება მაშინ, როდესაც არსებობს სხვა და სხვა იერარქიის ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობა. კონკრეტულ შემთხვევაში მათ შორის წინააღმდეგობა არ არსებობს (განსხვავებულად არ აწესრიგებენ ერთსა და იმავე ურთიერთობას).

ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ხელშეკრულების მე-10 პუნქტით მოცემული პირობები განსაზღვრულია მხარეთა ნების საფუძველზე და არ ეწინააღმდეგებიან კანონს. ამდენად, აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელობა არა აქვს, გამომდინარეობენ ეს პირობები 2008 წლის 8 აპრილის №313 ბრძანებიდან თუ არა. ამრიგად, სააპელაციო სასამართლო უნდა იმსჯელოს და შეფასება მისცეს მხარეთა შორის დადებული შრომითი ხელშეკრულებისა და „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მასწავლებლის თანამდებობიდან განთავისუფლების საფუძვლებზე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

სარეზულუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

თ. ა-შვილისა და თ. ჯ-შვილი საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

შრომითი ხელშეკრულების მომლის წესი და პირობები

განჩინება

№ას-1261-1520-09

23 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგე-
ნა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. შ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ბოლნისის რაი-
ონის სოფელ ... საჯარო სკოლის მიმართ, ამავე სკოლის დირექ-
ტორის მოვალეობის შემსრულებლის 2008 წლის 23 ოქტომბრის
№18 ბრძანების ბათილად ცნობის, სკოლის მენეჯერისა და ქარ-
თული ენის შემსწავლელი წრის ხელმძღვანელის თანამდებობა-
ზე სათანადო საათობრივი დატვირთვით აღდგენის, ასევე, 2008
წლის 23 ოქტომბრიდან განაცდური ხელფასის ანაზღაურების შე-
სახებ შემდეგი საფუძვლებით: 2008 წლის 23 სექტემბერს ბოლ-
ნისის რაიონის სოფელ ... საჯარო სკოლის დირექტორის მოვა-
ლეობის შემსრულებლის – ი. ს-ძის მიერ შედგენილი №1 აქტის
თანახმად, მ. შ-შვილი არ გამოცხადდა სამუშაოზე. 2008 წლის 7
ოქტომბერს №7 ბრძანებით მ. შ-შვილს გამოეცხადა საყვედური,
ხოლო 2008 წლის 23 ნოემბრის №18 ბრძანებით იგი დაკავებული
თანამდებობიდან გათავისუფლდა. აღნიშნული ბრძანება დაუსა-
ბუთებელია, მისი სამუშაოდან დათხოვნა დაკავშირებული კი არ
არის ობიექტურ მიზეზებთან, სკოლის განაწესის დარღვევასთან,
გაცდენა-დაგვიანებასთან, არამედ განპირობებულია ი. ს-ძის პი-
რადი ინტერესით. მიუხედავად იმისა, რომ დირექტორის მოვალე-
ობის შემსრულებელმა იცოდა მ. შ-შვილის მიერ აღნიშნულ დროს
სამუშაოზე გამოუცხადებლობის მიზეზები, უსაფუძვლოდ მიიღო
გადაწყვეტილება მისი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ.

მოპასუხებ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: მოსარ-
ჩელე სისტემატურად აცდენდა სამუშაოს და არ ასრულებდა მის-
თვის დაკისრებულ მოვალეობებს, რის შესახებაც მას მიეცა რამ-

დენიმე ზეპირი გაფრთხილება, ხოლო 2008 წლის 22 სექტემბერს შესდგა შესაბამისი აქტი. მოცემულ შემთხვევაში დაცულ იქნა „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 93-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი. დაუსაბუთებელია მხარის მითითება ი. ს-ძის პირადი ინტერესის არსებობის შესახებ, რაც გახდა მისი გათავისუფლების მიზეზი.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით მ. შ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 11 ნოემბრის განჩინებით მ. შ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: პალატამ დაადგინა, რომ საქმის მასალების მიხედვით, მ. შ-შვილი (დასაქმებული) და სოფ. ... საჯარო სკოლა (დამსაქმებელი) იმყოფებოდნენ შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებში. მ. შ-შვილი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობდა მოპასუხე საჯარო სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერის თანამდებობაზე და იმავდროულად ხელმძღვანელობდა ქართული ენის შემსწავლელ წრეს. ... საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი. ს-ძის 2008 წლის 23 ოქტომბრის №18 ბრძანებით, შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ხარისხის მართვის მენეჯერი მ. შ-შვილი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და მოქსნა სათაობრივი დატვირთვა. იგი ასევე გათავისუფლდა ქართული ენის შემსწავლელი წრის ხელმძღვანელობიდან. უდავოა, რომ მ. შ-შვილი სამუშაოდან გათავისუფლდა შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. პალატის მოსაზრებით, შრომის კოდექსის ზემოაღნიშნული საფუძვლით გათავისუფლება, თავის მხრივ, არ მოითხოვს რამე განსაკუთრებული პროცედურის დაცვას, თუმცა მუშაკის გათავისუფლება რაიმე საფუძვლის არსებობის გარეშეცდა უშვებელია. სასამართლომ მიუთითა, რომ მ. შ-შვილი სამუშაოდან გათავისუფლდა შინაგანაწესით დადგენილი ნორმების დარღვევების გამო, თუმცა მოსარჩელის მიერ ჩადენილი გარკვეული დარღვევები უცილობლად არ ნიშნავდა, რომ მასთან შრომითი ურთიერთობა უნდა შეწყვეტილიყო შრომის კოდექსის არა 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის, არამედ ამავე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. სასამართლომ ჩათვალა, რომ ასეთ შემთხვევაში მუშაკის სამუშაოდან გათავისუფლების საფუძველს ირჩევს დამსაქმებელი და იგი არ არის შეზღუდული შე-

საბამისი გარემოებების არსებობისას, გათავისუფლების კონკრეტული საფუძვლის შერჩევაში. პალატამ აღნიშნა, რომ მხარეთა შორის შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საკითხი მოწესრიგებულია შრომის კოდექსის 37-ე და 38-ე მუხლებით. როგორც უკვე აღნიშნა, გასაჩივრებული ბრძანების მიხედვით, მოსარჩელე სამსახურიდან გათავისუფლებულია შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რომლის მიხედვით, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველია შრომითი ხელშეკრულების მოშლა და კანონმდებელს რაიმე განსაზღვრული პირობები შრომის ხელშეკრულების მოშლისათვის არ დაუდგენია. ამასთან, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლად მითითებულ შრომითი ხელშეკრულების მოშლას, ამავე კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, რომელიმე სკეციალური კანონი ან რომელიმე საერთაშორისო ხელშეკრულება განსხვავებულად არ აწესრიგებს. სასამართლომ განმარტა, რომ შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის დანაწესი ვრცელდება როგორც ვადიან, ისე – უკადო შრომით ხელშეკრულებებზე. ამასთან, შრომის კოდექსით ერთადერთი ვალდებულება, რაც დამსაქმებელს ხელშეკრულების მოშლისას ეკისრება, არის არანაკლებ ერთი თვის შრომის ანაზღაურების გაცემა, კერძოდ, შრომის კოდექსის 38-ე მუხლით რეგულირდება შრომითი ხელშეკრულების მოშლის პროცედურა, ერთ შემთხვევაში, დასაქმებულის, ხოლო, მეორე შემთხვევაში, დამსაქმებლის ინიციატივით. პალატამ მიიჩნია, რომ განსაზღვეველ შემთხვევაში აღნიშნული საკითხი მოსარჩელეს სარჩელით სადავოდ არ გაუხდია და, შესაბამისად, სასამართლო ვერ იმსჯელებს, დაცული იყო თუ არა კანონის ეს მოთხოვნა მ. შ-შვილთან მიმართებით. ამდენად, საპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მოქმედი შრომის კოდექსი დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების მოშლის საფუძვლით ურთიერთობის შეწყვეტისას დამსაქმებელს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებას არ ავალებს, ამასთან, ამავე კოდექსით რაიმე პროცედურა მითითებული საფუძვლით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისათვის გათვალისწინებული არ არის. ამდენად, აპელანტის მითითება, რომ მოპასუხემ დაარღვია მხარეთა შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების 9.2 მუხლი (რომლის შესაბამისად, დამქირავებელი ყველა შემთხვევაში ვალდებული იყო, ორი კვირით ადრე გაეფრთხილებინა მუშავე მომავალი შესაძლო გათავისუფლების შესახებ) გასაჩივრებული ბრძანების უკანონოდ ცნობისა და მოსარჩელის სამუშაოზე აღდგენისათვის საკმარის საფუძველს არ წარმოადგენს. იმ გა-

რემონტის გათვალისწინებით, რომ მ. შ-შვილის გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობს, სასამართლომ არ იმსჯელა ამ მოთხოვნის თანმდევ შედეგზე – მოსარჩევის სამსახურში აღდგენასა და მისთვის იძულებით განაცდური ხელფასის ანაზღაურებაზე.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება მ. შ-შვილმა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეებს შორის არსებული შრომითი ხელშეკრულების 9.2 პუნქტი ადგენდა ადმინისტრაციის ვალდებულებას, მუშავის მოსალოდნებლი გათავისუფლების შესახებ ორი კვირით ადრე შეტყობინების შესახებ. აღნიშნული დათქმით მხარეებმა განსაზღვრეს ხელშეკრულების ისეთი პირობა, რომელიც კანონს არ ეწინააღმდეგებოდა. ამდენად, საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ, პუნქტის გამოყენებისას ვალდებული იყო, ორი კვირით ადრე გაეფრთხილებინა დაქირავებული შესაძლო გათავისუფლების შესახებ. აღნიშნული მოსაზრება ეფუძნება სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველ და მეორე წინადადებებს, რაზეც სასამართლოს არ უმსჯელია. სააპელაციო პალატამ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი და მეორე წინადადება, რისი გამოყენებაც აუცილებლად გამოიწვევდა სარჩელის დაკმაყოფილებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ მ. შ-შვილის საკასაციო საჩივრი ნაწილი ბრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გა-

მოკვლევა. დასახელებული ნორმის თანახმად, საკასაციო სასა-მართლო სააპელაციო პალატას ხელახლა განსახილელად დაუბ-რუნებს საქმეს, თუ საქმის განხილვისას აღმოჩნდა, რომ გადაწ-ყვეტილების მიღებისას სასამართლომ არ გამოიკვლია საქმის ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც არსებით გავლენას ახდენენ საქ-მის შედეგზე, კერძოდ:

მოცემულ დავაზე უდავოდ დადგენილია, რომ მ.შ-შვილი, შრო-მითი ხელშეკრულების საფუძველზე, მუშაობდა რა ... საჯარო სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერის თანამდებობაზე და იმავ-დროულად ხელმძღვანელობდა ქართული ენის შემსწავლელ წრეს, სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელ ი.ს-ძის 2008 წლის 23 ოქტომბრის № 18 ბრძანებით, შრომის კოდექსის 37-ე მუხ-ლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მ.შ-შვილი სამუშაოდან გათავისუფლდა შინაგანაწესით დადგენილი ნორმების დარღვევების გამო, თუმცა ეს არ ნიშნავდა, რომ შრო-მითი ურთიერთობა უნდა შეწყვეტილიყო შრომის კოდექსის არა 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის, არამედ ამავე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. სასამართლომ ჩათვალა, რომ ასეთ შემთხვევაში მუშავის სამუშაოდან გათავისუფლების საფუძველს ირჩევს დამსაქმებელი და იგი არ არის შეზღუდული, შესაბამისი გარემოებების არსებობისას გათავისუფლების კონ-კრეტული საფუძვლის შერჩევაში. გასაჩივრებული ბრძანების მი-ხედვით, მოსაზრებელ სამსახურიდან გათავისუფლებულია შრო-მის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რომ-ლითაც შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველია შრო-მითი ხელშეკრულების მოშლა და კანონმდებელს რაიმე განსაზ-ღვრული პირობები შრომის ხელშეკრულების მოშლისათვის არ დაუდგენია.

საკასაციო სასამართლო რადიკალურად არ იზიარებს სააპე-ლაციო პალატის ზემოხსენებულ დასკვნას, კერძოდ:

საქართველოს მორმის კოდექსის მე-2 მუხლის მეექვსე ნაწი-ლის თანახმად, შრომითი ურთიერთობისას მხარეებმა უნდა და-იცვან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული, ადამი-ანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. მითითებული ნორმა უზრუნველყოფს მოქალაქის უფლებას, დამსაქმებლის ინი-ციატივით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში ინ-ფორმირებული იყოს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველის შესახებ, ხოლო ამ საფუძვლის არაკანონიერების შემთხვევაში – დაიცვას თავისი უფლებები. ამავდროულად, დამსაქმებელი, თა-

ვის მხრივ, ვალდებულია, აცნობოს დასაქმებულს სამუშაოდან გათავისუფლების კონკრეტული საფუძველი. აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ დამსაქმებლის მიერ ამა თუ იმ ფორმით (ბრძანება და სხვა) სამუშაოდან გათავისუფლების საფუძვლის მითითება წარმოადგენს დამსაქმებლის ნამდვილი ნების გამოვლენას. ამდენად, დამსაქმებლის ნება გამოხატულია მის მიერ დასახელებულ (ამ შემთხვევაში წერილობით) დასაქმებულის გათავისუფლების საფუძველში, თვით დამსაქმებელს მის მიერ გამოვლენილი ნების ნამდვილობა სადაცოდ არ გაუხდია, შესაბამისად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გათავისუფლების სხვა საფუძველზე მითითებით ეჭვი შეიტანოს უდავოდ მიჩნეული ნების გამოვლენაში.

საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს სააპელაციო პალატის მიერ შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის განმარტებას, კერძოდ:

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლით აღლიარებულია პირის უმისგვნებლოვანები სოციალური უფლება – შრომის უფლება და დადგენილია, რომ შრომა თავისუფალია. შრომის კონსტიტუციური უფლება გარანტირებულს ხდის პირის თავისუფლებას, შრომითი საქმიანობის არჩევანში და მის განხორციელებაში, ამასთან, ანესებს სახელმწიფოს ვალდებულებას დასაქმებული მოქალაქეების შრომითი უფლებების დაცვაში, რაც უზრუნველყოფილია სათანადო კანონით – შრომის კოდექსით.

შრომითი ხელშეკრულება ვალდებულებითი ხელშეკრულების სპეციალური სახეა და მას კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულებებისაგან განასხვავებს ის გარემოება, რომ შრომითი ხელშეკრულების დადების შემდეგ კერძო სამართლის ერთ-ერთი უმთავრესი – მხარეთა თანასწორობის პრინციპი გარკვეულ სახეცვლილებას განიცდის და დაქირავებული დამოკიდებულია დამქირავებლის ნებაზე, მის მითითებზე და მის მიერ განსაზღვრულ სამუშაო თუ ორგანიზაციულ პირობებზე. ამდენად, ამ ურთიერთობებში აშკარად გამოკვეთილია დამქირავებლის უპირატესი მდგომარეობა „სუსტ“ მხარესთან – დაქირავებულთან შედარებით, რაც უდავოდ იწვევს „ძლიერი“ მხარის მიერ თავისი უფლებების გადამეტებულად, მეორე მხარის საზიანოდ გამოყენების საშიშროებას. სწორედ ამგვარ „უთანასწორობაში“ ბალანსის აღდგენასა და დაცვას ემსახურება შრომის კოდექსი, რომელიც საერთაშორისო კანონმდებლობისა და საქართველოს კონსტიტუციის ნორმების ურთიერთშეჯერებით ადგენს დაქირავებულის უფლებათა დაცვის სტანდარტებს.

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი ნაწილით, შრომა თავისუფალია. შრომის თავისუფლება ნიშნავს იმას, რომ თითოეულ ადამიანს უფლება აქვს, თავისუფლად განახორციელოს შრომითი საქმიანობა, აირჩიოს შრომითი საქმიანობის სფერო, პროფესია და უმუშევრობის დროს ისარგებლოს სახელმწიფოს გაღმდებულებას, მოქალაქეთა დასაქმებაზე, თუმცა, ამავდროულად, შრომის უფლების კონსტიტუციით აღიარება მიზნად უსახავს სახელმწიფოს, იზრუნოს სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაზე, თავისი მოქალაქების დასაქმების უზრუნველყოფაზე და ამასთან, ამ უფლების სამართლებრივი რეგულირების მიზნით, სათანადო სამართლებრივი რეჟიმის ჩამოყალიბებაზე.

შრომის კონსტიტუციური უფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია დასაქმების დაცვის უფლება, რაც გულისხმობს დასაქმებულ პირთა დასაცავად გარკვეული სამართლებრივი მექანიზმებისა არსებობა – შრომის კოდექსია თუ შრომის ურთიერთობის მომწერლიგებელ აქტებში დასაქმებულთა უფლების დაცვის მარეგულირებელი საერთაშორისო ნორმების ასახვას. ამ მხრივ უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო აქტები, რომლებიც იცავს დასაქმებულს სამუშაოდან წინასწარი შეტყობინებისა და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გათავისუფლებისაგან. ევროპის სოციალური ქარტის 4.4 მუხლით (რატიფიცირებულის საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის № 1876-რს დადგენილებით), შრომის სამართლიანი ანაზღაურების მიღების უფლების განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულებას იღებენ, აღიარონ თითოეული მუშავის მიერ დასაქმების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების წინასწარი მიღების უფლება. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის (საქართველოში ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან) მე-6 მუხლის თანახმად, ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილით კი, ამ პაქტით მონაწილე სახელმწიფოთა ღონისძიებანი, ამ უფლების სრულად განხორციელების მიზნით, შეიცავს პროფესიულ-ტექნიკური სწავლებისა და მომზადების პროგრამებს, განუხერელი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარებისა და სრული საწარმოო დასაქმების გზებსა და მეთოდებს ისეთ პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის ძირითად პილიტიკურ და ეკონომიკურ თავისუფლებებს. ადამიანის სოციალურ უფლებებთან დაკავშირებით მნიშ-

ვწელოვან დანაწესს ადგენს 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის (ძალაშია საქართველოს უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის დადგენილებით) 22-ე მუხლი, რომლის თანახმად, ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება და უფლება, განახორციელოს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ დარგებში, ნაციონალური მეცადნეობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით და ყოველი სახელმწიფოს სტრუქტურისა და რესურსების შესაბამისად, ის უფლებები, რომლებიც აუცილებელია მისი ღირსების შენარჩუნებისა და პირვენების თავისუფალი განვითარებისათვის. ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ შრომის თავისუფლება ფართო გაგებით პირდაპირ კავშირშია ადამიანის ღირსებასა და თავისუფალ განვითარებას-თან.

ამდენად, ზემოაღნიშნული საერთაშორისო სამართლის ნორმები იძლევა უალტერნატივო დასკვნის საშუალებას დასაქმებულთა შრომის უფლების მინიმალური სტანდარტებით დაცვაზე სახელმწიფოს ვალდებულებასა და ამასთანავე მის მიზანზე, აღნიშნული სტანდარტების, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების თანამდევად, მხოლოდ დაქირავებულის სასარგებლოდ შეცვლაზე. საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულით აღიარებული სახელმწიფოებრივი ნება სოციალური სახელმწიფოს დამკვიდრებისა, პირდაპირ და უშუალო კავშირშია შრომის უფლების დაცვასთან, რაც ცალსახად გულისხმობს დასაქმებულის უფლების დაცვას. საგულისხმოა, რომ ევროპის სოციალური ქარტიის 24-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ავალდებულებს მხარეებს, აღიარონ ყველა მუშაკის უფლება, უარი თქვან დასაქმების შეწყვეტაზე საპატიო მიზანის გარეშე, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს მისი პროფესიული შესაძლებლობებიდან ან მოქცევიდან, ასევე, სანარმოს შინაგანაწესიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოქმედი შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი არ შეიძლება განმარტებულ იქნეს როგორც დამქირავებლის ცალმხრივი უფლება – ყოველგვარი საფუძვლის გარეშე გაათავისუფლოს დასაქმებული.

აღნიშნული დასკვნის საფუძველს იძლევა თვით ზემოხსენებული ნორმების არსი, კერძოდ, მითითებული ნორმები ადგენს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას შრომითი ურთიერთობის მომლის საფუძველზე. ამდენად, აღნიშნული ნორმები ადგენს მხარეთა ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შედეგს და არა იმ ნინაპირობებს, რაც უნდა უძლოდეს სამართლებრივი

შედეგის დადგომას. მითითებული ნორმები უფლებააღმტურველი ნორმებია, რომლითაც ერთ-ერთ მხარეს შეუძლია, მოშალოს ხელშეკრულება. ამდენად, აღნიშნული ნორმები არ შეიძლება იყოს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, ვინაიდან მათში არ არის მოცემული წინაპირობები – აღნერილობითი ნაწილი. იმისათვის, რომ შემოწმდეს ნორმის გამოყენების საფუძვლიანობა, ესა თუ ის იურიდიული ფაქტი უნდა შეესაბამებოდეს ნორმაში მითითებულ წინაპირობებს და ინვევდეს ამავე ნორმით განსაზღვრულ შედეგს. ზემოაღნიშნული ნორმები ამგვარ წინაპირობებს არ შეიცავს. შრომის კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის თანახად, შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებსაც არ აწესრიგებს ეს კოდექსი ან სხვა სპეციალური კანონი, რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით. შესაბამისად, ასეთ შემთხვევებში გამოყენებულ უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც აწესრიგებს ხელშეკრულების მოშლის საფუძვლებს (სამოქალაქო კოდექსის 352-ე, 405-ე მუხლები).

საგულისხმოა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 აპრილის № 2/1/456 განჩინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა რა საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის არაკონსტიტუციურობის საკითხი, მიიჩნია, რომ მოსარჩელე მხარის შეხედულება მითითებული ნორმის შინაარსთან დაკავშირებით მცდარია და მიუთითა: „კონსტიტუციურ სარჩელში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ სადაც ნორმა დამსაქმებელს აძლევს თვითონებობისა და დასაქმებულის სამუშაოდან უსამართლო და უპირობო გათავისუფლების საფუძველს. მოსარჩელეთა წარმომადგენელის – რ. ლ-იანის მოსაზრებით, სადაც ნორმა არაკონსტიტუციურია მისი შინაარსობრივი დატვირთვის გამო. კოლეგიას მიაჩნია, რომ მოსარჩელე მხარის შეხედულება საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შინაარსთან დაკავშირებით მცდარია. გასაჩივრებული ნორმით არ არის მოწესრიგებული შრომითი ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტი, ხელშეკრულების მოშლის წესი და პირობები. სადაც ნორმა წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლების ჩამონათვალის ნაწილს და არა შრომითი ხელშეკრულების მოშლის მარეგულირებელ ნორმას. აქედან გამომდინარე, პოტენციურად შეუძლებელია მსჯელობა საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე, როგორც დამსაქმებლის მხრიდან შრომითი ხელშეკრულე-

ბის მოშლისას თვითნებობის შესაძლო დამდგენ ნორმაზე.“

ამდენად, განსახილველ დავაზე დარღვეულია დასაქმებულის კონსტიტუციური უფლება, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო აუქმებს საპელაციო პალატის გადაწყვეტილებას და ხელახლა განსახილველად აბრუნებს იმავე სასამართლოში, ვინაიდან ამ ეტაპზე შეუძლებელია გაირკვეს საქმისათვის აუცილებელი ფაქტობრივი გარემოებები.

მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, მხარეთა შორის დადებული შრომის ხელშეკრულებები ვადიანია თუ არა; რა სახის სამუშაოს შესრულებაზე და რა ოდენობით ანაზღაურებაზე იყვნენ მხარები შეთანხმებული, მხოლოდ ამ გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ უნდა შეფასდეს კასატორის სამუშაოზეუდგენისა და განაცდურის ანაზღაურების მართლზომიერება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მ. შ-შვილის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 11 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მომისამართულების მომლა

გადაცევაფილება საქართველოს სახელით

№ას-864-1150-09

28 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრივა (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ბრძანებების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღ-
დენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

დ. ჯ-უამ, ლ. ც-ავამ, ე. ს-იანმა, თ. პ-აიამ, ე. შ-ანმა, ი. ბ-აიამ,
მ. ს-იამ, ლ. გ-შეილმა, ლ. ა-იამ, ზ. კ-ძემ, ე. ხ-იამ და მ. კ-იამ სარ-
ჩელი აღმრეს სასამართლოში სსიპ „აფხაზეთის მედია-ცენტრის“
მიმართ 2007 წლის 27 ნოემბრის №6-17 ბრძანებების ბათილად
ცნობის, სამუშაოზე აღდგენის, შრომითი ხელშეკრულებების და-
დების დავალდებულების, იძულებითი განაცდურის ანაზღაურე-
ბისა და სასამართლო გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრუ-
ლების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: სსიპ „აფხაზეთის მედია-
ცენტრის“ დირექტორ რ. ქ-იას 2007 წლის 27 ნოემბრის №6-№17
ბრძანებებით მოსარჩევები შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“
ქვეპუნქტის საფუძველზე სამუშაოდან გათავისუფლდნენ. აღნიშ-
ნული ბრძანებები უკანონოა, რადგან უხეშად არღვევს მხარეთა
შრომით უფლებებს. 2007 წლის 27 სექტემბრის სოხუმის რაიო-
ნული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით
ძალადაკარგულად იქნა ცნობილი „აფხაზეთის მედია-ცენტრის“
დირექტორის 2007 წლის 13 ივნისის ბრძანებები და მოსარჩევე-
ები აღდგენილ იქნენ დაკავებულ თანამდებობებზე, მაგრამ შრო-
მითი საქმიანობა ფაქტობრივად არ განუახლებიათ და ახალი შრო-
მითი ხელშეკრულებები არ გაფორმებულა, შესაბამისად, სადა-
ვო ბრძანებები გამოიცა ისე, რომ სასამართლოს ზემოხსენებუ-
ლი გადაწყვეტილება არ აღსრულებულა. მოპასუხის მოქმედება
დისკრიმინაციულია და ლახავს მოსარჩევეთა უფლებას.

მოპასუხებ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: დაუსა-
ბუთებელა მოსარჩევეთა მითითება, რომ მოპასუხებ სასამარ-

თლის 2007 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება არ აღასრულა. „აფხაზეთის მედია-ცენტრის“ დირექტორის 2007 წლის 1 ნოემბრის №2 ბრძანებით მოდავე მხარეები აღდგენილ იქნენ დაკავებულ თანამდებობებზე. მხარეთა შორის უვადო შრომის ხელშეკრულებების დადების აუცილებლობა არ არსებობს, რადგან სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მოსარჩელეთა მოთხოვნა გათავისუფლების მომენტში მხარეებს შორის არსებული ზეპირი უვადო შრომითი ურთიერთობის აღდგენის შესახებ, რის შედეგადაც აღდგა ის ურთიერთობა, რაც გათავისუფლებამდე არსებობდა. საფუძველს მოკლებულია მოსარჩელის მითითება, რომ მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობა არ არსებობდა, რადგანაც პირის განცხადება და მის საფუძველზე დასაქმებულის მიერ გამოცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება დამსაქმებლის ნება პირის სამუშაოზე მიღების თაობაზე შრომითი ხელშეკრულების დადებას უთანაბრდება, ამდენად, 2007 წლის პირველი ნოემბრის ბრძანება №2-ით მხარეებს შორის ნარმოშვა სახელშეკრულებო შრომითი ურთიერთობა.

სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – ბათილად იქნა ცნობილი სსიპ „აფხაზეთის მედია-ცენტრის“ დირექტორის 2007 წლის 27 ნოემბრის ბრძანებები №6-17, მოსარჩელეები აღდგენილ იქნენ სსიპ „აფხაზეთის მედია-ცენტრში“ გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობებზე, მოპასუხეს მათ სასარგებლოდ დაეკისრა იძულებითი განცდურის ანაზღაურება გათავისუფლების დღიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სსიპ „აფხაზეთის მედია-ცენტრში“ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა – გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამ:

პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი გარემოებები: 2007 წლის 13 ივლისს სსიპ „აფხაზეთის მედია-ცენტრის“ დირექტორმა მოსარჩელეები სამსახურიდან დაითხოვა, რის გამოც მათ სარჩელი აღძრეს სასამართლოში. სოხუმის რაიონულ და სოხუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელეთა

მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, „აფხაზეთის მედია-ცენტრის“ დირექტორის 2007 წლის 13 ივნისის ბრძანებები ძალადაკარგულად იქნა ცნობილი. სსიპ „აფხაზეთის მედია-ცენტრის“ 2007 წლის 1 ნოემბრის №2 ბრძანებით მოსარჩელეები აღდგენილ იქნენ დაკავებულ თანამდებობებზე. 2007 წლის 27 ნოემბრის, შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, „აფხაზეთის მედია-ცენტრის“ დირექტორის №6, №7, №8, №9, №10, №11, №12, №13, №14, №15, №16, №17 ბრძანებებით მოსარჩელეები სამუშაოდან გათავისუფლდნენ. სასამართლოს 2007 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილებით დადგინდა სასამართლო გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება. მოსარჩელეებმა შრომის ანაზღაურება სამუშაოზე დანიშვნიდან გათავისუფლებამდე – 2007 წლის 1 ნოემბრიდან 27 ნოემბრამდე მიიღეს და აღნიშნული გარემოება მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ. ასევე სადავოარ არის, რომ მოსარჩელეებმა იძულებით გაცდენილი დროის ხელფასი მიიღეს 2007 წლის 13 ივნისიდან 1 ნოემბრამდე. მოსარჩელეთათვის სამუშაოზე აღდგენის შესახებ სსიპ „აფხაზეთის მედია-ცენტრის“, 2007 წლის პირველი ნოემბრის №2 ბრძანების თაობაზე ცნობილი იყო. თბილისის სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 2008 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით სოხუმის რაიონული და სოხუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება გაუქმდა.

სასამართლომ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ მოსარჩელებსა და მოპასუხეს შორის გათავისუფლების მომენტისათვის შრომითი ურთიერთობა არ სებობდა. სასამართლომ იხელ-მძღვანელა შრომის კოდექსის 1-ლი და მე-2 მუხლებით და მიიჩნია, რომ შრომითი ურთიერთობის წარმოშობა დამოკიდებულია პირთა ნების გამოვლენაზე და ემსახურება სამუშაოს შესრულებას არაერთჯერადად, გარკვეული ანაზღაურების მიღების მიზნით. მოსარჩელეები სამუშაოზე აღდგენილ იქნენ საკუთარი სურვილით, სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე გამოცემული სსიპ „აფხაზეთის მედია-ცენტრის“ 2007 წლის პირველი ნოემბრის №2 ბრძანებით. ამდენად, მხარეების მიერ ნების გამოვლენის შედეგად წარმოიშვა შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა, კერძოდ, მოსარჩელეთა სამუშაოზე აღდგენის ბრძანებათა გამოცემით დადგინდა შრომის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული სამართლებრივი ურთიერთობის განსაზღვრელი ელემენტების – სამართალურთიერთობის სუბიექტების (დასაქმებული და დამსაქმებელი) არსებობის ფაქტი, დადგინდა შრომითი პირობები და სახელფასო გა-

ნაკვეთი. მხარეთა ურთიერთობა გადავიდა შრომით-სამართლებრივი რეგულირების რეზიმში. პალატამ მიიჩნია, ადმინისტრაციის მხრიდან მოსარჩელეთა სამუშაოზე დაშვების ნების გამაბათილებლად ვერ ჩაითვლება ის გარემოება, რომ მოსარჩელეებს კონკრეტული დავალება არ მიუღიათ, ამასთან, როგორც აღინიშნა, მათ მიიღეს 2007 წლის 1 ნოემბრიდან 27 ნოემბრამდე იძულებით განაცდური ხელფასი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მხარეთა შრომითი უფლებები არ დარღვეულა.

პალატის მითითებით, მოსარჩელეებს შრომითი ურთიერთობა შრომის ხელშეკრულების არსებობის პირობებში, ხელშეკრულების მოშლის საფუძველზე შეუწყდათ. შრომითი ხელშეკრულების მოშლა მიზნად ისახავს და ამავდროულად ნიშნავს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას. შრომითი ხელშეკრულების მოშლა შეიძლება ერთდროულად მიჩნეულ იქნეს როგორც შრომითი ურთიერთობის მოშლის საფუძვლად, ისე შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ნაირსახეობად. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის სხვა საფუძვლებისაგან განსხვავებით ხელშეკრულების მოშლა იწვევს შრომითი ურთიერთობის შეუქცევად შეწყვეტას, რაც პირდაპირაა გათვალისწინებული შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტითა და 38-ე მუხლით. შრომის კოდექსი შრომითი ხელშეკრულების მოშლის ინიციატორს მოშლის საფუძვლად გარკვეული მიზეზის მითითებას არ ავალდებულებს და ამიტომ მისი ნება კანონით არ იზღუდება.

მოსარჩელეთა მიმართ დისკრიმინაციის ფაქტთან დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა, რომ დისკრიმინაცია წარმოადგენს ფაქტის სამართლებრივ შეფასებას, რა დროსაც უნდა არსებოდეს სათანადო ფაქტობრივი წარმატებულები. განსახილველ შემთხვევაში კი ასეთის არსებობა აპელანტმა სააპელაციო საჩივარში უარყო. სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს შრომის კოდექსით აღიარებული „შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ“ უწევის კონვენციის პირველი მუხლის პირველ პუნქტით გათვალისწინებული დისკრიმინაციის ცნებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით, შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მესამე ნაწილით, ასევე მიუთითა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 2003 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებით ჯ. ჯ-ძის, 6. უისა და სხვათა კონსტიტუციურ სარჩელზე სასამართლოს მიერ გაცემთბული განმარტებაზე, რომლის შესაბამისად კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი გულისხმობს ყველა იმ ადამიანის უფლებისა და თავისუფლების თანაბრად აღიარებას და დაცვას,

რომელიც იმყოფება თანაბარ პირობებში და კანონით განსაზღვრული საკითხის მიმართ აქვს ადეკვატური დამოკიდებულება. პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს შრომის კოდექსი 37-ე და 38-ე მუხლებით აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და თანმდევ ურთიერთობებს და თანაბარ პირობებში აყენებს აპელანტი მხარის დაწესებულებაში ყველა დასაქმიერულს და მათ შორის – მოსარჩელეებსაც. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელეთა მოსაზრება, რომ მათ მიმართ მოპასუხე მხარის არამართლზომიერმა ქმედებამ – დევნამ, ისინი განსხვავებულ მდგომარეობაში ჩააყენა, რადგან საქმის მასალებით დადგენილია, რომ სსიპ „აფხაზეთის მედია-ცენტრის“ სხვა თანამშრომლები, რომლებიც მოსარჩელეებთან ერთად გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან 2007 წლის 13 ივნისს ბრძანებით აღდგენილ იქნენ სამუშაოზე, სსიპ „აფხაზეთის მედია-ცენტრი“ თავისუფალია კონტრაკენტის არჩევაში და, შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მეხუთე ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, ამავე კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მოსარჩელეთა სამუშაოდან დათხოვნა დისკრიმინაციას არ წარმოადგენს. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა გათავისუფლება მოხდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლით და მათი დისკრიმინაციის ფაქტი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, არ დადასტურებულა. შრომის კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილით, ასევე დაუსაბუთებელია მოთხოვნა იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ, რადგან მოსარჩელეთა სამუშაოდან კანონიერად გათავისუფლება მათ იძულებით მოცდენას გამორიცხავს.

სააპლაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დ. ჯ-უამ, ლ. ც-ავამ, ე. ს-იანმა, თ. პ-აიამ, ე. შ-ანმა, ი. ბ-აიამ, მ. ს-იამ, ლ. გ-შვილმა, ლ. ა-იამ, ზ. კ-ძემ, ე. ხ-იამ და მ. კ-იამ გაასაჩივრეს საკასაციო წესით, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება შემდეგი საფუძვლებით: სასამართლომ დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის 42.1 და 82.2 მუხლები, „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის 3.1 და 4.1 მუხლები, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი, ვინაიდან სამსახურიდან დათხოვნის შესახებ სადაცო ბრძანება გამოიცა ისე, რომ სსიპ „აფხაზეთის მედია-ცენტრს“ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება კასატორთა სამუშაოზე აღდგენის თაობაზე არ აღუსრულებია. ფაქტობრივად არ აღდგენილა მედია-ცენტრის საქმიანობა ტელე-რადიო მაუწყებლობისა და ინტერნეტ-საიტის ფუნქციო-

ნირების აღდგენის თვალსაზრისით, რაც მოიცავს ფაქტობრივ დასაქმებას. აფხაზეთის ფინანსთა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებმა არ განახორციელეს მატერიალურ-ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიებები კასატორთათვის სამუშაო პირობებისა და ტექნიკური საშუალებების უზრუნველსაყოფად. მათ არ აუნაზღაურდათ არც იძულებითი განაცდური და არ გაფორმებულა შრომითი ხელშეკრულებები, რაც სამუშაოზე აღდგენის პროცედურის განუყოფელ ნაწილს შეადგენს.

შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამუშაოზე აღდგენის ბრძანება არ წარმოადგენს გარიგებას მუშაკის სამუშაოზე დაშვების თაობაზე, ვინაიდან მუშაკს ორგანიზაციასთან შრომითი სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის ნება არ გამოუვლენია, ხოლო თანამდებობებზე აღდგენის ბრძანებები წარმოადგენს დამსაქმებლის მიერ ნების გამოვლენას და მათ სამართლებრივი შედეგები მოჰყვებოდა, თუ მეორე მხარე ამ ნებას მიიღებდა და შრომითი ხელშეკრულების დადებას დათანხმებოდა. მხარეებს შორის უნდა დადებულიყო უვადო შრომითი ხელშეკრულებები, სადაც განისაზღვრებოდა შრომის პირობები, მხარეთა უფლება-მოვალეობები და სხვა. ამდენად, ამ კუთხით სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა არასწორია, ხოლო სასარჩელო წარმოებითა და სააღსრულებო ფურცლის წარდგენით შრომითი ხელშეკრულების დადებაზე დასაქმებულის ნების გამოვლენა არ ხდება. სასამართლო და სააღსრულებო წარმოება არ შეიძლება იყოს განხილული, როგორც სახელშეკრულებო ურთიერთობა და მხარეთა მიერ ნების თავისუფალი გამოვლენის გზით შეთანხმების მიღწევა. სასამართლო გადაწყვეტილების შესრულების სავალდებულო, იძულებითი ხასიათიდან გამომდინარე, დამსაქმებელი ამ დროს ნების თავისუფალი გამოვლენის შესაძლებლობას მოელებულია, ხოლო დასაქმებული არ წარმოადგენს სახელშეკრულებო კონტრაპენტს, არამედ იგი მოდავე მხარე და კრედიტორია საკუთარი უფლებების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. კასატორთა ნება ამ შემთხვევაში მიმართული იყო არა მხარეთა ნების თავისუფალი გამოვლენის გზით შრომითი ურთიერთობის წარმოშობისაკენ, არამედ სასამართლო და სააღსრულებო პროცედურით მათი დარღვეული შრომითი უფლებების აღსადგენად დამსაქმებლის იძულებისაკენ. ამასთან, შრომის კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, შრომითი ურთიერთობის წარმოშობისათვის მხოლოდ შრომითი ხელშეკრულების დადება საკმარის პირობას არ წარმოადგენს. სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის შესაბამისად, გარიგება მხოლოდ ისეთი ნე-

ბის გამოვლენაა, რომელიც იწვევს იურიდიულ შედეგებს – სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას. მოცემულ შემთხვევაში სადავო ბრძანებები მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობების შეწყვეტისაკენ, მაგრამ მას რაიმე იურიდიული შედეგი არ შეიძლება მოჰყვეს, ვინაიდან სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის შეწყვეტასაც იგი ითვალისწინებს, არ წარმოშობილა და იგი, სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის საფუძველზე, ბათილია.

სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა დამსაქმებელის მხრიდან შრომის კოდექსის მე-7 მუხლის დარღვევის თაობაზე. კასატორთა მიმართ დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლი. პალატამ არ გაითვალისწინა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ზემოხსენებული ნორმის განმარტება 1998 წლის 3 ნოემბრის №2\80-9 გადაწყვეტილებაში, ა. ჭ-ს სარჩელის გამო, საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ და 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე – მ. ნ-ე და სხვები საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. შრომის კოდექსის 38-ე მუხლი არეგულირებს მხოლოდ შრომის ხელშეკრულების მოშლის ფორმალურ პროცედურას. სასამართლომ კი იმსჯელა ამავე კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის, როგორც შრომითი ხელშეკრულების მოშლის მომწერიგებელი ნორმის განმარტების თაობაზე. შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს კონსტიტუციის 30.1 მუხლს შორის კოლიზისას, კონსტიტუციის 6.1 მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-20 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს უნდა გამოყენებინა კონსტიტუცია ან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის მეორე ნაწილისა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის მე-19 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე მიემართა საკონსტიტუციო სასამართლოსათვის. რეალურად მითითებულ ნორმებს შორის კოლიზია არ არის, რადგან შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი, საკონსტიტიტუციო სასამართლოს განმარტებით (2009 წლის 7 აპრილის №2\1\456 გადაწყვეტილება საქმეზე – საქართველოს მოქალაქეები ვ. თ-ია, ს. თი-ია, ხ. გ-ია და მ. შ-ია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ), არ არის შრომითი ხელშეკრულების მომწერიგებელი ნორმა. პალატამ არ შეაფასა ის გარემოება, რომ მოპასუხისავან გამოთხოვილ იქნა საქმის განხილვის დროისათვის მომუშავე პირთა სია და აღმოჩნდა, რომ მათი უდიდესი ნაწილი წარმოადგენს მედია-ცენტრის

ლიკვიდაციისას კასატორებთან ერთად გათავისუფლებულ თანამშრომლებს, რომლებსაც მოსარჩელეებისაგან განსხვავებით სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლოში სარჩელი არ აღუძრავთ. აღნიშნული გარემოებები დადგენილია და მოწინააღმდეგებს სადაცოდ არ გაუხდია, მაგრამ სასამართლომ კასატორთა გათავისუფლება დისკრიმინაციად არ მიიჩნია, არასწორად განმარტაშრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი და სოხუმის რაიონული და საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომელიც დაუყოვნებლივ აღსრულდა, თუმცა შემდგომ გაუქმდა. სადაცო ბრძანებებით მოპასუხებ უკანონოდ და თვითნებურად არა მარტო შეწყვიტა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივი აღსრულება, არამედ ფაქტობრივად თავადვე მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნა. სასამართლომ ასევე დაარღვა „ევროპის სოციალური ქარტიის“ ფუნდამენტური დებულებები.

მოცემულ დავაზე საქართველოს უზენაეს სასამართლოში საკასაციო საჩივრის განხილვისას 2010 წლის 13 აპრილის სასამართლო სხდომაზე ი. ბ-აიას რწმუნებულმა მ. პ-აიამ მოითხოვა ი. ბ-აიას საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოების შეწყვეტა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2010 წლის 13 აპრილის განჩინებით ი. ბ-აიას რწმუნებულ მ. პ-აიას შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და ი. ბ-აიას საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოება შეწყდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ თ. პ-აიას, დ. ჯ-უას, ლ. ც-ავას, ე. ს-იანის, ე. შ-ანის, მ. ს-იას, ლ. გ-შვილის, ლ. ა-იას, ზ. კ-ძის, ე. ხ-იასა და მ. კ-იას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს, ბათილად იქნეს ცნობილი გასაჩივრებული ბრძანებები კასატორთა სამუშაოდან გათავისუფლების თაობაზე, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში კი საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქ-

მეზე, თუ არ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ კასატორთა მიერ გასაჩივრებული სსიპ „აფხაზეთის მედია-ცენტრის“ დირექტორის 2007 წლის 27 ნოემბრის ბრძანებები ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, კერძოდ:

უდაცოდ დადგენილია, რომ სსიპ „აფხაზეთის მედია-ცენტრის“ დირექტორის 2007 წლის 27 ნოემბრის №6, №7, №8, №9, №10, №12, №13, №14, №15, №16 და №17 ბრძანებებით თ. პ-აია, დ. ჯუა, ლ. ც-ავა, ე. ს-იანი, ე. შ-ანი, მ. ს-ია, ლ. გ-შვილი, ლ. ა-ია, ზ. კ-ძე, ე. ხ-ია და მ. კ-ია გათავისუფლდენენ საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს კასატორთა მოსაზრებას გასაჩივრებული ბრძანებების არაკანონიერებაზე და თვლის, რომ ისინი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს სააპელაციო პალატის მიერ შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის განმარტებას, კერძოდ:

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლით აღიარებულია პირის უმნიშვნელოვანესი სოციალური უფლება – შრომისუფლება და დადგენილია, რომ შრომა თავისუფალია. შრომის კონსტიტუციური უფლება გარანტირებულს ხდის პირის თავისუფლებას, შრომითი საქმიანობის არჩევანსა და მის განხორციელებაში, ამასთან, აწესებს სახელმწიფოს ვალდებულებას დასაქმებული მოქალაქეების შრომითი უფლებების დაცვაში, რაც უზრუნველყოფილია სათანადო კანონით – შრომის კოდექსით.

შრომითი ხელშეკრულება ვალდებულებითი ხელშეკრულების სპეციალური სახეა და მას სხვა კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულებისაგან განასხვავებს ის გარემოება, რომ შრომითი ხელშეკრულების დადების შემდეგ კერძო სამართლის ერთ-ერთი უმთავრესი – მხარეთა თანასწორობის პრინციპი გარკვეულ სახეცვლილებას განიცდის და დაქირავებული დამოკიდებულია დამტკირავებლის ნებაზე, მის მითითებებზე და მის მიერ განსაზღვრულ სამუშაო თუ ორგანიზაციულ პირობებზე, ამდენად, ამ ურთიერთობებში აშკარად გამოკვეთილია დამტკირავებლის უპირატესი მდგომარეობა „სუსტ“ მხარესთან – დაქირავებულთან შედარებით, რაც უდავოდ იწვევს „ძლიერი“ მხარის მიერ თავისი უფლებების გადამეტებულად, მეორე მხარის საზიანოდ გამოყენების საშიშროებას. სწორედ ამგვარ „უთანასწორობაში“ ბალანსის აღ-

დგენასა და დაცვას ემსახურება შრომის კოდექსი, რომელიც საერთაშორისო კანონმდებლობისა და საქართველოს კონსტიტუციის ნორმების ურთიერთშეჯერებით ადგენს დაქირავებულის უფლებათა დაცვის სტანდარტებს.

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი ნიზი-ლით, შრომა თავისუფალია. შრომის თავისუფლება ნიშნავს იმას, რომ თითოეულ ადამიანს უფლება აქვს, თავისუფლად განახორციელოს შრომითი საქმიანობა, აირჩიოს შრომითი საქმიანობის სფერო, პროფესია და უმუშევრობის დროს ისარგებლოს სახელმწიფო გარანტით. შრომის თავისუფლება არ ნიშნავს სახელმწიფოს ვალდებულებას, მოქალაქეთა დასაქმებაზე, თუმცა, ამავდროულად, შრომის უფლების კონსტიტუციით აღიარება მიზნად უსახვს სახელმწიფოს, იზრუნოს სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაზე, თავისი მოქალაქეების დასაქმების უზრუნველყოფაზე და ამასთან, ამ უფლების სამართლებრივი რეგულირების მიზნით, სათანადო სამართლებრივი რეჟიმის ჩამოყალიბებაზე.

შრომის კონსტიტუციური უფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია დასაქმების დაცვის უფლება, რაც გულისხმობს დასაქმებულ პირთა დასაცავად გარკვეული სამართლებრივი მექანიზმების არსებობას – შრომის კოდექსისა თუ შრომის ურთიერთობის მომწერლიგებელ აქტებში დასაქმებულთა უფლების დაცვის მარეგულირებელი საერთაშორისო ნორმების ასახვას. ამ მხრივ უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო აქტები, რომლებიც იცავს დასაქმებულს სამუშაოდან ნინასწარი შეტყობინებისა და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გათავისუფლებისაგან. ევროპის სოციალურ ქარტიის 4.4 მუხლით (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 1 ივლასის № 1876-რს დადგენილებით), შრომის სამართლიანი ანაზღაურების მიღების უფლების განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულებას იღებენ, აღიარონ თითოეული მუშავის მიერ დასაქმების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების ნინასწარი მიღების უფლება. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის (საქართველოში ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან) მე-6 მუხლის თანახმად, ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილით კი ამ პაქტით მონაწილე სახელმწიფოთა ღონისძიებაზი, ამ უფლების სრულად განხორციელების მიზნით, შეიცავს პროფესიულ-ტექნიკური სწავლებისა და მომზადების პროგრამებს, განუხრელი ეკონომიკური, სოციალური და კულტუ-

რული განვითარებისა და სრული საწარმოო დასაქმების გზებსა და მეთოდებს ისეთ პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფს ადამიანის ძირითად პოლიტიკურ და ეკონომიკურ თავისუფლებებს. ადამიანის სოციალურ უფლებებთან დაკავშირებით მნიშვნელოვან დანართებს 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის (ძალაშია საქართველოს უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის დადგენილებით) 22-ე მუხლი, რომლის თანახმად, ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება და უფლება, განახორციელოს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ დარგებში, ნაციონალური მეცადანეობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით და ყოველი სახელმწიფოს სტრუქტურისა და რესურსების შესაბამისად, ის უფლებები, რომლებიც აუცილებელია მისი ღირსების შენარჩუნებისა და პიროვნების თავისუფალი განვითარებისათვის. ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ შრომის თავისუფლება ფართო გაგებით პირდაპირ კავშირშია ადამიანის ღირსებასა და თავისუფალ განვითარებას-თან.

ამდენად, ზემოაღნიშნული საერთაშორისო სამართლის ნორმები იძლევა უალტერნატივო დასკვნის საშუალებას დასაქმებულთა შრომის უფლების მინიმალური სტანდარტებით დაცვაზე სახელმწიფოს ვალდებულებაზე და ამასთანავე – მის მიზანზე აღნიშნული სტანდარტების, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების თანამდევად, მხოლოდ დაქირავებულის სასარგებლობების შეცვლაზე. საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულით აღიარებული სახელმწიფოებრივი ნება სოციალური სახელმწიფოს დამკვიდრებისა, პირდაპირ და უშუალო კავშირშია შრომის უფლების დაცვასთან, რაც ცალსახად გულისხმობს დასაქმებულის უფლების დაცვას. საგულისხმოა, რომ ევროპის სოციალური ქარტია 24-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით ავალდებულებს მხარეებს, აღიარონ ყველა მუშაკის უფლება, უარი თქვენ დასაქმების შეწყვეტაზე საპატიო მიზანის გარეშე, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს მისი პროფესიული შესაძლებლობებიდან ან მოქცევიდან, ასევე საწარმოს შინაგანანესიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოქმედი შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი არ შეიძლება განმარტებულ იქნეს როგორც დამქირავებლის ცალმხრივი უფლება, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე გაათავისუფლოს დასაქმებული.

აღნიშნული დასკვნის საფუძველს იძლევა თვით ზემოხსენებული ნორმების არსი, კერძოდ, მითითებული ნორმები ადგენს

შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას შრომითი ურთიერთობის მოქლის საფუძველზე. ამდენად, აღნიშნული ნორმები ადგენს მხარეთა ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შედეგს და არა იმ წინაპირობებს, რაც უნდა უძლოდეს სამართლებრივი შედეგის დადგომას. მითითებული ნორმები უფლებააღმფურველი ნორმებია, რომლითაც ერთ-ერთ მხარეს შეუძლია, მოშალის ხელშეკრულება. ამდენად, აღნიშნული ნორმები არ შეიძლება იყოს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, ვინაიდან მათში არ არის მოცემული წინაპირობები – აღნერილობითი ნაწილი. იმისათვის, რომ შემოწმდეს ნორმის გამოყენების საფუძვლიანობა, ესა თუ ის იურიდიული ფაქტები უნდა შეესაბამებოდეს ნორმაში მითითებულ წინაპირობებს და ინვევდეს ამავე ნორმით განსაზღვრულ შედეგს. ზემოაღნიშნული ნორმები ამგვარ წინაპირობებს არ შეიცავს. შრომის კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის თანახად, შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებსაც არ აწესრიგებს ეს კოდექსი ან სხვა სპეციალური კანონი, რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით. შესაბამისად, ასეთ შემთხვევებში გამოყენებულ უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც აწესრიგებს ხელშეკრულების მოშლის საფუძვლებს (სამოქალაქო კოდექსის 352-ე, 405-ე მუხლები).

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორთა მოსაზრებას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 აპრილის № 2/1/456 განჩინების გათვალისწინების თაობაზე და უთითებს შემდეგს: საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა რა საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის არაკონსტიტუციურობის საკითხი, მიიჩნია, რომ მოსარჩელე მხარის შეხედულება მითითებული ნორმის შინაარსთან დაკავშირებით მცდარია და მიუთითა: „კონსტიტუციურ სარჩელში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ სადავო ნორმა დამსაქმებელს აძლევს თვითნებობისა და დასაქმებულის სამუშაოდან უსამართლო და უპირობო გათავისუფლების საფუძველს. მოსარჩელეთა წარმომადგენელის – რ. ლიპარტელიანის მოსაზრებით, სადაც ნორმა არაკონსტიტუციურია მისი შინაარსობრივი დატვირთვის გამო. კოლეგიას მიაჩნია, რომ მოსარჩელე მხარის შეხედულება საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შინაარსთან დაკავშირებით მცდარია. გასაჩივრებული ნორმით არ არის მოწესრიგებული შრომითი ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტი, ხელშეკრულების მოშლის წესი და პირობები. სადაც ნორმა წარმოადგენს შრომითი

ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლების ჩამონათვალის ნაწილს და არა შრომითი ხელშეკრულების მოშლის მარეგულირებელ ნორმას. აქედან გამომდინარე, პოტენციურად შეუძლებელია მსჯელობა საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე, როგორც დამსაქმებლის მხრიდან შრომითი ხელშეკრულების მოშლისას თვითინებობის შესაძლო დამდგენ ნორმაზე.

სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესს და აკრძალვებს, ენინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს. გადაწყვეტილების კვლევით ნაწილში დასაბუთებულია გასაჩივრებული ბრძანებების უკანონობა.

ამდენად, განსახილველ დაგაზე დარღვეულია დასაქმებულთა კონსტიტუციური უფლება, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების ამ ნაწილში გაუქმებისა და გასაჩივრებული ბრძანებების ბათილად ცნობის საფუძველია.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქმე კასატორთა სამუშაოზე აღდგენისა და განაცდეურის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო პალატას, ვინაიდან ამ მიმართებით გამოსაკვლევია და დასადგენი ფაქტობრივი გარემოებები, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე და 412-ე მუხლების თანახმად, საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველია.

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ თითოეულ კასატორთან მიმართებით უნდა გამოარკვიოს, მოპასუხესთან დადებული შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადა, შესრულებული სამუშაოსათვის ანაზღაურების ოდენობა და სხვა სახელშეკრულებო პირობები; სააპელაციო პალატამ ასევე უნდა იმსჯელოს და დაადგინოს გადაწყვეტილების გამოტანის დროისათვის კასატორთა სამუშაოზე აღდგენის რეალური შესაძლებლობები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე, 412-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

თ. პ-აიას, დ. ჯ-უას, ლ. ც-ავას, ე. ს-იანის, ე. შ-ანის, მ. ს-იას, ლ. გ-შვილის, ლ. ა-იას, ზ. კ-ძის, ე. ხ-იას და მ. კ-იას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალა-
ქო საქმეთა პალატის 2009 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება.

თ. პ-აიას, დ. ჯ-უას, ლ. ც-ავას, ე. ს-იანის, ე. შ-ანის, მ. ს-იას,
ლ. გ-შვილის, ლ. ა-იას, ზ. კ-ძის, ე. ხ-იასა და მ. კ-იას სარჩელი
ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ „აფხაზეთის მედია-ცენტრის“
დირექტორის 2007 წლის 27 ნოემბრის №6, №7, №8, №9, №10,
№12, №13, №14, №15, №16 და №17 ბრძანებები.

თ. პ-აიას, დ. ჯ-უას, ლ. ც-ავას, ე. ს-იანის, ე. შ-ანის, მ. ს-იას,
ლ. გ-შვილის, ლ. ა-იას, ზ. კ-ძის, ე. ხ-იასა და მ. კ-იას სამუშაოზე
აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვ-
ნის ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს თბი-
ლისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალა-
ტას.

საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გა-
საჩივრდება.

მომის ხელშეკრულების მომლა

განერივა

№ას-1159-1421-09

17 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგე-
ნა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 11 მარტს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სასარ-
ჩელო განცხადებით მომართა გ. ვ-შვილმა მოპასუხე შპს ქ. ბათუ-
მის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს წინააღმდეგ და
მოითხოვა, ბათილად იქნეს ცნობილი შპს ქ. ბათუმის რესპუბლი-
კური კლინიკური საავადმყოფოს დირექტორ მ. ნ-ძის მიერ 2009

წლის №02/02/11 გამოცემული ბრძანება და იგი აღდგენილ იქნეს დაკავებულ თანამდებობაზე, ასევე, აუნაზღაურდეს იძულებითი განაცდური, რომელიც ხელფასის სახით თვეში შეადგენს 3500 ლარს.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2009 წლის 9 თებერვალს შპს ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს დირექტორ მ. ნ-ძის მიერ შეწყვეტილ იქნა შრომითი ურთიერთობა გ. ვ-შვილ-თან. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის მოტივი კი მისთვის დღემდე უცნობია. გ. ვ-შვილმა, როგორც ექიმმა, შპს ქ. ბათუმის რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოში მთავარი ექიმის – გ. ც-ძისა და აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს ერთობლივი გადაწყვეტილებით მუშაობა დაიწყო 2004 წელს. მას, როგორც ნეიროქირურგს, ერთი წლის განმავლობაში გაკეთებული აქვს 260-მდე ოპერაცია, რის შედეგადაც კლინიკურ საავადმყოფოს ბიუჯეტში შეტანილია მის მიერ 338,442 ლარი.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ მოპასუხე მ. ნ-ძის მიერ გ. ვ-შვილის მიმართ გამოცემულია დაუსაბუთებელი და ყოველგვარ საფუძველს მოკლებული ბრძანება, კერძოდ, საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლების 9 ქვეპუნქტებიდან არც ერთ არ არის მითითებული ბრძანებაში, რაც საფუძველი გახდებოდა გ. ვ-შვილის სამსახურიდან დათხოვნისა. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი კი უფლებამოსილი არ არის, თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებსა ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი მის მიერ. შპს ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს წესდების 6.1 პუნქტის თანახმად, შპს-ს თანამშრომელთა შრომითი ურთიერთობები რეგულირდება საკონტრაქტო საფუძველზე, ასევე 7.2-ე პუნქტის მიხედვით, დირექტორი უშუალოდ მართავს შპს-ს თავისი კომპეტენციის ფარგლებში, განაგებს ქონებასა და ფინანსურ სახსრებს, დებს ხელშეკრულებებს. იგი საკონტრაქტო წესით ნიშნავს და ათავისუფლებს მუშაკებს. მოსარჩელის განმარტებით, ფაქტობრივად ეს წესები კლინიკაში არ მოქმედებს.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელემ და მისმა წარმომადგენელმა მხარი დაუჭირეს სასარჩელო განცხადებას და მოითხოვეს ბათილად იქნეს ცნობილი შპს ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს დირექტორ მ. ნ-ძის მიერ 2009 წლის 9 თებერვალს გამოცემული ბრძანება №02/02/11 და აღდგენილ იქნეს დაკავებულ თანამდებობაზე, ასევე, აუნაზღაურდეს

იძულებითი განაცდური, რომელიც ხელფასის სახით თვეში შეადგენს 3500 ლარს, აღნიშნულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე და აღსრულებამდე.

მოპასუხე შპს ქ.ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს წარმომადგენელმა რ. შ-ემ სარჩელი არ ცნოდა განმარტა, რომ მოპასუხეს არ დაურღვევია დღეს მოქმედი საქართველოს შრომის კოდექსი, გ. ვ-შვილი გათავისუფლდა სამუშაოდან შრომის კოდექსის 37-ე მუხლის შესაბამისად, ასევე, მას აუნაზღაურდა, ამავე კოდექსის თანახმად, ერთი თვის ხელფასიც, რის გამოც მოპასუხის წარმომადგენელს მიაჩინა, რომ სარჩელი უსაფუძვლოა და მის დაკმაყოფილებაზე უნდა ეთქვას უარი.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 10 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით გ. ვ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა შპს ქ.ბათუმის რესპუბლიკურმა კლინიკურმა საავადმყოფომ და მოითხოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 10 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის საოქმო განჩინებით შპს ქ.ბათუმის „რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს საჩივარი დაკმაყოფილდა – გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 19 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განახლდა საქმის წარმოება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით გ. ვ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, გ. ვ-შვილ უარი ეთქვა 2009 წლის 9 თებერვლის №02-02/11 ბრძანების გაუქმებაზე, სამუშაოზე აღდგენასა და იძულებით განაცდურის ანაზღაურებაზე.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა გ. ვ-შვილმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გ. ვ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; გ. ვ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა – გაუქმდა შპს ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს დირექტორის 2009 წლის 9 თებერვლის №02-02/11 ბრძანება გ. ვ-შვილის განთავისუფლების თაობაზე და გ. ვ-შვილი აღდგენილ იქნა დაკავებულ თანამდებობაზე; შპს ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს დაეკისროს

გ. ვ-შვილის სასარგებლოდ განაცდური ხელფასის – ყოველთვიური 3500 ლარის ანაზღაურება 2009 წლის 9 მარტიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო, რომ გ. ვ-შვილი 2005 წლის 5 იანვრის №202/კ ბრძანებით დაინიშნა შპს ქ.ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს ტრავმატოლოგია-ორთოპედიის განყოფილებაში ექიმ ნეიროქირურგად და მისი ყოველთვიური ანაზღაურება შეადგენდა 3500 ლარს. 2009 წლის 9 თებერვალს შპს ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს დირექტორის – მ. ნ-ძის №02-02/11 ბრძანებით გ. ვ-შვილს შეუწყდა შრომითი ურთიერთობა. გ. ვ-შვილმა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ მიიღო ერთი თვის შრომის ანაზღაურება. გ. ვ-შვილის განთავისუფლების შესახებ ბრძანებაში განთავისუფლების სამართლებრივი საფუძველი მითითებული არ არის.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ გ.ვ-შვილი დამსაქმებელთან მუშაობდა 2005 წლის 5 იანვრის ბრძანების საფუძველზე, რაც თავისი შინაარსით წარმოადგენს დამსაქმებლის ნებას. შრომის კოდექსის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დამსაქმებლის ნების გამოხატვა წარმოადგენს შრომით ხელშეკრულებას. განსახილველ შემთხვევაში დავის საგანია გათავისუფლების შესახებ ბრძანების კანონშესაბამისობა. 2009 წლის 9 თებერვლის №01-01/11 ბრძანებაში სამართლებრივ საფუძვლად არ არის მითითებული რაიმე სამართლებრივ ნორმაზე.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება, რომ დამსაქმებელი არ არის ვალდებული, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზზე მიუთითოს განთავისუფლების შესახებ ბრძანებაში.

სააპელაციო პალატამ განმარტა შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილი და მიუთითა, რომ, მართალია, კანონმდებელი არ მიუთითებს ბრძანებაში განთავისუფლების მიზეზის აღნიშვნის ვალდებულებას, თუმცა ამის გარეშე შეუძლებელია, გაირკვეს და დადგინდეს ნამდვილად კანონშესაბამისად შეწყდა თუ არა ხელშეკრულება.

სააპელაციო პალატამ განმარტა შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ, დამსაქმებლის მიერ არ არის მითითებული, კონკრეტულად რამ გამოიწვია და რა დაედო საფუძვლად შრომის ხელშეკრულების შეწყვეტას, შესაბამისად, ბრძანება განთავისუფლების შესახებ დაუსაბუთებელია, ვინაიდან შეუძლებელია ფაქტობრივი გარემოების დადგენა, ნამდვი-

ლად იქნა თუ არა დარღვეული მხარის მიერ შრომის კოდექსის 37-ე მუხლის მითითებული მოთხოვნები.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ შრომის კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შრომის ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებსაც არ ანესრიგებს ეს კოდექსი ან სხვა სპეციალური კანონი, რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველ ნაწილის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო აანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სახელშეერულებო ურთიერთობების ცალმხრივად შეწყვეტის შედეგად მოსარჩევის მიზანია, მიიღოს სათანადო დაკმაყოფილება მოპასუხისაგან, რაც მოქმედი შრომის კოდექსის პირობებში შესაძლებელია მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის ნორმებიდან გამომდინარეობდეს. ვინაიდან ბრძანება განთავისუფლების შესახებ კანონის დარღვევითაა გამოცემული და ბათილია, მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა არ შეწყვეტილა და იგი გრძელდება, შესაბამისად, დამსაქმებელმა უნდა გააგრძელოს შრომითი ურთიერთობების შესრულება სანარმოში და ამით შესრულდეს 408-ე მუხლის პირველი ნაწილის ის პუნქტი, რაც პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას შეეხება.

სააპელაციო პალატამ განმარტა სამოქალაქო კოდექსის 409-ე მუხლი და მიუთითა შემდეგზე: იმის გათვალისწინებით, რომ მიყენებული ზიანის მხოლოდ ნატურით აანაზღაურება, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა ვერ უზრუნველყოფს დამსაქმებლის მიერ გაცდენილ პერიოდში მისაღები თანხის აანაზღაურებას. სასამართლო მიიჩნია, რომ ამ ნაწილში გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 409-ე მუხლი და მიუღებელი თანხა უნდა დაეკისროს დამსაქმებელს, როგორც მიყენებული ზიანის ფულადი აანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მიუხედავად.

სააპელაციო პალატის განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა შპს ბათუმის რესპუბლიკურმა კლინიკურმა საავადმყოფომ.

კასატორმა მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებით. სააპელაციო სა-

სამართლომ მიუთითა, რომ დამსაქმებელი და დასაქმებული შრომით ურთიერთობაში თანასწორი არიან, რაც არასწორია. კასატორის აზრით, შრომითი ურთიერთობა არის შრომის ორგანიზებული მოწესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებელისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ, რაც წარმოშობა მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე წების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებით, ასევე, სააპელაციო სასამართლო გასცდა სააპელაციო მოთხოვნას და შეცვალა დავის საგანი და კასატორს დააკისრა ზიანის ანაზღაურება. გ. ვ-შვილს არ მოუთხოვია ზიანის ანაზღაურება და გაუგებარია, რატომ გასცდა სააპელაციო მოთხოვნას სასამართლო.

კასატორის მოსაზრებით, გ. ვ-შვილის მიერ 14-დღიანი ვადის დარღვევით იყო შეტანილი სააპელაციო საჩივარი, კერძოდ, გ. ვ-შვილმა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა 2009 წლის 22 ივნისს. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ წარმოებაში მიიღო ვადაგასული საპატელაციო საჩივარი, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე და 369-ე მუხლის მოთხოვნები.

კასატორი მიუთითებს, რომ შრომის კოდექსი არ ავალდებულებს დამსაქმებელს, დასაქმებულის განთავისუფლებისას მიუთითოს და დაასაბუთოს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის მიზები. საკასაციო საჩივარში ასევე აღნიშნულია, რომ დამსაქმებელს არ ევალა მოშლის საფუძვლად რაიმე მიზეზის მითითება, შრომითი ხელშეკრულების მოშლის ინიციატორის ნება თავისუფალია.

კასატორი აღნიშნავს, რომ პაციენტებს საზოგადოების წინაშე დავალიანებები გადახდილი ჰქონდათ მოსარჩელესათვის და არა საზოგადოებისათვის, ეს ფაქტები გავრცელებული იყო პერსონალში და ჩაითვალა მმართველობის არასრულყოფილებად და სხვა თანამშრომლებთან ერთად მოსარჩელეს გამოეცხადა სიტყვიერი გაფრთხილება. ერთ-ერთ ასეთ ფაქტის არსებობისას გ. ვ-შვილმა სავადმყოფოს ხელმძღვანელის კაბინეტში სამედიცინო პერსონალის თანდასწრებით შეურაცხყოფა მიაყენა, რაც საბოლოოდ საფუძველი გახდა მისი სამსახურიდან დათხოვნისა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივარს და მიიჩნევს, რომ შპს ქ.ბათუმის რესპუბლი-

კური კლინიკური საავადმყოფოს საკასაციო საჩიგარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის საპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილება შპს ქ.ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოსათვის გ. ვ-შვილის სასარგებლოდ გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველთვიურად 3500 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას, დანარჩენ ნაწილში ქუთაისის საპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გ. ვ-შვილი 2005 წლის 5 იანვრის №202/კ ბრძანებით დაინიშნა შპს ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს ტრავმატოლოგია-ორთოპედიის განყოფილებაში ექიმ ნეიროქირურგად და მისი ყოველთვიური ანაზღაურება შეადგენდა 3500 ლარს.

2009 წლის 9 თებერვალს შპს ქ.ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს დირექტორ მ. ნ-ძის №02-02/11 ბრძანებით გ. ვ-შვილს შეუწყდა შრომითი ურთიერთობა. გ. ვ-შვილმა შრომითი ურთიერთობის შენცვეტის შემდეგ მიიღო ერთი თვის შრომის ანაზღაურება. გ. ვ-შვილის განთავისუფლების შესახებ ბრძანებაში განთავისუფლების სამართლებრივი საფუძველი მითითებული არ არის.

არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ გ. ვ-შვილის მიერ 14-დღიანი ვადის დარღვევით იყო შეტანილი სააპელაციო საჩიგარი, რადგან ის და მისი წარმომადგენელი ესწრებოდნენ 2009 წლის 22 მაისის გადაწყვეტილების გამოცხადებას. ამასთან დაკავშირებით საკასაციო პალატა განმარტავს შემდეგს: მიუხედავად იმისა, რომ საქმეში არ მოიპოვება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, 2009 წლის 22 მაისს, ე.ი გადაწყვეტილების გამოცხადების დროს, სასამართლომ გამოაცხადა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. აღნიშნული გარემოება დასტურდება 2009 წლის 19 მაისის საოქმო განჩინებით, რომლითაც განისაზღვრა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების დარიღი (2009 წლის 22 მაისი 10.30) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის თანახმად. ამდენად, გადაწყვეტილების გასაჩიგრების ვადა აითვლება არა სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან, არამედ დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების მომენტიდან.

არ შეიძლება, ასევე, გაზიარებულ იქნეს კასატორის მოსაზ-

რება იმის შესახებ, რომ გ. ვ-შვილმა სააპელაციო საჩივარი შეიტანა ფიზიკურ პირის - მ. ნ-ძის წინააღმდეგ და არა შპს ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს წინააღმდეგ.

ამასთან მიმართებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სა-თანადო მხარის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ პროცესუალური მხარე რამდენად წარმოადგენს განსახილ-ველი მატერიალურ-სამართლებრივი დანაწესებით მოწესრიგე-ბული ურთიერთობის სუბიექტს. აქედან გამომდინარე, მნიშვნე-ლოვანია იმის გარკვევა, მოსარჩელის მიერ მითითებულ მოპასუ-ხეს ევალება თუ არა მოსარჩელის მოთხოვნას გასცეს პასუხი. კონკრეტული შემთხვევის გათვალისწინებით, უნდა აღინიშნოს, რომ შპს „ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ დირექტორი მ. ნ-ძე ამ დაწესებულების წარმომადგენელია. ამდე-ნად, გ. ვ-შვილის მიერ აღმრულ მოთხოვნას პასუხი უნდა გასცეს მ. ნ-ძემ, როგორც იურიდიული პირის წარმომადგენელმა, რაც არ ნიშნავს იმის, რომ სადავო ურთიერთობაში მოსარჩელეს მოპა-სუხედ მითითებული ჰყავს მ. ნ-ძე. საკასაციო პალატა კიდევ ერ-თხელ დასძენს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მოპასუხება შპს ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო, რომლის წარმომადგენელია მ. ნ-ძე.

კასატორი საკასაციო საჩივარში უთითებს, რომ შრომის კო-დექსი არ ავალდებულებს დამსაქმებელს, დასაქმებულის განთა-ვისუფლებისას მიუთითოს და დაასაბუთოს შრომითი ურთიერ-თობის შეწყვეტის მიზეზები. საკასაციო საჩივარში, ასევე აღნიშ-ნულია, რომ დამსაქმებელს არ ევალა მოშლის საფუძვლად რაიმე მიზეზის მითითება, შრომითი ხელშეკრულების მოშლის ინიცია-ტორის ნება თავისუფლალია.

აღნიშნულთან მიმართებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ შრომის კოდექსის 37-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწი-ნებით, შრომითი ხელშეკრულების მოშლის ინიციატორის ნების თავისუფლებაში არ გულისხმობს ხელშეკრულების მოშლის ინი-ციატორის ყოველგვარ თვითნებობას. კონკრეტულ შემთხვევაში ხელშეკრულების მოშლის შესახებ დამსაქმებლის ნება არ უნდა არღვევდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებუ-ლი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, ასევე, შრომი-თი ხელშეკრულების ანდა შრომის პირობებით დაცულ მოთხოვ-ნებს.

მით უმეტეს აღსანიშნავია კასატორის განმარტება, რომლი-თაც იგი უთითებს ხელშეკრულების მოშლის საფუძველზე, მაგ-რამ ვერ ადასტურებს მას, კერძოდ, კასატორი აღნიშნავს, რომ პა-

ციენტებს საზოგადოების წინაშე დავალიანებები გადახდილი ჰქონდათ მოსარჩეულებათვის და არა საზოგადოებისათვის, ამის შესახებ იცოდა პერსონალმა და ჩაითვალა მმართველობის ხარვეზად და სხვა თანამშრომლებთან ერთად მოსარჩეულეს გამოეცხადა სიტყვიერი გაფრთხილება. ერთ-ერთ ასეთ ფაქტის არსებობისას გ. ვ-შვილმა საავადმყოფოს ხელმძღვანელის კაბინეტში სამედიცინო პერსონალის თანდასწრებით შეურაცხყოფა მიაყენა, რაც საბოლოო საფუძველი გახდა მისი სამსახურიდან განთავისუფლების.

ამასთან დაკავშირებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კასატორი ვერ უთითებს ვერც ერთ მტკიცებულებაზე, რომლითაც დადგინდებოდა ზემოაღნიშნული საფუძველი, რაც უნდა გამოეკვლია და არ გამოიკვლია ან არასათანადოთ გამოიკვლია სააპელაციო სასამართლომ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორის მიერ წარმოდგენილი არ არის დასაბუთებული პრეტენზია. კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და სამართლებრივ-მატერიალური ნორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება.

რაც შეეხება სააპელაციო გადაწყვეტილებას გ.ვ-შვილის სასარგებლოდ შპს ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოსათვის ყოველთვიურად 3500 ლარის გადახდის დაკისრებას გადაწყვეტილების აღსრულებამდე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ამ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ შეუძლებელია მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება, რაც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმების აპსოლუტურ საფუძველს წარმოადგენს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ, საქმეში არსებული მასალების მიხედვით უნდა გამოიკვლიოს და დასაბუთოს, თუ რა მტკიცებულებების საფუძველზე

დგინდება, რომ მოსარჩელის ყოველთვიური ხელფასი 3500 ლა-
რია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქა-
ლაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

შპს ქ.ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს სა-
კასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალა-
ქო საქმეთა პალატის 2009 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილება
შპს ქ.ბათუმის „რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოსათ-
ვის“ გ. ვ-შვილის სასარგებლოდ გადაწყვეტილების აღსრულებამ-
დე ყოველთვიურად 3500 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნა-
წილში საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პა-
ლატას;

დანარჩენ ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სა-
მოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვე-
ტილება დარჩეს უცლელი;

სასამართლო ხარჯები განისაზღვროს საქმეზე საბოლოო გა-
დაწყვეტილების მიღებისას;

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

შრომითი ხელშეკრულების მომდა

განხილვა

№ას-250-235-2010

13 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: ბრძანებების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღ-
დგენა

აღნერილობითი ნაწილი:

2009 წლის 1 ოქტომბერს ზესტაფონის რაიონულ სასამარ-
თლოს სარჩელით მიმართა ნ. ჭ-ძემ მოპასუხე ზესტაფონის №...
საჯარო სკოლის მიმართ. მოსარჩელემ მოთხოვა მასთან შრომი-
თი ხელშეკრულების ვადის გაგრძელების, აგრეთვე თანამდებო-
ბიდან მისი გათავისუფლების შესახებ მოპასუხე დაწესებულების
დირექტორის 2008 წლის 25 აგვისტოს №51 და 2009 წლის 4 სექ-
ტემბრის №97 ბრძანებების გაუქმება და სამუშაოზე აღდგენა.

სარჩელის თანახმად, ნ. ჭ-ძე ზესტაფონის №... საჯარო სკო-
ლაში 1989 წლიდან მუშაობდა ქართული ენისა და ლიტერატურის
მასნავლებლად. 2007 წლის 29 ნოემბერს მასა და მოპასუხე სკო-
ლის დირექტორ ვ. მ-ძეს შორის დაიდო შრომითი ხელშეკრულება
ერთი წლის ვადით 2008 წლის 25 აგვისტომდე. ზესტაფონის №...
საჯარო სკოლის დირექტორის 2008 წლის 25 აგვისტოს №51 ბრძა-
ნებით პედაგოგებს, მათ შორის, ნ. ჭ-ძეს, გაუგრძელდათ შრომი-
თი ხელშეკრულების მოქმედების ვადა 1 წლით. აღნიშნული ბრძა-
ნების არსებობის შესახებ ნ. ჭ-ძისათვის ცნობილი გახდა ზესტა-
ფონის რაონული სასამართლოს 2009 წლის 25 მაისის გადაწყვე-
ტილების მიღების შემდეგ. ბრძანება მოპასუხეს მისთვის არ ჩაუ-
ბარებია 2009 წლის 4 სექტემბრამდე.

მოსარჩელის მოსაზრებით, 2008 წლის 25 აგვისტოს ზემოაღ-
ნიშნული ბრძანება კანონსაწინააღმდეგე იყო. მასთან შრომითი
ურთიერთობა უნდა გაეგრძელებინათ არა სკოლის დირექტორის
ბრძანების, არამედ შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. მო-
პასუხებ დაარღვია „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასნავლე-
ბელს შორის დადებული ხელშეკრულების სავალდებულო პირო-

ბების დამტკიცების „შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 11 ოქტომბრის №959 ბრძანების 9¹ მუხლის მოთხოვნა, რომლის თანახმად, სკოლასა და მასწავლებელს შორის ვადიანი ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში რეკომენდებულია გრძელვადიანი, მინიმუმ 3-5 წლით, შრომითი ხელშეკრულების გაფორმება. გარდა ამისა, დაირღვა დასახელებული ბრძანების მე-10 მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტების, შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 23-ე მუხლის, შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ 1958 წლის კონვენციის მოთხოვნები.

მოსარჩევის მითითებით, სამუშაოდან დათხოვნის ბრძანების შინაარსი წინააღმდეგობრივია. ბრძანების სამართლებრივ საფუძვლად დასახელებულია შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „ბ“ (შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა) და „დ“ (შრომითი ხელშეკრულების მოშლა) ქვეპუნქტები. ამავე ბრძანების მე-2 პუნქტით კი სკოლის ბუღალტერიას დაევალა მასთან ანგარიშსნორება – ერთი თვის შრომის ანაზღაურება შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად. ერთი თვის შრომის ანაზღაურება დასაქმებულს მიეცემა მხოლოდ შრომითი ხელშეკრულების დამსაქმებლის ინიციატივით მოშლის შემთხვევაში. ამდენად, ბრძანებაში არასწორად მიეთითა დათხოვნის საფუძველზე, მოსარჩელის სამუშაოდან გათავისუფლება მოხდა არა შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო, არამედ, შრომის კოდექსის 38-ე მუხლის თანახმად, დამსაქმებლის ინიციატივით.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნ. ჭ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ნ. ჭ-ძე 1989 წლიდან მუშაობდა ზესტაფონის №... საჯარო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასნავლებლად;

2007 წლის 29 ნოემბერს მხარეებს შორის გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება, რომლითაც შრომითი ხელშეკრულების ხანგრძლივობა განისაზღვრა 1 წლის ვადით, 2007 წლის 25 აგვისტოდან 2008 წლის 25 აგვისტომდე;

2008 წლის 25 აგვისტოს №1 საჯარო სკოლის დირექტორმა გამოსცა ბრძანება №51, რომლის თანახმად, საჯარო სკოლის პედაგოგებს, მათ შორის, ნ. ჭ-ძეს, გაუგრძელდათ შრომითი ხელშეკრულება 1 წლის ვადით №... საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასნავლებლის თანამდებობაზე;

2009 წლის 29 იანვარს იმავე სკოლის დირექტორმა მიიღო ბრძანება №65, რომლითაც ნ. ჭ-ძეს მე-11 „ბ“ კლასის მოსწავლე-ებთან შექმნილი დაურეგულირებელი სიტუაციის გამო მიეცა გაფრთხილება;

2009 წლის 4 სექტემბრის №97 ბრძანებით ნ. ჭ-ძე გათავისუფ-ლდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის თანამ-დებობიდან. სამუშაოდან დათხოვნის ბრძანებას საფუძვლად და-ედო შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტები, „ზო-გადი განათლების შესახებ“ კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტი, აგრეთვე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სკო-ლის წესდების მე-7 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები;

ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს 2009 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით ნ. ჭ-ძის სარჩევი №... საჯარო სკოლის დი-რექტორის 2009 წლის 29 იანვრის ბრძანების (ხუთი საგაკვეთი-ლო საათის მოხსნის შესახებ) ბათილად ცნობის ნაწილში არ დაკ-მაყოფილდა, ხოლო მისი მოთხოვნა დროებითი შრომისუუნარო-ბის გამო ფულადი დახმარების – 247 ლარის ანაზღაურების ნა-ნილში დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს მითითებით, 2009 წლის 25 ივნისს შედგა ზესტაფონის №... საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომა, სადაც ნ. ჭ-ძემ განმარტა, რომ მისთვის ცნობილი გახდა №51 ბრძანების შესახებ, თუმცა არც სკოლის დირექტორისათ-ვის და არც სასამართლოსათვის მისი ბათილად ცნობის მოთხოვ-ნით არ მიუმართავს. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებიდან გა-მომდინარე, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ნ. ჭ-ძეს ზე-მოაღნიშნული ადგინისტრაციული აქტი კანონით დადგენილ ერ-თთვიან ვადაში არ გაუსაჩივრებია.

რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, ზესტაფონის №... სა-ჯარო სკოლის დირექტორს №51 ბრძანების გამოცემით არ და-ურღვევია შრომის კოდექსისა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 11 ოქტომბრის №959 ბრძანების მოთხოვ-ნები. მოპასუხეს შრომის ხელშეკრულებაში არ შეუტანია ცვლი-ლებები და დამატებები. ხელშეკრულების პირობები მხარეთა შო-რის იგივე დარჩა, ადგილი ჰქონდა მხოლოდ ხელშეკრულების ვა-დის გაგრძელებას. შრომის ხელშეკრულების ვადის გაგრძელების შესახებ ბრძანების მიღებით არ გაუარესებულა მოსარჩელის უფ-ლებები და ინტერესები. ზესტაფონის №... საჯარო სკოლის 2009 წლის 30 ივნისს №48 ბრძანებით საჯარო სკოლის პედაგოგებს, მათ შორის, მოსარჩელეს, მიეცათ შევებულება 1 ივლისიდან 1 სექ-

ტემპრის ჩათვლით. მოსარჩელეს კონტრაქტით გაგრძელებული ერთწლიანი ვადა დაუმთავრდა 25 აგვისტოს, შვებულებაში ყოფნის პერიოდში, როს გამოც დირექტორმა მისი სამუშაოდან დათხოვნის ბრძანება გამოსცა შვებულების დამთავრების შემდეგ 4 სექტემბერს. აღნიშნული გარემოების გამორიცხვის სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ მას ხელშეკრულება გაუგრძელდა განუსაზღვრელი ვადით. ამასთან, სასამართლომ მიუთითა მრომის კანონთა კოდექსის 31-ე მუხლზე, რომელშიც განმარტებულია, რომ, თუ შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ შრომითი ურთიერთობა ფაქტიურად გაგრძელდება და არც ერთი მხარე არ მოითხოვს მის შეწყვეტას, ხელშეკრულების მოქმედება ითვლება გაგრძელებულად განუსაზღვრელი ვადით. სადაც შემთხვევაში მხარეებს შორის შრომითი ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით არ დადგებულა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ჭ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 თებერვლის განჩინებით ნ. ჭ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 11 ოქტომბრის №959 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ ბრძანების მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მასწავლებელთან დადებული შრომითი ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმეზე დგინდებოდა რომ 2007 წლის 29 ნოემბერს დადებული შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადა სკოლის დირექტორის 2008 წლის 25 აგვისტოს №51 ბრძანებით გაგრძელდა 1 წლით და სადაც არ გამხდარა, რადგან ნ. ჭ-ძე აგრძელებდა მუშაობას ამ შეთანხმებით. მას ეს ბრძანება არ გაუპროტესტებია და არც მისი ბათილად ცნო-

ბა მოუთხოვია. შეთანხმება დაიდო ერთი წლის ვადით. ერთი წლის ვადის გასვლის შემდეგ ნ. ჭ-ძეს არ გაუგრძელდა ხელშეკრულება არ დადებულა. შრომის კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს შრომის ხელშეკრულების ვადის გასვლა. ნ. ჭ-ძე სწორედ ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო გათავისუფლდა №... საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის თანამდებობიდან.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, შრომითი ხელშეკრულების ურთიერთობის საფუძველი არის ორმხრივი ნება და ის, რომ ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო მოსარჩევემ აღარ ისურვა მხარესთან ხელშეკრულების გაგრძელება, ეს მხარის უფლებაა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მას ხელშეკრულება დაუდეს განუსაზღვრელი ვადით. შრომის კოდექსის 31-ე მუხლის შესაბამისად, თუ შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ შრომითი ურთიერთობა ფაქტობრივად გაგრძელდა და არც ერთმა მხარემ არ მოითხოვა მისი შეწყვეტა, ხელშეკრულების მოქმედება ითვლება გაგრძელებულად განუსაზღვრელი ვადით. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის შრომითი ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით არ დადებულა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების მე-8 პუნქტზე, რომლის თანახმად, სკოლის დირექტორს უფლება აქვს, მასწავლებელთან შრომითი ხელშეკრულება მოშალოს დამატებითი ვადისა და ხარვეზის გამოსწორების გზების განსაზღვრის გარეშე, თუ მასწავლებლის მუშაობაში არსებული ხარვეზის გამოსწორება შეუძლებელია და მას არ ექნება დადებითი ეფექტი სკოლის ინტერესებზე. სასამართლომ ყურადღება მიიცია იმ გარემოებას, რომ ნ. ჭ-ძის მიმართ მე-11 „ბ“ კლასში 5 საგაკვეთოლო საათის სასწავლო წლის ამონურვამდე ჩამორთმევის გამო, მოპასუხის მხრიდან წარმოშობილ პრეტენზიებზე სკოლის დირექტორმა მის მიმართ ჩაატარა საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების მე-10 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ქმედებები, რასაც შეფასება მიეცა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამტკიცებას

არ საჭიროებს ფაქტები, რომლებიც დადასტურებულია ერთ სა-მოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გა-დაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ. აპელანტთან შრომითი ხელშეკ-რულება შეწყდა შრომის კოდექსის 37-ე მუხლის შესაბამისად და არა ამავე კოდექსის 38-ე მუხლის მოთხოვნების საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაა-საჩივრა 6. ჭ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩი-ნების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმა-ყოფილება.

კასატორო აღნიშნავს, რომ სადავო 2008 წლის 25 აგვისტოს ბრძანების გამოცემით მოპასუხემ დაარღვია „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული ხელშეკრუ-ლების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“ საქარ-თველის განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 11 ოქტომბრის №959 ბრძანების მოთხოვნები. ამ ბრძანების მე-12 მუხლის თანახმად, ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება და დამატება შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ მხარეთა შეთანხმე-ბით, რაც უნდა გაფორმდეს წერილობით. მოცემულ შემთხვევაში ცვლილება შევიდა ხელშეკრულებაში, კერძოდ, შეიცვალა ერთ-ერთი მთავარი და სავალდებულო რეკვიზიტი – ხელშეკრულების ვადა. აღნიშნული აუცილებლად უნდა ყოფილიყო შეთანხმებუ-ლი მხარეთა შორის. ასევე დაირღვა ბრძანების გაცნობის წესი. ბრძანება არ ჩაუბარებიათ არც ერთი პედაგოგისთვის, სკოლაში არ გამოქვეყნებულა გაცნობისთვის. არასწორია სააპელაციო სა-სამართლოს მსჯელობა, რომ შეთანხმება დაიდო ერთი წლით და სადავო არ გამხდარა. ეს არ იყო შეთანხმება, ეს იყო სკოლის ცალ-მხრივი ნება, რომელიც არ იყო შეთანხმებული მეორე მხარესთან.

კასატორის მოსაზრებით, არც სამუშაოდან დათხოვნის შესა-ხებ სადავო 2009 წლის 4 სექტემბრის ბრძანებაა კანონშესაბამი-სი, რასაც არასწორი შეფასება მისცა სააპელაციო სასამართლომ. მოცემულ შემთხვევაში ასევე არასწორი სამართლებრივი შეფა-სება მიეცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინის-ტრის 2007 წლის 11 ოქტომბრის №959 ბრძანებას. აღნიშნული ბრძანების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი მოითხოვს, რომ დირექ-ტორმა მასწავლებელთან დამსაქმებლის ინიციატივით შრომითი ხელშეკრულების მოშლამდე საკითხის ირგვლივ გამოიკვლიოს ყველა გარემოება და მხოლოდ ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზ-ღვრული პროცედურის დაცვით მიიღოს გადაწყვეტილება შრო-მითი ხელშეკრულების მოშლის თაობაზე. ამავე ბრძანების მე-10

მუხლის მე-5 პუნქტი, თავის მხრივ, ითვალისწინებს, თუ რა პრო-ცენტული მოქმედებები უნდა განახორციელოს სკოლის დირექ-ტორმა მასწავლებელთან დამსაქმებლის ინიციატივით შრომითი ხელშეკრულების მოშლამდე, როგორიც არის მისთვის წერილო-ბითი მოტივირებული პრეტენზის გაცნობა, ამასთან დაკავშირე-ბით წერილობითი დასაბუთების გამოთქმის შესაძლებლობის მი-ცემა და სხვა. აღნიშნული პროცედურა სადაც ბრძანების გამო-ცემით არ დაცულა.

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისას საერთოდ არ საუბრობს მისი დათხოვნის შესახებ ბრძანების დისკრიმინაციულ ხასიათზე. ამით დარღვეულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცი-ის 23-ე მუხლი, შრომის კოდექსის მე-2 მუხლი. სადაც ბრძანება ცალსახად დისკრიმინაციულია. კასატორი დირექტორთან მუდ-მივად იმყოფებოდა მტრულ, დამამცირებელ, ლირსების შემლახ-ველ გარემოში, შრომითი ურთიერთობა სკოლის 39 პედაგოგიდან შეწყდა მხოლოდ მასთან, სადაც ბრძანების გამოცემას წინ უძ-ლვოდა სკოლის დირექტორის მხრიდან სხვადასხვა დისკრიმინა-ციული ქმედებები, როგორიც იყო მე-11^ა კლასში 5 საათის მოხ-სნა მოსწავლეებთან შექმნილ დაურეგულირებელ სიტუაციაზე მითითებით, რაც არ შესაბამებოდა სინამდვილეს და მოპასუხის მიერ იყო პროვოცირებული. გარდა ამისა, მოპასუხე უარს უზ-ნებოდა 2008-2009 წლებში საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის გა-მოდახმარების გაცემაზე, რისი ანაზღაურებაც მხოლოდ სასამარ-თლოსადმი მიმართვის შემდეგ გახდა შესაძლებელი.

კასატორის მოსაზრებით, ასევე წინააღმდეგობრივია ბრძანე-ბის შინაარსი. მასში დათხოვნის სამართლებრივ საფუძვლებად მითითებულია შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „ბ“ (ხელშეკრუ-ლების ვადის გასვლა) და „დ“ (შრომის ხელშეკრულების მოშლა) ქვეპუნქტებზე, იმავდროულად, ბრძანებით სკოლის ბუღალტე-რიას დაევალა შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტის შე-საბამისად ანგარიშსწორება ერთი თვის შრომის ანაზღაურებით. ამდენად, დათხოვნა მოხდა არა შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო, არამედ, შრომის კოდექსის 38-ე მუხლის თანახ-მად, დამსაქმებლის ინიციატივით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივ-რის სასამართლო განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკავშიროფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია:

ნ. ჭ-ძე მუშაობდა ზესტაფონის №... საჯარო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად;

2007 წლის 29 ნოემბერს მხარეთა შორის გაფორმდა შრმითი ხელშეკრულება ერთი წლის ვადით, 2007 წლის 25 აგვისტოდან 2008 წლის 25 აგვისტომდე;

2008 წლის 25 აგვისტოს ზესტაფონის №... საჯარო სკოლის დირექტორმა გამოსცა №51 ბრძანება, რომლის თანახმად საჯარო სკოლის პედაგოგებს, მათ შორის, ნ. ჭ-ძეს, გაუგრძელდათ შრომითი ხელშეკრულება ერთი წლით;

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით ნ. ჭ-ძის სარჩელი №... საჯარო სკოლის დირექტორის 2009 წლის 29 იანვრის ბრძანების (ხუთი საგაევეთო-ლო საათის მოხსნის შესახებ) ბათილად ცნობის ნაწილში არ დაკმაყოფილდა, ხოლო მისი მოთხოვნა დროებითი შრომისუუნარობის გამო 247 ლარის ოდენობით ფულადი დახმარების ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდა. ამავე სასამართლო გადაწყვეტილებაში ერთ-ერთ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიეთითა: „მოსარჩელე და მოპასუხე უთითებენ, რომ ერთმანეთს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდა სკოლის დირექტორის 2008 წლის 25 აგვისტოს №51 ბრძანებით ერთი წლის ვადით“;

2009 წლის 25 ივნისს შედგა ზესტაფონის №... საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომა, სადაც ნ. ჭ-ძემ განმარტა, რომ მისთვის ცნობილი გახდა №51 ბრძანების შესახებ;

ზესტაფონის №... საჯარო სკოლის დირექტორის 2009 წლის 4 სექტემბრის №97 ბრძანებით ნ. ჭ-ძე გათავისუფლდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის თანამდებობიდან. სამუშაოდან დათხოვნის ბრძანებას საფუძვლად დაედო შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ და „დ“ ქვეპუნქტები.

საქმეზე ერთ-ერთი სადაცო საკითხია, ითვლება თუ არა მხარეთა შორის შეთანხმებულად შრომითი ხელშეკრულების ვადის გაგრძელება 2008 წლის 25 აგვისტოდან კიდევ ერთი წლით, როდესაც გავიდა მანამდე მოქმედი ხელშეკრულების ერთწლიანი ვადა.

საქმეში არ მოიპოვება იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ ზესტაფონის №... საჯარო სკოლის დირექტორის 2008 წლის 25 აგვისტოს №51 ბრძანება, რომლითაც სკოლის მასწავლებლებს შრომითი ხელშეკრულებები გაუგრძელდათ ერთი წლით, გამოცემისთანავე ნ. ჭ-ძეს ჩაჰარდა და იგი გაეცნო მას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის 2008

წლის 25 აგვისტოს შემდეგ წარმოშობილ ურთიერთობაში, როდე-საც გავიდა მანამდე მოქმედი შრომითი ხელშეკრულების ერ-თნლიანი ვადა, სამართლებრივი კვალიფიკაციის თვალსაზრისით შეიძლება ორ ეტაპის გამიჯვნა: ერთი მხრივ, ზესტაფონის №... საჯარო სკოლის დირექტორის 2008 წლის 25 აგვისტოს №51 ბრძა-ნების გამოცემიდან 2008 წლის ივნისამდე, როდესაც ნ. ჭ-ძისათ-ვის ცნობილი გახდა ამ ბრძანების შესახებ და, მეორე მხრივ, ამ პერიოდიდან სამუშაოდან გათავისუფლებამდე.

სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის თა-ნახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწი-ნებული ფორმით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არსე-ბითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზეც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმე-ბა, ანდა რომლებიც ასეთად ჩაითვლება კანონის მიერ.

შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადა წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების ერთ-ერთ არსებით პირობას, რომე-ლიც საჭიროებს მხარეთა შორის შეთანხმებას. ვადის განსაზ-ღვრა, როგორც წესი, მხარეთა პრეროგაცივაა, ისევე როგორც ხელშეკრულების სხვა ძირითად პირობებზე შეთანხმება.

მხარეთა მიერ ვალდებულების შესრულების ვადის განსაზ-ღვრა გამომდინარეობს სამოქალაქო სამართალში აღიარებული სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპიდან, რომელმაც ნორმატიული ასახვა პპოვა სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის პირველ ნაწილში: „კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კა-ნონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ და-დონ ისეთი ხელშეკრულებები, რომლებიც კანონით გათვალისწი-ნებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას“. შესაბამისად, მხარეებს სრული თავისუფლება აქვთ, შეთანხმდნენ ვალდებუ-ლების შესრულების ვადებთან დაკავშირებულ საკითხებზე. ისი-ნი ამით საკუთარი ნებით განსაზღვრავენ ვალდებულების შესრუ-ლების საზღვრებს დროში. სახელშეკრულებო სამართალში ერ-თმანეთისგან განასხვავებენ დადგენილ (განსაზღვრულ) და და-უდგენელ (განუსაზღვრელ) ვადებს. განსაზღვრულია ვადა, რო-დესაც ცნობილია მოვლენის დადგომის თარიღი. განუსაზღვრე-ლია ვადა, როდესაც მოვლენის დადგომა სარწმუნოა, მაგრამ უც-ნობია მისი დადგომის ზუსტი თარიღი. როდესაც მხარეთა შეთან-ხმებით მოვლენის დადგომის კონკრეტული თარიღი მკაფიოდაა განსაზღვრული, ასეთ შემთხვევაში ესაა განსაზღვრული ვადით

დადებული ხელშეკრულება, ხოლო, როდესაც ასეთი თარიღი არ არის განსაზღვრული და იგი არც ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარეობს – იგულისხმება განუსაზღვრელი ვადით დადებული ხელშეკრულება.

მოცემულ შემთხვევაში სარწმუნოდ ვერ მიიჩნევა, რომ 2008 წლის ივნისამდე მხარეთა შორის არსებობდა შეთანხმება მხარეთა შორის ხელშეკრულების ერთ-ერთი არსებითი პირობის – ერთნლიანი ვადის განსაზღვრის თაობაზე, რამდენადაც ზესტაფონის №... საჯარო სკოლის დირექტორის 2008 წლის 25 აგვისტოს №51 ბრძანების 6. ჭ-ძისათვის ჩაბარება საქმის მასალებით არ დასტურდება.

საქმეზე დადგენილია, რომ 2008 წლის ივნისში მოსარჩელე 6. ჭ-ძისათვის უტყუარად გახდა ცნობილი 2008 წლის 25 აგვისტოს №51 ბრძანების არსებობის შესახებ და შესაბამისად, იმის თაობაზე, რომ სკოლის ადმინისტრაციის მიერ მასთან შრომით ურთიერთობა გაგრძელებულია მხოლოდ ერთი წლით. საქმის მასალების თანახმად, 6. ჭ-ძეს რაიმე პრეტენზია ამასთან დაკავშირებით არ გამოუთქვამს და დაეთანხმა ვადის შესახებ სახელშეკრულებო პირობის ამგვარად ტრანსფორმირებას. ასეთი თანხმობის არსებობა შეესაბამება სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლით განმტკიცებულ კეთილსინდისიერების პრინციპსაც, რომელსაც ეფუძნება სამოქალაქო მართლწესრიგი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ 6. ჭ-ძეს-თან შრომითი ხელშეკრულება გაგრძელებული იყო მხოლოდ ერთი წლით და მისი გასვლის შემდეგ არსებობდა ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი საფუძველი. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ მასთან შრომითი ურთიერთობა მოიშალა არა ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო, არამედ – სხვა საფუძვლით, რაც არ არის დასაბუთებული. იმაზე, რომ სწორედ ვადის გასვლის გამო მოხდა კასატორიან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, მიუთითებს თავად გათავისუფლების ბრძანებაში აღნიშნული სამართლებრივი საფუძველი – შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „δ“ ქვეპუნქტიდა ასევე, აღნიშნული დასტურდება საქმის მასალებით. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 11 ოქტომბრის №959 ბრძანებით გათვალისწინებული პროცედურის დაცვის საჭიროება, რა-

ზეც კასატორი მიუთითებს.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ის გარემოება, რომ მხარეთა შორის შრომითი ხელშეკრულების ვადა გაგრძელებული იყო 2008 წლის 25 აგვისტომდე, ხოლო მოსარჩელე ვადის გასვლის გამო სამუშაოდან გათავისუფლდა 4 სექტემბერს, ასევე არ ნიშნავს, რომ მასთან შრომითი ურთიერთობა 25 აგვისტოს შემდეგ გაგრძელდა განუსაზღვრელი ვადით. საქმის მასალების თანახმად არ დგინდება, რომ ნ. ჭ-ე 25 აგვისტოს შემდეგ რაიმე სამუშაოს ასრულებდა და შესაბამისი კონკლუდენტური მოქმედებებით დამქირავებელთან შრომით ურთიერთობას კვლავ აგრძელებდა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხზე არც კასატორი აყენებს რაიმე პრეტენზიას.

რაც შეეხება დისკრიმინაციის საკითხს, აღნიშნულის მტკიცების ტევირთი აწევს მოსარჩელეს. იმ შემთხვევაში, თუ გათავისუფლება არ არის გამომდინარე სამუშაოს არსიდან, უნდა დაადასტუროს თავად მოსარჩელემ, წინააღმდეგ შემთხვევაში სამსახურიდან მოსარჩელის გათავისუფლება არ შეიძლება ჩაითვალის დისკრიმინაციად მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე ვერ ადასტურებს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დისკრიმინაციის რომელიმე სახის არსებობას, ხოლო თავისთავად სამუშაოს შესრულების ვადის გასვლა და ამის გამო სამუშაოდან გათავისუფლება არ ნიშნავს, რომ მოხდა დისკრიმინაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საპროცესო საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ნ. ჭ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 თებერვლის განჩინება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შრომითი ხელშეკრულების მოშლა

განვითარება

№ას-138-113-2010

20 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ვ. ზ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში გორის №7 საჯარო სკოლის მიმართ ამავე სკოლის დირექტორის 2009 წლის 7 აპრილის №411 ბრძანების ბათილად ცნობის, დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელე მუშაობდა ქ. გორის №... საჯარო სკოლის პედაგოგად. სკოლის დირექტორ ნ. ი-შვილის 2009 წლის 7 აპრილის №411 ბრძანებით ვ. ზ-შვილის უკანონოდ გათავისუფლდა სამუშაოდან. მისი დათხოვნის საფუძვლად ბრძანებაში მიეთითა შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტზე, თუმცა მასში არ ასახულა მოსარჩელის გათავისუფლების მთავარი მიზეზი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ვ. ზ-შვილმა სკოლის დირექციას მოსთხოვა სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის გაცემა.

მოპასუხეობა სარჩელი არ ცნო შემდეგი მოტივებით: მოსარჩელე სამუშაოდან გათავისუფლდა შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად და დამსაქმებელი არ იყო ვალდებული, დაესაბუთებინა მუშაკის გათავისუფლების მიზეზი. სინამდვილეს არ შეესაბამება მოსარჩელის მითითება, რომ იგი სამუშაოდან დათხოვნილ იქნა სკოლის საქმიანობის ამ-სახველი საჯარო ინფორმაციის მოსთხოვნის გამო, ვინაიდან დასახელებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველა პირისათვის.

გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 19 მაისის გადაწყვეტილებით ვ. ზ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 3 ნოემბრის განჩინებით ვ. ზ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმ ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ სადაცო შრომითი ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარის ვადად მითითებული იყო ერთი წელი, ხოლო მეორეში – სუთი წელი, შესაბამისად, მოწინააღმდეგ მხარემ მასნავლებელთა ნაწილს შრომითი ხელშეკრულება დაუდო ხუთი წლის, ხოლო დანარჩენებს – ერთი წლის ვადით, რითაც აპელანტი ჩააყენა სხვებისაგან განსხვავებულ მდგომარეობაში და საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, მოახდინა მხარის დისკრიმინაცია. აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს შრომის კოდექსი აწესრიგებს რა საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და თანმდევ ურთიერთობებს, ერთხაირ პირობებში აყენებს ყველა დასაქმებულს, მათ შორის, აპელანტსაც.

სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ვ. ზ-შვილი შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდა სსიპ „გორის №... საჯარო სკოლასთან“, დავის საგანს წარმოადგენდა მხარეთა შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების ვადამდე მოშლის კანონიერების საკითხი, ამდენად განსახილველი დავის გადაწყვეტისათვის ხელშეკრულების მოქმედების ვადის დადგენას მინიშვნელობა არ ჰქონდა, ხოლო იმ ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებითაც, რომ მხარები ჩვეულებრივ აგრძელებდნენ შრომით-სამართლებრივ ურთიერთობას ხელშეკრულების დადებიდან ერთი წლის შემდეგაც (2008 წლის ნოემბრის შემდეგ), პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დაადგინა, რომ მხარეთა შორის შრომითი ხელშეკრულება დადებულ იქნა განუსაზღვრელი ვადით.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა შრომის კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილით, მე-2 მუხლის მეხუთე ნაწილით, 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 38-ე მუხლის მეორე, მესამე ნაწილებით და მიიჩნია, რომ სსიპ „გორის №...-მა საჯარო სკოლამ“ შეასრულა საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მესამე ნაწილის მოთხოვნა და ვ. ზ-შვილთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ მოახდინა მასთან საბოლოო ანგარიშსწორება ერთი თვის ხელფასის ანაზღაურების სახით. სა-

აპელაციონ პალატამ ჩათვალა, რომ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა ნიშნავს შრომითი ხელშეკრულების მოქმედების დამთავრებას სხვადასხვა მიზეზითა და საფუძვლით. შესაბამისად, შრომითი ურთიერთობის ხელშეკრულების მოშლა, როგორც შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი, პირდაპირაა გათვალისწინებული საქართველოს შრომის კოდექსის ზემოაღნიშნულ მუხლებში მოცემული ნორმებით. სასამართლომ მიიჩნია, რომ ამავე კოდექსის 38-ე მუხლის მესამე ნაწილი დამსაქმებლისათვის შრომითი ხელშეკრულების მოშლის საფუძველზე მითითების აუცილებლობასა და ხელშეკრულების მოშლის თაობაზე შეტყობინების ვალდებულებას არ ითვალისწინებს, მის ვალდებულებას წარმოადგენს მხოლოდ დასაქმებულისათვის არანაკლებ ერთი თვის შრომის ანაზღაურების მიცემა.

სააპელაციონ პალატამ ასევე არ გაიზიარა აპელანტის მითითება საქართველოს შრომის კოდექსის 47-ე მუხლთან მიმართებით, ვინაიდან აღნიშნულ მუხლით რეგულირდება მხარეთა შორის შრომითი ურთიერთობის დროს დავის წარმოშობა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, ასევე, შრომითი ხელშეკრულების ან/და შრომის პირობების დარღვევის საფუძვლით, რაც მოცემულ შემთხვევაში სსიპ „გორის №... საჯარო სკოლას“ არ განუხორციელებით. პალატამ მიუთითა, რომ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საკითხი მოწესრიგებულია ამავე კოდექსის 37-38-ე მუხლებით და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლად 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულების მოშლას სხვა რომელიმე სპეციალური კანონი ან საერთაშორისო ხელშეკრულება განსხვავებულად არ აწესრიგებს, შესაბამისად, სააპელაციონ პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მითითება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მეოთხე ნაწილში მოცემული ნორმების უგულებელყოფასთან დაკავშირებით.

პალატამ დაუსაბუთებლად ჩათვალა აპელანტის არგუმენტი, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გაითვალისწინა საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულების „ევროპის სოციალური ქარტიის“ დებულებები, კერძოდ, მე-4 მუხლის მეოთხე პუნქტი. სასამართლოს მითითებით, „ევროპის სოციალური ქარტიის“ აღნიშნულ დანაწესები მოცემულია ხელშემკვრელი მხარეების დათქმა, რომ უფლებები განხორციელდება კოლექტიური ხელშეკრულებების ხელფასის დადგენის კანონით გათვალისწინებული მექანიზმით ან სხვა

საშულებებით, ხოლო მხარეთა შორის კოლექტიური ხელშეკრულება არ დადებულა, შესაბამისად, აღნიშნულ სამართლებრივ აქტზე მხარის მითითება უსაფუძვლოა.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე, მე-17 მუხლების, 22-ე მუხლის მეორე ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატა არ დაეთანხმა აპელანტის მოსაზრებას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მხარეთა შორის არსებული დავის გადაწყვეტისას არ უგულებელყო საქართველოს განათლების მინისტრის №448 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სკოლის ნებდება, აგრეთვე, განათლების მინისტრის №959 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების საგალდებულო პირობები. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ, „ნორმტიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად გამოიყენა და განმარტა საქართველოს შრომის კოდექსი როგორც ზემოხსენებულ ნორმატიულ აქტებს შორის უპირატესი ძალის მქონე სამართლებრივი აქტი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ვ. ზ-შვილმა გაასაჩივრა სა კასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება შემდეგი საფუძვლებით: საქმის ზეპირი ფორმით განხილვისას სასამართლომ დაარღვია პროცესის საჯარობის წესები, 2009 წლის 3 ნოემბრის სხდომას არ დასწრებია არც ერთი მიზანით მხარე, რადგან სასამართლომ მათ შეტყობინება არ გაუგზავნა. ოქმში აღნიშნულია, რომ სხდომა გაგრძელდა 5 წესის, თავმჯდომარემ დაადგინა გამოცხადებული პირების ვინაობა, დამსწრე პირები გააფრთხილა, დაიცვან წესრიგი მაშინ, როცა დარბაზი ცარიელი იყო. პალატამ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის არსებობდა განსაზღვრული ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულება, თუმცა არ დაასაბუთა, თუ რომელ ნორმას ეფუძნება მისი დასკვნა.

სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი და შრომითი ხელშეკრულება ბათილად ეცნო. სადაც ურთიერთობის შინაარსიდან გამომდინარე, დავა ეხება რა საჯარო სკოლის საქმიანობას, სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სპეციალური კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“. კასატორის მიერ დაირღვა „ევროპის სოციალური ქარტიის“ მე-4 მუხლის მეოთხე ნაწილის მოთხოვნა დასაქმების შეწყვეტის შესახებ მუშაკის წინასწარი გაფრთხილების თაობაზე. სასამართლოს არ შეუფასებია ის გარემოება, რომ საჯარო სკოლის წესდების მე-7 მუხ-

ლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, საჯარო სკოლის დირექტორი პერსონალურად აგებს პასუხს განათლების სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების შესრულებაზე, თუმცა მოწინააღმდეგებები მხარემ, ერთი მხრივ, უარყო განათლების მინისტრის №959 ბრძანება შრომით კანონმდებლობასთან წინააღმდეგობის მოტივით, ხოლო, მეორე მხრივ, მასნაულებელთან დადგებული ხელშეკრულებებით ვალდებულება იყისრა, შეესრულებინა აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული სავალდებულო პირობები.

პალატამ სწორად გამოიყენა, მაგრამ არასწორად განმარტა შრომის კოდექსის ნორმები. სასამართლომ უგულებელყო მითითებული კოდექსის 38-ე მუხლის მეოთხე ნაწილის მოთხოვნა, რამაც არასწორი გადაწყვეტილების მიღება გამოიწვია. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, პალატას არ გამოურკვევია, ხომ არ დაურღვევია რომელიმე მხარეს შრომითი ხელშეკრულების პირობები. სასამართლოს არ შეუფასებია მოწინააღმდეგე მხარის მითითება, რომ იგი არ იყო ვალდებული, დაესაბუთებინა მუშავის სამუშაოდან გათავისუფლების საფუძველი და ის გარემოება, რომ მოპასუხებ დაარღვია როგორც შრომითი ხელშეკრულების, ისე შრომის კოდექსის 47-ე მუხლის მოთხოვნა. სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე და 286-ე მუხლების მოთხოვნები და მხარეებს არ გააცნო განჩინების (გადაწყვეტილების), არც მისი სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი, მისი გასაჩივრების წესი და ვადა, ხოლო განჩინების ასლები მხარეებს გაუგზავნა დაგვიანებით. სამოქალაქო პალატის 2009 წლის 27 ოქტომბრის სასამართლო სხდომის ოქტომბერის ასახულია მხოლოდ აპელაციის ახსნა-განმარტება და იგნორირებულია მოწინააღმდეგე მხარის პოზიცია. პალატამ არასწორად იხელმძღვანელა „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 43-ე მუხლის მეოთხე ნაწილით, რადგან ასეთი ნორმა არ არსებობს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. ზ-შვილის საკასაციო საჩივრი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქ-

მებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. დასახელებული ნორმის თანახმად, საკასაციო სასამართლო სააპელაციო პალატას ხელახლა განსახილველად დაუბრუნებს საქმეს, თუ საქმის განხილვისას აღმოჩნდა, რომ გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ არ გამოიკვლია საქმის ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც არსებით გავლენას ახდენს საქმის შედეგზე, კერძოდ:

მოცემულ შემთხვევაში უდავოდ დადგენილია, რომ ვ.ზ-შვილი მუშაობდა ქ. გორის №... საჯარო სკოლის პედაგოგად. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ მხარეთა შორის შრომითი ხელშეკრულება დადებული იყო განუსაზღვრელი ვადით. სკოლის დირექტორ ნ. ი-შვილის 2009 წლის 7 აპრილის №411 ბრძანებით ვ.ზ-შვილი გათავისუფლდა სამუშაოდან.

ბრძანებაში გათავისუფლების საფუძვლად მიეთითა რა შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ დამსაქმებლისათვის შრომითი ხელშეკრულების მოშლის საფუძველზე მითითების აუცილებლობასა და ხელშეკრულების მოშლის თაობაზე შეტყობინების ვალდებულებას არ ითვალისწინებს, მის ვალდებულებას წარმოადგენს მხოლოდ დასაქმებულისათვის არანაკლებ ერთი თვის შრომის ანაზღაურების მიცემა.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის მიერ შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის განმარტებას, კერძოდ:

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლით აღიარებულია პირის უმისენელოვანესი სოციალური უფლება – შრომის უფლება და დადგენილია, რომ შრომა თავისუფალია. შრომის კონსტიტუციური უფლება გარანტირებულს ხდის პირის თავისუფლებას, შრომითი საქმიანობის არჩევანში და მის განხორციელებაში, ამასთან, ანესებს სახელმწიფოს ვალდებულებას დასაქმებული მოქალაქეების შრომითი უფლებების დაცვაში, რაც უზრუნველყოფილია სათანადო კანონით – შრომის კოდექსით.

შრომის კონსტიტუციური უფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია დასაქმების დაცვის უფლება, რაც გულისხმობს დასაქმებულ პირთა დასაცავად გარკვეული სამართლებრივი მექანიზმების არსებობას – შრომის კოდექსისა თუ შრომის

ურთიერთობის მომწესრიგებელ აქტებში დასაქმებულთა უფლების დაცვის მარეგულირებელი საერთაშორისო ნორმების ასახვას. ამ მხრივ უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო აქტები, რომლებიც იცავს დასაქმებულს სამუშაოდან წინასწარი შეტყობინებისა და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გათავისუფლებისაგან. ევროპის სოციალური ქარტიის 4.4 მუხლით (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის № 1876-რს დადგენილებით), შრომის სამართლიანი ანაზღაურების მიღების უფლების განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულებას იღებენ, აღიარონ თითოეული მუშაკის მიერ დასაქმების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების წინასწარი მიღების უფლება. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის (საქართველოში ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან) მე-6 მუხლის თანახმად, ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილით კი ამ პაქტით მონაწილე სახელმწიფოთა ღონისძიებანი, ამ უფლების სრულად განხორციელების მიზნით, შეიცავებ პროფესიულ-ტექნიკური სწავლებისა და მომზადების პროგრამებს, განუხრელი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარებისა და სრული სანარმოო დასაქმების გზებსა და მეთოდებს ისეთ პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის ძირითად პოლიტიკურ და ეკონომიკურ თავისუფლებებს. ადამიანის სოციალურ უფლებებთან დაკავშირებით მნიშვნელოვან დანაწესს ადგენს 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის (ძალაშია საქართველოს უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის დადგენილებით) 22-ე მუხლი, რომლის თანახმად ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება და უფლება, განახორციელოს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ დარგებში, ნაციონალური მეცადინებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით და ყოველი სახელმწიფოს სტრუქტურისა და რესურსების შესაბამისად, ის უფლებები, რომლებიც აუცილებელია მისი ღირსების შენარჩუნებისა და პიროვნების თავისუფალი განვითარებისათვის. ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ შრომის თავისუფლება ფართო გაგებით პირდაპირ კავშირშია ადამიანის ღირსებასა და თავისუფალ განვითარებასთან.

ამდენად, ზემოაღნიშნული საერთაშორისო სამართლის ნორმები გვაძლევენ უალტერნატივო დასკვნის საშუალებას დასაქმებულთა შრომის უფლების მინიმალური სტანდარტებით დაც-

ვაზე სახელმწიფოს ვალდებულებასა და მიზანზე, აღნიშნული სტანდარტების, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების თანამდევად, მხოლოდ დაქირავებულის სასარგებლოდ შეცვლაზე. საქართველოს კონსტიტუციის პრემბულით აღიარებული სახელმწიფოებრივი ნება სოციალური სახელმწიფოს დამკვიდრებისა, პირდაპირ და უშუალო კავშირშია შრომის უფლების დაცვასთან, რაც ცალსახად გულისხმობს დასაქმებულის უფლების დაცვას. საგულისხმოა, რომ ევროპის სოციალური ქარტია 24-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით ავალდებულებს მხარეებს, აღიარონ ყველა მუშაკის უფლება, უარი თქვან დასაქმების შეწყვეტაზე საპატიო მიზეზის გარეშე, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს მისი პროფესიული შესაძლებლობებიდან ან მოქცევიდან, ასევე სანარმოს შინაგანაწესიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოქმედი შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი არ შეიძლება განმარტებულ იქნეს, როგორც დამქირავებლის ცალმხრივი უფლება, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე გაათავისუფლოს დასაქმებული.

საგულისხმოა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 აპრილის № 2/1/456 განჩინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა რა საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის არაკონსტიტუციურობის საკითხი, მიიჩნია, რომ მოსარჩელე მხარის შეხედულება მითითებული ნორმის შინაარსთან დაკავშირებით მცდარია და მიუთითა: „კონსტიტუციურ სარჩელში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ სადაც ნორმა დამსაქმებელს აძლევს თვითნებობისა და დასაქმებულის სამუშაოდან უსამართლო და უპირობო გათავისუფლების საფუძველს. მოსარჩელეთა წარმომადგენელის – რ. ლ-იანის მოსაზრებით, სადაც ნორმა არაკონსტიტუციურია მისი შინაარსობრივი დატვირთვის გამო. კოლეგიას მიაჩნია, რომ მოსარჩელე მხარის შეხედულება საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შინაარსთან დაკავშირებით მცდარია. გასაჩივრებული ნორმით არ არის მოწესრიგებული შრომითი ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტი, ხელშეკრულების მოშლის წესი და პირობები. სადაც ნორმა წარმომადგენს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლების ჩამონათვალის ნაწილს და არა შრომითი ხელშეკრულების მოშლის მარეგულირებელ ნორმას. აქედან გამომდინარე, პოტენციურად შეუძლებელია მსჯელობა საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე, როგორც დამსაქმებლის მხრიდან შრომითი ხელშეკრულე-

ბის მოშლისას თვითნებობის შესაძლო დამდგენ ნორმაზე“.

ამდენად, განსახილველ დავაზე დარღვეულია დასაქმებულის კონსტიტუციური უფლება, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო აუქმებს საპელაციო პალატის გადაწყვეტილებას და ხელახლა განსახილველად აბრუნებს იმავე სასამართლოში, ვინაიდან ამ ეტაპზე შეუძლებელია საქმისათვის აუცილებელი ფაქტობრივი გარემოებების გარკვევა.

მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ უნდა გამოარკვიოს შემდეგი:

სადავო ბრძანებაში ვ. ზ-შვილის გათავისუფლების საფუძვლად, გარდა შრომის კოდექსისა, მიეთითა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მეორე პუნქტი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 12005 წლის 15 სექტემბრის №448-ე ბრძანებით დამტკიცებული საჯარო წესდების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტი, რაც გასაჩივრებული განჩინებით არ შეფასებულა. საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ სადავო ბრძანების კანონიერება ზემოხსენებულ საფუძვლებთან მიმართებით უნდა შეაფასოს. კასატორის სამუშაოზე აღდგნისა და განაცდურის ანაზღაურების მართლზომიერების შემთხვევაში უნდა შეფასდეს, ვადიანია თუ არა მხარეთა შორის დადებული შრომის ხელშეკრულებები; რა სახის სამუშაოს შესრულებაზე და რა ოდენობით ანაზღაურებაზე იყვნენ მხარეები შეთანხმებული.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ვ. ზ-შვილის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 3 ნოემბრის განჩინება და საქმის ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

შრომითი ხელშეკრულების მომლა

განვითარება

№ას-241-227-2010

27 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ-ლაზარაშვილი(თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგე-
ნა, განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-
თა კოლეგიას სასარჩევო განცხადებით მიმართეს დ. ქ-ძემ, მ. ს-
ძემ, ნ. გ-შვილმა, ლ. ა-შვილმა, ი. დ-ანმა, ნ. მ-ძემ, ე. მ-შვილმა, ლ.
კ-შვილმა, გ. მ-შვილმა, მ. ა-შვილმა, მ. კ-ძემ, ქ. მ-შვილმა, ნ. ჯ-
ძემ, ლ. ც-შვილმა, გ. ძ-შვილმა, გ. მ-მა, ნ. გ-ძემ, მ. ბ-შვილმა, მ. კ-
ძემ, ნ. კ-ძემ, დ. მ-იანმა, ე. ჯ-შვილმა, ჯ. ჯ-მა, შ. მ-შვილმა, ც. ს-
შვილმა მოპასუხე ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელ-
მწიფო უნივერსიტეტის მიმართ. მოსარჩევების საბოლოო მოთ-
ხოვნა შემდეგნაირად განუისაზღვრა: სამუშაოდან მოსარჩელეე-
ბის დათხოვნის თაობაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტე-
ტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 1 დეკემ-
ბრის ბრძანების მათ ნაწილში ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღ-
დგენა და იქულებითი განაცდურის ანაზღაურება.

სარჩელში აღნიშნულია, რომ მოსარჩელები იყვნენ სსიპი. ჯა-
ვახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
თანამშრომლება. რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2006
წლის 1 დეკემბრის №01-02/636 ბრძანებით მოსარჩელები გათა-
ვისუფლდნენ თანამდებობებიდან. აღნიშნული ბრძანებით უსა-
ფუძვლოდ იქნა შეწყვეტილი მოსარჩელეებსა და მოპასუხეს შო-
რის არსებული უფადო შრომითი ურთიერთობა. სადაცო ბრძანე-
ბა, სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის მიხედვით, წარმოადგენს
ცალმხრივ გარიგებას, რომელიც მიმართულია სამართლებრივი
ურთიერთობის შეწყვეტისკენ. ამავე კოდექსის 54-ე მუხლის მი-
ხედვით, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დად-
გენილ წესსა და აკრძალვებს, ბრძანება არ ეყრდნობა კანონს,

შრომის კოდექსის 37-ე მუხლს. მასში არ არის მითითებული ამ მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველზე. ბრძანებაში შრომის კოდექსის 38-ე მუხლის პირველი და მესამე პუნქტების აღნიშვნა ამ გარემოებას ვერ შეცვლის, რადგან 38-ე მუხლი მიუთითებს მხოლოდ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ერთერთი საფუძვლზე – ერთ-ერთი მხარის ინიციატივით შრომითი ხელშეკრულების მოშლის წესსა და პროცედურაზე და არა თავად საფუძველზე. სამოქალაქო და შრომითი ურთიერთობები და, შესაბამისად, ამ ურთიერთობებიდან გამომდინარე მოქმედებები უნდა ემყარებოდეს კანონს (სამოქალაქო კოდექსის მე-9 მუხლი, შრომის კოდექსის პირველი მუხლი). სადაც ბრძანება არ ემყარება შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის მომწესრიგებელ ნორმას – შრომის კოდექსის 37-ე მუხლს და, შესაბამისად, ის ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის საფუძველზე.

მოსარჩელეთა მოსაზრებით, შრომითი ურთიერთობების უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი შეწყვეტა ენინაალმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლსაც. ამ მუხლის არსის შესახებ განმარტებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1998 წლის 3 ნოემბრის №2/80-9 გადაწყვეტილებაში (ა. ჭავჭავაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ), 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწყვეტილებაში (მ. ნ-ებ და სხვები საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ).

მოსარჩელეთა მოსაზრებით, სადაც ბრძანებით მათ მიმართ ასევე დარღვეულია ევროპის სოციალური ქარტიის (მიღებულია 1996 წლის 3 მაისს, სტრასბურგში, რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის №1876-რს დადგენილებით) ფუნდამენტური დებულებები, პირველი ნაწილის პირველი, მე-2, 24-ე, 26-ე, 30-ე მუხლები, მე-2 ნაწილის 1.2, მე-20 მუხლები.

მოსარჩელები აღნიშნავენ, რომ მათი სასარჩელო მოთხოვნები ასევე ეყრდნობა სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 399.1, 399.5, 407.1, 408-ე, 411-ე მუხლებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 9 თებერვლის განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეც ზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია 2007 წლის 19 თებერვლის განჩინებით არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-

ლეგიის მიერ საქმის განსჯადობის საკითხის გადაწყვეტას და აღ-ნიშნული საქმე განსჯადობის დავის გადასაწყვეტად საქართვე-ლოს უზენაეს სასამართლოს გადაუგზავნა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად გა-დაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-ლეგიის 2008 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებით დ. ქ-ძის, მ. ს-ძის, ლ. ა-შვილის, ი. დ-ანის, ნ. მ-ძის, გ. მ-შვილის, გ. მ-შვილის, მ. ა-შვილის, მ. კ-ძის, ქ. მ-შვილის, ნ. ჯ-ძის, ლ. ც-შვილის, გ. დ-შვი-ლის, გ. მ-ის, ნ. გ-ძის, მ. ბ-შვილის, მ. კ-ძის, ნ. კ-ძის, დ. მ-იანის, მ. მ-იას, ი. ჯ-იანის, თ. ქ-ძის, შ. მ-შვილის, ჯ. ჯ-ისა და ც. ს-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე უდავოდ დადგენილად მი-იჩნია ის გარემოება, რომ მოსარჩელები მოპასუხე სსიპ ი. ჯავა-ხიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტითან შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდნენ განუსაზღვრელი ვა-დით; 2005 წლის 13 ივლისს, განათლებისა და მეცნიერების სამი-ნისტროსა და სსიპ ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელ-მწიფო უნივერსიტეტს შორის საქართველოს 2005 წლის „სახელ-მწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული სამეც-ნიერო-კვლევითი სამუშაოებს ხელშეწყობის პროგრამის დაფი-ნანსების შესახებ დადგებული ხელშეკრულების შესრულების მიზ-ნით, მოპასუხესა და მოსარჩელებს შორის ივლის-სექტემბრში გაფორმდა ხელშეკრულებები „სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო-ების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში კონკურსში გამარ-ჯვებული პროექტის №63 „აქტუალურ პერსპექტიულ მასალებს, მათ ბაზაზე შექმნილ ელემენტებსა და სტრუქტურებში ფიზიკუ-რი მოვლენების გამოკვლევის თაობაზე“; სსიპ ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 1 დეკემბრის №01-02/ 636 ბრძანებით შრომითი ურთიერთობა მოსარჩელეებთან შეწყდა 2006 წლის 1 დეკემბრიდან.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, ამავე კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნ-ქტზე, რომელთა თანახმად, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია შრომითი ხელშეკრულების მოშლა, დამ-საქმებლის ინიციატივით შრომითი ხელშეკრულების მოშლის შემ-

თხვევაში დასაქმებულს მიეცემა არანაკლებ ერთი თვის შრომის ანაზღაურება. მოცემულ შემთხვევაში შრომითი ხელშეკრულების მოშლის ინიციატორს წარმოადგენდა სსიპ ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია. გასაჩივრებული ბრძანების მიღებისას მოპასუხებ ისარგებლა მისთვის მრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით მინიჭებული უფლებით და მოსარჩელებთან მოშალა შრომითი ურთიერთობა.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, შრომის კანონმდებლობა დამსაქმებელს არ ავალდებულებს, მიუთითოს შრომითი ხელშეკრულების მოშლის მოტივებზე და ანიჭებს მას უფლებას, ნებისმიერ დროს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თავისი შეხედულებისამებრ, შრომითი ურთიერთობის გაგრძელების მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების მოშლის შესახებ.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელებთან განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომითი ურთიერთობის მოშლის თაობაზე სსიპ ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის 2006 წლის 1 დეკემბრის ბრძანებით არ შელახულა მოსარჩელეთა შრომითი უფლებები და კანონით დაცული ინტერესი. ის გარემოება, რომ სსიპ ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ერთ ბრძანებაში გამოხატა მოსარჩელებთან სხვადასხვა დროს დადებულ ხელშეკრულებებთან მიმართებით თავის ნება, არ შეიძლებოდა გამხდარიყო გასაჩივრებული ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი.

საქალაქო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება საპელაციო წესით გაასაჩივრეს დ. ქ-ძემ, მ. ს-ძემ, ლ. ა-შვილმა, ი. დ-ანნა, ნ. მ-ძემ, გ. მ-შვილმა, მ. ა-შვილმა, მ. კ-ძემ, ქ. მ-შვილმა, ნ. ჯ-ძემ, ლ. ც-შვილმა, გ. ძ-შვილმა, მ. ბ-შვილმა, მ. კ-ძემ, ნ. კ-ძემ, დ. მ-იანმა, ჯ. ჯ-მა, ც. ს-შვილმა, მ. მ-იამ, ო. ჯ-იანმა, თ. ქ-ძემ და შ. მ-შვილმა (წარმომადგენელი მ. პ-აია). აპელანტებმა მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2008 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ არსებითად გაიზიარა პირველი

ინსტანციის სასამართლოს დასკვნები საქმის ფაქტობრივ გარე-მოებებთან დაკავშირებით, აგრეთვე, მათი სამართლებრივი შე-ფასება.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტების მსჯე-ლობა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მოახდინა შრო-მის კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის არას-წორი ინტერპრეტაცია, როდესაც დაასკვნა, რომ დამსაქმებელს შეეძლო მუშაკთან შრომის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა ნებისმიერი მიზეზით ან საერთოდ უმიზეზოდ. სააპელაციო სა-სამართლოს მოსაზრებით, კანონის დასახელებული ნორმა სხო-რედაც რომ არ ზღუდავდა დამსაქმებელს, მოეშალა შრომითი ხელშეკრულება დასაქმებულთან კონკრეტული საფუძვლის მი-თითების გარეშე, ასეთი იყო კანონმდებლის ნება მოქმედი შრო-მის კოდექსის მიღებისას და ასე განმარტავდა მას საკასაციო სა-სამართლო.

სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა აპელანტების მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მოცემული ურთიერთობის მოსა-წესრიგებლად გამოყენებული უნდა ყოფილიყო სამოქალაქო კო-დექსის ნორმები გრძელვადიანი ხელშეკრულების მოშლის პირო-ბებთან დაკავშირებით. ამ მოსაზრების გასამყარებლად აპელან-ტების წარმომადგენელი უთითებდა საკონსტიტუციო სასამარ-თლოს 2009 წლის 7 აპრილის №2/1/456 განჩინების მე-5 პუნქტზე, სადაც აღნიშნულია, რომ შრომის კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით არ არის მოწესრიგებული შრომითი ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტი, ხელშეკრულების მოშლის წესი და პირობები. სადაც ნორმა წარმოადგენს შრომითი ურთი-ერთობის შეწყვეტის საფუძვლების ჩამონათვალის ნაწილს და არა შრომითი ხელშეკრულების მოშლის მარეგულირებელ ნორმას, აქედან გამომდინარე, პოტენციურად შეუძლებელია მსჯელობა შრომის კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე, როგორც დამსაქმებლის მიერ შრომითი ხელშეკრულების მოშლი-სას თვითნებობის შესაძლო დამდგენ ნორმაზე. ამასთან დაკავ-შირებით სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართვე-ლოს საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციას შეადგენს ნორ-მატიული აქტების საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამი-სობის შემონმება და არა საერთო სასამართლოების მიერ ნორ-მის განმარტების, მისი გამოყენების თუ არგამოყენების მართე-ბულობის დადგენა.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტე-ბის მსჯელობა გასაჩივრებული ბრძანების კანონსაწინააღმდეგო-

ბის თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია აპელანტების დანარჩენი მოთხოვნები, როგორც ძირითადი მოთხოვნის თანმდევი შედეგი.

სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 8 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მ. ბ-შვილმა, მ. კ-ძემ, ნ. კ-ძემ, დ. მ-იანმა, გ. მ-შვილმა, შ. მ-შვილმა, მ. ს-ძემ, თ. ქ-ძემ, დ. ქ-ძემ, გ. გ-ძემ, ა. ჯ-იანმა და ნ. ჯ-ძემ (წარმომადგენელი მ. პ-აია), რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სამუშაოდან მათი დათხოვნის თაობაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 1 დეკემბრის №01-02/636 ბრძანების ჰირველი და მეორე პუნქტების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება.

კასატორების მოთხოვნის საფუძვლები შემდეგში მდგომარეობს:

მოცუმულ შემთხვევაში დავის არსა წარმოადგენს მოსარჩელეებთან დადებული უვალო შრომითი ხელშეკრულებების შეწყვეტის კანონიერება. შრომის ხელშეკრულების მოშლა დაუშვებელია და ენინააღმდეგება კანონს, თუ არ არსებობს ლეგიტიმური, პატივსადები, კეთილსინდისიერი და არადისაკრიმინაციული მოტივი და ეს მოტივი არ არის აღნიშნული თავად ხელშეკრულების მოშლის აქტში.

სადაც პრძანება სამიერადაქო კოდექსის მიხედვით წარმოადგენს ცალმხრივ გარიგებას, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტისაკენ. ამავე კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს. კასატორების აზრით, გასაჩივრებული ბრძანებით მოპასუხე დაწესებულების ადმინისტრაციამ უწინარესად დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტი აღიარებს არა შრომის უფლებას, არამედ – შრომის თავისუფლებას. შრომა თავისუფალია – ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანს მინიჭებული აქვს უფლება, თავად განკარგოს საკუთარი შესაძლებლობები შრომით საქმიანობაში, თავად აირჩიოს შრომითი საქმიანობის ესა თუ ის სფერო. შრომის თავისუფლება აკრეთვე ნიშნავს, რომ სახელმწიფო აღარ იღებს შრომითი დასაქმების ვალდებულებას, მაგრამ არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფომ უარი თქვას დასაქმებულ პირთა შრომითი უფლებების დაცვაზე. ამდენად, სახელმწიფო უარს ამბობს მოქალაქეთა შრომითი დასაქმების ვალდებულებაზე, მაგრამ კისრულობს

ვალდებულებას, დაიცვას დასაქმებულ მოქალაქეთა შრომითი უფლებები.

კასატორები აღნიშნავენ, რომ სადავო ბრძანების საფუძვლად მითითებული შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით არ არის მოწესრიგებული შრომითი ხელშეკრულების მოშლის წესი და პირობები. დასახლებული ნორმა ნარმოადგენს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლების ჩამონათვალის ნაწილს. აქედან გამომდინარე, პოტენციურად შეუძლებელია მსჯელიბა შრომის კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე, როგორც დამსაქმებლის მხრიდან შრომითი ხელშეკრულების მოშლისას თვითნებობის შესაძლო დამდგენ ნორმაზე.

კასატორები მიიჩნევენ, რომ, რამდენადაც შრომის კოდექსი არ შეიცავს შრომითი ხელშეკრულების მოშლის არსობრივად მარეგულირებელ ნორმებს, ამ თვალსაზრისით სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა საქართველოს კონსტიტუცია და სამოქალაქო კოდექსის ნორმები. კასატორთა აზრით, სადავო ბრძანებით მოსარჩელეთა მიმართ ასევე დარღვეულია ევროპის სოციალისტური ქარტიის ფუნდამენტური დებულებები. რაც შეეხება შრომის კოდექსის 38-ე მუხლს, არც ამ ნორმაში დევს ის შინაარსი, რაზეც მიუთითებს სადავო გადაწყვეტილება. აღნიშნულს ადასტურებს თავად ნორმის დისპოზიცია და საერთო სასამართლოების პრაქტიკა. იგი ტექნიკური ხასიათის ნორმაა და მიუთითებს შრომითი ხელშეკრულების მოშლის სუბიექტებზე, ვადებსა და საკომისიანი ანაზღაურებაზე. სამოქალაქო, მათ შორის, შრომითი ურთიერთობები და შესაბამისად, ამ ურთიერთობებიდან გამომდინარე მოქმედებები უნდა ემყარებოდეს კანონს. სადავო ბრძანება არ მიუთითებს შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის მომნესრიგებელი ნორმის რომელიმე დებულებაზე. ამიტომ კასატორები მიიჩნევენ, რომ იგი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი ამ თვალსაზრისითაც.

კასატორები მიუთითებენ სამოქალაქო კოდექსის 408-ე, 411-ე მუხლებზე, რომელთა თანახმად, პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. ზიანი უნდა აანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისათვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც ის მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. სამუშაოზე აღგენის თვალსაზრისით, კასატორები მოითხოვენ ზიანის აანაზ-

ლაურებას იმ მდგომარეობის აღდგენით, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი მდგო- მარეობა, ხოლო იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზ- ღაურება მათთვის წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლში მითითებულ ფაქტობრივ დანაკლისს და მიუღებელ შე- მოსავალს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე- თა პალატის 2010 წლის 2 ივნისის განჩინებით მ. ქ-ძის, ნ. ქ-ძის, ო. ჯ-იანის, თ. ქ-ძის, გ. მ-შვილის, მ. ბ-შვილის, გ. ძ-შვილისა და ნ. ჯ-ძის საკასაციო საჩივარი ბრძანების ბათილად ცნობისა და სა- მუშაოზე აღდგენის მოთხოვნების ნაწილში დარჩა განუხილველი, 2010 წლის 14 ივნისის განჩინებით ამავე ფიზიკური პირების სა- კასაციო საჩივარი დანარჩენ ნაწილში დაუშვებლად იქნა ცნობი- ლი, ხოლო 2010 წლის 7 ივნისის განჩინებით დ. ქ-ძის, შ. მ-შვი- ლის, დ. მ-იანისა და მ. ს-ძის ნაწილში საკასაციო საჩივარი და- საშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მხარეთა ახსნა- განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კასატორების ნაწილ- ში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქ- მებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად უბ- რუნებს სააპელაციო სასამართლოს, თუ საქმის გარემოებები საპ- როცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარ- ღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილებაა გამო- ტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლე- ვა.

მოცემულ შემთხვევაში უდავოდ დადგენილია, რომ მოსარჩე- ლები მოპასუხე სსიპ ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სა- ხელმწიფო უნივერსიტეტთან შრომით ურთიერთობაში იმყოფე- ბოდნენ განუსაზღვრელი ვადით; სსიპ ი. ჯავახიშვილის სახელო- ბის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალე- ობის შემსრულებლის 2006 წლის 1 დეკემბრის №01-02/636 ბრძა- ნებით მოსარჩელეებთან შეწყდა შრომითი ურთიერთობა; ბრძა- ნების უშუალო სამართლებრივი საფუძველია შრომის კოდექსის

38-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილები.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ მოცემულ შემთხვევაში შრომის კოდექსის 38-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების საფუძველზე მოსარჩელებთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას ამავე კოდექსის 37-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლებიდან შეესაბამება შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი – შრომითი ხელშეკრულების მოშლა, თუმცა საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის მიერ აღნიშნული ნორმის განმარტებას, კერძოდ:

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლით აღიარებულია პირის უმიშვნელოვანესი სოციალური უფლება – შრომის უფლება და ასევე უზრუნველყოფილია შრომის თავისუფლება. შრომის კონსტიტუციური უფლება გარანტირებულს ხდის პირის თავისუფლებას შრომითი საქმიანობის არჩევანსა და მის განხორციელებაში, ამასთან, ანესებს სახელმწიფოს ვალდებულებას დასაქმებული მოქალაქის შრომითი უფლებების დასაცავად, რაც უზრუნველყოფილია სათანადო კანონით – შრომის კოდექსით.

შრომის კონსტიტუციური უფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია დასაქმების დაცვის უფლება, რაც გულისხმობს დასაქმებულ პირთა დასაცავად გარკვეული სამართლებრივი მექანიზმების არსებობას – შრომის კოდექსისა თუ შრომის ურთიერთობის მომწესრიგებელ აქტებში დასაქმებულთა უფლების დაცვის მარეგულირებელი საერთაშორისო ნორმების ასახვას. ამ მხრივ უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო აქტები, რომლებიც იცავს დასაქმებულს სამუშაოდან წინასწარი შეტყობინებისა და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გათავისუფლებისაგან. ევროპის სოციალური ქარტიის 4.4 მუხლით (რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 1 ივლისის № 1876-რს დადგენილებით), შრომის სამართლიანი ანაზღაურების მიღების უფლების განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულებას კისრულობენ, აღიარონ თითოეული მუშავის მიერ დასაქმების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების წინასწარი მიღების უფლება. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის (საქართველოში ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან) მე-6 მუხლის თანახმად, ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილით, ამ პაქტით მონაწილე სახელმწიფოთა ღონისძიებანი, ამ უფლების სრულად განხორციელების მიზნით, შეიცავს პროფესიულ-ტექნიკური სწავლებისა და მომზადე-

ბის პროგრამებს, განუხრელი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარებისა და სრული საწარმოო დასაქმების გზებსა და მეთოდებს ისეთ პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის ძირითად პოლიტიკურ და ეკონომიკურ თავისუფლებებს. ადამიანის სოციალურ უფლებებთან დაკავშირებით ასევე მნიშვნელოვან დანარჩესა ადგენს 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა საყოველთან დეკლარაციის (ძალაშია საქართველოს უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის დადგენილებით) 22-ე მუხლი, რომლის თანახმად ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების ხევრს, აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება და უფლება, განახორციელოს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ დარგებში, ნაციონალური მეცადინეობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით და ყოველი სახელმწიფოს სტრუქტურისა და რესურსების შესაბამისად, ის უფლებები, რომლებიც აუცილებელია მისი ღირსების შენარჩუნებისა და პიროვნების თავისუფალი განვითარებისათვის. ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ შრომის თავისუფლება ფართო გაგებით პირდაპირ კავშირშია ადამიანის ღირსებასა და თავისუფალ განვითარებასთან.

ამდენად, ზემოაღნიშნული საერთაშორისო ნორმები იძლევა დასკვნის საშუალებას დასაქმებულთა შრომის უფლების მინიმალური სტანდარტებით დაცვაზე სახელმწიფოს ვალდებულებასა და მიზანზე. საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულით აღიარებული სოციალური სახელმწიფოს დამკვიდრების სახელმწიფო-ებრივი ნება პირდაპირ და უშუალო კავშირშია შრომის უფლების დაცვასთან, რაც მოიცავს დასაქმებულის უფლების დაცვას. საგულისხმოა, რომ ევროპის სოციალური ქარტია 24-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით ავალდებულებს მხარეებს, აღარონ ყველა მუშაკის უფლება, უარი თქვან დასაქმების შეწყვეტაზე საპატიო მიზეზის გარეშე, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს მისი პროფესიული შესაძლებლობებიდან ან მოქცევიდან, ასევე, საწარმოს შინაგანანესიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოქმედი შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი არ შეიძლება განმარტებულ იქნეს როგორც დამქირავებლისათვის ცალმხრივი უფლების მინიჭებელი, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე გათავისუფლოს დასაქმებული.

საგულისხმოა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 აპრილის № 2/1/456 განჩინებით, რომლითაც განხილულ იქნა საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის

პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის არაკონსტიტუციურობის საკითხი, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე მხარის შეხედულება მითითებული ნორმის შინაარსთან დაკავშირებით მცდარია და აღნიშნა: „კონსტიტუციურ სარჩელში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ სადაცონორმა დამსაქტებელს აძლევს თვითნებობისა და დასაქმებულის სამუშაოდან უსამართლო და უპირობო გათავისუფლების საფუძველს. მოსარჩელეთა წარმომადგენელის – რ. ლ-ნის მოსაზრებით, სადაცონორმა არაკონსტიტუციურია მისი შინაარსობრივი დატვირთვის გამო. კოლეგიას მიაჩნია, რომ მოსარჩელე მხარის შეხედულება საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შინაარსთან დაკავშირებით მცდარია. გასაჩივრებული ნორმით არ არის მოწესრიგებული შრომითი ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტი, ხელშეკრულების მოშლის წესი და პირობები. სადაცონორმა წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის შენყვეტის საფუძვლების ჩამონათვალის ნაწილს და არა შრომითი ხელშეკრულების მოშლის მარეგულირებელ ნორმას. აქედან გამომდინარე, პოტენციურად შეუძლებელია მსჯელობა საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე, როგორც დამსაქმებლის მხრიდან შრომითი ხელშეკრულების მოშლისას თვითნებობის შესაძლო დამდგენ ნორმაზე“.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო აუქმებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას კასატორების ნაწილში და ამ ნაწილში საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს იმავე სასამართლოს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია საქმისათვის აუცილებელი ფაქტობრივი გარემოებები. საქმეზე არ არის დადგენილი და გამოკვლეული, თუ რა საფუძვლით მომასალა კასატორებთან განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულება, არსებობდა თუ არა საერთოდ ასეთი საფუძველი. საქმის ხელახლა განხილველმა სასამართლომ სადაცონორმა განიცავს კანონიერება აღნიშნულ საკითხთან მიმართებით უნდა შეაფასოს. კასატორების სამუშაოზე აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნების მართლზომიერების შემთხვევაში უნდა დადგინდეს, თუ რა თანამდებობები ჰქონდათ დაკავებული მოსარჩელებს, არსებობს თუ არა დღეს აღნიშნული თანამდებობები, რა სახის სამუშაოს შესრულებაზე და რა მდენობით ანაზღაურებაზე იყვნენ მხარეები შეთანხმებული.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-

მოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

დ. ქ-ძის, შ. მ-შვილის, დ. მ-იანის, მ. ს-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 8 ოქტომბრის განჩინება დ. ქ-ძის, შ. მ-შვილის, დ. მ-იანის, მ. ს-ძის ნაწილში და საქმე სელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივარდება.

7. სამუშაოდან დათხოვისას კომანდის ციტის მიღების უფლება

განხილვა

№ას-43-328-08

30 ივნისი, 2008 წ. ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო,
სამერარმეო და გაკომიტების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: გასასვლელი დამხარებისა და შრომითი საქმი-
ანობის დაწყებამდე 2 თვის ხელფასის გაცემა

აღნერილობითი ნაწილი:

ნ. ლ-ამ, თ. ს-ძემ, ნ. ბ-ძემ, ზ. ღ-მა, ნ. ლ-ძემ, ე. ლ-ვამ, ა. ლ-ძემ,
თ. კ-შვილმა, ე. ო-ძემ, ლ. ქ-ძემ, ა. პ-შვილმა, მ. ლ-ძემ, ე. პ-ძემ, ლ.
ს-შვილმა, ზ. დ-ძემ, რ. ს-შვილმა, მ. ს-ძემ და ო. ც-ძემ სარჩელი
აღძრეს სასამართლოში შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტრონულისტიკისათვეში“ მიმართ გასასვლელი დახმარებისა და შრომით
მოწყობამდე ორი თვის ხელფასის, სულ – 10 710 ლარის ანაზღაურების თაობაზე შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელეები მუშაობდნენ შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტრონულისტიკიში“,
2005 წლის 30 სექტემბერს რეორგანიზაციის შედეგად ისინი სამუშაოდან გათავისუფლდნენ, რის სამართლებრივ საფუძვლად
მიეთითა შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე: მოპასუხეს მოსარჩელეთათვის გასასვლელი დახმარება და ორი თვის ხელფასი არ მიუცია, რითაც დარღვია შრომის კანონთა კოდექსის 42³ მუხლი. აღსანიშნავია, რომ მოსარჩელებს სამსახურიდან გათავისუფლების მომენტიდან 2 თვის განმავლობაში მუშაობა არ დაუწყიათ. მოპასუხე დაუსაბუთებლად აცხადებს უარს სადავო თანხების გაცემაზე შრომის კანონთა კოდექსის 242¹ მუხლის მე-5 ნაწილზე მითითებით, ვინაიდან კანონი, რომლის საფუძველზეც აღნიშნული კომპენსაცია უნდა გაიცეს, ძალადაკარგულად ცნობილი არ ყოფილა.

მოპასუხებ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: 2005 წლის სექტემბერში შპს „სახელმწიფო ელექტრონულისტიკიში“ განხორციელდა რეორგანიზაცია, რაც მოსარჩელეების სამუშაოდან გათავისუფლების საფუძველი გახდა. აღნიშნული პირებისთვის

შრომითი კონტრაქტის შეწყვეტის პერიოდში ამ ურთიერთობის მარეგულირებელ სპეციალურ ნორმას წარმოადგენდა 1973 წლის შრომის კანონთა კოდექსი, რომელიც, ახალი შრომის კოდექსის 55-ე მუხლის მიხედვით, ძალადაკარგულად ჩაითვალა, შესაბამისად, ადმინისტრაციასა და მუშა-მოსამსახურებს მორის არსებული ურთიერთობის შეწყვეტისას ყველა მოქმედება უნდა მოწერილი გულიყრის მიზანით. სარჩელის თანახმად, გასასვლელი დახმარებისა და ორი თვის კომპენსაციის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს შრომის კანონთა კოდექსის 42³ მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები. 2004 წლის 29 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად კი, აღნიშნული მუხლის მოქმედების ვადა შეჩერდა 2006 წლის 1 იანვრამდე. ამდენად, შრომის კანონთა კოდექსის 42³ მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მოქმედებაზე დადგენილი მორატორიუმი პირდაპირ კავშირში იყო ადმინისტრაციის მხრიდან დათხოვნილ მუშა-მოსამსახურებისათვის კომპენსაციისა და დახმარების გაცემის ვალდებულების შესრულებასა და გადავადებასთან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 9 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტრონისტების“ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტრონისტების“ საპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განჩინება დარჩა უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2005 წლის 30 სექტემბრის ბრძანების თანახმად, შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტრონისტების“ განხორციელებული რეორგანიზაციის გამო, მოსარჩელები სამუშაოდან გათავისუფლდნენ, რის სამართლებრივ საფუძვლად მიეთითა საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ შრომის კანონთა კოდექსის 242¹ მუხლის მეხუთე ნაწილით შეჩერდა რა 42³ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მოქმედება 2006 წლის 1 იანვრამდე, აღნიშნული გულისხმობს არა გასასვლელი დახმარებისა და შრომით მოწყობამდე ორი თვის საშუალო ხელფასის გაცემის ვალდებულების 2006 წლის 1 იანვრამდე გადავადებას, არამედ მეტყველებს იმ გარემოებაზე, რომ დასახელებული თანხების ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოშობილა იმ პირთა მიმართ, რომლებიც გა-

თავისუფლდნენ მითითებული ნორმის მოქმედების შეჩერებისპერიოდში. პალატამ ჩათვალა, რომ შრომის კანონთა კოდექსის 242¹ მუხლის მეხუთე ნაწილის აპელაციისული განმარტება ეწინააღმდეგება სახელმწიფოს პოლიტიკას ადამიანის სოციალური და შრომითი ხასიათის უფლებების დაცვის შესახებ, რაც კონსტიტუციის ერთ-ერთი პრინციპული მოთხოვნაა. სასამართლოს მითითებით, ადამიანის შრომით უფლება ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციის 23-ე მუხლისა და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის დაცვის ობიექტია. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სანარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაციათავისი ინიციატივით წყვეტს რა მუშაკთან შრომით ხელშეკრულებას ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის ან შტატების შემცირების გამო, მნიშვნელოვანია ამ დროს გათავისუფლებულ პირთა შრომითი კომპენსაციისა და შეძავათის საკითხის სწორად განსაზღვრა. საქართველოს კონსტიტუციის 32-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ხელს უწყობს უმუშევრად დარჩენილ მოქალაქეებს დასაქმებაში, რაც ასევე გულისხმობს კანონმდებლობით, დახმარების გაცემის წესის დაწესებას. სასამართლოს მოსაზრებით, როცა სამართლის ნორმა არ არის გაუქმებული და მის საფუძველზე პირს მინიჭებული აქვს გარკვეული უფლებები და ეკისრება ვალდებულებები, ასეთ შემთხვევაში კანონმდებლის მიერ ნორმის მოქმედების შეჩერება გულისხმობს ნორმით მინიჭებული უფლების რეალიზაციისა და დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გადავადებას. სასამართლოს მითითებით, „სოციალური პოლიტიკის მიზნებისა და ნორმების შესახებ“ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 117-ე კონვენციის პირველი მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია შრომის კანონმდებლობის საფუძველზე დაწესდეს, მუშაკთა რიცხოვნობის ან შტატების შემცირების გამო, სამუშაოდან გათავისუფლებულ პირთათვის კომპენსაციებისა და შეძავათების გაცემა. სააპელაციო პალატამ ასევე მიუთითა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 109-ე მუხლის პირველი პუნქტის, ისევე, როგორც შრომის კანონთა კოდექსის 42² მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიზანია სამსახურიდან გათავისუფლებულ პირთა სოციალური ინტერესების დაცვა, ამასთან, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის დასახელებული ნორმის მოქმედება ასევე შეჩერებული იყო 2006 წლის 1 იანვარმდე აღნიშნულ კანონში 2004 წლის 29 დეკემბრის ცვლილების შეტანის საფუძველზე, რაზეც საქართველოს საკონსტიტუციო სასამარ-

თლომ იმსჯელა 2005 წლის 23 მარტის № 1/3/301 გადაწყვეტილებით.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაშ“, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაცამაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით: 2005 წლის 30 სექტემბერს „სახელმწიფო ელექტროსისტემაში“ განხორციელებული რეორგანიზაციის გამო, შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოსარჩელები გათავისუფლდნენ სამსახურიდან, რადროსაც შრომით ურთიერთობებს არეგულირებდა 1973 წლის საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი, რომელიც ძალადაკარგულად ჩაითვალა ახალი შრომის კოდექსის ძალაში შესვლის დღიდან. ელექტროსისტემაში განხორციელებული რეორგანიზაციის მომენტისათვის – 2005 წლის 1 ოქტომბრისთვის, შრომის კანონთა კოდექსში შესული ცვლილებების შესაბამისად, 2006 წლის 1 იანვრამდე შეჩერდა ამავე კოდექსის 42³ მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მოქმედება. უდავოა და დამატებით მტკიცებას არ საჭიროებს ის გარემოება, რომ საზოგადოების რეორგანიზაციის მომენტში კასატორს, მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, მოსარჩელეთა მიერ მოთხოვნილი ფულადი ვალდებულება არ წარმოშობია და, შესაბამისად, კასატორი არარსებულ ვალდებულებას ვერც შეასრულებდა. კანონის ნორმა, რომლის მოქმედებაც შეჩერებულია, დროში ვალდებულების წარმოშობის საფუძველს არ წარმოადგენს და ნორმის მოქმედების შეჩერების მიზანი არარსებული ვალდებულების სხვა დროისათვის გადავადება არ არის. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამართლის ნორმა, რომელიც გასაჩივრებულ განჩინებას დაუდო საფუძვლად, რის გამოც სამართლებრივი მეფის სება უნდა მიეცეს საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 42³ მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ანალოგიური ტიპის დაცვებზე აქამდე სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებისაგან განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღო, რა დროსაც შრომის კანონთა კოდექსის 242¹ მუხლი და 42³ მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ანალოგიური ტიპის დაცვებზე აქამდე სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებისაგან განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღო, რა დროსაც შრომის კანონთა კოდექსის 242¹ მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები განიმარტა იმდაგვარად, რომ დაამქირავებელს მუშავის გათავისუფლებისას სადაცო ფულადი ვალდებულება არ წარმოშობია. სააპელაციო სასამართლომ ამავე კოდექსის 242¹ მუხლის მე-5 ნაწილი მხოლოდ გრამატიკული თვალსაზრისით არასწორად განმარტა და ყურადღების მიღმა დარჩა ის გარემოება, რომ მოქმედებაშეჩერებულ ნორმას უკუქცევითი ძალა არ გააჩინია.

მოცემულ საქმესთან დაკავშირებით დადგენილია, რომ ნ. ლ-ა, თ. ს-ძე, ნ. ბ-ძე, ზ. ლ-ი, ნ. ლ-ძე, ე. ლ-ვა, ა. ლ-ძე, თ. კ-შვილი, ე. ო-ძე, ლ. ქ-ძე, ა. პ-შვილი, მ. ლ-ძე, ე. პ-ძე, ლ. ს-შვილი, ზ. დ-ძე, რ. ს-შვილი და მ. ს-ძე მუშაობდნენ შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში“ სხვადასხვა თანამდებობებზე. 2005 წლის 30 სექტემბრის ბრძანების თანახმად, შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში“ განხორციელებული რეორგანიზაციის გამო, ისინი სამუშაოდან გათავისუფლდნენ, რის სამართლებრივ საფუძვლად მიეთითა საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

მოსარჩელეთა გათავისუფლებისას მათ შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისაგან“ შრომის კანონთა კოდექსის 42³ მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, ასევე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 109-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ორი თვის გასასვლელი კომპენსაცია არ მიუღიათ იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელეთა სამუშაოდან დათხოვნის პერიოდში აღნიშნული ნორმების მოქმედების ვადა შეჩერებული იყო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიზნევს, რომ შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკამაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინება როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით დასაბუთებულია და კანონის სწორ განმარტებას ემყარება, კერძოდ:

საკასაციო საჩივრის საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ სასამართლომ შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ მოსარჩელების სასარგებლოდ არასწორად დააკისრა შრომის კანონთა კოდექსის 42³ მუხლის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტე-

ბით გათვალისწინებული ორი თვის გასასვლელი კომპენსაციის ანაზღაურება, ვინაიდან ნ. ლ-ას თ. ს-ძის, ნ. ბ-ძისა და სხვა მოსარჩელეთა სამუშაოდან გათავისუფლებისას – 2005 წლის 30 სექტემბრისათვის ზემოხსენებული ნორმების მოქმედება შეჩერებული იყო 2006 წლის 1 იანვრამდე, კანონში შეტანილი ცვლილების ამოქმედებამდე. აღნიშნული კი გულისხმობს, რომ მოპასუხეს სადაც კომპენსაციის გადახდის ვალდებულება მოსარჩელეთა მიმართ არ წარმოშობია და, შესაბამისად, მისი გადახდაც არ უნდა დაკისრებოდა.

კასატორის მითითებული მოსაზრება სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია და ვერ იქნება გაზიარებული. მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს ცალკეულ შემთხვევებში ნორმის მოქმედების შეჩერების შესაძლებლობას. ნორმის მოქმედების შეჩერება უფლების დაკარგვის საფუძველს არ ქმნის. ნორმის მოქმედების შეჩერება არ ნიშნავს ნორმით აღიარებული უფლების გაუქმებას. საკასაციო პალატა თვლის, რომ ნორმის შეჩერებით სახელმწიფომ აღიარა კასატორის უფლება მიეღო ფულადი დახმარება, ნორმის შეჩერებით მხოლოდ გადავადდა აღიარებული უფლების რეალიზაცია. საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 23.03.05ნ. გადაწყვეტილებაზე, რომლითაც განიმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 32-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ხელს უწყობს უმუშევრად დარჩენილ საქართველოს მოქალაქეს დასაქმებაში, რაც გულისხმობს არა მარტო უმუშევრის სტატუსის განსაზღვრა-მოწესრიგებას და სამუშაოს პოვნაში რეალურ დახმარებას, არამედ სამუშაოდან დათხოვნის დროიდან კუთვნილი კომპენსაციის, გამოსასვლელი დახმარების მიღების უფლებასაც. საკონსტიტუციო სასამართლოს 23.03.05ნ. გადაწყვეტილებით სადაცვო საკანონმდებლო აქტის – „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე 2004 წლის 29 დეკემბრის კანონის პირველი მუხლის მეორე პუნქტის, რომლითაც შეჩერდა კანონის ნორმის მოქმედება, არაკონსტიტუციურად ცნობის ერთერთ ძირითად საფუძველს სწორედ ის წარმოადგენდა, რომ აქტი უსამართლოდ უჭიანურებდა და ფაქტობრივად ართმევდა მოქალაქეებს უფლებით სარგებლობის შესაძლებლობას. ხსენებული გადაწყვეტილების თანახმად კანონმდებელს უფლება აქვს შეაჩეროს ნორმატიული აქტის მოქმედება, რაც არ უნდა ღებულობდეს უსასრულოდ პერმანენტულ ხასიათს და არ უნდა იქცეს კანონის მოქმედების პრინციპად.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შრომის კა-

ნონთა კოდექსის 42³ მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მოქმედების შეჩერება მითითებული ნორმებით აღიარებული უფლების გაუქმებას არ ნიშნავს, არამედ კანონის კონკრეტული დანაწესის მოქმედების შეჩერებით სახელმწიფო აღიარებს ამ ნორმით უზრუნველყოფილ მხარის უფლებას, მოცემულ შემთხვევაში – სამუშაოდან დათხოვნისას სადაც კომპენსაციის მიღების უფლებას და ნორმის შეჩერებით აღიარებული უფლების რეალიზაცია მხოლოდ გადავადდება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე საკასაციო სასამართლო ასკვნის, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნა გასასვლელი დახმარებისა და შრომით მონყობამდე ორი თვის ხელფასის ანაზღაურების შესახებ საფუძვლიანია და მართებულად დაკმაყოფილდა.

დაუსაბუთებელია კასატორის მოსაზრება, რომ სააპელაციო სასამართლომ მარტოდენ გრამატიკული თვალსაზრისით განმარტა შრომის კანონთა კოდექსის 242¹ მუხლის მე-5 ნაწილი, როდესაც ამავე კოდექსის 42³ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მოქმედება არასწორად გაავრცელა აღნიშნული ნორმის მოქმედების შეჩერების პერიოდზე და უკუქცევითი ძალა მიანიჭა მას. როგორც ზემოთ უკვე განიმარტა, ამა თუ იმ ცვლილება-დამატებით კონკრეტული ნორმის მოქმედების შეჩერება, ანუ მისი ამოქმედების ვადის გარკვეული დროით გადაწევა, არ ნიშნავს ხსენებული ნორმის აძსოლუტურ უმოქმედობასა და მის გაუქმებას, შესაბამისად, სადაც კომპენსაციის მოპასუხისათვის დაკისრებით სასამართლომ კანონის დანაწესს უკუცევითი ძალა კი არ მიანიჭა, არამედ მოახდინა გადავადებული მოქმედების ნორმის რეალიზაცია.

საკასაციო სასამართლო არსებითად მიიჩნევს იმ მომენტზე ხაზგასმას, რომ ნორმის შეჩერებით სახელმწიფომ აღიარა კასატორის უფლება, მიიღოს ფულადი დახმარება, ხოლო რაც შეეხება ამ აღიარებული უფლების რეალიზაციის მექანიზმს, მითითებული დაუკავშირა დროის შემდგომ პერიოდს.

საკასაციო სასამართლო გამორიცხავს რა ნორმის სხვაგვარი განმარტების შესაძლებლობას, მიიჩნევს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ზემოაღნიშნული უფლება იძენს ფიქტიურ ხასიათს და აზრს კარგავს მისი არსებობა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 ოქტომბრის განჩინება დარჩის უცვლელი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

8. სამუშაოზე აღდგენა

გადაცევის ფილება საქართველოს სახელით

№ას-920-1127-08

10 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო,
სამერარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების გაუქმება, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ქ-ძემ სარჩელი აღმრა სასამართლოში ...-ის საჯარო სკოლის მიმართ სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების გაუქმების, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 1979 წლიდან მოსარჩელე მუშაობდა ...-ის სკოლაში სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე. 2006 წლიდან ასრულებდა ...-ის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობას. 2007 წლის 7 ივნისს მონაწილეობდა ...-ის საჯარო სკოლის დირექტორის არჩევნებში და მისი უკანონო შედეგები გაასაჩივრა კანონით დადგენილი წესით. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოში საქმის განხილვა არ დასრულებულა, კანონის იმპერატიული მოთხოვნის მიუხედავად, სკოლის დირექტორად დაინიშნა ე. გ-ია. მ. ქ-ძემ მას შესთავაზა თანადგომა მოსწავლეებისა და სკოლის ინტერესების გათვალისწინებით, თუმცა დირექტორმა თავისი საქმიანობა იმით დაიწყო, რომ არ გაუფორმა შრომითი ხელშეკრულება და 2007 წლის 12 დეკემბრის №42 ბრძანებით სამსახურიდან გაათავისუფლა. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლის შესაბამისად, დირექტორი ვალდებული იყო, გამონაკლისის დაშვების გარეშე, დირექტორად რეგისტრაციიდან ერთი თვის ვადაში ყველა მასწავლებელთან გაეფორმებინა შრომითი ხელშეკრულება, რაც არ განუხორციელებია. მოცემულ შემთხვევაში „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონითა და შრომის კანონთა კოდექსით დაგენილი მუშავის სამუშაოდან დათხოვნის რაიმე საფუძველი არ

არსებობდა. მ. ქ-ძის შრომის წიგნაკეში მისი სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლად მიეთითა შრომითი ხელშეკრულების გაუფორმებლობა.

მოპასუხებ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: დაუსაბუთებელია მოსარჩელის მითითება, სამუშაოდან უკანონოდ გათავისუფლების შესახებ. სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებისათვის მ. ქ-ძეს გამოეცხადა ჯერ ზეპირი, შემდეგ კი წერილობითი საყვეფური და საბოლოოდ შრომის კანონთა კოდექსის მე-2 თავის მე-5, მე-7 და მე-8 მუხლების საფუძვლზე იგი გათავისუფლდა სამუშაოდან. ამასთან, სარჩელის დაკამაყოფილების შემთხვევაშიც, მ. ქ-ძე ვერ შეძლებს სკოლაში მუშაობის გაგრძელებას პედაგოგებთან, მოსწავლეებსა და მათ მშობლებთან დაძაბული მდგომარეობის გამო.

საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით მ. ქ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მან გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილებით სააპელაციო სააჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: 1979 წლიდან მ. ქ-ძე მუშაობდა საგარეჯოს რაიონის სოფელ ...-ის სკოლაში სხვადასხვა თანამდებობაზე, გათავისუფლებამდე კი ასრულებდა ...-ის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 27 ივლისის № 1034 ბრძანების, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლის მეორე პუნქტისა და შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მ. ქ-ძე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, რის შემდეგაც სკოლაში მუშაობას აგრძელებდა ქიმიის მასწავლებლად. სოფელ ...-ის საჯარო სკოლის დირექტორის 2007 წლის 12 დეკემბრის ბრძანებით მ. ქ-ძე გათავისუფლდა თანამდებობიდან შრომის კოდექსის მე-5 მუხლის მე-7 და მე-8 ნაწილების საფუძველზე შრომითი ხელშეკრულების გაუფორმებლობის მოტივით. სააპელაციო პალატამ გაიზიარა აპელანტის არგუმენტი, რომ მ. ქ-ძე არ ყოფილა სამუშაოზე მიღების კანდიდატი, ვინაიდან დანიშნული იყო ბრძანებით და ასრულებდა შრომით მოვალეობებს. სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტმა სწორად განმარტა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილი, როდესაც ჩათვალა, რომ დასახელებული ნორმა მასწავლებლის ხელახლა სამ-

სახურში მიღებას კი არ გულისხმობს, არამედ მათთან არსებული შრომითი ურთიერთობების ხარვეზის გამოსწორებას ემსახურება. სააპელაციო პალატის მითითებით, მოცემული კანონის დანაწესით დადგინდა სკოლასა და მასში დასაქმებულ მასწავლებლებს შორის შრომის ხელშეკრულების გაფორმებით, მხარეთა ნების შესაბამისად, თითოეული მხარის უფლება-მოვალეობები. ამასთან, იგი არ უნდა იქნეს გაგებული ისე, რომ სკოლას ეზღუდება ნების ავტონომია და არა აქვს უფლება, თავისი ნების შესაბამისად დაასაქმოს ან გაათავისუფლოს მასწავლებელი. შრომით ურთიერთობას საფუძვლად უდევს მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძვლზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმება. საჯარო სკოლის დირექტორი, როგორც სკოლის წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირი, უფლებამოსილია, გააგრძელოს მასწავლებელთან შრომითი ურთიერთობა შრომის ხელშეკრულების გაფორმებით ან შეწყვიტოს იგი. სააპელაციო სასამართლომ საფუძვლიანად მიიჩნია აპელანტის მოსაზრება, რომ მის მიმართ არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს წინასახელშეკრულებო ურთიერთობის მარეგულირებელი ნესები, მაგრამ არ გაიზიარა მ. ქ-ძის არგუმენტი, რომ ბრძანების სამართლებრივი საფუძვლის არასწორად მითითება შეიძლება გახდეს მისი გაუქმებისა და მოსარჩელის სამუშაოზე აღდგენის საფუძველი. სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრძანება წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის ერთ-ერთი მხარის – დამსაქმებლის ნებას, შესაბამისად, უნდა დადგინდეს მისი წამდვილობა და შინაარსი. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს შრომის კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლით და მიაჩნია, რომ ...-ის საჯარო სკოლის დირექტორის 2007 წლის 12 დეკემბრის ბრძანების გონივრული განსჯით დგინდება დამსაქმებლის წამდვილი ნება, შეწყვიტოს შრომითი ურთიერთობა მ. ქ-ძესთან და არა მ. ქ-ძეს, როგორც დასაქმების კანდიდატს, უარი უთხრას დასაქმებაზე. სასამართლოს მოსაზრებით, დასახელებულ ბრძანებაში არ არის მსჯელობა ურთიერთობის შეწყვეტის ისეთ სპეციალურ საფუძვლებზე, რომლებიც მოცემულია შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა-“ „გ“, „ე-“ „ი“ ქვეპუნქტებში და უბრალოდ გამოხატავს ნებას ხელშეკრულების მოშლაზე, ამდენად, მასში გამოვლენილი ნება შეიძლება განმარტებულ იქნეს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ურთიერთობის შეწყვეტის ნებად, შრომითი ხელშეკრულების მოშლად. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე,

რომ ...-ის საჯარო სკოლის დირექტორის 2007 წლის 12 დეკემბრის ბრძანებით დადგინდა მ. ქ-ძისათვის კანონით დადგენილი წესით ერთი თვის კომპენსაციის გადახდა, არანაკლებ ერთი თვის კომპენსაციის გაცემის წესს კი ადგენს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მესამე ნაწილი შრომითი ხელშეკრულების დამსაქმებლის ინიციატივით მოშლის შემთხვევებში. ამდენად, საპელაციო პალატამ მიიჩნა, რომ მ. ქ-ძე სამუშაოდან უკანონოდ არ გათავისუფლებულა და მისი სამუშაოზე აღდგენის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, შესაბამისად, ასევე უსაფუძვლია მოთხოვნა იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე, რამეთუ განაცდური შეიძლება აუნაზღაურდეს მხოლოდ სამუშაოდან უკანონოდ და წინანდელ სამუშაოზე აღდგენილ მუშაკს, რაც მოცემულ შემთხვევაში არ დადგენილა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მ. ქ-ძემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოთხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 59-ე მუხლის მეხუთე ნაწილი. სასამართლომ მართებულად გაიზიარა კასატორის მოსაზრება, რომ აღნიშნული ნორმა კანონში გათვალისწინებულია უკვე არსებული შრომითი ურთიერთობის დასარეგულირებლად, მაგრამ არასწორად მიიჩნა, რომ ეს ნორმა არ ავალდებულებს სკოლის ადმინისტრაციას, შრომითი ურთიერთობის დასარეგულირებლად, ხელშეკრულება გაუფორმონ სკოლის ყველა მასწავლებელს. „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 59-ე მუხლი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ ხელშეკრულება გაფორმებული უნდა იქნას ყველა მასწავლებელთან, რომელიც სკოლაში უკვე ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს, მაგრამ ეს ნორმა არ ზღუდავს სკოლის ადმინისტრაციის თავისუფალ ნებას, დაინტოვს თუ დაასრულოს შრომითი ურთიერთობები საკუთარი შეხედულებით. სკოლის ადმინისტრაციას ჯერ უნდა დაერეგულირებონა არსებული მდგომარეობა და შემდეგ მიეღო გადაწყვეტილება შრომითი ურთიერთობის გაგრძელებისა თუ დაასრულების შესახებ. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ მ. ქ-ძე მთელი ცხოვრება უმსახურებოდა სკოლას და უკანონოდ გათავისუფლდა სამუშაოდან.

სააპელაციო პალატამ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 1979 წლიდან მ. ქ-ძე მუშაობდა საგარეჯოს რაიონის სოფელ ... -ის სკოლაში სხვადასხვა თანამდებობაზე, გათავისუფლებამდე კი ასრულებდა ...-ის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

2007 წლის 27 ივლისის №1034 ბრძანების, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლის მეორე პუნქტისა და შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მ. ქ-ძე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, რის შემდეგაც სკოლაში მუშაობას აგრძელებდა ქიმიის მასწავლებლად. სოფელ ...-ის საჯარო სკოლის დირექტორის 2007 წლის 12 დეკემბრის ბრძანებით მ. ქ-ძე გათავისუფლდა თანამდებობიდან (მასწავლებლის) შრომის კოდექსის მე-5 მუხლის მე-7 და მე-8 ნაწილების საფუძველზე შრომითი ხელშეკრულების გაუფორმებლობის მოტივით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ქ-ძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილებით მ.ქ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ სადავო ბრძანების კანონიერების შემოწმების შედეგად დასაცვნა, რომ საჯარო სკოლას მ.ქ-ძის მიმართ არ უნდა გამოყენებინა წინასახელშეკრულებო ურთიერთობის მარეგულირებელი წესები და მისი თანამდებობიდან გათავისუფლება შრომითი ხელშეკრულების გაუფორმებლობის მოტივით, შრომის კოდექსის მე-5 მუხლის მე-7 და მე-8 ნაწილების საფუძველზე, სამართლებრივად არასწორია. თუმცა სასამართლომ ბრძანების სამართლებრივი საფუძვლის არასწორად მითითება, მისი გაუქმებისა და მოსარჩელის სამუშაოზე აღდგენის საკმარის საფუძვლად არ მიიჩნია იმ მოტივით, რომ, სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის შესაბამისად, სადავო ბრძანების გონივრული განსჯით დგინდება დამსაქმებლის ნამდვილი ნება.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო პალატის არგუმენტაციას სადავო ბრძანების არაკანონიერებაზე და თვლის, რომ სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებით მ.ქ-ძე არასწორად იქნა გათავისუფლებული სამსახურიდან.

ამასთან, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის გამოყენებით მ.ქ-ძის სამუშაოდან გათავისუფლების კანონიერებაზე იმ დასაბუთებით, რომ ბრძანების გონივრული განსჯით დგინდება დამსაქმებლის – ...-ის საჯარო სკოლის დირექტორის ნამდვი-

ლი ნება, შეწყვიტოს შრომითი ურთიერთობა მ.ქ-ძესთან.

შრომის კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით კანონი უშვებს შესაძლებლობას შრომის ურთერთობებთან დაკავშირებული საკითხები, რომლებსაც არ აწესრიგებს ეს კოდექსი, დარეგულირდეს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანება ნარმოადგენს შრომითი ურთიერთობის ერთ-ერთი მხარის – დამსაქმებლის ნების გამოვლენას. ამდენად, მასთან მიმართებაში, თუკი არსებობს ნების ნამდვილობის დადგენის აუცილებლობა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლი, რომელიც ადგენს ნების გამოვლენის განმარტების წესს. ნების გამოვლენის განმარტების აუცილებლობა ნარმოიმობა მაშინ, როდესაც არსებობს გარიგების მხარეების მიერ გამოვლენილ ნებათა კონფლიქტი. განმარტების საგანს ნარმოადგენს მხარის მიერ გამოვლენილი ნება, როცა ეს მეორე მხარის მიერ განსხვავებულად იქნა აღქმული ან მხარის მიერ გამოვლენილი ნება არ არის მისი განზრახვის თანხვედრი. ასეთ შემთხვევაში გარიგების მხარე თვითონვე აზუსტებს, აკონკრეტებს ან მეორე მხარესთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში სადაცოდ მიიჩნევს ხელშეკრულების ბუნდოვან და საეჭვო აზრს.

მოცემულ შემთხვევაში დავის ორი ინსტანციით განხილვისას სადაც ბრძანების ავტორს – სკოლის დირექტორს საეჭვოდ არ მიუწევია მის მიერ ბრძანებაში გამოხატული ნება – მ.ქ-ძის სამუშაოდან გათავისუფლების საფუძველი, შესაბამისად, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს ინიციატივა მხარის იმ ნების განმარტებისა, რომელსაც საეჭვოდ და ბუნდოვნად თვით მხარე არ მიიჩნევს.

აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ნების განმარტება უნდა განხორციელდეს განსამარტ ტექსტთან მჭიდრო კავშირში. ნების განმარტება ადეკვატური უნდა იყოს ფაქტის, რაც მოცემულ შემთხვევაში დაცული არ არის.

საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარის – სკოლის დირექტორის ნება გამოვლენილია წერილობითი ფორმით, რაც გამორიცხავს ნების გამომვლენის შეცდომის ალბათობას, ვინაიდან ნების წერილობითი ფორმით გადმოცემისას ივარაუდება, რომ მხარე თავის სურვილს მხოლოდ შეგნებულად განსჯის შემდეგ გადმოსცემს.

საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლით აღიარებულია პირის უმიშვნელოვანესი სოციალური უფლება – შრომის უფლე-

ბა და დადგენილია, რომ შრომა თავისუფალია. შრომის კონსტიტუციური უფლება გარანტირებულს ხდის პირის თავისუფლებას, შრომითი საქმიანობის არჩევანში და მის განხორციელებაში, ამასთან, ანესებს სახელმწიფოს ვალდებულებას დასაქმებული მოქალაქეების შრომითი უფლებების დაცვაში, რაც უზრუნველყოფილია სათანადო კანონით – შრომის კოდექსით. საქართველოს შორმის კოდექსის მე-2 მუხლის მექვსე ნაწილის თანახმად, შრომითი ურთიერთობისას მხარეებმა უნდა დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. მითითებული ნორმა უზრუნველყოფს მოქალაქეებს უფლებას, დამსაქმებლის ინციატივით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში ინფორმირებული იყოს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველის შესახებ, ხოლო ამ საფუძვლის არაკანონიერების შემთხვევაში, დაიცვას თავისი უფლებები. ამავდროულად, დამსაქმებელი, თავის მხრივ, ვალებულია, აცნობოს დასაქმებულს სამუშაოდან გათავისუფლებს კონკრეტული საფუძველი. აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ დამსაქმებლის მიერ ამა თუ იმ ფორმით (ბრძანება და სხვა) სამუშაოდან გათავისუფლების საფუძვლის მითითება წარმოადგენს დამსაქმებლის ნამდვილი ნების გამოვლენას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლი, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილებით მ. ქ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

მ. ქ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

მ. ქ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს საგარეჯოს რაიონის სოფელ ...-ის საჯარო სკოლის დირექტორის 2007 წლის 12 დეკემბრის ბრძანება მ. ქ-ძის გათავისუფლების თაობაზე.

საგარეჯოს რაიონის სოფელ ...-ის საჯარო სკოლას დაეკის-როს მ.ქ-ძის სასარგებლოდ ყოველთვიური განაცდური ხელფა-სის ანაზღაურება გათავისუფლების დღიდან სამუშაოზე აღდგე-ნამდე.

საგარეჯოს რაიონის სოფელ ...-ის საჯარო სკოლას მ. ქ-ძის სასარგებლოდ დაეკისროს სააპელაციო სასამართლოში გადახ-დილი სახელმწიფო ბაჟის – 150 ლარის გადახდა.

საგარეჯოს რაიონის სოფელ ...-ის საჯარო სკოლა გათავი-სუფლდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

9. ინდივიდუალური დაცის განხილვა

განხილვა

№ას-873-1183-07

4 ივნისი, 2008 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო,
სამერარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა:მ.სულხანშვილი(თავმჯდომარე,მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდუ-
რის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ო. ხ-დემ სასარჩელო განცხადებით, მიმართა თბილისის საქა-
ლაქო სასამართლოს მოპასუხე სს „თელასის“ მიმართ. სარჩელი-
დან ირკვევა, რომ 1996 წლიდან მოსარჩელე მუშაობდა სააქციო
საზოგადოება „თელასში“ ელექტროენერგიის შესყიდვის განყო-
ფილების უფროსი ინჟინერ-ინსპექტორის თანამდებობაზე. გა-
ნათლებით არის ინჟინერ-ელექტრიკოსი. ტექნიკურ მეცნიერება-
თა კანდიდატი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დო-
კუნტი. თავისი შრომითი მოღვაწეობის პერიოდში არაერთხელ
იყო დაწინაურებული. აქვს მიღებული წახალისება და მატერია-
ლური ჯილდო სს „თელასის“ ხელმძღვანელობისაგან, არასოდეს
მიუღიარა რაიმე შენიშვნა ან პრეტენზია. მოსარჩელე ანარმოებდა ინ-
სპექტირებას იმ სამსახურებრივ საკითხებში და სფეროში, რაც
უშუალოდ მის კომპეტენციას წარმოადგენდა და მისი მოქმედე-
ბები ყოველთვის მიმართული იყო საწარმოს საქმიანობის შემ-
დგომი გაუმჯობესებისა და შესაძლო ზიანის თავიდან აცილება-
ზე. მას და მისი განყოფილების თანამშრომლებს ორი მილიონი
ლარის ეკონომია აქვთ გაკეთებული, რისთვისაც მიღებული ჰქონ-
დათ შესაბამისი პრემიები.

2004 წელს სს „თელასის“ ელექტროენერგიის შესყიდვის დე-
პარტამენტის უფროსის თანამდებობაზე დაინიშნა სპეციალობით
ფილოლოგი მ. ა-იანი, რომელმაც განახორციელა რიგი ცვლილე-
ბები, მათ შორის ორგანიზაციული და საკადრო, რომელთა შედე-
გად საწარმოს ადგებოდა მატერიალური ზარალი და იმავდროუ-
ლად შესუსტდა ტექნოლოგიური კონტროლისა და მომსახურების

დონე. ამის თაობაზე მოსარჩელე, ამცნობდა ჯერ მის უშუალო ხელმძღვანელობას, ხოლო შემდეგ სანარმოს დირექციას. ა-იან-მა ნაცვლად იმისა, რომ რეაგირება მოეხდინა და შეესწავლა შე-ნიშვნების საფუძვლიანობა, ამჯობინა მოსარჩელის წინააღმდეგ დეპარტამენტის თანამშრომელთა ამხედრება, რაც დასრულდა მათი სამსახურებრივი წერილით სს „თელასის“ დირექციის სა-ხელზე, რაც გახდა საფუძველი მისი სამსახურიდან გათავისუფ-ლების. მოსარჩელემ მოითხოვა:

სს „თელასის“ გენერალური დირექტორის ი. პ-ოვის 16.10.06 წ. ბრძანება №კ-268 ს 9 ელექტრონურგიის შესყიდვების დეპარ-ტამენტის ელექტრონურგიის შესყიდვის განყოფილების უფრო-სი ინუინერ-ინსპექტორის თანამდებობიდან მისი გათავისუფლე-ბის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა სამსახურში აღდგენა იმავე თანამდებობაზე, რომელიც ეკავა განთავისუფლებამდე და იძულებითი განაცდურის გადახდა 16.10.06 წლიდან საშტატო გან-რიგის მიხედვით, ყოველთვიური ხელფასის, 1035 ლარის გათვა-ლისწინებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეტა კო-ლეგის 2007 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი არ და კმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ხ-ძემ და მოითხოვა მისი გაუქმება.

თბილისის ააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 25 სექტემბერი განჩინებით ძალაში დარჩა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება.

პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დაადგინა ის გარემოება, რომ აპელანტი სამსახურიდან გათავისუფლებულია შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-3 ნაწი-ლის მიხედვით, რომლის თანახმად, შრომითი ხელშეკრულების დამსაქმებელის ინიციატივით მოშლის შემთხვევაში დასაქმე-ბულს მიეცება არანაკლებ ერთი თვის შრომის ანაზღაურება.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტი-ლებაში უნდა გამოეყენებინა სსკ 399-ე მუხლი, რომელიც განსაზ-ღვრავს ხელშეკრულების მოშლის პირობებს, ვინაიდან მხარეთა შორის შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საკითხი მოწესრიგე-ბულია საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე და 38-ე მუხლებით.

პალატამ ასევე მიიჩნია, რომ მხარეთა შორის ნარმოშობილი სადაც საკითხი რომც არ იყოს მოწესრიგებული მოქმედი შრო-მის კოდექსის ნორმებით, აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარ-

ში მითითებული სამართლებრივი საფუძვლით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლის მიხედვით, მისი მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდებოდა, რადგან აღნიშნულ ნორმაში გათვალისწინებული ხელშეკრულების მოშლის პატივსადები საფუძველი, ასევე, ხელშეკრულების მოშლის საფუძვლად მითითებული სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევა, ნაკლოვანებათა აღმოფხვრისთვის დადგენილი ვადის უშედეგოდ გასვლის, ან უშედეგო გაფრთხილების შემდეგ, 37-ე მუხლით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის დროს გათვალისწინებულია, მაგრამ არა ამ ნორმის „დ“ პუნქტით შრომითი ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში.

საპელაციო პალატამ ასევე არ გაიზიარა აპელანტის მიერ მითითებული გარემოება, რომ მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ იგივე გაფრთხილებული არ ყოფილა, რადგან აპელანტს არ ჰქონია მოთხოვნა მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ გაუფრთხილებლობის გამო ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

თბილისის ააპელაციონ სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 25 სექტემბერი განჩინება საკასაციონ საჩივრით გაასაჩივრა ო. ხ-ძემ.

კასატორის განმარტებით ხელშეკრულების მოშლის პირობებს და საფუძვლებს ანესრიგებს სამოქალაქო კოდექსის ვალდებულებითი სამართლი, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ ხელშეკრულების მოშლის შესახებ მხარე წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული (გაფრთხილება, ვადის დაწესება). მით უმეტეს, რომ ეს დავა წარმოადგენს კერძო სასამთლებრივი ხასიათის დავას, რომელიც დამყარებულია მხარეთა თანასწორობაზე, ე.ო. ის ვალდებულებები, რომლებიც ხელშეკრულების მოშლისთვის აკისრია ერთ მხარეს, გააჩნია მეორე მხარესაც, შრომის კოდექსის 38-ე მუხლი კი ადგენს ხელშეკრულების მოშლის პირობებს მხოლოდ დასაქმებულის ინიციატივით და არა ფერია ნათქვამი ხელშეკრულების მოშლის პირობებზე დამსაქმებლის ინიციატივით. კასატორის აზრით მოსალოდნელი განთავისუფლების შესახებ მისი გაუფრთხილებლობით დაირღვა ხელშეკრულების მოსაშლელად დადგენილი წესი, რაც მართლსანინააღმდეგოა. აქედან გამომდინარე, აღნიშნული კანონდარღვევა არის 2006 წლის 16 ოქტომბრის სს „თელასის“ დირექტორის №კ-268 ბრძანების ბათილობის საფუძველი.

კასატორის აზრით, სასამართლომ არ გაიზიარა მისი განმარტება იმის თაობაზე, რომ დარღვეული იქნა შრომის კოდექსის 47-ე და 48-ე მუხლების დებულებები. იგი იყო სს „თელასის“ უფრო-

სი ინჟინერ-ინსპექტორი, საქმის პროფესიონალი, ასევა არის სა „თელასის“ აქციონერიც. დავა გამოწვეული იყო კრიტიკით და შენიშვნებით, რომელებიც მან დააფიქსირა სპეციალობით ფილოლოგის, დეპარტამენტის უფროსის მიმართ, რითაც მას როგორც აქციონერს, ადგებოდა ზიანი. ყველაფერმა ამან გამოიწვია „არაჯანსალი კლიმატის“, ცრუბრალდების შეთხზვა და ცილისნამების განხორციელება მის მიმართ. კასატორის აზრით, დამსაქმებლის მიერ დარღვეულია კონსტიტუციის მე-19 მუხლი.

აღნიშნულიდან გამომდინარე კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განვითარების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საკასაციო საჩივარს, განიხილა საქმის მასალები და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

კასატორი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად უთითებს იმ გარემოებას, რომ მისი განთავისუფლების დროს დარღვეულია ხელშეკრულების მოშლის წესი. აღნიშნულში კი კასატორი მოიაზრებს იმ გარემოებას, რომ საზოგადოების ადმინისტრაციამ იგი არ გააფრთხილა და არ დაუწესა დამატებითი ვადა. აღნიშნულთან მიმართებით უნდა აღნიშნოს ის გარემოება, რომ კასატორი ვერ უთითებს ნორმას, რომლის თანახმად, დასაქმებულის მიერ გაუფრთხილებლობის ან დამატებითი ვადის მიუცემლობის შემთხვევაში განთავისუფლებული პირი შეიძლება აღდგეს სამსახურში ან გაუგრძელდეს შრომის ხელშეკრულება. საგულისხმოა ისიც, რომ ასეთი ნორმა არ არსებობს კასატორის მიერ მითითებულ არცერთ ნორმატიული აქტში.

პალატა არ იზიარებს კასატორის იმ მოსაზრებასაც, რომ მისი განთავისუფლებისას დაირღვა შრომის კოდექსის 47-ე და 48-ე მუხლების მოთხოვნები. შრომის კოდექსის 47-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად ინდივიდუალური დავის განხილვა შესაძლებელია შემთანხმებელი პროცედურებით, ინდივიდუალური მოლაპარაკების გზით ან სასამართლოს საშუალებით. აღნიშნული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ მითითებული დავის განხილვის საშუალებები ალტერნატიულია და თუ რომელს გამოიყენებენ ხელშეკრულების მხარეები, ეს თვით მხარეებზეა დამოკიდებული; მოცემულ შემთხვევაში მხარეებ მიმართა სასამართლოს, რაც იმის დასტურია, რომ კასატორმა დავის განხილვისას სწორედ ეს საშუალება ამოირჩია. რაც შეეხება კასატორის მიერ მითითებულ

48-ე მუხლს, აქ რეგულირებულია მხარეთა შორის დავის შემთან-ხმებელი პროცედურებით გადაწყვეტის პროცესი. რაც შეეხება ი. პ-ოვთან მხრის შეხვედრას, იგი შეიძლება მივიჩნიოთ ინდივიდუ-ალური მოლაპარაკების გზით დავის განხილვის სახედ. ასეთ შემ-თხვევაში კი სავარაუდოა, რომ ინდივიდუალური მოლაპარაკებით დავა ვერ მოგვარდა, რის გამოც მხარემ მიმართა სასამართლოს. სასამართლოსათვის მიმართვა კი არ წარმოადგენს მითითებულ ნორმათა დარღვევას, არამედ 47-ე მუხლის მე-6 ნაწილით რეგ-ლამენტირებული დავის განხილვის საშუალებების რეალიზაცი-ას.

მოცემული დავის გადაწყვეტისათვის არ შეიძლება მნიშვნე-ლობა მიენიჭოს კასატორის მითითებას იმის თაობაზეც, რომ სა-ზოგადოების ადმინისტრაციამ დაარღვია კონსტიტუციის მე-19 მუხლის დებულებები. პალატა მიიჩნევს, რომ ასეთი გარემოების განხილვა შეფასება შეუძლებელია მოცემული დავის ფარგლებ-ში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ფარგლებში შეუძლებელია სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა-გაუქმება, რის გამოც იგი უცვლელად უნდა იქნეს დატო-ვებული.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცე-სო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ო. ხ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სა-მოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 25 სექტემბრის განჩინე-ბა.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდე-ბა.

საქითხელი

1. საშვებულებო ანაზღაურება
2. მიულებელი ხელფასის ანაზღაურება
3. შრომითი ხელშეკრულების
პირობების შეცვლა
4. შრომითი ურთიერთობის შეჩერება
5. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა
6. შრომითი ხელშეკრულების მოშლა
7. სამუშაოდან დათხოვნისას
კომპენსაციის მიღების უფლება
8. სამუშაოზე აღდგენა
9. ინდივიდუალური დავის განხილვა

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32
ტელ.: (995 32) 985172
www.supremecourt.ge